ISSN 0182-6028

ცისკარი

1

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცისკარი

295

გამოცემის ოცდამეხუთე წელი

1

იანვარი

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი

3. სამშობლოა თქვენი მეკვლე

პროზა და პოეზია

6. რეზო ჭეიშვილი — კვამლი. მოთხრობა
36. ანზორ აგულაშვილი — ლექსები
39. ალუდა არაგული — ლექსები
41. გურამ ოდიშარია — ციკლიდან „სინათლის ოსტატი". ლექსები
45. თენგიზ გუაჩიძე — გზა გავშვობისაკენ. რომანი, დასაწყისი
93. გაადურ გალარჯიშვილი — ციკლიდან „ქვეყნიერ თბილისი". ლექსები
95. რაულ ჩილაჩავა — ლექსები
98. მალვინა თოლიძე — ლექსები
101. ჯუმბერ ტიკარაძე — სასწაულები. რომანი. გაგრძელება

ახალი სახელები

112. თამარ ლებანიძე — ლექსები

ნარკვევი

116. ლადო მრელაშვილი — რიურაკიდან რიურაკამდე

100 — რუსთაველის თეატრი — 100

135. ნოდარ წულეისკირი, რისმაგ გორდეზიანი, გურამ გათიაშვილი — მილოცვები

ჭაბუა ამირეჯიბი სამოცი წლისაა

139. გიძინა კვერნაძე, რევაზ თვარაძე, გიგლა ფირცხალავა, არჩილ გოგელია, ვახტანგ ხარჩილავა, დავით მჭედლური — მილოცვები

წერილები

146. თეიმურაზ დოიაშვილი — „მატერიაზე ბავლით — სულოგისაკენ!"

მთავარი რედაქტორი

ზორის ფოცხიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი, გივი გეგეჭკორი, გურამ გვერდწითელი, რისმაგ გორდეზიანი, გიორგი გუბლია, ნოდარ დუმბაძე, მერაბ ელიოზიშვილი, ვაჟა ლორთქიფანიძე,

მთავარი რედაქტორის მოადგილე
ოტია პაჭკორია,

გურამ ფანჯიკიძე, ნუგზარ შატაიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე, ნუგზარ წერეთელი, თამაზ წივწივაძე, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი.

სამშობლოა თქვენი მეკვლე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ე. ა. შევარდნაძის** სიტყვა ახალგაზრდობასთან საახალწლო შეხვედრაზე 1981 წლის 31 დეკემბერს

ახალგაზრდობასთან რესპუბლიკის ხელმძღვანელთა საახალწლო შეხვედრა ტრადიციად იქცა. კიდევ ერთი კარგი სოციალისტური ტრადიცია დამკვიდრდა. ძველს რომ ვაცილებთ და ახალ წელს ვხვდებით, ჩვენი აზრი და გონება, ბუნებრივია, მომავლისკენაა მიმართული. მომავალი კი ახალგაზრდობას ეკუთვნის.

ამგვარად, თქვენთან შეხვედრა ქვეყნის მომავალთან შეხვედრაა, რომელსაც ახალი წლის მოახლოება საზეიმო ელფერს აძლევს.

საქართველოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, კომუნისტებისა და უპარტიოთა სახელით, ჩვენი მშრომელების სახელით გილოცავთ ახალი წლის დადგომას. დაე, ყოველმა ახალმა წელმა მრავალი გამარჯვება და ბედნიერება მოგიტანოთ თქვენ.

მაგრამ ბედნიერება რომ დაგეკვებოთ, კეთილი მეკვლე უნდა გყავდეთ. ასეთია ჩვენი ხალხის ბრძნული ტრადიცია. მეკვლე კი, ჩემს წარმოდგენაში, სამშობლოა, რომელიც თქვენ ასე თავდავიწყებით გიყვართ. სწორედ სამშობლოს სიყვარულზე მინდოდა მეთქვა რამდენიმე სიტყვა ამ ულამაზეს, ნეტარ წუთებში. ახალს არაფერს ვიტყვი, ორიოდე ჭეშმარიტებას, ყველასათვის კარგად ცნობილს გავიმეორებ. განმეორება ხომ ცოდნის დედაა.

სამშობლო, სამშობლოსადმი სიყვარული ფასდაუდებელი განძია, თაობიდან თაობას მემკვიდრეობით რომ გადაეცემა.

ჩვენ ვგრძნობთ თქვენი გულების ძალუმ ფეთქვას და ხელების თრთოლვას, ამ განძს რომ ეხებით.

განძი იგი უმშვენიერესია და ულამაზესი. იგი შეგიძლია ხატო, შეამკო, უსასრულოდ უმღერო. მაგრამ ეს საკმარისი როდია. სამშობლოს სიყვარულის განცდა ყველაზე დიდი ბედნიერება კი არის, მაგრამ ამ ბედნიერებას რომ ეზიარო, ტვირთი უნდა ზიდო, მსხვერპლიც უნდა გაიღო. ამ ტვირთს მოვალეობა ჰქვია.

სამშობლო ისეთი განძია, თუ ზრუნვა მოაკლდა, ჟანგი მოეკიდება. ჟანგი კი რკინასაც ჭამს...

ყოველმა ახალმა თაობამ ისე უნდა იცხოვროს, რომ ამ სათაყვანებელ განძს ახალი რამ თვისება შესძინოს, ახალი ელვარება შემატოს.

მხოლოდ იმას აქვს უფლება დატკბეს სამშობლოს სიყვარულით, განცდილი ბედნიერებით, ვისაც ტვირთის ტარება, მოვალეობის შესრულება, მსხვერპლის გაღება შეუძლია.

პირველი და უმთავრესი, რასაც სამშობლო თქვენგან მოითხოვს და რის შესახებაც გენიალური ლენინი ლაპარაკობდა, სწავლა გახლავთ. ისწავლეთ კომუნიზმი, მოუწოდებდა იგი სოციალისტური ცივილიზაციის ყველა თაობას.

სამშობლოს საკეთილდღეოდ მუყაითი, ბეჯითი, მე ვიტყოდი, თავდადებული მეცადინეობითა და სწავლით, მეცნიერების, კულტურის მონაპოვართა ათვისებით და შემოქმედებითი, გამოყენებით მონიჭებული დიდი სიხარული მინდა გისურვოთ თქვენ და თქვენს თანატოლებს ახალი წლის კარიბჭესთან.

მინდა გისურვოთ ცოდნაზე დაფუძნებული დიდი და ნათელი რწმენით, ჯანსაღი ოპტიმიზმით, გაბედული ოცნებებით გასხივოსნებული შემართებული ცხოვრება აწ და მარადის.

გვახსოვდეს, სამშობლოს სიყვარული ცოდნით, განათლებით, მაღალი კულტურით, ჯანსაღი რწმენით გამოხატული ის ძალაა, სასწაულების მოხდენა რომ შეუძლია.

სამშობლო, უწინარეს ყოვლისა, ხალხია. მაგრამ სამშობლო ის დიდებული ტაძარია, რომელსაც თაობები საუკუნეთა განმავლობაში აგებდნენ. სად თქმულა ძლიერი სამშობლო დიდი მატერიალური და სულიერი დოვლათის გარეშე, დოვლათის შექმნა ყველა საზოგადოების, ყველა თაობის უპირველესი ამოცანაა.

გისურვებთ, ყველა თქვენგანს, ყველა თქვენს თანატოლს იპოვოს თავისი ღირსეული ადგილი ხარაჩოზე, დაზგასთან, ვენახსა თუ ჩაის პლანტაციაში, საწერ მაგიდასთან თუ სახაზავ დაფასთან. არ დაგვავიწყდეს: სად თქმულა სამშობლოს სიყვარული შრომის სიყვარულის გარეშე. ადამიანი, რომელიც სამშობლოს ერთგულებას გულში მჯიღისცემით ეფიცება, შრომა კი არ უყვარს, სუფთა წყლის დემაგოგია.

შრომა საფუძველია სამშობლოს ძლიერებისა და სილამაზისა. სამშობლოს სიყვარული გარჯა-ჯაფით უნდა მოავარაყოთ, თუ მშობელი ხალხის კეთილდღეობა, მისი სულიერი და ინტელექტუალური აღზევება გსურთ.

ჭეშმარიტი მამულიშვილის მკერდში არ შეიძლება ეგოისტის გული ფეთქავდეს. სამშობლოს სიყვარული, თუ შერწყმული არა გაქვს მოძმე ხალხების ასევე უსაზღვრო პატივისცემასთან, თუ მზად არ ხარ გამდიდრდე იმ წვლილით, რომელიც სხვა ერებს მსოფლიო ცივილიზაციის საგანძურში შეუტანიათ, გამდიდრდე და სათანადოდ დააფასო იგი, — ეროვნული კარჩაკეტილობა და პროვინციალიზმია.

ეროვნული სიამაყე თავმდაბლობასა და თვითკრიტიკულობას უნდა შეერწყას, საკუთარი წარსულისა და აწმყოს თაყვანისცემა — სხვა ხალხთა დამსახურების აღიარებას. უდავო ჭეშმარიტებაა: დიდი და წრფელი სიყვარული ხშირად უსიტყვოა, ვერ გუობს ტრაბახს, ამპარტავნობას, პატივმოყვარეობას.

გისურვებთ, მეგობრებო, სამშობლოსადმი თქვენმა სიყვარულმა გამოხატულება პოვოს ყოველი ახალგაზრდის მხურვალე პატრიოტობითა და ღრმა ინტერნაციონალიზმით, რათა ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ლენინური, ზოგადსაკაცობრიო იდეები ყველა ქალიშვილისა და ჭაბუკის ურყევ მრწამსად, ცხოვრების პრინციპად ჩამოყალიბდეს.

საქართველოში სტუმრად რომ იყო, ჩვენი ხალხის დიდმა მოამაგემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა მრავალ სასიკეთო რჩევათა შორის ერთი მეტად მნიშვნელოვანი სურვილი გამოთქვა: თქვენში ისეთი წმინდა ზნეობრივი კლიმატი დაამკვიდრეთ, როგორიც თქვენი მთის ჰაერიაო. ხატოვნად და დიდი სიყვარულითაა ნათქვამი. ზნეობრივი სიმდიდრე უმთავრესი ეროვნული და ინტერნაციონალური საუნჯეა ყველა ხალხისა. შეიძლებოდა ასე თქმულიყო: რა რომ ზნე წახდეს, ერიც დაეცეს.

სამშობლოს სიყვარული მაღალი ზნეობრივი პრინციპების ერთგულებას ნიშნავს, შერყეული და გათელილი მორალი სამშობლოს ღალატია.

ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს ვუსურვებ ამაღლებული ზნეობისა და წმინდა მორალისათვის ბრძოლა ცხოვრების უმთავრეს მიზნად დაესახოთ, რამეთუ უკვდავია ქვეყანა, სადაც მთის ჰაერივით სპეტაკი ზნეობა ბატონობს, წყაროს წყალივით ანკარა მორალი მკვიდრდება. სოციალისტური საზოგადოება გულუხვია. თქვენ მრავალი სიმდიდრის გამგებელი ხართ. საჭიროა ვიცოდეთ ამ სიმდიდრეთა ფასი, მაგრამ არის ერთი სიმდიდრე, რომელიც ფასდაუდებელია.

დრო!

დრო, განკუთვნილი სწავლისათვის, შრომისათვის, დასვენებისათვის, ოჯახური ცხოვრებისათვის.

ყველა ზარალის ანაზღაურება შეიძლება, გარდა ახალგაზრდობაში დაკარგული დროისა. ყველაზე ბოროტი მფლანგველობა უმიზნოდ დროის ფლანგვაა. დრო, რომლის განმკარგულებელი შენა ხარ, მარტო შენ არ გეკუთვნის. იგი სახალხო კუთვნილებაა, სამშობლოს სიმდიდრეა. გამოიყენე იგი ისე, როგორც სამშობლო მოითხოვს.

ჩემს უმცროს მეგობრებს ვუსურვებ კარგად სცოდნოდეთ დროის ყადრი და თითოეული წუთისათვის მიენიჭებინოთ თავისი დანიშნულება და მიზანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდოდა ამ ახალი წლის წინა საღამოს რამდენიმე სიტყვა მეთქვა ეგრეთ წოდებული დემოგრაფიული პრობლემის გამო. ცნობილია, რა ძვირად დაუჯდა საბჭოთა ხალხს ეხსნა სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, მსოფლიო ცივილიზაცია მიხაკისფერი ჭირისაგან.

მარტო საქართველოში 300 ათასამდე ვაჟკაცი ვერ დაუბრუნდა მშობლიურ კერას. 300 ათასი ვაჟკაცი... 300 ათასი მამა...

ომმა მძიმე კვალი დატოვა. ამის გამოცაა, რომ შობადობის პრობლემა საქართველოში ისევე მწვავედ დგას, როგორც იმ რესპუბლიკებში, რომელთა ტერიტორიაზეც ომის ქარცეცხლმა გადაიარა. წინა თაობამ უზარმაზარი მსხვერპლის ფასად თავისუფლება შეუნარჩუნა ახალ თაობებს. თქვენი ვალია დაეხმაროთ სამშობლოს ჭრილობების მოშუშებაში, დანაკლისის ანაზღაურებაში.

ჩვენ ახლახან მივიღეთ სპეციალური დადგენილება მრავალშვილიანობის წასახალისებლად, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის დახმარების გაძლიერებლად.

ვინც საქართველოს ისტორია იცის, დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი ხალხი ფიზიკურ და სულიერ განადგურებას დედამ გადაარჩინა, ქართველის დედამ, რომელიც მამულს უზრდიდა შვილსა. მრავალშვილიანობა არანაკლებ საჭიროა დღეს, ვიდრე წარსულში. მე ერთხელ უკვე ვთქვი კომკავშირელებთან შეხვედრისას და ახლაც გავიმეორებ: მრავალი შვილი მუშათა კლასის მრავლობაა, მრავალი შვილი ბევრი მიწის მუშაა, მრავალი ინჟინერი და აგრონომია, მრავალი მეცნიერი და შემოქმედია, მრავალი ჯარისკაცი და გენერალია; მრავალი შვილი ჩვენი ხალხების ურღვევი კავშირის ძლიერებაა, მრავალი შვილი საქართველოს უკვდავებაა.

მინდა გისურვოთ, მეგობრებო, ნამუსიანად მოგეხადოთ ვალი სამშობლოს წინაშე, ჩვილთა ჭყლოპინი, ბავშვთა ტიტინი —ეს საოცარი სიმფონია ხალხის დღეგრძელობისა, მარადისობისა, კიდევ უფრო მრავალ ხმაზე ჟღერდეს მრავალ ოჯახში.

მე დამამახსოვრდა პოეტ მორის ფოცხიშვილის ერთი ლექსი, რომელიც დაახლოებით ასეთი შინაარსისა იყო: შემეჯიბრეთ, ვისაც გნებავთ სამშობლოს სიყვარულშიო. თუ პოეტურ ნათქვამს პირდაპირ გავიგებთ, მე პირადად ასეთ შეჯიბრებას მხარს ვუჭერ, მხოლოდ იმ ცნებათა ფარგლებში, რომელთა შესახებაც ზემოთ მოგახსენეთ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს სწავლასა და შრომაში, შეეჯიბრეთ — ვინ მეტ წვლილს შეიტანს სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, მეცნიერების წინ წაწევაში, შეეჯიბრეთ ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაში, სიკეთის თესვაში, ბოროტების დათრგუნვაში, შეეჯიბრეთ მაღალი ზნეობისა და წმინდა მორალის დამკვიდრებაში, შეეჯიბრეთ კომუნიზმის ერთგულებაში, სამშობლოსათვის თავდადებაში.

და დასასრულ:

სამშობლოსადმი ნამდვილ თავდადებას და სიყვარულს არაფერი აქვს საერთო ქვეყნისათვის „თავშეწირულთა“ თამაშთან. ამ საზეიმო წუთებშიც უნდა ვთქვა: დიდ გულისწყრომას იწვევს, როცა ქვეყნის პატრონობას, მის ქომაგობას ჩემულობს პიროვნება, რომელსაც კაპიკის საღირალი არაფერი შეუქმნია და ვერც შექმნის.

ასეთებს საკუთარი პერსონის განდიდების წყურვილი უფრო აწუხებთ, ვიდრე სამშობლოს ინტერესები.

სამშობლო ის განძი არ არის, ერთეულ ხელმოცარულთა პატივმოყვარეობის დაოკების საგნად რომ გამოდგეს.

სამშობლოს პატრონი მუშა კაცია, ვინც ფუტკარივით შრომობს, ფიზიკურად თუ გონებრივად, ქვეყნისა და ხალხის სასიკეთოდ.

შეეჯიბრეთ ერთმანეთს აკვანთა სიმრავლეში, ღირსეულ მამულიშვილთა აღზრდაში!

ჩვენ კი, კომუნისტები, თქვენი მამები და დედები, მსაჯულნი ვიქნებით ამ ისტორიულ შეჯიბრებისა, ზრუნვას და დახმარებას არ მოგაკლებთ, თქვენთან ვიქნებით ჭირსა და ლხინში, რამეთუ თქვენ ხართ ჩვენი ცხოვრების მიზანი და იმედი ხვალისა.

ბედნიერი, მშვიდობიანი შრომის და მშვიდობიანი ბრძოლის წელი დაკვებებოდეს საქართველოს ყველა მშრომელს, ბედნიერი ყოფილიყოს თქვენთვის ახალი წელი, ძვირფასო ქალიშვილებო და ჭაბუკებო!

რეზო ჭეიშვილი

23 მარტა კინო „კოლმეურნესთან“ ჩელუსკინელებისა და ცეტკინის ქუჩის გადაკვეთაზე, ტრამვაის ლიანდაგთან დააკავეს თამბაქოს ფაბრიკის მუშა, ვინმე გ. ბ...რი, რომელსაც საწვიმარქვეშ გადამალული, ფაბრიკიდან უნებართვოდ გამოტანილი 80 კოლოფი „კოლხეთი“, 60 კოლოფი „კოსმოსი“ და 81 „ლუქსი“ უნახეს; აქედან „ლუქსის“ ერთი შეკვრა გახსნილი აღმოჩნდა.

მუშა გ. ბ... რი აღნიშნულ ფაბრიკაში მუშაობდა 20 წელი (უწყვეტი სტაჟით) და რადგან მსგავს საქციელში შემჩნეული არ ყოფილა, პროკურატურამ საქმე დაუბრუნა ფაბრიკის პარტიულ ორგანიზაციას და ადგილკომს ამხანაგურ სასამართლოზე განსახილველად.

მეორე დღეს ჟურნალ „ნიამორის“ რედაქტორმა ბუხუტი მაყაშვილმა გამოიძახა ამავე ჟურნალის განყოფილების გამგე გურამ ნკავაძე და სთხოვა, ადგილზევე, თამბაქოს ფაბრიკაშივე შეემოწმებინა ფაქტი, რაზედაც ნკავაძეს წარმოდგენა არ ჰქონდა, ხოლო რედაქტორი კი ადრევე ყოფილიყო ინფორმირებული.

მუშა გ. ბ....რი წინასწარ პატიმრობაში არ აუყვანიათ და ამხანაგ ნკავაძეს შესაძლებლობა ექნებოდა შეხვედროდა დამნაშავეს, უფრო ნათლად ჩაწვდენოდა საქმის არსს.

●

გარემოს გაჭუჭყიანების წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების გამგემ ირაკლი გობეჯიშვილმა, შემოსული მასალების გადალაგება-გადმოლაგებით რომ იყო დაკავებული, ნკავაძეს უთხრა, ბუხუტი გეძახიაო.

— აქ არის?

— აქ არის.

„საქმე არაფერი აქვს, რამ მოიყვანა დღის პირველ ნახევარში!“ — გაიფიქრა ნკავაძემ, დანამული საწვიმარი ჩამოკიდა, თმა გაისწორა, საქმიანად გადაიარა დერეფანი და რედაქტორის კაბინეტში შევიდა.

— ...მართლა მეუბნები შენ მაგას? — იკითხა დაეჭვებულმა, როცა ბუხუტი მაყაშვილმა საქმის ვითარება ხელმეორედ გააცნო და ამჯერზე ფაბრიკისაკენ დააგზავნა უკვე ოფიციალურად.

— მართლა გეუბნები. — დაუდასტურა შავგვრემანმა კაცმა, განზე გაშვერილი წითელი ტელეფონის ყურმილი რომ ეჭირა ხელში.

— მე რა შუაში ვარ?

— ან შენ, ან ჩვენ... დარეკეს და რა ვქნა!.. მეწყინება, იცოდე, რომ არ წახვიდე... თანაც მართლა დარეკეს.

—. მართლა კი დარეკეს, მჯერა, მაგრამ მართლა დარეკეს?..

— მართლა... ჰო, გისმენთ, კი... — ღიმილით ჩასძახა ყურმილში ბუხუტი მაყაშვილმა. იგი ნკავაძეს უყურებდა და ვიღაცას უღიმოდა, კერძოდ — ვის, ძნელი გასარკვევი იყო, თუმცა ვიზიტი რომ დამთავრებულად უნდა ჩათვლილიყო, აშკარად ჩანდა და ნკავაძემ კაბინეტი დატოვა.

●

თამბაქოს ფაბრიკის ადმინისტრაციული კორპუსის მეორე სართულზე ავიდა, კითხვა-კითხვით მიადგა სასურველ კარს, შეაღო და შევიდა ოთხკუთხედ, მაღალჭერიან ოთახში, რომელსაც მისაღებადაც ჩათვლიდა მიხვედრილი ადამიანი. ოთახს დიდი, ძველებური ფანჯარა ჰქონდა ერთ მხარეს, საიდანაც ცაცხვისა და ჭადრის ხის ახლად შემწვანებული ტოტები ჩანდა. ტოტებს აქა-იქ ზამთარგამოვლილი ხმელი ფოთლები შერჩენოდა. ნკავაძის ვარაუდით, ძველებური ყაიდის ფანჯარა იქით იმზირებოდა, საიდანაც ივი შენობაში შემოვიდა, მაგრამ შემოსვლისას ეზოში ეს ხეები არ შეუნიშნავს. ფანჯრის რაფის ქვემოთ რადიატორი იდგა. რადიატორთან იჯდა ყვრიმალებზე ბალანმოდებული ქალი, რომელიც მაგიდაზე გაშლილ დიაგრამას ჩაჰყურებდა მრგვალი თვალებით. მაგიდაზე, თუ საბეჭდ მანქანას არ ჩავაგდებდით სათვალავში, ერთი შეხედვით, ათასგვარი უსარგებლო ნივთი, მათ შორის რიყის ბრტყელი ქვა, იდო. ყრუ კედელზე მიდგმული, დაჩარჩოებული კარადა დანომრილი საქაღალდეებით იყო გამოტენილი. შიდა, მოღიავებული კარიდან კაბინეტის მწვანემაუდგადაფარებული სათათბირო და გაპრიალებული საუფროსო მაგიდები ჩანდა. ოთახში ვიღაც უნდა ყოფილიყო, რადგან გაზეთის შრიალი და ცხვირის ქსიტინი ისმოდა.

— თქვენ გელოდებიან... — ღიმილით წამოდგა ღაზლმოხურული, სახეგალნიანი ქალი, როცა მოსულმა თავისი ვინაობა გაამხილა.

ქალი ნკავაძეს დაბალი ეგონა, მაგრამ საკმაოდ ტანოვანი, თითქმის ზომაზე მაღალი აღმოჩნდა. ოდნავ წინ გადმოხრილი, ბეჭწვრილი და გავასქელი იდგა, მრგვალი, უმეტყველო თვალებით იყურებოდა და აღარაფერს ამბობდა. ოთხკუთხედი ოთახი გაუგებარი სიჩუმით ივსებოდა. კაბინეტიდან კრუტუნი თუ ქსიტინიც აღარ გამოდიოდა.

ქაღალდის გამაყრუებელ შრიალზე გამოფხიზლდა სტუმარი ბოლოს და ბოლოს. კაბინეტში ვიღაცამ გაზეთი დაკეცა და ნკავაძემ დაინახა დაკეცილი „კომუნისტითა“ და გაშლილი სათვალით ფეხაკრეფით მომავალი, თხელი ტანის, ყავისფერკოსტუმიანი მამაკაცი, რბილად და უხმაუროდ რომ უახლოვდებოდა.

„ეს არის ალბათ!“ — ფიქრობდა იგი, როცა ყავისფერკოსტუმიანს ხელს ართმევდა და თბილი, მჩატე თითების შეხებას გრძნობდა.

— ამხანაგი ნკავაძე, პატივცემულო კლიმენტი! — თქვა ქალმა.

კლიმენტიმ წაჭუტული თვალები მოისრისა, ქალს ღიმილით გადახედა, რად მინდა შენი წარდგინება, ნკავაძეს ვინ არ იცნობსო, აგრძნობინა, სათვალე გაიკეთა, სტუმარს შინაურულად გამოსდო ხელი, კაბინეტში შეიყვანა, სათათბირო მაგიდასთან დასვა, თვითონ საუფროსო მაგიდას შემოუარა და სათათბირო მაგიდასთან ნკავაძის პირდაპირ მოკალათდა, სათვალე მოიხსნა.

„საიდან ვიცნობ?“ — ფიქრობდა „ნიამორის“ განყოფილების გამგე და მაგიდაზე ილინცურად დადებული სათვალის პრიალა შუშებს არ აშორებდა თვალს.

რეზო ჭეიშვილი

კვაშლი

— ...როგორ შეგაწუხეთ, არა?.. შეგაწუხეთ, რაღა ლაპარაკი უნდა... იყო კი საჭირო?.. — კითხულობდა ყავისფერკოსტუმიანი ღიმილით, შეუმჩნეველი ქსიტინით და თვალების სრესით... — თუმცა ჩვენ რა, დაგვირეკეს... კარგიც ქნეს ძალიან... სხვანაირად არ მოხვიდოდით, ბატონო გურამ... არ მოდიან ჩვენთან მწერლები... თამბაქო მაინც არ არის ისეთი, როგორც ძველად იტყოდნენ, მიმზიდველი... მოწიეთ თუ გნებავთ.

— შეიძლება?

— როგორ არა...

კლიმენტი წამოდგა და თავმაგიდიდან პლასტმასის უხმარი საფერფლე სათათბირო მაგიდაზე გადმოდგა; მცირე ხნით ჩაფიქრდა, ჯიბიდან გასაღებების შეკვრა ამოიღო, კვერდითი უჯრა გამოსწია და დაკვირვებით ჩაიხედა შიგ. იდგა, უჯრაში იხედებოდა, წყნარად ქსიტინებდა.

„შეიძლება პოლიპები აქვს“ — ფიქრობდა ნკავაძე და სიგარეტს აფუილებდა.

კლიმენტიმ სათვალე გაიკეთა, ღია უჯრიდან პრიალა თაბახის ფურცლები ამოაცოცა, უჯრა დაკეტა და კვლავ სათათბირო მაგიდასთან დაჯდა.

— ...გურამ, გურამ... როგორ შეგაწუხეთ, გაგსარჯეთ... მე მაგალითად, რუსთაველის პრემია მირჩევნია ყველა დანარჩენს... ნამდვილად მირჩევნია. მართლა ფარული კენჭისყრით ანიჭებენ თუ წინასწარ არის განსაზღვრული, როგორც იტყვიან, როგორც არის საერთოდ...

— ფარულად.

— მართლა, არა?

— მართლა.

— კარგია თუ მართლა, ნამდვილად კარგია... — უნდობლად გაიღიმა კლიმენტიმ. — ერთხელ ხდება, როგორც ძველად იტყოდნენ, ხელმეორედ ძალიანაც რომ მოიხდომო, ველარ მიიღებ, ცხადია...

„ბორია შარაშიძე გგონივარ!“ — მიხვდა, როგორც იქნა, ნკავაძე.

კლიმენტი სტუმარს უყურებდა, აღარ ქსიტინებდა, აღარც იღიმებოდა.

„როდინდელი შეკერილი აქვს ეს კოსტუმი, ასეთი ყავისფერი ქსოვილი რა ხანია აღარ მინახავს. შემოსვლისას კარზე გაკრულ წარწერას რატომ არ დავაკვირდი, იყო წარწერა? მგონი, იყო!“

— კაცმა რომ თქვას, — წამოიწყო ისევ კლიმენტიმ. — არც იყო ამხელა ამბის ატეხვა საჭირო, ნამდვილად არ იყო, ჩემის აზრით, რასაკვირველია...

— მართალი ბრძანდებით, თანაც პირველი შემთხვევა ყოფილა.

— დიახ, ოცი წელია აქ მუშაობს, როგორც ძველად იტყოდნენ, უწყვეტი სტაჟით. მართალია, ამ ხნის მანძილზე პირველად შევამოწმეთ, მაგრამ სხვა დროს ხელცივობაში არ შეგვინიშნავს. საერთოდ, გვქონია და გვაქვს კიდევაც ანალოგიური შემთხვევები. ახლა, რა დასამალია, ბატონო გურამ, მოსაწევ სიგარეტებს, ვინც ეწევა, რასაკვირველია, მუშებს არ ვუჭერთ, სხვანაირად არ გამოდის, ერთხელ ესეც ავუკრძალეთ და, როგორც იტყვიან, გეგმა ჩაგვივარდა. გეგმას ჩვენ მართლა ვასრულებთ, ისე კი არ ვასრულებთ, როგორც...

— მჯერა.

კლიმენტიმ თვალები წაჭუტა და ისევ ქსიტინი დაიწყო, მართლა სჯერა თუ ისე მეთანხმებაო, შეფიქრიანდა გვარიანად.

— მართლა მჯერა! — უგულოდ ჩაილაპარაკა ნკავაძემ და გაჩუმდა.

●

— რად გინდოდა, გიორგი, ამდენი სიგარეტი?! — ჰკითხა თავმჯდომარემ ბრალდებულს, როცა ოთახი თანამშრომლებითა და მოწვეული პირებით გაივსო.

კლიმენტი უკვე თავმაგიდას უჯდა და სხდომას ადრინდელი ღიმილითა და რბილი ხმით უძღვებოდა. დანარჩენები თითქოს უფრო მკაცრად იქცეოდნენ,

თუმცა ნკავაძემ ვერ გაიგო, ამხანაგურ სასამართლოს ესწრებოდა, ადგილკომის თათბირს, პარტკომს თუ უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის გამსვლელ სესიას.

პირმრგვალი ქალი, დამჯდარი რომ დაბალი ჩანდა, ოქმს წერდა, მძლავრად აჭერდა ქაღალდზე კალამს, ხშირად აქეთ-იქით იხედებოდა და უადგილოდ ისვენებდა.

— წერთ თქვენ ხომ, ქალბატონო ეთერი?! — იკითხა კლიმენტიმ, როცა ყურადღებადაფანტულ ქალს ბალნიან ლოყასთან მიტანილი კალამი გაუშეშდა.

— კი, ბატონო კლიმენტი, ა, ბატონო... — ქალბატონმა ეთერიმ ოქმს დახედა, თაბახის ფურცლები გაწი-გამოწია, ერთმანეთს დააშორიშორა, რათა ნამუშევარი სრულად და თვალსაჩინოდ წარმოჩენილიყო.

— ა, ნახეთ, ბატონო კლიმენტი!

— კარგი, კარგი!

„ეს არ დაგინდობს, თუ ხელში ჩაუვარდი!“ — თავმჯდომარეს გადახედა ნკავაძემ და მიაჩერდა ბრალდებულს, შუახანს გადაცილებულ გ. ბ....რს, თითქოს კუჭის ძმარვით შეწუხებულ, ბეჭებში მოხრილ, ძვალმსხვილ, დიდ ხელისმტევნებიან კაცს, გახუნებული კოსტუმი და დამჭკნარ კისერთან საგულდაგულოდ შეკრული შალის პერანგი რომ ეცვა.

●

— ...რა ვი, რა ვიცი, კაცო, რა ვიცი... — ბრალდებული ზოგიერთ სიტყვას რამდენჯერმე იმეორებდა. — ფაბრიკა, ფაბრიკა კაპიტალურ რემონტში უნდა ჩამდგარიყო, ვიფიქრე, ვიფიქრე, წავიღებ, დავყრი სახლში-მეთქი...

— რაა?! — შეაჩერა თავმჯდომარემ.

— როგო რას? — ცოტა ხნის შემდეგ იკითხა პირგამშრალმა გ. ბ...რმა. სათქმელი დაებნა, ეტყობოდა, დაწყობილი სიტყვები დაეფანტა, ნაწილ-ნაწილ დაეშალა, ჯახჯუხით მიაწყდნენ ისინი ერთმანეთს და ბორტებთან შეჩერდნენ.

— რას წავიღებ, რას დავყრიო? — გაუღიმა კლიმენტიმ.

— სიგარეტებსა.

— შეიტანეთ ოქმში!

— წავიღებ, მე ვთქვი, შინ დავყრი...

— რომ არ ეწევი, გიორგი?! — კვლავ შეაწყვეტინა კლიმენტიმ.

— რასა, სიგარეტს?

— დიახ.

— როგო არ ვეწევი, კაცო, ორმოცდასამი წელია ვეწევი...

— მითუმეტეს. — კლიმენტიმ სათვალე გაიკეთა, ქაღალდებში ჩარგო ცხვირი, ბრალდებული მაინც არამწევლად ჩათვალა, ორმოცდასამი წლის სტაჟი გადაუყარა წყალში.

— ეწევა თურმე, ბატონო კლიმენტი! — შეახსენა ერთმა დარბაისელმა კაცმა.

— ახლა რატომ არ ეწევიო, ამაზეა ლაპარაკი... — გადმოულაპარაკა გვერდზე მჯდომმა ტანმორჩილმა კაცმა.

— აკრძალულია აქ მოწევა და საიდან? — გაიკვირვა დარბაისელმა.

ნკავაძემ სიგარეტი დაფერფლა და თავს ზემოთ, ჭერსა და კარნიზებს შორის გადაღრუბლულ მოიისფრო კვამლს ახედა.

— შეიტანე ოქმში! — უთხრა დარბაისელმა კაცმა ეთერის.

— რა შევიტანო, რომ ეწევა?! — დაიღრიჯა ქალი. — გაჭრეს მაგი, რას იკლავს ნეტავი ვიცოდე, თავს!

— დავყრი, მე ვიფიქრე, დავყრი-მეთქი... — განაგრძობდა გიორგი. — თანაც ერთი „ლუქსი“ ჩემი იყო.

— გახსნილი, არა? — გამომცდელად ჩაიძია იმ დარბაისელმა, რომელმაც ბრალდებულის პროფესიონალიზმზე (ამ შემთხვევაში მწევლობაზე)) გაამახვილა ყურადღება.

— გახსნილი, დიახ. აკლდა ერთი ღერი... რომელიც გახსნილი იყო... —

რეზო ჯეიშვილი
კვამლი

უპასუხა რაღაცნაირად შეფიქრიანებულმა გიორგიმ.

— ერთი მითხარი, გიორგი, შვილები ხომ გეხმარებიან? — დაუყვავა თავმჯდომარემ.

— როგორ არა, რად მინდა რო...

— რამდენი შვილი ყავს? — თავმჯდომარეს მიუბრუნდა ამ საკითხით დაინტერესებული ნკავაძე.

— სამი ვაჟი, ვაჟკაცები, მათ შეხედვას არ ჯობია არაფერი... — თითქოს თავისთვის თქვა კლიმენტიმ და მაგიდის პრიალა ზედაპირს დააჩერდა უმისამართო ღიმილით.

— არა კაცო, რის სამი!. — წამოიძახა გაოცებულმა გიორგიმ..

— ორი, უკაცრავად... — თავი წამოწია თავმჯდომარემ, გამომცდელად შეათვალიერა კრება, სათითაოდ გადაავლო ყველას თვალი და ზოგიერთი მხოლოდ მაშინღა შეამჩნია.

— გოგო და ბიჭი? — ჩაეძია ნკავაძე.

— დიახ, ქალ-ვაჟი... — კლიმენტიმ დაგვიანებულ წევრებს თვალი მოაცილა, კალენდარს დახედა, წითელი ფანქარი გაუსვა რომელიღაც გრაფას და თავისთვის გაიმეორა:

— ქალ-ვაჟი.

— ორი გოგო... — უკმაყოფილოდ გააქნია თავი ოქმის მწერალმა ქალმა.

— მერე ერთი ხო მამიკვდა!..

— ერთი ავარიაში დაეღუპა.. — ჩაილაპარაკა ქალმა და ოქმი შეასწორა, „მხედველობაში იქონიეს“ „მხედველობაში მიიღეს“-ად გადააკეთა.

გიორგი ბ...რმა მოიწყინა, დიდი ხელები გამწლეულ მუცელზე დაილაგა, ამოიოხრა და მიაჩერდა დარბაისელ კაცს, უხერხული შეკითხვა რომ დაუსვა გახსნილი „ლუქსის“ თაობაზე.

— ახლა ეს რომ ამბობს, პატივცემული გეო რომ ამბობს... — მოულოდნელად წამოიწყო მან. — გახსნილი რომელიც იყოო, „ლუქსიო“, შენი იყო თუ არაო, ჩემი იყო, ვიყიდე, ხოლო ოთხმოცი „კოლხეთი“, სამოცი „კოსმოსი“ და ოთხმოცი „ლუქსი“ იყო საბელმწიფოსი, ერთი რო გამოვაკლოთ, ოთხმოცი ხო დარჩება, რამდენიც დარჩება, იმდენი... — კიდევ უნდოდა რაღაცის თქმა, მაგრამ მარტივი წინადადებები დაეშალა რაჩხარუჩხით, სიტყვები ერთმანეთს მიეფშვნენ და ხვიმირაში ჩაცვივდნენ ხრიალით. იდგა გიორგი ბ...რი, ტუჩებს აცმაცუნებდა, სათათბირო მაგიდისა და ფანჯრის მიღმა, ცაცხვისა და ჭადრის ტოტებს იქით იმზირებოდა.

— დაბრძანდით, კიდევ მოგცემთ სიტყვას! — უთხრა თავმჯდომარემ.

გიორგი ბ....რი კედელზე მიდგმულ სკამზე დაჯდა, შავი კოსტუმით მიეკრო თეთრ შპალერს და სახსრებში მოწყვეტილი მკლავები დაუშვა ძირს, დიდი ხელის მტევნები დაიწყო მუხლებზე.

●

საყარაულო ჯიხურთან, გასასვლელში შეყოვნდა; მოეჩვენა, რომ მანქანის გასაღები დარჩა სათათბირო მაგიდაზე „კოლხეთის“ ცარიელი კოლოფის გვერდით. ჯიბეებში ხელების ფათურით გართულმა შეამჩნია, რომ ვახტიორი ზურგშექცევით მდგარ ქალიშვილს მოზრდილ ხელჩანთას უსინჯავდა; ცალი თვალით იჭვრიტებოდა შავი ჩანთის ხახაში.

ქალიშვილს მოკლე, ქამარშემოჭერილი საზაფხულო პალტო ეცვა, მაღალი წვივები, გავა და თეძოები, საგანგებოდო ვერ იტყოდით, მაგრამ თვალსაჩინოდ ჰქონდა გამოკვეთილი კაბარდინის თხელ მატერიაში. მკლავზე წამოცმული, ვახტიორის მიერ გაჩხრეკილი ჩანთა რომ დაკეტა (ნკავაძის ვარაუდით, განგებ), თმაზე გადაისვა ორივე ხელი და პალტო და კაბა მუხლისთავებს ააცილა. ნკავაძემ თხელი წინდების ხაოიან, ფეხზე ირიბულად გადატკეცილ სათავეს მოკრა თვალი და ჯიბეში მანქანის გასაღებიც მოიძია; წინასწარვე გამზადებული, კლიმენტის მიერ ხელმოწერილი საშვით გაუვა ქალს, რომელიც წინიდან არ ენახა, სათანა-

დოდ არ შეეფასებინა. ასეთი ტანადები ხშირად სახეშეუხედავნი არიან, სამწუხაროდო, ფიქრობდა და თავისი დებულების უარსაყოფად იჩქაროდა; არ გამასწროსო, ეშინოდა. მიდიოდა და რაღაც შეურაცხმყოფელი გრძნობაც მიაცილებდა, ქალის წინიდან ნახვის ინტერესს უნელებდა. გუმანით ხვდებოდა, როგორ უყურებდა თავად მას მბრუნავ ბორბალკართან გაჩერებული ვახტიორი, რომელსაც ცალი თვალი შუშის უნდა ჰქონოდა. ჯანმრთელი თვალით ბურღავდა იგი ნკავაძის ტყავის კურტაკის გაცვეთილ ჯიბეს, რომელშიაც იდო ნაჩუქარი ლექსების წიგნი, დიდი სასოებით რომ ჩაუტენა ავტორმა იმ დღეს.

●

ხელჩანთიანმა ქალიშვილმა ცას ახედა, პალტოს საყელო აიწია და წავიდა ქვევით, ჩაუარა ფაბრიკის რკინის ხრიალა ჭიშკარს, გაცდა ერთი შენობის სადარბაზოს და საგალანტერიო მაღაზიის წინ ბორდიურთან გაჩერდა. შხუილით მიმავალ რამდენიმე მანქანას გააყოლა თვალი. ვიღაცის დაჟინებული მზერა იგრძნო, მოიხედა. ლოყაზე ჩამოშლილი სველი თმის სწორებით და გაოცებული თვალებით.

ნკავაძემ თვალი მოარიდა, ჩავლა დაუპირა, ტრიკოტაჟის მაღაზიასთან შეჩერდა მისდაუნებურად. მოიხედა; ქალი იმგვარადვე იდგა, იმგვარადვე იმზირებოდა. ეს ის ავტორი იყო, რედაქციაში რომ აკითხავდა ხოლმე. კარგა ხანი არ ენახა და ბოლოს როდის შეხვდა, აღარ ახსოვდა. უკაცრავადო, ბოდიშობდა ცოტა ხნის შემდეგ. გიცანით, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს ერთხელ უკვე მოგესალმეთო. შეიძლებაო, ეთანხმებოდა ქალი. ცვლის დაწყების წინ მე თვითონვე დაგინახეთ ჩვენს ეზოში, მაგრამ ჩემკენ არ გამოგიხედიათო.

— შეიძლება. მუშაობთ არა?

— დიახ.

„სისხლის გადასხმის ინსტიტუტში ვმსახურობო, ასე არ ამბობდა ადრე!“

იდგნენ, აღარაფერს ლაპარაკობდნენ. ქალი ცარიელ მანქანებს აღარ აყოლებდა თვალს, შინ წასვლას აღარ ეშურებოდა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში არ იჩქაროდა. გურამ ნკავაძესაც არ აგვიანდებოდა (როგორც სხდომის მონაწილეთ დაუბარა) ლიტერატურულ საღამოზე ოცდაექვსი კომისრის სახელობის საავიაციო ქარხანაში.

— ქვევით?

— დიახ, ქვევით.

თავქვე დაეშვნენ. რამდენჯერმე შეჩერდნენ ტრიკოტაჟის, საგალანტერიო, რკინა-კავეულისა და სამეურნეო მაღაზიების ვიტრინებთან.

— თუ ერთი გზა გვაქვს, შემიძლია მანქანითაც მოგემსახუროთ. — განაცხადა ნკავაძემ, როცა ისინი თითქმის კინო „კოლმეურნემდე“ ჩავიდნენ და ფსევდოკლასიკური სტილით ნაგებ, უსაშველოდ გრძელ, უსახო შენობასთან შეჩერდნენ.

— მადლობთ, მაგრამ პანაშვიდზე მივდივარ.

— სად მიდიხართ?

— პანაშვიდზე.

— პანაშვიდზე წაგიყვანთ... — შეყოყმანდა ნკავაძე.

— არ მინდა შეგაწუხოთ...

მე არ ვწუხდები და პირიქითო, თქვა ვაჟმა. ქალმა მადლობა გადაუხადა. იგი უკვე თითქოს ყველაფერზე თანახმა იყო და ახლა ნკავაძეს როგორმე უნდა გაეხსენებინა მისი სახელი, რომელიც მშვენივრად ახსოვდა ამ დღემდე.

მიწისქვეშა გადასასვლელით გადიოდნენ გაღმა ქუჩაში. დაბალჭერიან, ჩატოტილ, ჩანოტიებულ გვირაბში კანტიკუნტად მიმავალ-მომავალი მოქალაქენი ჩანდნენ სველ ჭერზე აკრული პლაფონის მკრთალი შუქი დაფენოდა კუთხის კედლიდან წამოსულ, ცემენტის

რეზო ჭეიშვილი
ბავშვები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იატაკზე დარჩენილ, მყრალი სუნით გაჟღენთილ ყვითელ ხაზებს. ამოვიდნენ ტრამვაის ლიანდაგთან; ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შენობის წინ; წავიდნენ ზევით და შეუხვიეს სურამის ჩიხში, სადაც გურამ ნკავაძის მანქანა იყო გაჩერებული. მანქანებსა და მანქანებს შორის ჩაჭედილიყო იგი. წინ გზა აღარ დაეტოვებინათ, უკან ძალიან ვიწრო და მოუხერხებელი გასასვლელი დარჩენილიყო.

ნკავაძე მანქანების გროვაში გაჩენილ ლაბირინთს ათვალიერებდა. ქალი გულგრილად უყურებდა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შენობის უკანა მხარეს; კონდენშეინერებიო და სავენტილაციო და სანიაღვრე მილებით გაწყობილ კედელს; საპირისპირო ალაგას. მდგარ დაბალ შენობაში მოთავსებულ სანოტარო დაწესებულებას.

ნკავაძე მანქანაში ჩაჯდა. გვერდითი კარი გააღო და ტანმაღალი თანამგზავრი მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში. გაწაფული ხელით გადააფერდა საზურგე, შავი ჩანთიდან ჰატარა სარკე და მკრთალი, თითქმის უფერო პომადა ამოიღო.

„როგორ გინდა აქედან გახვიდე!“ — ფიქრობდა კისერმოღრეცილი ნკავაძე და ქალის სახელს იხსენებდა, ორმარცვლიან საკუთარ სახელებს ეძებდა.

„...ირა, კირა, თინა, უფრო ირა...“ თუმცა ბგერა „რ“ არაფერ შუაში არ უნდა ყოფილიყო. ეს ბგერა არ ახსოვდა. თანაც ის სახელი მაღალი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებდა. „ირაც“ თითქოს მაღლა მიიწევდა, მაგრამ ბგერა „რ“ არ აგონდებოდა. თანამგზავრის სახელი კი მუსიკალურ ინსტრუმენტს გავდა, თუ მეხსიერება არ ღალატობდა. ამ სახელის ხსენებაზე აგონდებოდა არღნის სტვირები, რომლებიც არასოდეს არ ენახა.

„...ირა. ირინე, თინა, ირა, აქედან მე ვერ გავალ. ამას ჩემი დარდი არა აქვს, გინდა გადი, გინდა აქ იდექი დილამდე“.

●

გულგაღეღილი, საყელოჩახსნილი, მკერდბალნიანი კაცი გამოეცხადა დაბარებულივით. ძველი, სამხედრო ქუდი ეხურა და წინაფრაზე ტუშით რაღაც ფირმის (ნკავაძემ ვერ ამოიკითხა), სპორტული კლუბის თუ საესტრადო ანსამბლის სახელი ეწერა. ყოვლად უადგილოდ და უმისამართოდ იქნევდა თითქოს ხელებს. თუმცა მძღოლს გზას სწორად აჩვენებდა და მანქანის მართვასთანაც არ უნდა ყოფილიყო ხამად. მარჯვენას რომ ზევით ასწევდა, მარცხენას ბუკლეს პიჯაკის უბეში იყოფდა; ერთ ხელს წინ რომ გაიშვერდა, მეორეს წელზე შემოიდებდა. ასე ამნაირად კუს ნაბიჯით გაიყვანა მანქანა სამშვიდობოს და მძღოლს მხედრული სალამი აუღო მარცხენა ხელით. მარჯვენა კეფაზე შემოიკვანტილა და თითები ბიბილოსთან მიიტანა. სადგომი ფასიანი არ ჩანდა და ამ კაცისთვის მადლობა უნდა ეთქვა თუ ფული უნდა ეჩუქებინა, ნკავაძემ ვერ გაარკვია; სანამ რაიმეს მოიფიქრებდა, სამხედროქუდიანი, რომელიც მოხალისე აღმოჩნდა, უკვალოდ გაუჩინარდა.

●

„...ირა, ირინე, ცირა, ირინე...“

მანქანა ჩელუსკინელების ხიდზე გადიოდა. ქალი თმას ისწორებდა და კაცი გამხდარ, გრძელ თითებს და ოთხკუთხედ მაჯებს აკვირდებოდა. რამდენიმე თვის წინ მოიტანა ორი მომწვანო ფერის საერთო რვეული რედაქციაში. რომანი იყო, მოთხრობა თუ ნარკვევი (არასოდეს რვეულებით ნარკვევები არ მოაქვთ), არ უთქვამს; ის კი არა, თავ ფურცელზეც არ წაუწერია არაფერი ამისდამაგვარი. სისხლის გადასხმის ინსტიტუტის თანამშრომელი ვარო, თქვა, ნახეთო, დაიბარა და რამდენიმე მამაკაცის ერთდროული, ჩაჟინებული მზერის ქვეშ პირქუში გამომეტყველებით, დაძაბულმა და ფერდაკარგულმა დატოვა კაბინეტი. წავიდა და კარგა ხანი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოჩენილა. ერთხელ დარეკა, შემდეგ კი ზედიზედ გამოცხადდა. ჭადრაკის თამაშით გართულ ნკავაძეს თვალით ანიშნებდნენ, მოვიდაო. ნკავაძე გადაღლილ თვალებს აშტერებდა და ჭადრაკის დაფას ვერ ცილდებოდა. ავტორი მდუმარედ ეფლობოდა მონჯღრეულ სავარძელში; მკვრივ, მრგვალ მუხლისთავებს მჭიდროდ ატყუპებდა ერთმანეთზე. ნკავაძეს ეუბნებოდა, მორჩით თამაშს, ყურადღებას ნუ მომაქცევთო, არსად არ მეჩქარებაო. რატომ არ ეჩქარებოდა მოსამსახურე ადამიანს, მითუმეტეს, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის თანამშრომელს, სამუშაო საათებში არსად, ნკავაძეს არ ესმოდა; იქნებ ეჩქარება კიდეცო, ფიქრობდა ხანდახან და ჭადრაკის მოგებული თუ წაგებული ენდშპილის (არასოდეს აქ პარტია ყაიმით არ თავდებოდა) მიტოვებას ვერ ახერხებდა. მონჯღრეულ სავარძელში ჩაფლული ავტორი კი, რომელიც იმ დროს სიგარეტს ეწეოდა საკმაოდ უხერხულად, არავითარ პროტესტსა და უკმაყოფილებას არ ამჟღავნებდა რედაქციის, კერძოდ განყოფილების გამგის სამსახურებრივი უყურადღებობით. კაცმა რომ თქვას, ნკავაძემ არც კი იცოდა, რას მოითხოვდა კონკრეტულად ეს ადამიანი. ნაწერების (სხვა სახელი იმ რვეულებს ვერ მოუძებნა) დაბეჭდვას, გადამუშავებას, შექებას თუ საყვედურებს. უპირველესად, ცხადია, ბოლომდე წაკითხვას, რასაც ნკავაძე, რაც მართალია მართალია, ვერაფრით ვერ ახერხებდა. ქალი ამას გრძნობდა და განყოფილების გამგეს მაინც არ აჩქარებდა; არ ჩიოდა, არ წუწუნებდა, ბუნდოვან დაპირებებს ჯერდებოდა და კონკრეტულ, საბოლოო პასუხს და მსჯავრს, ეტყობოდა, თვითონაც გაურბოდა. ლაპარაკობდა ცოტას, აუჩქარებლად, დინჯად პასუხობდა შეკითხვებს და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში არასოდეს არ იჩქაროდა. მისივე თქმით, დამთავრებული ჰქონდა თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებელი თუ სტუდია (ამ სიტყვებს ხშირად ერთმანეთში ურევდა), ერთი ხანობა ცეკვავდა ცნობილ საესტრადო ანსამბლ „დაირაში“ (ასეთ ანსამბლს ნკავაძე არ იცნობდა) და თან სისხლის გადასხმის კვლევით ინსტიტუტში მუშაობდა. მომწვანოყდიანი, ცალხაზიანი საერთო რვეულებიც ამდაგვარ რაღაცებს მოგვითხრობდნენ.

...თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში სწავლობდა ინგა. გამოსაშვები საღამოსათვის დედინაცვალი უგროვებდა სადღესასწაულო კაბის ფულს. ინგა უყვარდა მცირეწლოვანთა კოლონიაში შემთხვევით მოხვედრილ და სასჯელმოხდილ, იმჟამად პროფტექნიკური სასწავლებლის ბოლო კლასის მოსწავლეს ზაურის. იგი ყოველ საღამოს აკითხავდა ინგას. ქორეოგრაფიული სასწავლებლის კარიან იდგა და ელოდა. ინგას ზაური არ უყვარდა, მაგრამ (ნაწარმოების ლოგიკის და მთავარი გმირის მსოფლმხედველობის მიხედვით) შინაგანად თანაუგრძნობდა ცხოვრების ნორმალური კალაპოტიდან ამოვარდნილ ახალგაზრდას, რომელსაც ხელისკვრა კი არა, თანაგრძნობა და სწორ გზაზე დაყენება სჭირდებოდა.

„...ინგა, საიდან მოიტანა ეს სახელი... ესეც მაღალია, თუმცა პირის გარმონს უფრო გავს, ვიდრე არღნის სტვირებს.

— სამაგალითოდ უნდა დაესაჯათ, ასე ჰქონდათ გადაწყვეტილი... — ამოილაპარაკა მოულოდნელად ქალმა.

— ვინ? — წამოიძახა გაოცებულმა ნკავაძემ.

— გიორგი ბესტაური.

„თვითონაც ბესტაურია, ესმა ქვია... სად ბესტაური, სად ესმა, რის გარმონი, სად არღნის სტვირები!..“

— ესმა!

— ბატონო! — სწრაფად მოტრიალდა თანამგზავრი და შავი თვალები მია-

---

რეზო ჭეიშვილი
ავაკლი

ნათა მძღოლს; ნკავაძემ ქალის სუნთქვა და მსუბუქი თავბრუსხვევა იგრძნო.

— ესმა... — გაიმეორა მან. საჭეს ცალი ხელი აუშვა და ქალს მაჯაზე დაადო. ქალმა მკლავი ასწია. ვაჟმა მკვრივი მაჯა და ხმელი, გრძელი თითები იგრძნო. ესმამ ჯერ ხელს დახედა, შემდეგ ხელის პატრონს მიაჩერდა. ნკავაძემ ეს გამოხედვა დაიჭირა, მაგრამ არაფერი დაიმჩნია, ხელი აიღო, სიჩქარე გამოცვალა და განაგრძო:

— რატომ არ გამოჩნდით, რატომ დაიკარგეთ, ესმა?

— აბა რა ვიცი! — ამოიოხრა ესმამ.

— ისევ იქ მუშაობთ?

— ისევ იქ.

— ესე იგი, აქ.

— აქ, კი.

„სად აქ, სად იქ!?"

მოქუფრული დღე იყო, თუმცა დაღამებაა რომ კარგა ხანი აკლდა, თვალნათლივ იგრძნობოდა.

„...ეს აქედან ჩამსვლელი არ არის, პანაშვიდის დაწყებამდე სად ვატარო, რა უნდა ამ პანაშვიდზე?!"

— მაშინ რა ქენით, იცით, მიმიყვანეთ ერთ ალაგას, აქვე, გზად, სულ ალლო და დამტოვეთ.

— როგორ გეკადრებათ...

— მეტს ველარ შეგაწუხებთ.

— კი მაგრამ, ადრე არ არის?

— რა არის ადრე?

— პანაშვიდი.

— ცხადია, ადრეა, მაგრამ მე ჯერ სხვაგან მივდივარ... ისე, შემეძლო პანაშვიდზეც მივსულიყავი. ადრეს და გვიანს ამჯერად ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა...

●

მანქანა ხალხმრავალ სადარბაზოსთან, ზედ ტროტუარზე გაჩერდა. ნკავაძემ გასაღები გამოაძრო საკეტიდან.

მაშინ მე სულ ერთი წუთით... გიდგათ, თქვენც შემოდით! — უთხრა ესმამ.

— მე არავის არ ვიცნობ.

— აქ არავინ არავის არ იცნობს, პანაშვიდი გგონიათ ალბათ?

— არა, კი... არ ვიცი... — დაიბნა ჟურნალ „ნიამორის" განყოფილების გამგე.

— აქ მკურნალი ბიჭიკაშვილი ცხოვრობს, — გაეღიმა ესმას.

— მეც ვიფიქრე, ასე ადრე პანაშვიდი... ბიჭიკაშვილი გამიგონია, წამლებს არიგებს?

— არა, არაფერს არ არიგებს, ხალხს მკურნალობს.

— ამათ, ყველას ერთად?

— ყველას... — გაეცინა ესმას და პირველად გაეხსნა სახე, რაღაც ბავშვური, ანცური სიხალისის სხივი გამოუკრთა თვალებიდან.

ნერვის ანთება ჰქონოდა. ეს ავადმყოფობა დროდადრო (ესმას განცხადებით, ღრუბლიან დღეს და კენტ რიცხვებში) ტკივილებით ახსენებდა თურმე თავს. დარწმუნებული კი არ იყო, რომ მაინცდამაინც ნერვი იყო და ისიც ანთებული, მაგრამ რაღაც იმნაირი რომ აწუხებდა, მარჩიელობა არ ჭირდებოდა. შველოდა თუ არა ბიჭიკაშვილი, არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, პასუხის გაცემა ეძნელებოდა, მიუხედავად იმისა, რომ პირველი მონაკვეთის (ასე თქვა, პირველი „მონაკვეთის") მეთოთხმეტე სეანსს იტარებდა უკვე.

— უკეთესობას თუ გრძნობთ მაინც?

— ვერ გეტყვით.

— მართლა თუ გიხდებათ?

— მართლა? — დაფიქრდა ქალი. — თითქოს მიხდება კიდეც, მაგრამ მართლა მიხდება თუ არა, არ ვიცი...

— აბა რაზე დადიხარ?! — გადაირია ნკავაძე, ცოტა გულიც მოუვიდა და შენობით დაუწყო ლაპარაკი.

— ისე, მაინც... არ ვიცი.

— ეს ხალხიც მაინცობაზეა მოსული?

— დაახლოებით...

„დაახლოებით", გუნებაში იმეორებდა ნკავაძე და სადარბაზოში შემავალ და სადარბაზოდან გამოსულ უცხო გამომეტყველებისა და იერის ხალხს აკ-

ვირდებოდა. ერთი ჯგუფი ბურიატ-მონღოლეთიდან უნდა ყოფილიყო ჩამოსული. ლურჯი პალტოები ეცვათ. ფრთხილად, შემპარავი ნაბიჯებით ადიოდნენ კიბეზე, თითქოს უკან დასაბრუნებელ გზას იმახსოვრებდნენ.

●

მკურნალი ბიჭიკაშვილი პირდაპირ სამზარეულოში იღებდა ავადმყოფებს, რომელთაც ხელში წინასწარ გამზადებული ხუთმანეთიანები ეჭირათ. დაბალი ტანის, თვალებგადმოკარკლულ, თმაგაჩეჩილ მკურნალს ხვანჯრიანი შარვალი და მომცრო ღიპზე ლამაზად გადმომჯდარი, მოკლესახელოიანი, ზოლებიანი პერანგი ეცვა.

ესმა რიგს მიყვებოდა და ნელა მიიწევდა წინ. გურამ ნკავაძე კი ჰოლში იდგა და თითქოს სამძიმარზე მიმავალ, შესაწირავგამზადებულ ხალხს აყოლებდა თვალს და სამზარეულოში იხედებოდა. ესმამ წინასწარვე გააფრთხილა: ბიჭიკაშვილი დაავადებებს ვერ ცნობს და პაციენტებსაც ვერ ანსხვავებს ეროიმეორისგანო, კაცსა და სენს ვერ იმახსოვრებს და შენც არ მოგაქცევს ყურადღებასო, მაგრამ ქალის ნათქვამი არ გამართლდა. ოთარ ბიჭიკაშვილმა რამდენჯერმე საეჭვოდ გადმოხედა კედელზე აყუდებულ ადამიანს და ყურადღებადაფანტულს შეშფოთებაც დაეტყო.

ფულს ჯიბეში იდებდა, ეგონა ნკავაძეს, დააკვირდა და შეამჩნია, რომ ბიჭიკაშვილი ხუთმანეთიანებს შიგ ხვანჯარში, სადღაც ლაჯებსა და ლაჯებსშუა იტენიდა. პირველად თვალს არ დაუჯერა, მაგრამ ნაღდად ასე ხდებოდა. მაჯებზე კიდებდა ავადმყოფებს ხელებს, შუბლთან და კეფასთან გადაუფარფატებდა დანოტიებულ ხელისგულებს და ამ უმარტივესი მანიპულაციის თავში ან ბოლოში იღებდა გასამრჯელოს. ზოგიერთი პაციენტი პროცედურის გარეშე ბრუნდებოდა. ტოვებდა ხუთმანეთიანს და უკანვე მიდიოდა, თითქოს შემოვლაზე იყო შემოსული. მკურნალი ბიჭიკაშვილი ხელცარიელ მიმავალთ აყოლებდა სევდიან თვალებს და ფულს ხვანჯრის უბეში ინახავდა; ღრმად იყოფდა თბილ უბეში ხელს, ლაჯებსა და ლაჯებსშუა აფათურებდა თითებს. მის უცნაურ შარვალს საშარვლე ატრიბუტები არ აკლდა. ხვანჯარს თუ არქიტექტურულ ზედმეტობად ჩავუთვლიდით, ჯიბეების უკმაროობას ვერ დავწამებდით. ექვსი ჯიბე დაუთვალა ნკავაძემ, ორს ვერ შეხედა და, ამდენი ჯიბის პატრონი ფულს მაინც ხვანჯარში იდებსო, გაიფიქრა. საშინლად დაინტერესდა, სად წაიღებდა ბიჭიკაშვილი ესმას ხუთმანეთიანს, მისი ვარაუდით, ქაღალდის ფულის ერთადერთ კუპიურეს, რომელიც ქალის ჩანთაში განისვენებდა აქამდე. სად უნდა წაეღო? სადაც სხვები მიჰქონდა, ცხადია, იმასაც იქ გააქანებდა და ასეც მოხდა. ლაჯებსა და ლაჯებსშუა გადაუძახა ესმა ბესტაურის ბოლო ხუთმანეთიანი და თბილ ხვანჯარში მუჭი უფრო დიდხანს გააჩერა, ვიდრე ამას სხვა დროს აკეთებდა. ყოველ შემთხვევაში, ნკავაძეს ასე მოეჩვენა.

●

— დაიჭერენ, როგორ ფიქრობთ? — ფრთხილად იკითხა ესმამ, როცა ნკავაძემ მოსახვევში აუხვია და უაზროდ გაიფიქრა, ხომ შეიძლება ამ ქუჩას ოდესმე ბიჭიკაშვილის ხვანჯრის სახელი დაერქვასო.

— დაიჭერენ? არ ვიცი, თუ აქამდე არ დაუჭერიათ, აწი რა ვიცი...

— მე ჩვენ თანამშრომელზე გეკითხებით, თამბაქოს ფაბრიკის მუშაზე, დღეს რომ გაასამართლეთ...

— ახ! — თქვა ნკავაძემ.

რის თამბაქო, ვინ მუშა, რის ფაბრიკა? სად იყო, როდის? ნუთუ დღეს? იფიქრა და ვერაფრით ვერ გაიხსენა,

---

რეზო ჯეიშვილი
კაცავლი

როგორ და რანაირად დაემშვიდობა კლიმენტის, რა დროს დაიძვრინა თავი სხდომიდან. გაახსენდა გიორგი ბესტაური, თვალწინ, შიგ პარპრიზში აუფერადდა მუხლებზე ხელებდაწყობილი, კედელზე აკრული, შალის პერანგიანი, კუჭის ძმარვით შეწუხებული კაცი. იჯდა მორჩილად, სახსრებში მკლავებმოწყვეტილი, დიდი, დაკოჟრილი ხელები ჰქონდა მუხლებზე დალაგებული და სადღაც ფანჯრის შუშებს იქით, ჭადრის ახლად შემწვანებული ტოტების მიღმა იმზირებოდა, სამრეკლოზე შემომსხდარ სველ ყვავებს ხედავდა.

— მე არავინ არ გაბისამართლებია... ბოლომდე არ დავრჩენილვარ და სხდომა იყო თუ სასამართლო, როგორ დამთავრდა, არ ვიცი... პირობით სასჯელს დაადებენ ანდა იძულებით სამუშაოს მისცემენ, როგორც ხდება... მართლა ასამართლებდნენ თუ არა, ისიც ვერ გავიგე...

●

სანაპიროზე მიქროდნენ.

„სად მივდივართ?“ — ფიქრობდა ნკავაძე.

მართლა დაწერთ თუ არა დღევანდელ დღეზე რამესო, კითხულობდა ქალი ფრთხილად.

„რაღაცაშია საქმე!“

— რაზე უნდა დავწერო? — ვითომ ვერ გაიგო, რას ეკითხებოდნენ.

— თამბაქოს ფაბრიკაზე.

— ფაბრიკაზე... დღეს ვიყავი მე თქვენთან, არა? დღეს ვიყავი, ცხადია... არაფერს არ დავწერ, რაღა თქმა უნდა.

ჟურნალ „ნიამორის“ განყოფილების გამგეს არ უყვარდა არც ზუსტი პასუხების გაცემა, არც ცნობისმოყვარეობის გამომზეურება და ზედმეტი შეკითხვებით შეწუხება ადამიანისა, რომელიც ხშირად თავადვე ერთმანეთის საწინააღმდეგო პასუხებს იძლეოდა, სისხლის გადასხმის ინსტიტუტშიც მსახურობდა, თამბაქოს ფაბრიკაშიც მუშაობდა და არარსებულ ანსამბლ „დაირაშიც“ ცეკვავდა; შეიძლება ადრე ნათქვამი ავიწყდებოდა, შეიძლება რაღაცას მალავდა, რაღაცის ერიდებოდა და ერცხვინებოდა. ყველაფერი შეიძლებოდა, რასაკვირველია.

— ესმა!

— ბატონო.

— ქორეოგრაფიული სტუდია რომ დაამთავრე, იქ ცეკვავდი ხარ, რა ქვია?..

— „დაირა...“

„არ არსებობს ასეთი ანსამბლი!“

— „დაირა“, გამიგია, კი, რატომ დაანებე თავი „დაირას“ კი არა, — ცეკვას?

— ნამეტანი დიდი გავიზარდე და დავმძიმდი, თუმცა კიდევ შემეძლო, „დაირაში“ ცეკვა არ იყო რთული... — ესმა იღიმებოდა და მისი ხასიათისა და კომპლექსისათვის უჩვეულო სიხარულის სხივი უელავდა თვალებში.

ბინდდებოდა.

დაკბილული მთების კონტურები ჩანდა. ქვემოთ მდინარე ლაპლაპებდა. საიდანღაც მატარებლის ხმა ისმოდა.

— წაიკითხეთ?

ამ შეკითხვას გაურბოდა. საგალანტერიო მაღაზიასთან ქალს სწორედ ამის გამო მოარიდა თვალი, რვეულები მოაგონდა, გაცლა დააპირა, მაგრამ რაღაც ძალამ შეაჩერა და დაუბორკა ფეხები რკინა-კავეულის ფარდულის მისადგომთან. უსიამო საუბრის მოლოდინი აქამდეც აფრთხობდა და დროდადრო ახსენებდა თავს. მოლოდინი უფრო ძნელი იყო, სათქმელს ნათქვამი, გაჟეჟილს გატეხილი ჯობდა აშკარად. სიგარეტი ჩაიდო პირში და ასანთს დაწვდა ძირსდაუხედავად.

— მე მოგიკიდებთ. — ასანთის კოლოფი ჩამოართვა ქალმა, აუნთო და ანთებული ღერი მიუტანა სახესთან. ასანთის ალზე გრძელ თითებს და მკვრივ მაჯებს დააკვირდა ნკავაძე, სიგარეტი გააღვივა, გააფუტა.

— წავიკითხე... — ღრმად ამოისუნთქა, კვამლი ამოაფრქვია და განაგრძო: — წავიკითხე, თუმცა ბოლომდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა, ფაქტიურად წავიკითხე, როგორ გითხრა, მომეწონა. რაც წავიკითხე, მომეწონა, რა გაგებით... — კვლავ გააბოლა, შუბლი შეიჭმუხნა, სათქმელზე სათქმელის დამატება დააპირა და ვერ მოახერხა თითქოს. — პრინციპში ვლაპარაკობ, პრინციპში მომეწონა...

— კარგია, რომ მოგეწონათ... — უპასუხა ცოტა ხნის შემდეგ ქალმა. — სიმართლეს არ მეუბნებით, მაგრამ მაინც...

— რატომ გგონია?

— კი არ მატყუებთ, სიმართლეს არ მეუბნებით... სიმართლეს შეიძლება მეც არ ვითხოვ, მაგრამ მართლა არ მელაპარაკებით... ვერ ვამბობ, რისი თქმაც მინდა, ვერ გაგაგებინებთ...

„თითქოს ნახევარი მართლა წავიკითხე, თუმცა მე მართლა არ მახსოვს, მართლა მომეწონა თუ მართლა არ მომეწონა, რაც წავიკითხე... ჩვენ ახლა მართლა მივდივართ სადღაც... ბიჭიკაშვილი თითქოს მართლა მკურნალობს ხალხს, თუმცა ფულს მართლა იტენის ლაჯებში...“

— სად მივდივართ? — წყნარად იკითხა ესმამ.

ამ შეკითხვაზე შეაჩერა ნკავაძემ მანქანა. შემობრუნდა, საკმაოდ გვიან შემოვიდა თბილისში და გაგარინის ქუჩის ამოსახვევში თანამგზავრს ბინის მისამართი ჰკითხა. შინ არ მივდივარო, უთხრა ქალმა, პანაშვიდზე უნდა მიმიყვანოთო.

„ჩემი გადარევა უნდა!“ ნკავაძემ მწვანედ აჭიატებულ მანქანის საათის ციბერბლატს დახედა. ღამის თორმეტს გადაცილებოდა გრძელი ისარი.

●

კინო „კოლმეურნესთან“, ჩელუსკინელებისა და ცეტკინის ქუჩის გადაკვეთაზე, წითელ შუქნიშანზე შეანელა სვლა; ასევე ნელი სვლით, მწვანე შუქის ანთებამდე გაუხვია ხელმარჯვნივ, ჩაუარა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს შენობას, „უალკოჰოლო სასმელებისა და ნახშირმჟავა აბის ქარხანას“, „სანგანათლების სახლს“, „მართლწესრიგის საყრდენ პუნქტს“, ეცნაურ აივნიან 120 ნომერ სახლს. საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურს, მარჯანიშვილის ქუჩით ავიდა ზევით და ეკლესიის ყავისფრად შეღებილი გალავნიდან გადაუხვია კალინინის ქუჩაზე. მანქანის შუქით აპრიალებულ ტრამვაის სველ ლიანდაგს გაჰყვა. აკაციის ახლად შეფოთლილ ხეებქვეშ იარა. სადღაც ხელმარცხნივ „საგანმანათლებლო სასწავლებელი“ ეგულებოდა. ამ სასწავლებლის შენობას, სადაც მასა და კაკაურიძეს შეხვედრა მოუწყეს ერთი თვის წინ, ვერ შეხედა. როდის გავცდიო, გაუკვირდა. ესმას ბრძანებაზე შეჩერდა იქვე და მწვანედ მოჭიატე საათის ციფერბლატს დახედა კვლავ. პირველს აღარაფერი აკლდა.

— დაგელოდო? — შეეკითხა იგი მანქანიდან გადმოსულ, სადარბაზოს ჩაშავებულ კართან გაჩერებულ ქალს.

— როგორც გინდათ! — უთხრა ესმამ. სადარბაზოსაგან ზურგშექცევით იდგა და მანქანას უყურებდა; შავი ჩანთა ეჭირა ხელში, არც წინ მიდიოდა, არც უკან ბრუნდებოდა.

ტროტუარზე შეაყენა მანქანა ნკავაძემ. საიმედოდ ჩაკეტა და ქალს ჩაბნელებულ სადარბაზოში მეჰყვა.

●

ფართო, შეიძლება მარმარილოსსაფეხურებიან კიბეზე ადიოდნენ. კიბეს ხის პრიალა სამხობიანი, ლითონის დაგრეხილრიკულებიანი მოაჯირი ჰქონდა. ხელების ფათურით არკვევდა ამას ნკავაძე. ინტერიერის სივრცესა და სიმაღლეს გრძნობდა. აქამდე ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა, თუ ამ შეუხედავ შენობას ასეთი საზეიმო შესასვლელი აღმოაჩნდებოდა. სართულსა და სართულს შორის განლაგებული, ვიწრო

რეზო ჯალიუშვილი
კვაძლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მაღალი სარკმლებიდან კალინინის ქუჩის ახლად გაფოთლილი აკაციები დაბალი სახლების მკრთალად განათებული, ჩაუანგული, ყავისფერი სახურავები ჩანდა.

სვენებითა და ხმადაბალი ლაპარაკით ადიოდნენ მაღლა. ქალი უკვე შენობით ელაპარაკებოდა და თითქმის ჩურჩულით უყვებოდა ამბავს, რომელსაც არავითარი საერთო ამ სიტუაციასთან; ყოველ შემთხვევაში, პანაშვიდთან არ ჰქონდა. უყურადღებობა რომ არ დატყობოდა, ნკავაძე საუბარს შორისდებულებს ჩაურთავდა ხოლმე. ბოლოს ქალს ხელზე ხელი მოკიდა და მკვრივი მაჯისა და ხმელი თითების სიცივე იგრძნო. მარტოსული კატის ღნავილი შემოესმა, ტანში უსიამოდ გაცრა, თუმცა ხელისთვის ხელი არ მოუშორებია.

„კატა ჩხავის, რა მოხდა, მარტია!"

ესმამ ლაპარაკ-ლაპარაკითვე გაითავისუფლა ხელი და ნკავაძემ ვერაფრით ვერ გაიგო, როდის დარჩა უხელოდ, როდის გაცურდა ხელისგულიდან სიცივე. ამასობაში მესამე და ბოლო სართულზე აღმოჩნდნენ. კიბე ზევით აღარ ადიოდა და ბაქანიც განათებული იყო ერთ ალაგას. ხელმარცხნივ მოღიავებული კარი ჩანდა, საიდანაც გამოდიოდა ცივი შუქი, უსულო სხეულს რომ ახლავს თან. ესმა აღარ ლაპარაკობდა, თმასა და გულისპირს ისწორებდა, სახეზე სერიოზულობისა და ჭმუნვის იერს იდებდა. ამის შემხედვარე ნკავაძე მოულოდნელად წამოხურდა სახეზე, მიხვდა, ქალი საიდუმლო ოთახის კარის გასაღებად კი არ მიდიოდა, როგორც აქამდე ეგონა, არამედ მართლაც სამძიმარზე აპირებდა შესვლას და თანამგზავრის არსებობას ვეღარ გრძნობდა. უკანასკნელ საფეხურზე შეისვენა, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, გადავიდა ბაქანზე და სქელძირიანი ფეხსაცმელების კაკუნით სწრაფად შეუხვია ღია კარში. ასევე სწრაფად და საქმიანად შეუვა ნკავაძეც და კურტაკის გამობერილ ჯიბეზე, სადაც ნაჩუქარი ლექსების წიგნი ედო, მოიფათურა ხელი. ვინ უცემს ამხელა წიგნებსო, გაიფიქრა და რატომ მანქანაში არ დავაგდეო, ინანა.

ჰოლის სიღრმეში რამდენიმე მამაკაცი იდგა. აბოლებდნენ და შემოსულებს მიჩერებოდნენ. მოგვიანებით მოკრა ნკავაძემ მამაკაცებს თვალი, გვერდითი ოთახის ღია კარში შესულ ქალს გაჰყვა მაშინვე. მამაკაცები კი ისევე მოულოდნელად გაქრნენ, როგორც გამოჩნდნენ და ხომ არ მომელანდნენო, გაიფიქრა.

●

რძისფერი ნათურიდან გადმოღვრილი შუქით ჩაბურულ, დამჭკნარი ყვავილებისა და ბალზამის სუნით ჩახუთულ დარბაზში მიდიოდა. კედლებზე ცარიელი სკამები იყო მიწყობილი. შუა ოთახში იდგა შავით გაწყობილი, ბატისტით თეთრად ამოსარჩულებული კუბო. კუბოში იწვა ადამიანი, ალბათ შუახანს გადაცილებული მამაკაცი. ნკავაძემ მხოლოდ ერთი წამით, ისიც მისდაუნებურად შეავლო თვალი და მოეჩვენა, რომ მიცვალებულს ეცინებოდა. თავ-პირი არ აუკრეს ალბათ წესიერადო, გაიფიქრა და პირდაპირ ჰოლში, შემოსვლისას რომ მამაკაცები დაინახა, იმ ალაგას ამოჰყო თავი. ესმა უკვე იქ ელოდა. მამაკაცები ორ საიმედოდ დაგდულ კართან იდგნენ და ეწეოდნენ. ჰოლში ორი კარი იყო ღია, ორი — დაგმანული და ნკავაძემ უცბად დათვალა კარებები. ორს ორი მიუმატა, ორი გაამრავლა ორზე, ოთხი — ოთხზე, მიყვა და მისი მათემატიკური მონაცემების შუა გზაზე დაეხვა თავბრუ. ეჟვნების შორეული ხმა ჩაესმა დაბჟუებულ ყურებში. სადარბაზოში გასასვლელი კარიდან სინესტე. განის კარიდან კი მძიმე ჰაერი მოდიოდა და ჰაერის ეს ორი ნაკადი სადღაც იქვე, შუა ალაგას, ნკავაძის თავსზემოთ უერთდებოდა სიგარეტების კვამლს. სიგარეტი ამოიღო და მოეჩვენა, რომ ერთი გაურკვეველი ასაკის, ბობრი კაცი ავად და ცოტა გამომწვევად მიაჩერდა.

ბობრს წამსვე თვალი მოარიდა, თუმცა მისი სახე ძალიან კარგად დაიმახსოვრა, ვიღაცას მიამსგავსა, ვიღაცას შეადარა ჩვეულებისამებრ. აქამდე რომ არსად ენახა, მიხვდა და გაუკვირდა კიდეც. გადატკეცილი შუბლი, გრძელი, სწორი ცხვირი, ამობრუნებული ქვედა ტუჩი და გამოხუნებული, მოწითალო თმა ჰქონდა იმ ბობრს.

სიგარეტს უფშვნიდა ნკავაძე თავს და ხაზგასმული ჟესტით, გარეთ უნდა მოვწიოო. გასასვლელისაკენ მიიწევდა. ბობრის დაჟინებულ მზერას გრძნობდა და ზურგი უხურდა.

„ეს ლექსების წიგნი მაინც ვერ დავაგდე მანქანაში, როდის დაწერა ამდენი ან ვინ გამოუცა!“

კიბის ბაქანი გადაჭრა, მიადგა მოაჯირს. სიგარეტს მოუკიდა. მოქაჩა. შემობრუნდა, ჰოლში შეიხედა მალულად და დაინახა, რომ ბობრის თანმხლები პირნი, ხეირიანად რომ ვერ მოასწრო შეთვალიერება, კარის კარბებს მიყრდნობოდნენ და გულგრილად უცქეროდნენ. ბობრი კი გაცხარებული ელაპარაკებოდა კედელზე აკრულ ვსმა ბესტაურს. ტუჩებმოკუმული, ჯიუტი და უტეხი მზერით უყურებდა ესმა ბობრს, რომელსაც საფეთქელთან ნაიარევიც უნდა ჰქონოდა, თუმცა შეიძლებოდა შუქჩრდილებისა და ნაოჭების ანარეკლს შეჰყავდა ნკავაძე შეცდომაში.

რაზე ლაპარაკობდნენ ესმა და ბობრი? დანარჩენები რატომ დუმდნენ? რას აკეთებდნენ ამ შუალამისას აქ?!

„ალბათ კატებს ყარაულობენ!“

ნკავაძემ კატის ჩხავილს მიაყურადა. ჩხავილი შეწყდა და გარკვევით შემოესმა სახურავზე გარჩენილი ხვადის საწყალობელი ღნავილი. გულგრილად მაცქერალ ადამიანებს გაარიდა თავი და კატის გულისგამაწვრილებელ ხმას გაყვა. ბოლოს ღნავილიც მიწყდა და საშინელმა სიჩუმემ დაისადგურა კარს უკან. ბედად ისევ კატის ხმა ჩამოვიდა ზემოდან. ახლა თითქოს ჭერზე თოკით ჩამოპორწიალებული კატა დაკნაოდა. ზევით ახედვა ვერ გაბედა. ნელი ნაბიჯით გაცდა ღია კარს და იქვე შეჩერდა. თითქოს დიდხანს აპირებდა კარს უკან დასადგურებას. ფეხიც კი გაახახუნა მეტლახზე, აქ ვარო და შემდეგ სწრაფად, რბილად და უხმაუროდ, ფეხისწვერებზე დაეშვა კიბეზე.

მაღალ და ფართო სადარბაზოში გაცილებით მეტი სინათლე იყო, ვიდრე შემოსვლისას მოეჩვენა. ვიწრო და გრძელი სარკმლის შუშებიდან აკაციის ხეები, მკრთალად განათებული, ავერცხლილი რელსები და დაბალი სახლების ჩაჟანგებული სახურავები ჩანდა. კატა აღარ ღნაოდა. მაგრამ ნკავაძეს ძალიან უნდოდა დაეჯერებინა, რომ ის საეჭვო იერისა და გამომეტყველების მამაკაცები მაინცდამაინც იმ ვნებააშლილ ცინდალს ყარაულობდნენ.

„...ჯერ ერთი, მართლა ერჩის თუ არა კატა მკვდარს. ესეც არ ვიცი. მეორეც. იყო კი ის კაცი ნამდვილად მომკვდარი?!“

●

სწრაფად, რბილად, უხმაუროდ ჩადიოდა ქვევით. ასევე რბილად, სწრაფად და უხმაუროდ მოყვებოდნენ თითქოს, მოყვებოდნენ და ვერ ეწეოდნენ. თანდათან იზრდებოდა მანძილი მათ შორის.

„...ახლა დაგტანჯავ და მერე გამიხსენებო, მეუბნებოდა მიტუშა ვასილაძე და ქუსლს არ მადგმევინებდა სარეპეტიციო დარბაზში, სამაგიეროდ „ოსუარი“ არ მიჭირდა: საწყალი მიტუშა!“

სადარბაზო და ქუჩა იგრძნო, მიტუშას გახსენებაზე დამშვიდდა. გაეცინა კიდეც, წვიმით გაყლენთილი ჰაერი ჩაისუნთქა. კვამლის სუნი იკრა და ტროტუარზე შემდგარი, მარცხნივ გადმოყანთრული მანქანაც დაინახა. დაგვალული აკაკის ხის ქვეშ იდგა იგი. კარი გამოაღო, ჩაჯდა. სარკმლის შუშა

რეზო ჭეიშვილი
კვაჭი

ჩამოწია. სიგარეტს მოუკიდა. „რა იწვის ნეტავი!“ — ძირს გართხმული, მსუბუქი კვამლი მოდიოდა საიდანღაც და მისი მოტკბო სუნი უერთდებოდა ნაზამთრალი, სველი ნეშოს სურნელებას. სადარბაზოდან სქელძირიანი ფეხსაცმელების ხათქახუთქი ისმოდა. სწრაფად, მაგრამ მოურიდებლად და მძიმედ ეშვებოდა ესმა. სადარბაზოს თაღებში გრიალებდა ფეხსაცმელები.

„ქოშები აცვია ამ უამინდობაში თუ რა უბედურებაა!“

რაძგარუძგით ჩამოათავა ესმამ კიბე, სწრაფად გამოვიდა გარეთ და უცბადვე შედგა, მანქანას მიაჩერდა, ჩაბნელებული სარკმლიდან გამოშვერილ, გაღვივებულ სიგარეტს შეხედა. უხმაუროდ მიუახლოვდა მხრჩოლავ სიგარეტს ცოტა ხნის შემდეგ, ფრთხილად გამოაღო კარი და რბილად ჩაჯდა სავარძელში.

„სულერთია, არ არსებობს ანსამბლი „დაირა!“

იჯდა ესმა, შავი ჩანთა ედო მუხლებზე და სადარბაზოსკენ იხედებოდა; აღელვებული ჩანდა, გულმოსულიც უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეშინებულს არ გავდა.

●

უხეიროდ დაძრა თუ არა მანქანა, რაც იშვიათად ემართებოდა, მაშინვე მიხვდა. მარჯვენა მუხლი რომ უკანკალებდა. „გადაჩვეული ვარ ცერულს, საწყალი მიტუშა, რამდენს მაწვალებდა. რა მეპანაშვიდებოდა!“

მექანიკურად მიჰყვებოდა ქალის მითითებულ გზას, ადიოდა ჩაბნელებულ, ვიწრო ასახვევებში; ასფალტაყრილ ქუჩებში ჯაყჯაყებდა და გრძნობდა, რომ სადღაც იქვე ტრიალებდა, ცეტკინისა და კალინინის ქუჩებს შუა; 120 ნომერ, უცნაურ აივნიან სახლსა და „საგანმანათლებლო სასწავლებელს“ (ბასა და კაკაურიძეს რომ მოუწყვეს შეხვედრა) შორის. რამდენჯერმე გადაკვეთა აპრიალებული ტრამვაის ლიანდაგი და გაჩერდა არც თუ შორს იმ სახლისაგან, სადაც მომლიმარი მიცვალებული დატოვა.

„თავ-ყბა არ აუკრეს თუ რა იყო, რაზე ეცინებოდა?!“

●

მანქანა აკაციის ხის ქვეშ იდგა. ესმა შუბლით მიყრდნობოდა სარკმლის მინას და დაბალი, აგურის სახლის ჩაბნელებულ ფანჯრებს მიჩერებოდა.

„ხომ არ გონია, აქაც შევყვები!“

— აბა, კარგად იყავით! — მოტრიალდა ქალი უცბად, გურამს ხელი გაუწოდა, ცივი და გრძელი თითები კი, როგორც ნკავაძეს მოეჩვენა, დიდხანს გააჩერა ვაჟის ხელში. ნკავაძემ წელზე მკლავი მოხვია, მოიზიდა და გულზე მიიკრა. მოულოდნელი შემოტევით დაბნეული ქალი თითქოს კაცის ნებას დაჰყვა თავდაპირველად, მალევე შეიბერტყა ტანი და მოძალადის მაჯები დაიჭირა კლანჭებით.

—... როგორ გეკადრებათ, ბატონო გურამ, როგორ გეკადრებათ, ბატონო გურამ! — იმეორებდა მონოტონურად და მამაკაცის ღონიერ ხელებს ი'მორებდა; არ ბრაზობდა, ოუმცა დანებებასაც არ აპირებდა, ნკავაძე მტაცებელი ფრინველის ჭვანგების ძალას, ქალის ხელების სისუსტეს გრძნობდა ერთიროულად; ზაფრაგამოვლილს მამაკაცური უპირატესობის დამტკიცება სურდა, მეტი ალარაფერი.

„...სულერთია, ბევრს გაუჭირდება ამასთან ომი, საშა ღულაძეს, მაგალითად, თავისუფლად მოგუდავს!“

— კარგად იყავი, აბა! — უთხრა ქალს მოულოდნელად, ყოვლად მოუხერხებელ პოზაში და იმწამსვე მაჯებზე შვება იგრძნო. ქალმა მანქანის კარი გააღო, სწრაფად გადავიდა. მოტრიალდა და მაინც იქვე გაჩერდა. რამდენჯერმე მიიხედ-მოიხედა აქეთ-იქით, შავი ჩანთა მუხლებზე მიიდო.

— როდის მოვიდე? — ძალიან ხმადაბლა იკითხა მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად უნდა მოვიდესო, გადაირია დაბნეული და გასავათებული ნკავაძე.

— პასუხისთვის, იქნებ წაიკითხოთ ბოლომდე...

— იმაზე ამბობ? წაკითხული მაქვს, კიდევ წავიკითხავ... ხვალ შაბათია, არა? ორშაბათს შემოიარე შესვენების შემდეგ, დღის პირველ ნახევარში ავტორებს არ ვღებულობთ...

— მაშინ კარგად იყავით! — გაუღიმა ესმამ. გატრიალდა. სადარბაზოში შევიდა, ეგონა ნკავაძეს, მაგრამ ქალი ეზოში გაუჩინარდა, ალაყაფის ღია, ჩაშავებულ ჭიშკარს აუქცია გვერდი და თვალს მიეფარა.

●

— სად იყავი?! — დაუძახა ძილმღვიძარე ცოლმა სამზარეულოში მობრიალე ქმარს.

ქმარმა ძალიან ფრთხილად დაახურა ცარიელ ქვაბს ხუფი.

— შენ გეკითხებიან!

— რა ბრძანეთ?

— სად იყავი?!

— ...თათბირი გვიანობამდე გაგრძელდა, შემდეგ რესტორანში შევიარეთ...

— საჭმელი არ ჰქონდათ?

— რედაქტორი არ მოგვეშვა მე და სოიოს, გინდა თუ არა, გოგიასთან შევიაროთო... წავყევით მე და სოიო. რა ჩვევა აქვს ასეთი, სოიოს კი არა, ბუხუტის... შევყევით გოგიასთან...

— მასეთი სიმართლით იარე შენ... — ჩაილაპარაკა თვალდახუჭულმა ცოლმა და არარეალური, მაგრამ ამომწურავი პასუხით სრულიად კმაყოფილმა შეიბრუნა ძილი...

ასეთი სიმართლით დადიოდნენ ისინი ორთავენი და გრძელ-გრძელ, მოსაწყენ ისტორიებს მოკლედ, მაგრამ უხალისოდ უყვებოდნენ ერთმანეთს.

●

ორშაბათ დილით ჩვეულებრივზე ადრე მივიდა სამსახურში. იღბლად ცარიელი ადგილიც დაუხვდა ავტოსადგომზე, მანქანა ტროტუარს მიაყენა და საინედოდ ჩაკეტა. მეკარეს როცა მიესალმა, სიგარეტი მოიძია, ჯიბე მოიქექა და განახევრებული „კოლხეთის" კოლოფი ამოიღო, დახედა. იდგა და ფიქრობდა. ეს ღერები შუადღემდე მეყოფა ან არ მეყოფა, საყვარელიძე თუ შემოვიდა, უკან ჩამოსაბრუნებელი შევიქნები ახლავეო. გამობრუნდა. შევიდა მაღაზიაში, სადაც მხოლოდ ქალალდის ფილტრიანი „ლუქსი" ჰქონდათ გადამალული.

— სხვა არაფერი გაქვთ?

— სხვა არაფერი.

— მართლა არა გაქვთ?

— რომ მქონდეს, ხომ იცით... — მოიღვერა თეთრხალათიანი ქალი.

„მართლა არა აქვს!" — მიხვდა მყიდველი. გადაშუადღებულს მოაკითხავდა ავტორი და იქამდე გადავიკითხავ თუ არა ორ საერთო რვეულსო, გაიფიქრა, სანამ დახლს მოშორდებოდა. გამყიდველს ეგონა. ჩემი მაინც არ სჯერაო და ნაცნობ მუშტაოს, რომელიც „კოსმოსს" დაეძებდა, საკმაოდ უხეშად უთხრა: რომ მქონდეს, რად მინდა, სად წავიღებ, ცეცხლში ხომ არ დავწვავო.

●

მანქანის საბარგულიდან ამოღებულ, შავი დღისათვის გადანახულ „კოლხეთის" კოლოფს ცელოფანის საბურველი გააცალა ტკაცანით და ხელი აუწია „ვოლგის" მძღოლს, რომელმაც შორიდან გაუღიმა და სალამი უთხრა.

„ვინ იყო ნეტავი!" — გაიფიქრა ნკავაძემ და სამსახურში შევიდა.

გაჭუჭყიანებისაგან გარემოს დაცვის განყოფილების გამგეს ირაკლი გობეჯიშვილს თავისი მაგიდისა და საერთო კარადების თაროები და უჯრები გადმოეტრიალებინა; გროვაგროვად დაეწყო საქაღალდეები იატა-

---

რეჯო ჭეიშვილი
ბ.ბ.ბ.ლ.

კზე და სკამებზე. იდგა, კოტიტა თითებში ახრჩოლებული სიგარეტი ეჭირა და გულდასმით დაჩერებოდა მომწვანო-მოცისფრო, გახსნილ და გაუხსნელ, თასმებით შესკვნილ და შეუნასკვავ ყდებს.

ნკავაძემ თამბაქოს ბოლის სულისშებერეთავი სუნი იკრა, გაუნიავებელ ოთახში ახლად შემოსულ კაცს, რა გინდ რა თავმოძულებული მწეველი არ იყოს იგი, აუცილებლად რომ ეცემა ხოლმე.

— კვამლია აქ!

— არის, კი. — უპასუხა ირაკლი გობეჯიშვილმა, თავი დახარა და ცალთვალწაჭუტულმა გახედა სივრცეს სიბრტყეში.

— ვერ გააღებ მერე ფანჯარას!

— ღია მქონდა, გააღებ — ცივა, დახურავ — ცხელა... რა ხდება, ვერ გავიგე.

ჩაგმახულ საკეტებს ცხადად ემჩნეოდა, პარასკევს იქით რომ არ შეხებოდა ადამიანის ხელი. მე თვითონ გავაღებო, გაიფიქრა ნკავაძემ, შეყოყმანდა, დაფიქრდა, გახევდა, მაგიდის ძგიდეს მიეყრდნო თვალგაშტერებული. იდგა, ფანჯრის მინებზე მობჯენილ ჭადრის უფოთლო, ყლორტებდაბერილ, სველ ტოტებს უყურებდა, შორეული ეკვნების ხმები ესმოდა და თამბაქოს ბოლის გულისამრევ სუნსაც ვეღარ გრძნობდა. სოფრომაძის რომანი ხომ არ გინახავს. შემთხვევითო, ეკითხებოდა ირაკლი გობეჯიშვილი.

— იმ დღეს ხომ ამოვატრიალეთ ყველაფერი, რაღას ეძებ?

— მოძებნეო, მითხრა ბუხუტიმ და ვეძებ, ვიცი, არ არის და მაინც ვეძებ! — უპასუხა ირაკლიმ, თეთრ მანჟეტებს გაუბერა სული და სიგარეტი დაფერფლა წკიპად.

ნკავაძემ უჯრა გამოსწია, სიორმეში შემალული ორი ცალხაზიანი რვეული გამოიღო. პირველი რვეულის პირველი ნაწილი წაკითხული ჰქონდა. მაგრამ აღარაფერი ახსოვდა: სად შეჩერდა, კითხვა სად შეწყვიტა. არც ის იცოდა და თავიდან დაიწყო თუ არაო, მარჩიელობდა გუნებაში.

იისფერი მელნით, სუფთად, შეუცდომლად შევსებულ გვერდებზე ერთი გადახაზული სიტყვა არ ჩანდა. თანაბარი სიმსხოს, დაბალი, გადაბმული ასოები გარკვევით იკითხებოდა, თუმცა ზოგიერთის ფორმა და მოხაზულობა არავითარ კალიგრაფიულ ნორმებს არ ესადაგებოდა. თავისსავე, თუნდაც საგულდაგულოდ გადათეთრებულ ნაწერებში ხანდახან წინადადების ამოკითხვა უჭირდა, აქ კი ნათლად და შეუფერხებლად მიყვებოდა მზერა მწკრივებს, აბზაცებს, გვერდებს. მაინც უგულისყუროდ კითხულობდა, წანაკითხი არ ამახსოვრდებოდა. ასოების წყობასა და მოხაზულობაა დაჩერებოდა, მისდაუნებურად რაღაცას არკვევდა და ანგარიშობდა; ბავშვური ხელიაო, ვერ ამბობდა, მაგრამ საშუალო სკოლიდან გამოყოლილ ჩვევასა და მანერას ცნობდა. კალიგრაფია და ნაწარმოების შინაარსი კი, მისი მიხვედრილობით, აბსოლუტურად შეესატყვისებოდნენ ერთმანეთს.

●

...ქორეოგრაფიული სასწავლებლის ჭიშკართან, აგურით ნაგებ, წახნაგოვან გალავანთან იდგა ხოლმე ზაური, იდგა და იცდიდა. ქორეოგრაფიული სასწავლებლის გოგონები ფანჯრებიდან იხედებოდნენ, კისკისებდნენ, ინგას ანიშნებდნენ, აქ არიაო. ერთდროულად მოაწყდებოდნენ ხოლმე ყველანი ფანჯარას. კი არ იცინოდნენ, ეიოდნენ ხოგჯერ. ეს კივილი კი არავითარ შთაბეჭდილებას არ ახდენდა ჯიუტ მიჯნურზე. დილიდან შუადღემდე რომ უტრიალებდა ძველთაძველი შენობის გასასვლელ-გამოსასვლელებს. მეცადინეობა მთავრდებოდა, დაღლილი ინგა ტანის გამომწვევი რწევით (ასე ეწერა, „გამომწვევი რწევით"), გამოდიოდა სასწავლებლიდან და კომინტერნის ქუჩით ხან ძარტო, ხან დობილებთან ერთად მიდიოდა შინისა-

კენ. მიდიოდა და გრძნობდა, როგორ მოყვებოდა ზაური ლანდივით.

„რა უნდა, რას დაყვება!“ — ფიქრობდა ნკავაძე და მალულად ამთქნარებდა.

●

— მეგობრებო, — ამბობდა რედაქტორი ნაშუადღევს. „მეგობრებოს“ აქცენტს უკეთებდა, ბოლო ორი ბგერა შეუმჩნევლად გამოჰქონდა გარეთ და ტელეფონის ყურმილს აწვებოდა ცალი ხელით, თითქოს ზარის ჩახშობას, ზარის მოგუდვას აპირებდა. — ასე არ შეიძლება, მეგობრე-ბო, ჩვენში დარჩეს და, მართლა არ შეიძლება... ვფიცავარ ყველას, მართლა გელაპარაკებით... მეტი ყურადღება და გულისხმიერება, არ გაგიკვირდეთ და, ფორმალობაცაა საჭირო ავტორებთან ურთიერთობისას, დიახ, გისმენთ, გისმენთ, დიახ, მოითმინეთ... — რედაქტორს სახე დაეღრიჯა და ყურმილი ზიზღით გაწია გვერდზე. — ქალბატონი მარიამი არის? რა ნომერია მისი ტელეფონი? — სანამ ვინმე რაიმეს თქმას მოასწრებდა, ყურმილი მოიმარჯვა და ხელმეორედ დარეკეთო, უთხრა ვიღაცას. ყურმილი დადო. ტელეფონი მდივანს გადაურთო და სულ მალე მისაღებში აწკრიალდა ზარი.

— ...არა და არ მოგვარდა ავტორებთან ურთიერთობა... ჭირს, მართალია, ჭირს, მეც ვიცი, სხვაზე უკეთ მე ვიცი, მაგრამ წაუკითხავ ნაწარმოებზე მაინც ნუ გამოგვაქვს მსჯავრი, წაკითხული მაქვსო, ნუ იძახით წაუკითხავზე, ძნელია?

— ძალიან. — გარკვევით ჩაილაპარაკა ვიღაცამ, მაგრამ რედაქტორს ეს ხმა არ სმენია. წითელი ტელეფონის ყურმილი ასწია, ერთი წამით მიაყურა, ფრთხილად დადო, ისევ ლაპარაკობსო, გაიფიქრა და, შეურიგდა თუ არა მარო ილიასო, იკითხა უგულოდ.

— შერიგებით შეურიგდა, მაგრამ მართლა შეურიგდა თუ არა, ვერ გეტყვით... — გამოეპასუხა შარვლიანი ქალი, სათათბირო ხმის უფლებით რომ იყო მოწვეული სხდომაზე.

— და... — თქვა რედაქტორმა. — არ ვკითხულობთ და ამაშია საქმე.

— თვითონ რომ ყველაფერს კითხულობს, ის კარგია! — გადაულაპარაკა საერთო განყოფილების გამგემ ჯაბადარმა ირაკლი გობეჯიშვილს.

— იკლავს თავს, ნამეტანს შვება. — უპასუხა გობეჯიშვილმა.

— ისე ვიცოცხლო მე, რამდენი რამე აქვს წაკითხული და მალავს, არ წამიკითხია ჯერო, იძახის.

— ხდება კი. — უხალისოდ დაეთანხმა ირაკლი.

— თქვენზეა სხვათა შორის ლაპარაკი... — მიუბრუნდა ბუხუტი მაყაშვილი ორთავეს. — ყური მაინც დავუგდოთ ერთმანეთს, ფეხბურთის დროა ახლა?!

— რისი დროაო? — ჯაბადარს მიუხედა გობეჯიშვილმა.

— ფეხბურთისო.

— ხედავ შენ!

სახეზე კუნთშეურხევლად მიაჩერდნენ ცოტა ხნით ჯაბადარი და გობეჯიშვილი ერთმანეთს.

— სოფრომაძის რომანი დაიკარგა, — განაგრძო რედაქტორმა. — მომიძებნეთო, არ ბეჭდავთ, არ ბეჭდავთ, მომიძებნეთ მაინცო, ვერ მოვუძებნეთ. ადგა და გვიჩივლა. მართალია ის კაცი. მის რომანს კი არ ვჯავრობ და მივტირი, დაკარგოდა და გინდაც ცეცხლში დაწვოდა, ოღონდ აქ არ მოეტანა. მოიტანა და ვალდებული ვიყავით, პასუხი გაგვეცა, თავის დროზე, სხვათა შორის. ერთადერთი ეგზემპლარი მქონდაო, ამტკიცებს; წადით და უყარეთ ახლა კაკალი. ხელნაწერიც აღარ დამრჩაო, რას შვები... ან უნდა მოვუძებნოთ ეგზემპლარი, ან უნდა დავუწეროთ თავიდან... სხვა გამოსავალს მე ვერ ვხედავ...

ირაკლი გობეჯიშვილი ხმას არ იღებ-

და. საჩვენებელსა და შუათითშუა გაკვეხებულ სიგარეტს ახრჩოლებდა. თავზემოთ დაგუბებულ, მონაცრისფრო გამჭვირვალე ბოლის შლეიფს ხელს უქნევდა და სულს უბერავდა, რათა კვამლი რედაქტორამდე არ მისულიყო. იცოდა და არ ამხელდა: სოფრომაძის ხელნაწერი სოფრომაძის კაბინეტში რომ განისვენებდა. სხვა ეგზემპლარებიც ავტორს ჰქონდა და დაკარგული პირიც ავტორის გატანილი იყო რედაქციიდან. ყველაფერი იცოდა და არ ამბობდა; იქნევდა ხელს, ფანტავდა კვამლს, რომელიც რედაქტორამდე მისვლას ისედაც არ აპირებდა.

ჩვენ უნდა გარდავქმნათ ჩვენი მუშაობა, განაგრძობდა ბუხუტი მაყაშვილი, უნდა გარდავქმნათ სოფრომაძის რომანის დაკარგვასთან დაკავშირებით კი არა, ახალი მოთხოვნილებების, ახალი მითითებების, ვალდებულებების, ერთსულოვნების ვითარების გაგების შესაბამისადო.

„ეს მართლა ხომ არ ლაპარაკობს!" — ფიქრობდა გურამ ნკავაძე და თვლემდა, ძილს ველარ ართმევდა თავს, საანეტარო სითბოსა და ბურუსში გადავარდნილს ფანჯრის მინაზე მობზუილე დიდი, შავი ბუზის ხმა ესმოდა.

— სოსოია ყანდახაძეს „ვოლგა" მოუგია ლატარიაში. — თქვა ახალგაზრდა ლიტმუშაკმა.

კაბინეტში სიჩუმე ჩამოწვა. რედაქტორიც დადუმდა.

— ვის მოუგია „ვოლგაო"?

— სოსოია ყანდახაძეს.

— რა შუაშია სოსოია ყანდახაძე! — თვალები მოიფშვნიტა ნკავაძემ. რაზე იყო ლაპარაკი, ვერ გაიგო. მხოლოდ ყანდახაძე შემოესმა, თავმა რომ დაძალა.

— მართალი გგონია მერე შენ მაგი! — შეუწყარა საერთო განყოფილების გამგე ახალგაზრდა ლიტმუშაკს.

— მართალი რავა მგონია, — გაიცინა ლიტმუშაკმა ნაძალადევად. — სოსოიას „ვოლგას" ვინ მოაგებიებს, ხელზე აქვს ნაყიდი ლატარიის ბილეთი, მარა გასრიალებული „ოცდაოთხი" ქე გამოაგორა და სოსოია უძახეთ თქვენ.

— თუკი ბილეთი იყოდა, ვიღაცას ბართლა მოუგია ლატარიაში. ასე გამოდის... — შენიშნა კოლეგიის ერთერთმა რიგითმა წევრმა.

— ასე გამოდის, კი... — უპასუხა შეფიქრიანებულმა ჯაბადარმა.

— მე და მირიან პაიჭაძემ დავიანგარიშეთ... — განაგრძო ახალგაზრდა ლიტმუშაკმა. — და თუ ლატარიას დავუჯერებთ, გათამაშებიდან დღემდე თუ გავყვებით მოგებებს, ყოველ მეხუთე მოქალაქეს ანდა ყოველ მეორე ოჯახს მანქანა უნდა ჰქონდეს უკვე მოგებული.

ამ განცხადებას, როგორც ახალგაზრდა ლიტმუშაკი ელოდა, დამსწრე საზოგადოებაზე ეფექტი არ მოუხდენია. რედაქტორმა თქვა, მოიშორეთ, მოიშორეთ ზედმეტი მასალები, გაასწორეთ ავტორებთან ანგარიშებიო, შემდეგ სოფრომაძის რომანი გაიხსენა და ცოტა ხნის შემდეგ ახალგაზრდა ლიტმუშაკს უთხრა: შენ და პაიჭაძემ, მამა გიცხონდებათ ორთავეს, სხვის საქმეში ხელის ფათურს და დაანგარიშებას დაანებეთ თავი სანამ დროაო. ამაზე ლიტმუშაკმა უადგილოდ გაიცინა და სხდომაც დამთავრდა.

●

— გავასწოროთ მართლაც უნდა ავტორებთან ანგარიშები, ყველაფერში კი არ ტყუის ის კაცი... — უთხრა გობეჯიშვილმა დერეფანში დაწინაურებულ ნკავაძეს. „მართალს ამბობს!" — გაიფიქრა ნკავაძემ და თავისი ოთახის კარს დააპირდაპირა. ირაკლი გობეჯიშვილი კი გადააწყდა მოდარაჯე ავტორს, პარასკევს რომ გააფრთხილა, ორშაბათიდან მივლინებაში მივდივარ, სამსახურში კარგა ხანს ვერ მნახავო.

ოთახში შევიდა თუ არა, მაგიდასთან ზურგშექცევით მჯდარი ადამიანი დაინახა. ცარიელ მაგიდაზე ორი საერთო რვეულიც იდო. რვეულები და ზურგ-

შექცევით მჯდარი ქალის პალტო ერთ ფერს ირეკლავდნენ შორიდან. სინამდვილეში არაფერი საერთო ერთმანეთთან არ ჰქონიათ, თუნდაც ფერწერული თვალსაზრისით.

ესმა იჯდა მაგიდასთან და საკუთარ რვეულებს უყურებდა. უსაშველოდ გრძელი, საზაფხულო პალტო და მოკლე ქვედაწელი ეცვა. მრგვალი, მკვრივი, შავ წინდებში გამოკვეთილი მუხლისთავები და თეძოები მოუჩანდა. გურამ ნკავაძემ ადრინდელი თავბრუსხვევა იგრძნო, შედგა, წამით გაუჭტერდა თვალებიც. ესმამ ლურჯი ქვედაწელი გადაიქაჩა მუხლებზე, გრძელი პალტოს კალთებიც დაიფარა და გაჩოჩდა მაგიდისაკენ, სადაც რვეულები იდო, სადაც ნკავაძე მოკალათდა საქმიანად.

— წავიკითხე!

ესმამ ჩანთა გახსნა, თეთრი, ცისფრადმოარშიებული ცხვირსახოცი, სიგარეტის წითელი კოლოფი ამოიღო და ამ პროცესს იმაზე მეტი დრო მოანდომა, ვიდრე ნკავაძის ვარაუდით იყო საჭირო.

— ...ბევრი რომ აღარ ვილაპარაკოთ, მომეწონა გარკვეული თვალსაზრისით... მხოლოდ მუშაობაა საჭირო. პირველ პირში უნდა გადავიტანოთ თხრობა. — რვეულები ისე ასწია, იდაყვები მაგიდისათვის არ აუშორებია. — ესე იგი, აქ წერია, ინგა წავიდა, მოვიდა და სხვა. აღარ გვინდა ეს ინგა. დავწეროთ, წავედი, მოვედი, გადავედი, გადმოვედი და სხვა, გასაგებია, არა?

ესმას ხმა არ გაუღია. რატომღაც გადახედა შტატგარეშე თანამშრომელს. საფეთქლებზე ხელებმოჭერილი გვერდით მაგიდაზე რომ კითხულობდა ანაბეჭდებს. იგი დროდადრო მათკენ აპარებდა ამოღამებულ თვალებს და ერთიდაიგივე აბზაცს ჩაკირკიტებდა. მაგიდაზე ჭადრაკის გადახსნილი დაფა და აშლილი ფიგურები ეწყო.

— ...ეს ხომ ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია, პრინციპში ასე არ არის? ავტობიოგრაფიულია, ხომ? — კითხულობდა ნკავაძე.

— თითქმის.

— თითქმის კი არა, ასეა... არ არის ეს ძნელი მისახვედრი. ეს ინგაც ხომ მოგონილია. იყოს ინგა, თუ ძალიან გინდა. მხოლოდ სხვას ათქმევინე მისი სახელი. „ინგა, როგორა ხარ? — დაუძახა დალიმ, გინდაც ოთარიმ," სიტყვაზე ვამბობ. დანარჩენ შემთხვევაში დაწერე: მივედი, მოვედი, წავედი, გადავედი და ასე შემდეგ. მაგალითისათვის გადავშალოთ ნებისმიერი ადგილი, ვთქვათ ეს: „ინგა ჩელუსკინელების ხიდზე გადიოდა. ლამპიონებით განათებულ მტკვრის ზედაპირს ჩაჰყურებდა. გალმა-გამოლმა ვერხვის დიდრონი ხეები ჩანდა. მანქანების ფერადი სიტყელი მიცოცავდა სანაპიროზე. რა მემართება, ფიქრობდა ინგა!" აღარ გვინდა ეს ინგა. რა მემართება. ვფიქრობდი მე. ეს „მეც" არ არის სავალდებულო, უბრალოდ, — ვფიქრობდი. გასაგებია, არა? პირველი პირით მოგვითხრე, რაც საათქმელი გაქვს. თუ დამიჯერებ, უკეთესი გამოვა. ბევრად უკეთესი. ფრანსუაზა საგანს კითხულობ ალბათ, როგორ უბრალოდ, გულწრფელად...

— არა, ამინდი არ დაიწუნება. ჩასაჯდომი ამინდია... — თქვა ოთახში შემოსულმა, მოდარაჯე ავტორისაგან თავდახსნილმა ირაკლი გობეჯიშვილმა და ნკავაძეს ესმაზე ანიშნა, ვინ არისო.

— დაბრძანდით! — თავაზიანად სთხოვა ნკავაძემ.

— ერთი სიგარეტი, თუ შეიძლება! — ხმა შეიცვალა გობეჯიშვილმა, თუმცა სტუმრისათვის თვალი არ მოუშორებია. ნკავაძემ გახსნილი „კოლხეთის" კოლოფი მიუჩოჩა მაგიდის კუთხემდე.

— უკეთესი არაფერი?

— აი, ინებეთ! — უთხრა ესმამ და „მალბორო" მიაწოდა.

— უკაცრავად, ვერ გიცანით უკნიდან! — მოუბოდიშა გობეჯიშვილმა,

რეზო ჭეიშვილი
კვაკში

„მალბოროს“ განახევრებულ კოლოფში ჩაიჭვრიტა და „კოლხეთის“ ღერს დაწვდა.

— მადლობთ, ეს მირჩევნია... ხელი ჯომ არ შეგიშალეთ?!

— როგორ გეკადრებათ, შალვას ძევ! — უთხრა ნკავაძემ.

ირაკლი გობეჯიშვილი საფეთქლებზე ხელებშემოჭერილი უშტატო თანამშრომლისაკენ გადაჯდა, ჭადრაკის ფიგურები დაალაგა აუჩქარებლად დაფაზე. რამდენიმე მოჭადრაკე-მოყვარულიც შემოიძურწა ამასობაში.

ესმა იჯდა, ეწეოდა, ბოლს თითქოს სადღაც მალავდა და აჭრობდა; არც არაფერს კითხულობდა, არც არაფერს ითხოვდა. ნკავაძეც დუმდა, ქალის გრძელ, დალარულ თითებს და ოთხკუთხედ, მკვრივ მაჯებს უყურებდა.

— ამას მოვრჩები და წავალ! — უთხრა ესმამ, სიგარეტი დაფერფლა და რამდენჯერმე დაახველა წყნარად და უსიამოდ.

●

მოქუფრული დღე იყო. წყლით გაჟღენთილი ჰაერი აწვებოდა ლაქაშებით გარშემორტყმულ, ტაფობში ჩავარდნილ ტბას. ცოდა, მაინც გაზაფხულის სუნი ტრიალებდა. ნუში ყვაოდა გზისპირებზე. სველ ფერდობზე ყოჩივარდები ჩანდა.

მანქანა უგზოზე, გადატრუსულ ბოლცვებს შორის მიიკვლევდა გზას. ღია ფანჯრიდან ჭაობის მომჟავო და კვამლის მოტკბო სუნი შემოდიოდა.

„გავრჩები სადმე!“ — ფიქრობდა ნკავაძე, მოსაბრუნებელ ადგილს იმახსოვრებდა, მოფარებულ კორდს ეძებდა. თუმცა ძეხორციელი არ ილანდებოდა წვიმასა და თქორში. სველი, ყავისფერი გორების კონტურები ლივლივებდა სულ ახლო.

— ეს ნუშია? — იკითხა ესმამ და თეთრად გადაპენტილ ნერგს მიათითა, როცა ნკავაძემ მანქანა მისი ჭკუით საიმედო ალაგას გააჩერა.

— რა ბრძანეთ, თქვენ?!

— ეს ნუშია-მეთქი? — გაიმეორა ესმამ, ვაჟის ხმის ინტონაცია იუცხოვა, სარკმლისკენ მიიკუნტა, დაპატარავდა, თვალებში შიშნარევი მზერა ჩაუბუდდა, შემკრთალი და გაოცებული მიაჩერდა ყურადღებადაფანტულ თანამგზავრს.

— რაღაცას მეკითხებოდი!

— ნუშია-მეთქი?

— რა არიო?

— ნუში.

ნკავაძე, მართალია, მიდამოს ზვერავდა, გამვლელს და მოდარაჯეს უფრთხოდა, ქალი რას ეკითხებოდა, არ ესმოდა, მაგრამ აყვავებულ ხეებსაც უყურებდა.. ნუშის გარდა, წესით, ამ დროს სხვა ხე არც უნდა ყვაოდეს და რატომ არის ერთი გადათეთრებული, მეორე გადავარდისფერებულიო, უკვირდა კიდეც.

ესმამ მანქანის კარი გააღო და ძირს ჩავიდა. ნიშნისმოგებით მოუხედა ნკავაძეს. მისი იერისა და კამომეტყველებისათვის შეუფერებელი სიმსუბუქით, გრძელი, საზაფხულო პალტოს კალთების ფრიალით გავარდა მინდორში.

„მორჩა, აწი ამას ქაჯი ვეღარ გააკავებს!“ — სინანულით გააყოლა თვალი ნკავაძემ.

●

წელში ოდნავ წახრილი გარბოდა ესმა. ნისლში და ბურუსში გარბოდა მოჩვენებასავით. დამწვარი ბალახის ძირს ვართხმულ კვამლს ფანტავდა და ნისლში მიცურავდა. ჩაყავისფერებული, მოლივლივე გორების კონტურებს უახლოვდებოდა. აყვავებული ნუშის ხეს შემოუარა და შედგა. ნკავაძეს მოეჩვენა, თითქოს იცინოდა და რაღაცას იძახდა კიდეც. რა უხაროდა, მაინც გაუგებარი იყო. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გორებისაკენ შებრუნდა, აყვავებულ ხეს ახედა, ხელი უბიძგა ღონივრად; ხე დაარხია და ყვავილების მტვერში და მსუყე წვეთების ლეშხში გაეხვია. შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტრიალდა, ჯანმრთელი კბილები დააელვა და წელში წახრილი გამოიქცა. მორბოდა მსუბუქად, რბილად, უხმაუროდ, გრძელი პალტოს კალთების ფრიალით მოჯირითობდა გადატრუსულ ბელტებზე.

„არ არსებობს ანსამბლი „დაირა", ვის არ ვკითხე!" — გაიფიქრა ნკავაძემ და სველი ფრინველის სუნი იკრა, რომელიც მანქანაში ხმაურით შემოვარდნილ ქალს შემოჰყვა. როცა ქალს ხელი მოხვია, მოიზიდა და კოცნა დაუპირა, როცა მაჯებზე კლანჭების სიმწვავე იგრძნო, მტაცებელი ფრინველის სუნი დატრიალდა კვლავ.

— როგორ გეკადრებათ, ბატონო გურამ, როგორ გეკადრებათ... — იმეორებდა ნარბენი ქალი.

— რა როგორ მეკადრება?!

— ხელი გამიშვით!

„ამას მართლა ის ხომ არ ვგონივარ!" — ფიქრობდა ვაჟი და მაჯებზე შემოჭვანგული კლანჭების ძალას და მკლავების სისუსტეს გრძნობდა ერთდროულად. თანაბრად და აუჩქარებლად სუნთქავდნენ ორთავენი.

— გაშვებული მაქვს! — თქვა ვაჟმა და შვება იგრძნო. ნელა და გაოცებულნი გაშორდნენ ერთმანეთს. ქალმა ჩანთა გახსნა საკეტის ტკაპანით, შავ ხახაში ჩარგო ხელი და კარგა ხანი აჩხარუნა უსარგებლო ნივთები; ბოლოს სიგარეტის კოლოფი ამოიღო, ღერი შეარჩია და მოუკიდა.

ჟურნალ „ნიამორის" განყოფილების გამგე გადატრუსულ ბორცვებს უყურებდა და გადამხმარ ლელიანში ჩამჯდარ, საწვიმარში გახვეულ მეთევზეს ხედავდა. საიდან გაჩნდაო, უკვირდა. ესმა სიგარეტის ბოლს სადღაც თვალდახელშუა ფანტავდა, უსიამოდ ახვევლებდა დროდადრო, ეწეოდა ფრთხილად და ეს პროცესი რომ განუზომელ სიამოვნებას ანიჭებდა, ეტყობოდა.

— ერთი რამე მაინტერესებს...

— ბრძანეთ.

— ვინ გგონივართ მე?

„რა იხილი შეკითხვა დამისვა!"

— ჩემზე რას ფიქრობთ ახლა, ამ წუთას?..

— ამ წუთას არაფერს.

— როდის მოვიტანო ჩემი ნაწერები, როგორც თქვენ ეძახით.

— „მართლა ნაწერებს ვეძახი, გონია, აბა რა უნდა დავარქვა!"

ესმამ სარკე ამოიღო და დაკვირვებით ჩაიხედა შიგ. თვალები გაუშტერდა ცოტა ხნით, სარკიანად გაშეშდა. ნკავაძეს მომწვანო ფერის, ცალხაზიანი რვეულები გაახსენდა, მოეჩვენა, რომ მათ ურთიერთობას საქმიანი ფორმა ეძლეოდა. ქალი სარგებელსა და გამოსარჩენს ელოდა ამ სიტუაციაშიც (კი. ხასიათი გაუფუჭდა და აძვრამდე ალარ გაუღია ხმა. ალარც ესმას შეუწუხებია ზედმეტი შეკითხვებით.

ბინდდებოდა. ნისლში და ბურუსში ინთქმებოდა ლელიანი. სიბნელეში იძირებოდნენ ჩაყავისფერებული ბორცები; ნუშის გაყვავილებული ხეები იღვენთებოდნენ სანთლებივით. ესმა მანქანის სარკმლიდან იხედებოდა და ცრემლს იწმენდდა მალულად. გადამხმარი ლერწმების სუსტი შრიალი შემოდიოდა მანქანაში. ბალახგადამწვარი კორდებიდან ტრუსის სუნი მოყვებოდა გადაწოლილ კვამლს. ხელცარიელი მეთევზე კარავ-საწვიმარ მოხურული მიდიოდა ბორცვებს შორის. არაფერი არ ხდებოდა, არაფერი არ იცვლებოდა. მწუხრი იწყებოდა და ეკვნების მოწკრიალე სუსტი ხმა იცმოდა საიდანღაც.

„რა ატირებს, ნეტავი!" — ფიქრობდა კაცი.

●

მესამე ორშაბათს, ნაშუადღევს სამუშაო ოთახის კარი შეაღო და მაგიდასთან გვერდულად მჯდარი, ღაზლმოხურული, გრძელკაბიანი ქალი დაინახა, თავით ფერხამდე იუცხოვა და მალევე იცნო. თმაც სხვანაირად აეკრიფა და ტანსაცმლის თუ ვარცხნილობის

რეზო ჭეიშვილი

კვამლი

ხარჯზე იყო სახეზე შეცვლილი, კარგა ხანი ვერ დაადგინა. თვალშისაცემად, გამომწვევადაც კი იყო გამოწყობილი და მაინც სიღარიბეზე და უხალისობაზე უფრო მეტყველებდა ეს მასკარადი, ვიდრე სხვა რამეზე.

მეზობელ მაგიდაზე ჰადრაკს თამაშობდნენ კინაღამ კოლექტიურად; თამაშობდნენ ხმაურით, შენიშვნებით, კარნახით, სხვის ფიგურებში ხელის ფათურით, საყვედურებითა და ლანძღვაგინებითაც. ირაკლი გობეჯიშვილი იქცეოდა მხოლოდ ვაჟკაცურად. რაღაცაზე გულმოსული იყო აშკარად, მაგრამ დაფას დინჯად და ხმისამოუღებლად მიჩერებოდა. საჩვენებელსა და შუა თითს შორის აკვამლებული სიგარეტი ჰქონდა გაჩრილი, ეწეოდა წკიპად, სქელი მკლავის სხარტი და უცნაური მოძრაობით. წვრილი, ოისფერი ბოლი ირწეოდა და იგრიხებოდა მის თავს ზემოთ.

— ვინ არის, თუ იცით, ის ქალი? — იკითხა მოჭადრაკემ, გაბრუებული რომ ჩაჩერებოდა წაგებულ პარტიას და მაყურებლებს რომ ეგონათ, იმ ერთადერთ სვლაზე ფიქრობს, რომელსაც ჩვენ ვერ ვხედავთ ჯერჯერობითო.

— ვინ ქალი? — გადაირია პარტნიორი, თავგადადებული, სუსტი მოჭადრაკე.

— ქალი ერთია აქ!

თავგადადებული მოჭადრაკე, ფიგურების მეტს რომ ვერაფერს ხედავდა, დაფას ჩააჩერდა და, რის ქალი, რა ქალიო, ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

— ვინ ქალიო, რას ამბობს...

— შენ საქმეს მიხედე, ბიძია, რა გექალება! — უთხრა გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ მოჭადრაკეს ირაკლი გობეჯიშვილმა.

— შემთხვევით მიგებს და იმიტომ.

კვლევითი ინსტიტუტის ერთმა თანამშრომელმა ფიგურას წაატანა ხელი ამასობაში. აქ კი არ უნდა გეთამაშა, აქ უნდა გეთამაშაო. უიმედო მდგომარეობაში მყოფი მოჭადრაკე, ვინ არის ეს ქალიო, რომ კითხულობდა ერთი წუთის წინ, წვრილი ხმით აყვირდა. ერთდროულად აყაყანდნენ დანარჩენებიც.

— ნუ გეშინია, მართლა კი არ ჩხუბობენ! — დაამშვიდა ნკავაძემ ავტორი.

— მართლა ყვირიან და მართლა ჩხუბობენ თუ არა, არ ვიცი, შიშით კი მართლა არ მეშინია. — უთხრა ესმამ.

— მოიტანე? — ღიმილით იკითხა ქალის პასუხით კმაყოფილმა ნკავაძემ. ესმამ რვეულები ამოიღო ჩანთიდან.

— მოვიტანე.

— შიგ ჩაასწორე?

— გადავწერე.

„როდის მოასწრო!“

იგივე რვეულები, იგივე კალიგრაფია, გადაუხაზავი სიტყვები და შეუსწორებელი წინადადებები.

●

„...ვგრძნობდი, გუმანით ვხვდებოდი, როგორ მომყვებოდა ზაური ფეხდაფეხ...“ კითხულობდა ნკავაძე აბზაცაბზაც, გვერდებს ახტებოდა, წინ მიდიოდა და კვლავ უკან ბრუნდებოდა. ნაწარმოები ნაცვალსახელებით იყო გადატვირთული, თორემ წესისა და რიგის, რჩევისა და დარიგების მიხედვით, კეთილსინდისიერად უნდა ყოფილიყო შესწორებულ-გადაკეთებული და რაც მთავარია (ნკავაძეს ასე მოეჩვენა), გაკეთილშობილებული. მეტი გულწრფელობა და უშუალობა იგრძნობაო, უთხრა კიდეც ავტორს.

„...საშინელი სისწრაფით ვეშვებოდით თავდაღმართში. დაბალი, თეთრი ბოძები და მაღალი ნაძვები ჩვენკენ გამორბოდნენ. ერთი წუთით მოვადუნე ყურადღება, თითქოს ჩავთვლიმე და რაღაც დაგვეჯახა ყურისწამღები ხმაურით. ჩვენ შევასკდით თურმე ხეს და მომეჩვენა, რომ კარი მომხვდა გვერდში. ქარისაგან მოჯახუნებული სამზარეულოს კარი. მხოლოდ ამის შემდეგ ძოწვდა ცხენის ლითონის შემზარავი ხრჭიალი...“

„ავარიაში მოხვედრილან, სად შოულობს ნეტავი ასეთ რვეულებს!“

კმაყოფილმა ნკავაძემ რვეულები დაკეცა, ერთი მეორეს დაადო, გაასწორა საგულდაგულოდ, ამათ საფუძვლიანად წავიკითხავო, თქვა და რვეულები უჯრაში ჩაკეტა. კარგი ვქენით, პირველ პირში რომ გადავიტანეთო, დააყოლა. ქალს ხმა არ გაუღია, სახეზე არც სიხარული დატყობია, არც მწუხარება, თუმცა შეიშმუშნა, შეწრიალდასავით, ჩანთა გახსნა და სიგარეტი ამოიღო, მდარე და ადგილობრივი წარმოების სიგარეტი. ნკავაძემ ამასაც მიაქცია ყურადღება და რატომღაც მნიშვნელობაც მიანიჭა. ქალს მიჩერებოდა, დუმდა, მაგიდაზე თითებს ათამაშებდა უხმოდ, თითქოს ნიშნისმოგებით.

„რატომ ტიროდა, ნეტავი, იმ ღღეს?!“

ქალი თვალს არიდებდა, გაყავრებულ სიგარეტს ცეცხლს ვერ უკიდებდა, ზედიზედ აქრობდა და ანთებდა ასანთის ღერებს. მოულოდნელად წამოდგა, თავმონახშირებული სიგარეტი თითებში გაფშვნა, საფერფლეზე დაყარა და წასასვლელად გაემზადა.

„ვის შეაკერინა ამსიგრძე კაბა?!“

— კარგად იყავით!

— მიდიხარ თუ?

— მივდივარ.

— მერე ვინ გიშვებს... დარჩი, საქმეცა მაქვს... ხომ ვიცი, წასვლაც რომ არ გინდა...

იქნებ მართლაც არ უნდოდა წასვლა, შეიძლება წასასვლელიც არ ჰქონდა, თუმცა გამჩერებელს აშკარად არ ჰგავდა, თორემ ნკავაძეც არ მიეძალებოდა ასეთნაირად. ის კი არა, საგონებელშიც იყო ჩავარდნილი: სად წავიყვანო, თუ არ წავიდაო.

— სად წავიდა ის ქალი? — თავი წამოწია გაბურბუსალებულმა მოჭადრაკემ.

— ვინ ქალი? — გადაირია პარტნიორი.

— შენ საქმეს მიხედე, ბიძია! — შეუღრინა გობეჯიშვილმა.

— რაღას უნდა მიხედოს. გამოსული აქვს წირვა! — სათვალე გაისწორა ახალგაზრდა პროფესორმა ირაკლი ხოჯავამ, ხმისამოუღებლად რომ დაჩერებოდა მთელი საათნახევარი დაფას.

●

იმ დღის შემდეგ ესმა ბესტაური რედაქციაში არ გამოჩენილა. რამდენიმე თვის შემდეგ რედაქტორის მდივანმა ნკავაძეს უთხრა: გუშინ, თქვენს აქ არყოფნაში ვიღაც ქალმა ორჯერ ზედიზედ დაგირეკათო. ვკითხე, რა გადავცემეთქი და არაფერიო. შეიძლება ის რეკავდაო, გაიფიქრა ნკავაძემ და რედაქტორთან შევიდა. რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ირაკლი გობეჯიშვილს სოფრომაძის რომანის მოძებნაში მოეხმარა, ორ მომწვანოყდიან, წაუკითხავ რვეულს გადააწყდა. დააჩერდა. უყურა, შემდეგ წავიკითხავო, გაიფიქრა, საიმედოდ შეაჩოჩა რვეულები უჯრაში და გაახსენდა ესმა.

ერთი წლის შემდეგ, მარტის კალენდებზე, წვიმიან დღეს რედაქციის წინ, ქუჩაში, ზედ ტროტუარზე უადგილო ალაგას გააჩერა მანქანა: პირადობის წითელყდიანი მოწმობა ამოიღო და დადო პარპრიზთან თვალსაჩინოდ, რათა წესრიგის დამცველთ ნომრების მოხსნის სურვილი განელებოდათ. რედაქციაში როცა დააპირა შესვლა, ნახა, რომ სიგარეტი არ ჰქონდა; არც ჯიბეში ედო, არც მანქანის ბუჯერში ეგულებოდა.

„...თანაც საყვარელიძეა ზევით!“

გადაჭრა ლესელიძის ქუჩა და სამხედრო მაღაზიის გვერდით მდებარე გასტრონომში შევიდა. „მზიურის“ მეტი არაფერი არა მაქვსო. უთხრა გამყიდველმა. მყიდველი ცოტა ხნით შეყოვნდა, სად წავიდეო, შეფიქრიანდა.

— მართლა არაფერი არა გაქვს?

— მართლა არა მაქვს...

გასტრონომიდან გამოვიდა, ჩაიარა პუშკინის ქუჩა, კოლმეურნის მოედნის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისადგომებამდე მივიდა და იმავე გზით დაბრუნდა უკან. ორიოდე საგაზეთო ჯიხური მოჩხრიკა უშედეგოდ გზადაგზა. მიწისქვეშა გადასასვლელებით შემოუარა ლენინის მოედანს, აფთიაქამდე მივიდა, დაბრუნდა. ტაბიძის ქუჩას ლერმონტოვის ქუჩამდე გააყოლა თვალი, ავიდა ზევით და კიროვის, მაჩაბლის, მახარაძის და ენგელსის ქუჩის ჩათვლით ჩამოუარა დიდ და პატარა სასურსათო მაღაზიებს. ვერც „კოლხეთი" იშოვა, ვერც „ოსმოსი" და ნეტავ ის „ლუქსი" მაინც მეყიდა, კოლმეურნის მოედანზე რომ აღმოვაჩინეო. დადიანის ქუჩის დასაწყისში შეჩერდა, ერთი გაფიქრება ისიც გაიფიქრა, „მზიური" ხომ არ ვიყიდო („მზიური" ეყარა), რაც არი, არიო. სპორტულმა თუ რაღაც იმდაგვარმა ჟინმა თუ აზარტმა შეიპყრო და თქორწვიმისაგან დამბალმა მეტეხის ხიდისაკენ აიღო გეზი; მოედანზე გასვლამდე ერთ პატარა ფარდულს გადააწყდა, სადაც იქამდე არ იყო ნამყოფი.

დახლში ქალი იდგა. ქერა, ჭორფლიანი მამაკაცი, რომელსაც ლურჯი, სქელი მატერიის საწვიმარი ეცვა და ქუთუთოები ჰქონდა შეშუპებული, დახლზე იყო გადამხობილი.

ნკავაძემ ჩაწოლილი სიგარეტებით გამოტენილი ვიტრინა შეათვალიერა და სხვა ხომ არაფერი გაქვთო, იკითხა უკვე სასხვათაშორისოდ. ვეღარ, კიო, თავი დაუქნია ნოკარმა.

— მართლა გაქვთ?

— მართლა.

ქალი დაიხარა, დახლქვეშ აფათურა ხელები, ათი კოლოფი „ოსმოსი" გახვია სქელ ქაღალდში და ნკავაძეს გადააწოდა.

— მე რატომ არ მომეცი! — ჩახლეჩილი ხმით და რაც მთავარია, სუფთა ქართულით იკითხა უპეებამოღამებულმა, ჭორფლიანმა კაცმა.

— მე რა ვიცოდი, მართლა თუ გინდოდა! — დაიღრიჯა გამყიდველი.

გზაშივე გახსნა ნკავაძემ ერთი კოლოფი. მანქანასთან რომ მივიდა, გახსნილი ერთ ჯიბეში ჩაიდო, გაუხსნელი — მეორეში. საყვარელიძე თუ დამიხვდა, ეს ორი კოლოფი ან მეყოფა, ან არაო. იანგარიშა და დანარჩენები მაინც მანქანის ბუჯერში შეყარა, წითელყდიანი პირადობის მოწმობა გაასწორა, სიგნალიზაცია ჩართო ხელახლა, კარი საიმედოდ დაკეტა და რედაქციის შენობაში შევიდა. კიბეზე რომ ადიოდა, მაშინღა იგრძნო, როგორ იყო დაღლილი, წვრილი წვიმით დამბალი. მეორე სართულის დერეფანთან, კიბის ბაქანთან და ბაქანზე ამავე შენობაში მოთავსებული კვლევითი ინსტიტუტის შეწუხებული თანამშრომლები იდგნენ. ნკავაძე მიხვდა, რაღაც მომხდარიყო. მაინც უკითხავად დააპირა ჩავლა. საერთო სალამი თქვა და მოეჩვენა, რომ კვლევითი ინსტიტუტის ერთი თანამშრომელი რაღაცის თქმას აპირებდა. შეჩერდა. კაცმა, რომელიც რაღაცის თქმას აპირებდა, ჯერ სიგარეტი მოითხოვა. ნკავაძემ გახსნილი კოლოფი გაუწოდა. ერთდროულად გადაუყო რამდენიმემ ხელი.

— შენ ჯერ არაფერი გაგიგია? — გამომცდელად შეეკითხა კაცი, როცა ნაფაზი დაარტყა.

— არა, რა უნდა გამეგო?!

— ანდროს ხომ იცნობდი?

— ვისა?

— ანდროს.

— ტერეშელიძეს? რას ქვია ვიცნობდი!..

— გარდაიცვალა წუხელი.

— რას მეუბნები, კაცო, როგორ, რანაირად? გუშინ ჭადრაკს არ ვთამაშობდით!.. — ბოლო სიტყვები რომ თქვა, ხოჯავასაკენ მიტრიალდა.

— აბა! — თქვა პროფესორმა ხოჯავამ.

როცა ამ ცნობამ სასურველი ეფექტი მოახდინა, კმაყოფილი კაცი განაპირდა, მოაჯირს მოკიდა ხელი და ქვევით აიხედა, ვინ ამოდის, დავინახო, ახალი ამბის თქმა არავინ დამასწროსო.

— წუხელის პირველის ნახევარზე გამხდარა ცუდად და გათავებულა. —

ამოილაპარაკა უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა.

ნკავაძემ სიგარეტს მოუკიდა და ხოჯავასაკენ გაიწია. ხოჯავამ თავი დახარა, კისერიც წაიგრძელა და სათვალეც გაისწორა.

— სვამდა?

— ისე რა, ჩვეულებრივად... — ჩუმადვე უპასუხა ხოჯავამ.

— და... — თქვა ნკავაძემ.

— ნახე გუშინ ფეხბურთი? — ჰკითხა იმ კაცმა, ვინც ანდრო ტერეშელიძის სიკვდილის ამბავი შეატყობინა.

— ვნახე კი, რა იყო, რა თამაში იყო!

— შეთანხმებული ყოფილან წინასწარ... — განაცხადა უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა, რომელსაც ფეხბურთის სამყაროსთან, ფეხბურთის პირწავარდნილ გულშემატკივრებთან ჰქონდა ახლო ურთიერთობა.

— რაზე იყვნენ შეთანხმებული? — იკითხა უმცროსი მეცნიერ-მუშაკის უაპელაციო განცხადებით გაგულისებულმა სქელი ტანის, ენამოჩლექილმა თანამშრომელმა.

— ერთით ერთზე, ქულა მივეცით ფაქტიურად. იქ ისინი დაგვითმობენ საჭიროების მიხედვით, ან ერთ ქულას მოგვცემენ, ან ორს...

— მე მეგონა, მართლა თამაშობდნენ. — ირონიულად მოიჩლიქა ენა სქელმა.

— მასეც არ არის საქმე! — დაუმატა პროფესორმა ხოჯავამ.

— აბა მე გუშინწინვე ვიცოდი ეს ანგარიში... — გადაწყვეტით თქვა უმცროსმა მეცნიერ-მუშაკმა.

ნკავაძე თავის ოთახში შევიდა.

ირაკლი გობეჯიშვილი ხანდაზმულ ავტორს ესაუბრებოდა, აუცილებლად მოგიძებნით თქვენს ნაწარმოებსო, არწმუნებდა.

საყვარელიძე უშტატო თანამშრომელს ეთამაშებოდა ჭადრაკს. ნკავაძემ სიგარეტი ჩაუდო გამოწვდილ ხელში. საყვარელიძემ ღერს დახედა, უსუნა, სად შოულობს ამ სიგარეტებსო, ჩაილაპარაკა, მაგიდაზე მიგდებულ „მზიურისა“ და „მტკვრის“ დაჭმუჭვნილ კოლოფებს დახედა.

გაბენტერებული, ხანდაზმული ავტორი გაოცებული ახამხამებდა თვალებს და საქაღალდეებში ჩაფლულ გობეჯიშვილს დაჩერებოდა.

— დაბრძანდით, ბატონო, ფეხზე რატომ დგახართ! — თავაზიანად მიმართა ცოტა ხნის შემდეგ ირაკლი გობეჯიშვილმა.

— არა უშავს, ვიქნები...

— როდემდის?

— რა ბრძანეთ?

— ჩამოვა რედაქტორი-მეთქი და გაირკვევა ყველაფერი... მე ასე მახსოვს, მახსოვს კი არა, ნამდვილად ასეა, რედაქტორთან მაქვს შეტანილი, ჩამოვა და ვნახავთ, წაბრძანდით თქვენ, ნუ ღელავთ...

ხანდაზმული ავტორი ფეხათრევით გავიდა.

— ამას აწი აღარც კი უნდა უშვებდნენ სახლიდან. გაიგე ანდროს ამბავი, ტერეშელიძის?

— გავიგე. — ამოიოხრა ნკავაძემ.

— საწყალი ანდრო.

— სვამდა ანდრო?

— ისე რა, ჩვეულებრივად... ნახე ფეხბურთი გუშინ?

— ჩაწყობილი იყო...

— ვინ გითხრა?

— თქვეს ქვევით.

— მეც გავიგე, ჩემმა ბიჭმა, თუ არ მომატყუა, წინასწარვე იცოდა ანგარიში...

ირაკლი გობეჯიშვილმა მაგიდაზე მიმოფანტული ქაღალდების შეგროვება დაიწყო. გურამ ნკავაძე ფანჯრის სველ შუშებს, ჭადრის გაუფოთლავ, მაგრამ ყლორტებში სიმწვანეგარეულ ტოტებს მიაჩერდა.

— გაიგე ანდროს ამბავი?! — დაუძახა ჭადრაკის დაფაზე თავდახრილმა, თუთუნის კვამლში გახვეულმა საყვარელიძემ.

რეზო ჭეიშვილი

კბაძლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გავიგე კი.

— მართლა მოკვდა, კაცო?.. აზრზე ხარ შენ!.. ფეხბურთი ნახე?

— ვნახე.

მაგიდის უჯრა გამოწია ბოლომდე, ამოიღო ორი საერთო რვეული, ესმა ბესტაურმა რომ დატოვა გასულ გაზაფხულს.

„სად დაიკარგა, ნეტავ!" — ფიქრობდა ნკავაძე და რვეულებს ფურცლავდა. სული უწუხდა, სხეული ტკიოდა. წვიმით გაჟღენთილი, ძირს ჩამოსული ცის დაჭნეხილი ჰაერი უხუთავდა თითქოს სულს. ფურცლავდა რვეულებს, ტაბახმელიდან წამოსული, შექეიფიანებული ახალგაზრდები რომ ავარიაში მოყვნენ, იმ ადგილს ეძებდა, სადღაც იქ, იმ მიდამოებში შეწყვიტა კითხვა. მანქანისაკენ მომქროლავ, გზის პირას გამწკრივებულ, დაბალ-დაბალ ბოძებს და ტანაყრილ ნაძვებს ხედავდა; ახსენდებოდა ერთი დეტალი, რომელზედაც თვითონაც არ იტყოდა უარს. მანქანა რომ ხეს შეასკდაო (მოეჩვენა რომ ხე დაეჯახა მანქანას), მეგონაო. წერდა ავტორი. სამზარეულოს კარი მომხვდაო. თითქოს ერთდროულად გაიღო საპირისპირო მხარეს განლაგებული სარკმელი და ფანჯარა და გამკრავმა ქარმა მოაჯახუნაო სამზარეულოს კარი. ნკავაძემ ნათლად ვერ წარმოიდგინა განლაგება ოთახებისა. სადაც ამდაგვარი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ დეტალი განცდილს გავდა და ამის მოგონება დიდ ფანტაზიორსაც გაუჭირდებოდა. მომხვდა კარი და ქვემოთ ეზოდან შემომესმა მუხრუჭებისა და საბურავების საზარელი ხრჭიალი, რომელსაც არავითარი საერთო ჩემთან არ ჰქონდა და ჰქონდა კიდეცო. არც ტკივილი, არც შიშიო, წერდა იგი. ადგილმდებარეობა როცა დავიმხარი, ცეცხლი დავინახეო. კარგა ხანი მეგონა — ნაძვი იწვოდაო.

„...არა აქვს ბოლომდე მიყვანილი. კარგი ვქენი, პირველ პირში რომ გადავატანინე თხრობა, მართალს გავს ყველაფერი..."

საქმე არაფერი ჰქონდა და მიყვა მოქმედებას, რომელიც მისდა გასაოცებლად, ბუნებრივად განვითარდა.

●

დაზარალებული მიიყვანეს საავადმყოფოში, დანარჩენები როგორღა არიანო, ჩურჩულებდა ინგა. უფრო თამაზის ბედი აინტერესებდა. ყველანი კარგად არიან და შენც კარგადა ხარო, არწმუნებდნენ, მაგრამ მედპერსონალისა და ახლობლების გამომეტყველებაზე (ვერაფრით რომ აღელვებას ვერ ფარავდნენ), ხვდებოდა ყველაფერს. დროდადრო კარგავდა ცნობიერებას და სადღაც ქვევით იძირებოდა მძიმედ, მაგრამ ნეტარებით; გონზე მოდიოდა წვალებით, აუწერელი ტკივილებით.

„...წამლების სუნით გაჟღენთილ პალატაში, თეთრ სამარეში, გაზაფხულის სუნი ტრიალებდა მაინც; ყვავილების მტვერი ეყრებოდა სარკმლებს. ფანჯრებს მოადგა გათენება, ყვავილების მტვრით და სინათლით აივსო თეთრი ოთახი და მზის ამოსვლამდე გარდავიცვალე მე".

ეს „მე" რაღად უნდოდა, გაიფიქრა ნკავაძემ და ცივმა ოფლმა დაუცვარა შუბლი. „მოვკვდი" დაეწერა, ჯობდაო, დაასკვნა შემდეგ, თითქოს ამით რაიმე შეიცვლებოდა. რაღაც გაუგებრობასთან უნდა მქონდეს საქმეო. გაიფიქრა ცოტა ხნის შემდეგ, მაგრამ ჩანაწერებმა მისი ვარაუდი არ გაამართლა.

„...ჩემი გარდაცვალების მესამე დღეს ჩამოვიდა მხოლოდ დედა სოფლიდან..." „...დამმარხეს ხუთშაბათს..." „...სველ მიწას რომ მაყრიდნენ, მზეს გამოიხედა და სამარის ნაპირებს მსუბუქი ორთქლი ადინა..." „...ჩემს სამარეზე ყვავილები მოიტანა ზაურიმ..." „...ორმოცი რომ გადამიხადეს..." და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. თითოეული ამდაგვარი წინადადების წაკითხვაზე ნკავაძეს გული ეკუმშებოდა, მსუბუქ თავბრუსხვევას გრძნობდა, ხმელი ფოთლებით დაფარულ, სველ სამარეს, მი-

წის ნედლ ბორცვზე ამოწვერილ ბალახს ხედავდა.

●

ოთახი მოჭადრაკეებით იყო სავსე. თამაშობდნენ კომენტარებით; თავშეკავებული ლანძღვა-გინებით, ირონიული რეპლიკებით. მართლა ყვიროდნენ, მართლა ჩხუბობდნენ თუ მართლა თამაშობდნენ, ძნელი დასადგენი იყო. ამბროსი კოხოძეს ტელეფონის ყურმილი ეჭირა ხელში და ზედ თავზე დაჰყვიროდა გურამ ნკავაძეს.

— ...მომისმინე, ჯერ ერთი, ხომ არ იცი, რა უნდა გითხრა. დამაცადე... იცი, მაგრამ არ იცი. მართლა არ იცი... მართლა გელაპარაკები... არა აქვს მნიშვნელობა, რას იტყვი და რას ილაპარაკებ, მთავარია, ილაპარაკო... მართლა გეუბნები. გვესწრებიანთქვა, რატომ არ გჯერა, მართლა გვესწრებიან, გვამოწმებენ, თუ არა მართლა არ დაგირეკავდი... დამაცადე, რატომ გგონია, რომ მეხალისება, ანდა ვინმეს ეხალისება... მართლა გვამოწმებენ...

— ხმ! — ხმამაღლა ჩაახველა ნკავაძემ.

ამბროსი კოხოძემ ტელეფონის ყურმილი დადო.

— მეცადინეობის დღე გვაქვს, მართლა გვესწრებიან, გვამოწმებენ... იმას გონია, მე მეხალისება, ჩვენთან ტელეფონები გამოირთო. სხვათა შორის, მართლა გამოირთო... უკაცრავად, მადლობთ!

ამბროსი კოხოძე რომ გავიდა, ნკავაძემ სატელეფონო ცნობარი მოიმარჯვა და სისხლის გადასხმის ინსტიტუტში დარეკა რამდენიმე აბონენტზე; ამა და ამ გვარისა და სახელის (მამის სახელი არ იცოდა) ადამიანი თუ მუშაობს თქვენთანო. ხან ვერ უპასუხეს, ხან არ უპასუხეს და ერთმა მანდილოსანმა, რომელთანაც მესამედ მოხვდა, საკმაოდ უხეშად გააწყვეტინა ლაპარაკი და ყურმილი დაუგდო.

— მერე რა ამინდია, რომ იტყვიან პირდაპირ... — ჩაილაპარაკა გობეჯიშვილმა. იქვე იჯდა, სიგარეტი საჩვენებელ და შუათითშუა ჰქონდა გაჩხერილი; ლურჯი, გამჭვირვალე კვამლი ირწეოდა და იგრიხებოდა მის თავს ზემოთ; ის ლურჯი, სუფთად დაწნული ბოლი უხვევდა მარჯვნივ და მოჭადრაკეების აბურდულ კვამლში იხლართებოდა.

თამბაქოს ფაბრიკაში დარეკა და მისდაგასაოცებლად, პირველსავე ცდაზე გავიდა ხაზზე. ყურმილი ქალმა აიღო და ნკავაძე იმწამსვე მიხვდა, რომ ჩაერთო მისაღებში, სადაც სახებალნიანი ქალი იჯდა. გისმენთ, ბატონო, პასუხობდა ის ქალი, ნკავაძეს რომ დამჯდარი დაბალი ეგონა. ესა და ეს, ამა და ამ გვარისა და სახელის მქონე პიროვნება თუ მუშაობს მანდ, საპასპორტო მაგიდიდან გაწუხებთ, ქალბატონო.

— მოითმინეთ, ერთი წუთით. — ქალმა ყურმილი მაგიდაზე დადო და ვილაცას უთხრა, მილიციიდან რეკავენო.

„მეთქვა, რედაქციიდან ვრეკავ-მეთქი!"

ქალი ისევ ყურმილს დაწვდა და მამის სახელი მითხარით, თუ შეიძლება, ვისი ასულია, თუ იცითო.

— არ ვიცი, ქალბატონო, მამის სახელი არ ვიცით, სამწუხაროდ.

— მაშინ კიდევ მოითმინეთ.

ტელეფონის ყურმილი კვლავ მაგიდაზე დაბრუნდა, თუმცა ამით არაფერი შეცვლილა, ხმა იქიდანაც გარკვევით ისმოდა.

„რა აპარატი აქვთ ნეტავი ამნაირი!"

— შენ ქალიშვილსაც ესმა არ ქვია, გიორგი? — ეკითხებოდა ქალი ვილაცას.

— მერე რა, რო ქვია, რა გინდათ, ქალიშვილი ხომ მამიკვდა!

— ესმაზე გეკითხები, თავს ნუ ისულელებ!

— მერე რა რო, ესმა აქ ხომ არ მუშაობს... ხომ გამითავდა პირობითი სას-

---

რეზო ჭეიშვილი
კვაჭლი

ჯელი, ვინ მომიწერს, მომიწერს, მომიწერს ამაზე ხელს!..

რაღა ლაპარაკი უნდოდა, მისაღებში იდგა ის კაცი, ვისაც ერთი წლის წინ საწვიმარქვეშ გადამალული, ფაბრიკიდან უნებართვოდ გამოტანილი 80 კოლოფი „კოლხეთი“, 60 კოლოფი „კოსმოსი“ და 81 „ლუქსი“ უნახეს. იჯდა სარკეებიან დარბაზში მწვანედ დაბზარული, წითელი ვიტრაჟის წინ და დიდი ხელები მუხლებზე ჰქონდა დალაგებული; დანაოჭებულ კისერთან შეკრული შალის პერანგი ეცვა; კუჭის ძმარვით შეწუხებული იყურებოდა სივრცეში, გულგრილად მაცქერალი ადამიანების მიღმა, სარკეებისა და ვიტრაჟების გაფერადებული გამოსახულებების იქით.

ტელეფონის ყურმილი მაგიდას აშორდა და ქალის თბილ, თუმცა არცთუ ისე სასიამოვნო ლოყას მიუახლოვდა კვლავ.

— ჩვენთან არ მუშაობს, ბატონო!

„ბატონო“ რაღაც განწირული ხმით წარმოთქვა.

— კარგით, გმადლობთ, შეიძლება სხვა დროსაც შეგაწუხოთ! — ოფიციალურად უპასუხა ნკავაძემ და მართლა არ მუშაობს, ეტყობაო, გაიფიქრა; ტელეფონი ისე გათიშა, ყურმილი ძირს არ დაუშვია. ახლა სად დავრეკოო, ანგარიშობდა და ლაქაშებით გარშემორტყმული, ტაფობში საცოდავად ჩავარდნილი ტბა ახსენდებოდა; ჭაობის მომჟავო სუნს და გადამწვარი ბალასის კვამლის მოტკბო გემოს გრძნობდა.

ყურმილი დადო, საწვიმარი ჩაიცვა, მალე დავბრუნდებიო, დაიბარა და კარი გაიხურა.

— არ მიმატოვო, გელოდები! — მიაძახა შეშფოთებულმა გობეჯიშვილმა.

●

გადატრუსულ ბორცვებზე ატარა მანქანა და გამხმარ ლაქაშებთან მიაყენა. ბურუსში და თქორში გახვეულ მიდამოს მოავლო თვალი. ხევ-ხევ რომ ამოდიოდა, აყვავებულ ხეებს ხედავდა. იქ, იმ ალაგას კი შარშანდელი ნუში ვეღარ მოიძია. ის ნერგი აღარ ჩანდა, ესმა ბესტაურმა რომ დაარხია. ნამდვილად ყვაოდა კი ამ ტბასთან წარსულ გაზაფხულს ხეები? მართლა შეყვა თუ არა ქალს ერთხელ სამძიმარზე? მკვდარს, რომელსაც ყბა არ აუკრეს დროულად, რაზე ეცინებოდა? იმაზე, რომ თავ-პირი არ აუკრეს, თუ სხვა რამის გამოც? გაახსენდა, როგორ იწმენდდა მანქანის სარკმლიდან მაცქერალი ქალი მალულად ცრემლებს.

„რა ატირებდა?“

...ცის კიდე რომ გაწითლდებოდა, ჩიტი რომ ბუდეს მიაშურებდა, ფანჯრის რაფაზე მოკუნტულ, მინაზე შუბლმიყრდნობილ, გაყვითლებულ ბავშვს გაუგებარი სევდა ეუფლებოდა, ზარების შორეული ხმა ესმოდა და ცრემლები ებჯინებოდა ყელში.

„რა მატირებდა მაშინ?“

...მწუხრი იწყებოდა, არემარე უხილავ ბინდში იძირებოდა. მზე ჩადიოდა, დედამიწიდან ახვეტილი სხივები მიჰქონდა თან და სხივების ნიაღვარს მიჰყვებოდა გაუნელებელი სევდა და წუხილი, შეუვსებელი სიცარიელის შიში და შფოთვა.

ტბის სუსტი ტალღები უხმაუროდ ლოკავდა ნაპირს, ახალბალახამოწვერილ, გადატრუსულ ბორცვებზე კვამლგარეული ნიავი შრიალებდა. ლურჯი, პაწია ყვავილები ჭიატობდა აქა-იქ, მზე ესვენებოდა, მაგრამ გაზაფხული ნამდვილად მოდიოდა.

მანქანაში ჩაჯდა, ნელ-ნელა გადაიარა ბორცვები და სამანქანო გზაზე გავიდა; დაეშვა თავდაღმართში და ქალაქისაკენ აიღო გეზი. ნუცუბიძის ქუჩის დასაწყისში სკოლის მოწაფეებმა გადაუღობეს გზა. მოწაფეები მოათრევდნენ ჯართს. თუნუქის დიდი ფურცლისათვის ჩაებათ ჟანგიანი სინა და ზედ დაყრილ რკინებიანად მიათრევდნენ ამაზრზენი ფხოკიალით.

ნკავაძეს ყურებმა დაუწყო წივილი. შეიძლება შევიშალოო, გაიფიქრა. გაცდა იქაურობას თუ არა, დამშვიდდა.

საკუთარ თავს შეუწყარა სულმოკლეობისათვის. დაგსჯი, იცოდეო, უთხრა. მართლა მიათრევდნენ ჯართს და ეს იყო, მეტი არაფერი. რაც არსებობდა, ყველაფერი მართლა და ნამდვილად არსებობდა; რაც მოხდა, მართლა მოხდა, რაც ხდებოდა, მართლა ხდებოდა; მოსახდენი აუცილებლად, ნამდვილად მოხდებოდა ადრე თუ მალე. ამ ერთგანზომილებიანი ჭეშმარიტების აღმოჩენამ გაახარა, კვლავ გამოუკეთდა გუნება და გადაწყვიტა, სამუშაოს დამთავრებამდე მისულიყო სამსახურში და ეთქვა ყოველივე.

ავტოსადგომთან, ზედ ტროტუარზე შებურბუშალებულ ხმელ ნეშოს წვავდნენ. გამჭვირვალე კვამლი ადიოდა ზევით და მაღალი სახლის ფანჯრებთან უჩინარდებოდა.

— კვამლია აქ! — თქვა ოთახში შებრუნებულმა ნკავაძემ და ღია ფანჯარას მიაჩერდა უკმაყოფილოდ.

— არის კი, — უთხრა გობეჯიშვილმა.

ყველანი იქ დაუხვდნენ.

ჭადრაკს თამაშობდნენ კვლავ. რა სურათიც დატოვა, იმ სურათს გადააწყდა; გადადებული პარტიის მსგავსად ისხდნენ და იდგნენ ერთსა და იმავე ალაგას. კვლავ მოიწყინა და უცბად მიხვდა, რომ მისი აღმოჩენილი ჭეშმარიტება (ყველაფერი რომ მართლა არსებობდა) კარგა ხნის წინ იყო აღმოჩენილი და მაინც არავინ იცოდა, ჭეშმარიტება იყო თუ არა იგი. ამიტომ თამაშია დამთავრების შემდეგაც აღარ ამოუღია ხმა. მოჭადრაკეებმა მდუმარედ გადახედეს ერთმანეთს. მაღლევე დაიფანტნენ.

გურამ ნკავაძე, ირაკლი გობეჯიშვილი, ირაკლი საყვარელიძე, სულთანიშვილი სულიკო და ჯამბულ, ჯამბულის გვარი ნკავაძეს არ ახსოვდა, დასალევად წავიდნენ.

ეძღვნება ვიეტნამში დალუპულ ჩინელ ჯარისკაცებს

თქვენ დაიღუპეთ, შეგრაცხეს
გმირად,
შეგწირეს ვითომც ინტერესს ერის.
ბრმა მორჩილება დაგიჯდათ
ძვირად,
თქვენ საღის ყოვლის იყავით მტერი.
ნელ-ნელა მონის გამოგჭრეს
თარგით,
სთესეთ სიკვდილი, ცეცხლი და
ფერფლი...
ცინიზმით სავსე — იდეის ბანგის
ვონდაბინდული თქვენა ხართ
მსხვერპლი,
ხანდახან მღერდით მხიარულ
ნაღველს, —
სხვისი დამპყრობი თუ თვით
პყრობილი.
ძაფით მიჰბმია აწ გმირულ სახელს
ორსახოვანი თქვენი პროფილი...
შორით — ოჯახებს, კავსა და
გუთანს,
ძლივს ბჟუტავს კერის სად
ნაკვერჩხალი,
თქვენს ამბავს ნეტავ აწ რას ჩაუტანს
თქვენი ალაზნის შავი მერცხალი.

დღისა და ღამის განსხვავება

ერთი გასმინათ მძლედ მღერი —
ჩემში
რამ საომარი ყიჟინა. მარში,
ერთი განახათ მე ჩემს სიზმრებში,
ფიქრებში, ღამის მდუმარებაში, —
ვით მოვჰვლებივარ თეთრ ჰუნეს
შუბით,
ვითარ შევბმივარ გველეშაპს
მარტო.
გარდმოვლენილა ნათელი უფლის,
სულის რა ლხენას გიყენებ
— ქართლო!
... მაგრამ რა დღის შუქს
დავლანდავ შორით,
გაქექილიღა რჩება ნაცარი,
შიშით ჩავაგებ მახვილს და
ძრწოლით
ჩირგვში მიძვრება ხორცი ლაჩარი.

სასთუმალი

ისევ — დავით, შოთა, სულხან,
ნინო, თამარ, ქეთევანი,
მათი სული, მათი სუნთქვა,
მათი სულისკვეთებანი,
ისევ დემეტრე და ცოტნე,
უფრო შორით ფარნავაზი...
ისევ შემწეობას მიწევს
მათი ნახარები ვაზი,
მთვლემარს — სასთუმლობას მიწევს
მათი სამარეთა ბორცვი,
ანუ სამშობლოის მიწა,
რომელს მწუხარებით ვკოცნი...
ისევ არაგველთა ელვა,
ისევ ვახტანგ გორგასალი
და სამარე — სასთუმალი —
თავქვეშ დადებული ხმალი.

სიზმარი უძილოდ

მომხდარიდან — საწყისისკენ
კადრს რომ შეაბრუნებს ტელე,
გამოვლილ გზას სწორედ ისე —
ისევ უკან გარდავევლე.
ყოვლი შეიცვალა მყისვე,
გაკრთა საკვირველი ელვა,
სამარიდან — აკვნებისკენ
მიფრენს კისრისტეხით ყველა.
ექცა წუთისოფელს მხარი,
ცისქვეშ უკუიქცა ჟამი,
ზურგით მიიმტვრევა ქარი,
უცხო მეყურება ჩქამი...
ვხედავ შებრუნებულ ღიმილს
და თოვლს ზეცისაკენ მთოველს,
მზემ რაც მოგვასხივა სხივი,
უკან შეისრუტავს ყოველს.
კაცის უნახავის — მჭვრეტი
მე ვარ მიწიერი ერთი,
დრო ჰქრის უცნაური რეტით,
თეთრი ქვე ეშვება სვეტი.
უკუ გაელვდება მზერა,
მშობელს შვილის გული უცემს,
მუცლით რაც შობილა, ყველა
ისევ უბრუნდება მუცელს.
გაკრთა ჰომეროსის ჩანგი,
შორი — ქანაანის ხანა,
აბრაამის — ისააკის
თავთან შემართული დანა.
ნოეც... მერმე წვეთ-წვეთ უცებ
წარღვნა შეეწოვა ღრუბელს...
და აბელსაც შორით ვუცქერ
ღმერთთან კრძალვით მოსაუბრეს.
ჰა, ედემის დაჩნდა შუქიც,
ნაცნობ — ღია კარით ჩვენთვის
და იმ კარში შედის ზურგით
წყვილი — დაწყევლილი ღმერთის...
სხვა მზემ გადმოგვხედა ციდან,
შედგა უკურბოლა ჟამის...
და თავიდან, კვლავ თავიდან,
ისევ საუბარი სამის...
და წამს გადნა სული მზაკვრის
და ღმრთის მიგვატოვა წყევამ,
იგი ვაშლი ეშმას რაკი
შუბლში მიახალა ევამ...

P. S. ჟამი უკან თუ შებრუნდა
და ცად სხვა მზე ამობრძანდა,
ეს თქვენ დამიჯეროთ უნდა,
ზე ოთხ ბოლო სტრიქონს გარდა.

უმარტივესი ჭეშმარიტება

ვინაც ჩვენს გარშემო მღერის,
როდი ემღერება ყველას,
შველაც ყველას არ სჭირდება,
ვინაც იხვეწება შველას,
ყველას ოქროდ ვერ მივიჩნევთ,
რაც კი ოქროსფერად ელავს,
ყველას არც კრწანისი ახსოვს,
ვინაც სატევარსა ჰფერავს...
ლექსსაც ყველა ვიმღერთ, მაგრამ
ერთი მიაქროლებს მერანს.

შუალამისას თოვდა სიღნაღში

დეკემბრის ღამის შრიალა თოვლი
ნელ-ნელა ჰფარავს გომბორის
კალთებს.
თუ რამ ვალი მაქვს, დღეს პირველ
ყოვლის,
ამ მოციაგე ფიფქების მმართებს.
ამ ოვბრუდამხვევ თეთრი
სპექტაკლის.
რამ კეთილ ძმობის ფიფქეთის
მხარის,
ამ სინათლის და ამ სისპეტაკის,
ამ ბურბუშელის მზისა და მთვარის.
თუმც, იქნებ თოვლი არც არის
სულაც,
მტერმა იფარა სითეთრე ნისლის,
უახლოვდება შენს ჩამთბარ ბურანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს შრიალიც იქიდან ისმის.
გიახლოვდება ნისლის საფარით
თუ შეფარული ვერცხლის
ვერხვებით,
მაგრამ სხვა მტერი, მაგრამ სხვა
ფერის,
მაგრამ სხვა გზით და სხვა
მოხერხებით.
და მოდის იგი, მოდის და მოდის,
ჩაკეტე შენი დიდი ჭიშკარი,
თეთრი კაბებით — უახლეს მოდის—
მოდის. მოილტვის და მოიჩქარის.
გაწყდება ჟინით და გახელებით,
დახარბებული შენს სისხლს და
სითბოს,
თეთრი ქალები — თეთრი ცხენებით
უკვე ალყაში გიეცევენ თითქოს.
მოგადგა ღამის თეთრი ამალა,
სარკმელთან მოდექ, გახსენ ფანჯარა,
სიბნელემ ამ შენს ციხე-გალავანს
ბროლის ქალები შემოაჯარა.
იქნებ უყვარხარ და მთვარის თვალი
ღამემ ტრფიალის ცრემლით ისია
და ეს ქალები, ბროლის ქალები,
თოვლის ქალები შემოგისია.
და სწორედ ახლა — ხელი და
მთვრალი,
ისე, რომ თვალით ვერვის გვეხილა,
თოვლის ქალების, ბროლის ქალების
თეთრი მკლავებით შემოგეხვია.

უნებლიე თვალხარბობა

თვალს უცებ მოხვდა შუქი რამ
მწველი,
ხშირი წამწამი, სხივსავსე მზერა
და აღერილი მაღალი ყელი
და გაშლილი თმა — გრძელი და
ქერა.
ვუმზირე, ღიმმა გადაჰკრა ოდნავ,
ჩემს წინ მზისფერი ჰყვაოდა ეალი...
ნუ ჩამეთვლება ის ჭვრეტა ცოდვად,
ასე — კაცს ხილზე წაუვა თვალი.

მაისის ერთ დღეს...

იწვიმა... მივალ და შევღიმი ჩიტების სტვენას.
მზემ ცისარტყელა — ბაირაღი მთაზე დაჰკიდა...
უცებ რას ვხედავ! მშვენებამ და სინორჩემ შენმა
გამოანათა ელვასავით ღია სარკმლიდან.
გიგზავნი კოცნას, შენ კი წყენით წარბი ასწიე,
ხურავ ფანჯარას — მოგონილი წყრომის მთოვარი
და ძირს ვარდება, ვით უმწეო ბარტყი პაწია,
მინარცხებული სარკმელს — კოცნა ჰაეროვანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალუდა არაგული

ღია წერილი ლექსად ელგუჯა კოპაძეს ახალციხეში

ძმაო ელგუჯავ, შენი „ვილისით“
ჩვენ რომ მესხეთის მთაბარი ვლახეთ
და საფუძველი ვნახეთ იმისი
ვინ იყო მესხი...
და მესხიც ვნახეთ...

ნაბიჯ და ნაბიჯ მამული ვსინჯეთ,
ტკივილი ვჩხრიკეთ და ჯავრი
ვკვნიტეთ...
ნანგრევთა შორის კბილები
ვკრიჭეთ, —
ჩვენიც ვთქვით ბოლმა...
შენც ყური გიგდეთ...

და ამის მერე და შემდეგ ამის, —
ვიგრძენით გულის ამაყი ძგერა! —
მოსპობა ჩვენი — ნებით თუ
ძალით, —
არავის ძალუძს, —
„არა და ‘ვერა!“

მაგრამ მე ახლა არა ვწერ მიტომ
ამ ლექსს, რომ იგი ქროდეს და
ფრენდეს...
ვინც ნახავს (უკეთ შენ იცი
თვითონ,)
ქართული მიწის შელეწილ
ფერდებს.

ვინც მესხს ნახავს და ვინც ნახავს
მესხეთს,
მაგრამ ვერ ნახავს შატბერდს და
იშხანს,
ბანას და ხახულს ვერ ნახავს ვერც
ერთს...
ძმაო, ელგუჯავ!
არავინ მითხრას:

რომ იმან თითქოს მშვიდად და
ლაღად,
აიკაპიწოს ღიღინით მკლავი —
(აქ ფრაზას ვიხმარ — პოეტურს
ახლა.)
და შთაგონებას ტკბილს მისცეს
თავი:—

დაჯდეს, აიღოს კალამი ხელში,
დაწეროს:
— ძლიერ ვარ კმაყოფილი,
შთაბეჭდილების ვინთები ეშხით —
და მოხიბლული ზეცის პორფირით,

აღტაცებული ზურმუხტით მიწის,
გიმღერი ქებას... —
და სხვა ამგვარი...
ეს რომ ქნას კაცმა, შენ უკეთ იცი,
მთლად ვერ იქნება კაცი მართალი...

ეს იმის შემდეგ,
ეს იმის მერე —
როს იხედები მარჯვნივ და
მარცხნივ
და ხედავ, როგორ მიმოგამტვერეს,—
თვალწინ გიგდია ნანგრევი სამცხის...

ძმაო ელგუჯავ, ღმერთი და რჯული,
იმ ბოლმის მერე მანდ რომ
ვიგრძენით—

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ტკივილი შენიც ვისმინეთ გულით
და სატკივარი ჩვენიც გიძღვენით).

გულს სიამაყე აძგერებს ძლიერ —
მესხეთში ისევ რომ სახლობს მესხი,
რომ (თუმცა გვთელეს და თუმცა
გვძლიეს)
ვერ ამოგვაგდეს ძირით და ფესვით...

და კიდევ.
ძმაო ელგუჯავ ჩემო,
შენ რომ მესხი და ვაჟკაცი რომ
ხარ...
მესხეთი რომ დგას...
და მზე რომ მზეობს...
მესხურ მიწაზე მესხს ყანა
მოჰყავს...

გადაშენებას ნურავინ ჰგონებს —
მე ამას ვამბობ: კარნახით გულის,
შენი, იმისი იმედით, ღონით,
ყველას იმედით, ღმერთი და რჯული!

ძმაო ელგუჯავ, შენი „ვილისით"
ჩვენ რომ მესხეთის მთაბარი ვლახეთ
და საფუძველი ვნახეთ იმისი
ვინ იყო მესხი.. და მესხიც ვნახეთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ ოდიშარია

ციკლიდან „სინათლის ოსტატი“

●

მოგზაურო და მეგობარო ბაბუაწვერავ,
ნიავს აყოლილო,
მიწა, წყალი, ცეცხლი და ქარი
მორიგეობენ ამ სიტყვებს შორის.
ეაღალდის ფონი მათი თეთრი მზერაა,
საუბარია მათი თვალების,
ქაღალდის ფონი თეთრი ძეგლია გამოუთქმელის.

ფრინველი

ის დაიბადა შუაღამისას,
ფერს დაესესხა თქვენს წინ მდებარე ქაღალდის ფურცელს,
რის გამოც ჰგავდა სიბნელეში აფარფატებულ
უცნაურ ნათელს.
თვალები სთხოვა ბავშვების სიზმრებს
(მან ხომ იქიდან გზას მიაგნო ჩვენსკენ მომავალს),
და მოცეკვავე თვალებიც წამსვე
თვით დაემსგავსნენ მასზე ბევრად მცირე ფრინველებს.
ფრთების ზომაც კი ამ ფურცლისგან ითხოვა უმალ
და, რა თქმა უნდა, მისი ტოლა გახდა კიდევაც.
ზოგჯერ მეგონა — მისი თვალები ამ ასოებს იმეორებდნენ
და ათასგზის გამრავლებულნი
მიყურებდნენ ყოველი მხრიდან,
უფრო ხშირად კი ზემოდან მაინც (დიახ, მიმიხვდით).
ხოლო ჟამიჟამ ასოები ნაკვალევი მეგონა მისი
(თუმცა მათ შორის ზღვარი, ალბათ, ძალზე მცირეა).

როდესაც ქაღალდს შევახე ხელი
გავიგონე მისი გულისხმა
და შევიგრძენი ბუმბულის სითბო...
და დიდხანს, დიდხანს ვერ დავარწმუნე ჩემი თავი
ამ მოვლენის სინამდვილეში.
ხოლო კარგა ხნის მერმე მივხვდი,
რომ მიმიცია მისთვის ჩემი სისხლის ხმაური,
ისიც თამამად ამოჰყოლია ძარღვებს და გულში
ჩაუბუდნია.
ამიტომაც ვერ გავერკვიე —

სად იყო იგი... სად იყო გული...
და მას ეძინა იმ შადრევანთან,
რომელიც მისთვის ამოშრიალდა
აქ, რომელიღაც სტრიქონიდან, როგორც მილიდან....
შემდეგ კი, შემდეგ, მან იგალობა,
რომლის მიხედვით დიდი წვალებით და მონდომებით
(ო, საძნელოა ეს ხელობა)
მისი სიმღერის ყოველი ბგერა
ასოებად ჩამოგიმწკრივეთ,
რათა ადვილად გამოგეცნოთ თუ რა სურდა
მას ემცნო ჩვენთვის.

და განა ჩვენთან დაემკვიდრა,
გამთენიისას გაფრინდა სადღაც,
ჯერ ბაღებს ზემოთ მიფრინავდა,
მერმე ზღვისაკენ აილო გეზი,
შემდეგ კი ხედავთ? —
წერტილად იქცა.

●

ზოგან სიტყვები — მიმიკრიები
ხეტიალობენ ფურცელზე და...
მათ კითხულობენ მხოლოდ თითები...

გაუგზავნელი წერილებიდან

ისევ მახსოვხარ... ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად გიგონებ კიდეც... და თუ გიგონებ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად გინატრებ კიდეც... და თუ გინატრებ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად მიყვარხარ კიდეც... და თუ მიყვარხარ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად შენთან ვარ კიდეც...

და თუ შენთან ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ წამიერად მოვმკვდარვარ კიდეც.

ნატურმორტი

თეთრი სარკმელი მოჩანს მაღლა...
ხოლო იქიდან იღვრება ლურჯი
ფერი ისეთი მკვრივი და მშვიდი,
რომ სურვილი გაქვს შეეხო ხელით.
დაბლა — ჭიქა დგას მაგიდაზე,
ჭიქაში — ვარდი შეცბუნებული...
უფრო დაბლა კი — პურის ნატეხი,
რომელიც წერტილს უსვამს ამ ნახატს.

ფოტოსურათის გეჭდვა

უპირველესად გამოჩნდა პალმა, რომელიც დინჯად მიუყვებოდა ქუჩას, რომელიც დასდევნებოდა უცნაურ მოხუცს, რომელიც თუმცა არსად ჩქარობდა, მაინც სახეზე ეტყობოდა ღელვა, რომელიც მჟღავნდებოდა ზეაწეულ ბებრულ ხელშიაც, რომელიც ისევ ძლიერ ლამობდა დაეჭირა ჩიტი, რომელიც, დამერწმუნებით, არსად არ ჩანს ფოტოსურათზე, რომელიც უკვე თქვენს წინაშეა.

დაბრუნებული სურათი

აქ კი ვედრებადქცეული ნიმფა
ზღვის ქაფის ფერში ჩაიძირა და
ამ ფურცლად იქცა...
კითხულობს პანი გავეშებული...

ფრინველების გადაფრენა

...და უშორესი წერტილები
მშვიდად ხატავენ უზარმაზარ ფრინველს, რომელიც
ემშვიდობება ფერგამოცლილ ცას...

წ რ ე

იქნებ ერთმანეთის ტოლი ვართ
ეს ფურცელი და მე —
ეს ხომ ოდესღაც ხე იყო,
ანდა ხის ტოტი...
იჯდა აქ ფრთოსანი და უსტვენდა,
ბუდესაც იკეთებდა,
იძინებდა თოვლი,
წიკწიკებდა წვიმის საათი და
თავის სახელს ხატავდა მზე...
ძველი ჩვევა ხომ ახლაც შემორჩა მას —
შრიალებს ქარში.
ჩვენ ვდაღავთ და ვდაღავთ სიტყვებით,
როგორც ცხენს —
„ჩემია, სხვაში არ შეგეშალოთო...“
ნეტავ შემოფრინდეს აქ ერთი ფოთოლი,
მხოლოდ და მხოლოდ ერთი ფოთოლი და
(ყვითელი, მწვანე თუ მეწამული — ეს სულერთია)

ხომ იტყოდა იგი მას, რაც
ითქვა და რაც ითქმევა.
მასაც კი, რასაც ვერასოდეს
ვერ იტყვის კაცის ენა და
მერმე რა საჭირო ვიქნებოდი მე?..
ნეტავ თესლი იყოს ეს ასოები —
რამდენ ხეს ამოიყვანდნენ,
რამდენ ტყეს დაგვიტოვებდნენ.
(შენ რა გისახსოვრო, ჩემო გოგონავ,
ხის ტოტი — ახლა ფურცლად რომ ჩურჩულებს,
თუ მასზე დადენილი დაჭრილი ხმა? —
დაფიქრდი და ამოირჩიე).
ნეტავ მალე მოვიდოდეს გაზაფხული,
ხომ დაიწყება დედამიწის უკუდინების
მარადიული აღორძინება მაშინ —
ფიფქები ცას დაუბრუნდებიან,
მდინარეები ღრუბლებისაკენ გაიკვლევენ გზას,
ფრინველები — ტევრებისაკენ,
ჩვენც, რა თქმა უნდა. ისევ შევხვდებით ერთიმეორეს.
ხომ ამოფრთხიალდება მაშინ ეს ფურცელი ხედ,
ხომ ახმაურდებიან ეს სტრიქონები ტოტებად,
ხოლო სიტყვები კი, სიტყვები,
რომლებიც ველარ მოასწრებენ ყლორტებად გადაეცევას,
ხომ ჩაჟღრიალდებიან დავიწყებაში —
ჩვენთან დარჩებიან.
ერთად დაველოდოთ იმ დღეს, ფურცელო...
ან იქნებ სჯობდეს მეც მაშინ ერთ უსაქმურ,
მზეში მონებივრე ფოთლად,
წელან რომ გიხსენე იმ ფოთლად მიმიმატო,
ან სულაც ხავსად,
რომელიც მაინც, ადრე თუ გვიან,
გიპოვნის და ჩაგეხვევა შეცთომილივით.

ხე

მისი მდინარე დაიწრიტა და
მისმა ფოთლებმა გაიყვეს ზენა,
მისმა ჟამმა თქვა უკვე არაკი და
მაინც, რტოებნაწამები
დგას თქვენს წინაშე და
გულმოსულად ელოდება
მდინარეს, რომელიც დაიწრიტა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ ბუაჩიძე

რომანი

ძველი წერილები. ნაცნობი ბილიკი; მდინარეთა აკოლოგია

(პროლოგი)

როცა ძველ ქაღალდებში დიდი ხნის მივიწყებულ წერილებს უეცრად წავაწყდი, უნებურად ცრემლი მომერია. ასაკის ბრალია, თორემ ამ გაყვითლებულ ფურცლებს ალბათ მხოლოდ სევდა უნდა გამოეწვია. ან — სინანული, მაგრამ ცრემლი?

„გაივლის ათი წელი, გაივლის ოცი და ოცდაათიც, იქნებ მოგონებაც კი გაქრეს ამ საშინელებაზე, ომი რომ ჰქვია, იქნებ ყველას დაივიწყდეს, რას განვიცდით, ზღაპრადაც მოეჩვენოს ეს სიცივე, შიმშილი და მარტოობა. გულიც აღარავის ეტკინოს, არ დაფიქრდეს, არც ვახსოვდეთ...

ისევ ჩვენვე დავიტირებთ ბავშვობას ჩვენსას. ამიტომ, თუ ცოცხალი დარჩი და გახსენების უნარი შეგრჩა, ბედნიერ წუთშიც ნუ დაიშურებ ორიოდე ცრემლს ამ დღეთა მოსაგონებლად.

იქნებ ეგ ცრემლი იყოს გარდასულთა უკანასკნელი შესანდობარი, ნიშანი მოურჩენელი ტკივილისა, რომელიც გულში უნდა გქონდეთ თქვენ, ვინც ჩვენს შემდეგ ცოცხლობთ და ადამიანებად რჩებით...“

ეს ბარათი გოგონას ხელითაა დაწერილი. მომრგვალებული ასოები ძლივსღა იკითხება ასგზის გაშლილ და გაკეცილ თაბახის ფურცელზე.

ამ წერილის გვეოდით, იმავე საქაღალდეში, ჯარისკაცია აამკუთხა ბარათებია, საველე ფოსტის ნომრითა და სამხედრო კენზურის მიეო საგულდაგულოდ წაშლილი ატრიქონებით, ქიმიური ფანქრით დაწერილი ამი ფრონტული ბარათი.

„აქ უკვე ნამდვილი ზამთარია, ყველაზე მძაფრად მის სიმკაცრეს ჩვენ, კავკასიელები, განვიცდით. ქანცმილეულნი ვართ სამწყობრო მეცადინეობით. ერთი თვეც და უშუალოდ ბრძოლაში ჩავებმებით. ტანსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიზნე ვარ... მიხარია ჭოს-

პიტალში შენი წარმატება, მაწუხებს შენი ჯანმრთელობა და მუშაობის პირობები, ხომ ვიცი, რა სამუშაოცაა...“

„როცა ტანკი მოგვიახლოვდა, თითქოს ამ ურჩხულში განსახიერდა ჩემთვის მთელი ფაშიზმი. პირისპირ ვიყავით. გრძელი თითის ქნევით მოდიოდა. ვახალეთ ერთი. აისხლიტა. ვახალეთ მეორე. მოგვანთხია მანაც ცეცხლი. ვკარით მესამე. შედრკა და შედგა ასიოდ მეტრზე. ვესროლეთ კიდევ და იფეთქა ბენზინის კასრივით...

ცოცხალივით მიყვარს ჩემი ქვემეხი. პატარაა და რა დიდი ძალა აქვს! სწრაფად მივდივართ წინ. ახლა ყველაზე საშიში სწორედ ტანკების უეცარი კონტრიერიშია. გამწარებულები გვიტევენ, მაგრამ მაინც წინ მივდივართ...

თუ წყნეთელ ფიდოს მოინახულებ და მათ ამბავს მაცნობებ, ერთ წუხილს მაინც მომაშორებ“.

„...ვგრძნობ, ჩემს საქმეს რიგიანად ვაკეთებ. და ვარ იქ, სადაც უნდა ვიყო. ორი მედალი უკვე მაქვს. წარდგენილი ვარ „წითელი ვარსკვლავის“ ორდენზე. სამს უნდა მოგვცენ. ასე გვითხრეს...

...მწამს, ოდესმე ჩვენთვისაც განათდება. ახლა იფეთქა ჩემში შენდამი სიყვარულმა და მახრჩობს. აქამდე სად ვიყავი? იქნებ სიკვდილის სიახლოვე ამძაფრებს გრძნობას?

...მივხვდი, რომ „ყველაფერი სისულელეა — ცოდვაც და სინანულიც. არსებობ მხოლოდ შენ. მენატრები. მომწერე. გთხოვ, გაფიცებ დედის ხსოვნას — ექიმებს გაესინჯე შენს ჰოსპიტალში და მომწერე სიმართლე...“

საოკაია. ამ გაყვითლებულ და გაცრეცილ ფურცლებს ალბათ მხოლოდ სევდა უნდა აღეძრა, შეიძლება — სინანულიც. მაგრამ ცრემლი?

აკი თითქმის ორმოცი წელი გავიდა?

ორმოცი წელი გავიდა, მაგრამ ყველაფერი მახსოვს.

მახსოვს უფრო მკაფიოდ, ვიდრე გუშინდელი დღე.

და მსურს, მოუთმენელი სურვილით ვარ შეპყრობილი, გიამბოთ ზოგიერთი მცირე ეპიზოდი იმ ცხოვრებისა, რომელიც იყო და აღარ არის.

აღარც იქნება, რადგან, მართალია, ყველაფერი მეორდება, მაგრამ არაფერიც აო მეორდება, გარდა ადამიანთა ხასიათებისა.

იმ მოუთმენელმა სურვილმა დამაწერინა ეს რომანი — გახსენება. დამაწერინა ისე, როგორც ვნახე და მოვისმინე. მოვისმინე მათგან, ვინც ამ წიგნში კოცხლდება და კვდება. მათი წერილები, ლექსები, დღიურები ჩემს ხელთაა (ვაგლახ, რომ მცირე ნაწილი!). მათი მზერით ვიხედები დღეს გარშემო და თვალში შებრუნებული ცრემლი ადიდებს მწუხარების ჩრდილს, მათი მიმქრალი სახეებიდან რომ მეფინება.

იმ თაობის ადამიანთა ცხოვრება საოცრად მსგავსია. რაც მათ განიცადეს, განიცადა ათაობით სხვამ. და რაც აქაა აღწერილი, აღწერა ათობით სხვამ. მაგრამ განა ესაა მთავარი? მთავარია, რა გრძნობით, რა აზრით, რა უკუფენით შეხედავ წარსული კხოვრებია ბევრისთვის მსგავს ამბებს, რა ზნეობრივი მოვალეობა გაიძულებს კალმის აღებას და რა შინაგანი მოთხოვნილება დაგაწერინებს წიგნს — გახსენებაა, შეაანდობარს, ოეკვიემს...

ძნელია ზუსტად დაადგინო, ოდის იწყება გზა ბავშვობისკენ.

თუ მაინც ისაა სწორი, რომ იგი იწყება მაშინ, როცა მთავრდება გზა ბავშვობიდან, ისიც მართალი უნდა იყოს, რომ უკან მიხედვა მაშინ გვწყურია, როკა მარადიული დუმილის წამი თავა შეგვახსენებს. მაგრამ საოცარია — ჟამთა ტრიალის შეუცნობელი წესით, დასასრულს რომ კუახლოვდებით, დასაწყისთან ალმოვჩნდებით ხოლმე.

ჩვენი გზები ადრევე გაიყარა, მაგრამ მუდამ თან მდევს ერთი სახე და

ერთი ღიმილი, რაღაც უცნაური ძალით უკან მეწევა და იმ გზაზე მაყენებს, რომლითაც მოვედი.

ნელა, კრძალვით და ტაატით მივიწევ უკან,

გადაბრუნებული კალენდრიდან ცვივა ფურცლები,

და თანდათან,

ვითარცა სიზმარში,

ვუახლოვდები შორეულ დღეთა ნათელ სურათებს.

სულ უფრო მკაფიოდ ჩანს მათ სილრმეში წარსულის ხატება და ყოველივე მაგონდება, როგორც ოდესღაც ვაგონილი, ნაცნობი და ახლა დავიწყებული მუსიკის ჰანგი, შორეული, ვითარცა სუნამოს დაცლილი შუშის მიმქრალი სურნელი.

მე დავადექი გზას ბავშვობისაკენ.

ავიკრიფე გუდა-ნაბადი და შევდექი მხოლოდ ჩემთვის ნაცნობ ბილიკზე.

ტვირთი არ მამძიმებს, სულში შორეული მუსიკა ჟღერს. მივდივარ, მივდივარ, მივდივარ და იქ,

გარდასულ დღეთა წიაღში.

ჩნდება და იმალება, ანათებს და ქრება, მიახლოვდება და მშორდება ერთი სახე და ერთი ღიმილი.

მოვდივარ, მარადიული სიჩუმის წამო...

პირველი სიტყვა მდინარეებს ეკუთვნის.

ახლაც ყურში მიდგას მათი ჩხრიალი.

და მასთან ერთად მომესმის მივიწყებული მუსიკის პირველი ჰანგიც.

სამმა მდინარემ მიიტაცა სამუდამოდ ჩვენი გული და გონება, სამი მდინარე დაეწინდა უცოდველი ბავშვობის დღეებს. სამივე მთიდან რომ ჩამოჩხრიალებს, ხან ადიდებულ-აზვირთებული მიანგრევს ქვეყანას, ხან კი წყაროს წყალივით გამჭვირვალე, თევზივით მოსხმარტალე მიათამაშებს მწვანე ლოდებზე თავის გრილ ტალღებს.

ბევრი სხვა მდინარეც უნახავს ბავშვობას ჩვენსას. ზოგს ფონით გადასულა, ზოგი გადაულახავი დარჩენილა. მაგრამ ის სამი სულ სხვა მოსაგონარია. ის იყო პირველი მღელვარების მდინარეები. ის იყო პირველი სიყვარულის მდინარეები. პირველად მათ ემბაზში მოინათლა სული ჩვენი, პირველად მათ გვაგრძნობინეს შეუცნობელი სტიქიონის ალერსისა და რისხვის ძალა, პირველად მათ სარკეში ჩავიხედეთ, ოდეს გაუბედავი ნაბიჯებით იდუმალ ნაპირებს ვუახლოვდებოდით.

„მახსოვს, პირველად სასწავლებელში...“ ახლაც ყურში წკრიალებს ბავშვობის დიდებული ჰიმნი და სწორედ მას მოსდევს მოძახილივით იმ სამი მდინარის განუწყვეტელი ჩქროლა და დენა...

ადამიანებიც ხომ მდინარეებივით ვართ. მუდამ იგივე და მუდამ სხვა. ხან ვღელავთ, ხან ვცხრებით, ხან მივიჩქარით, ხან მივზოზინობთ. საით? და უცებ ისე მთავრდება ჩვენი სრბოლა, ვერც კი ვხვდებით, როგორ და რატომ ვუერთდებით უსაზღვრო მორევს, რათა კვლავ და კვლავ უწყვეტ ტალღასავით მომდინარე, იმავ მარადიულ სრბოლაში ჩავერთოთ და უსასრულო წრეში ტრიალით, პირობითი დასაბამიდან პირობით დასასრულამდე, ნიადაგ ვიდინოთ და ვიდინოთ...

პირველი ნაწილი

ოქროს თევზი

ოდნავ ჟღერს ნაცნობი მუსიკა და ძლივს ბჟუტავს ვარსკვლავი უმზეო ცაზე.

ჯერ კარგად არც კი იქნება გათენებული.

ძილის ბურანში გახვეულ გოგონას ძახილი აღვიძებს. თავს ძალაა ატანს და თვალს ახელს. მაღალი ფანჯრიდან შემოსული ნაცრისფერი შუქი ოთახში მსუბუქი ბოლივით დგას.

თეიგიზ გუაჩიძე

ბზა ბავშვობისაკენ

ეზოში, ფანჯრის რაფის დონეზე, პატარა ბიჭის შავქოჩრიანი თავი ჩანს. ბიჭი ხელით ანიშნებს — ჩქარა, რას უცდიო!

ოთახის კუთხეში გოგონა სწრაფად იცვამს. ფანჯარას აღებს და ეზოში მსუბუქად ხტება. ფეხება ნამიანი ბალახი უსველებს.

კიბის ქვემოდან ბამბუკის გრძელი ჯოხები გამოაქვთ და სიმინდის ყანაზე გადარბიან. შორიდან მდინარის ყრუ ხმაური ესმით.

მკირე მორევს ტირიფები გადაჰყურებენ. დილით წყალს თითქოს მუქი ფერი დასდებია, თეთრ ღრუბლებს ირეკლავს, მაგრამ რომ დააკვირდები, მაინც გამჭვირვალეა.

საცაა მზე უნდა ამოვიდეს.

გოგო და ბიჭი ერთმანეთს უხმოდ უღიმიან. ვინ იკის, იქნებ უხარიათ, რომ ააე ადრიან ერთად არიან ამ გამოყრუებულ ქვეყანაზე?

— ოქროს თევზი დაიჭირე, რა! — შეეკითხა და თითქოს უბრძანა კიდეც გოგონამ.

ამომავალი მზის სხივები ვერ სწვდება ტირიფის ძირს. ქანდაკივით უძრავად დგას პატარა ბიჭი და მის გვერდით ხელაპყრობილი ხვდება მზეს სასწაულია მომლოდინე გოგონა...

ახლა დავყურებ ძველ სურათს: გამოხუნებული მუყაოდან მიცქერენ ბავშვები. მიყურებენ პირდაპირ თვალებში და ოდნავ, აულ ოდნავ ეღიმებათ. ვის ერგო ააბოლოოდ ოქროს თევზი?

ვწუხვარ, რომ ყოველივე მნიშვნელოვანი თავიდანვე იდუმალების ბურუსშია გახვეული, მაგრამ წინასწარ რომ ყველაფერი ვიცოდეთ, განა სიცოცხლე ეღირება?

ჭეშმარიტად — „ვის გრძლად ჰგონია, მისთვისაცა არის ერთისა წამისა!...“

მწვერვალები

მუსიკის ობოლ ჰანგს მეორე ემატება, იწყება მელოდიის მსგავსი რაღაც. უკუღმა ტრიალება საათის ისარი. ტრიალებს დღე და ღამე, ჩრდილი და სინათლე, ბგერები მკვეთრდებიან და მუსიკა თანდათან ძალას იკრებს.

უპირველეს ყოვლისა, გონების ეკრანზე წვეტიან ციფრებად იალაგნება ის უხსენებელი წელიწადი, რომლის ჰოვონება, ვითარცა ხანჯალი ფაფუა თოვლში, ტვინში ჩარჭობილა.

შოვის მწვანე მთები და თოვლიანი მწვერვალები (იმ ზაფხულს მეტწილად ნისლიანნი) შორეული მინიშნებაა მძაფრი განცდისა, ამ გახსენებასთან ერთად რომ იღვიძებს.

აგვისტოში ჭანჭახი მოვარდა და გზები წალეკა. ქვემოთ რიონიც ადიდებულიყო. ნაკადულები მდინარეებად იქცა, მდინარე ბრაზიანად აღრიალდა და მიწის ვეება ბელტების ყლაპვით ბარისაკენ გაექანა.

გზას არაფერი ეშველა, ვერ დაიძრნენ შოვიდან. აგვისტო მიიწურა და სკოლაში აგვიანდებოდათ საკურორტოდ აბარგებულ ქალაქელ ბავშვებს.

მაშინ, იმ ზაფხულს, უფროსებს თურმე სხვა რამ დიდი საწუხარი აწუხებდათ, ხოლო ამ უნებური დაყოვნების გამო მთლად შეიშალნენ.

ერთ კვირა დილით საგლოლოდან კურორტის თანამშრომელი ამოვიდა და თქვა: ევგენი მიზანდარი მოდის თქვენს წასაყვანად და მოემზადეთო.

ამოვიდა ევგენი მიზანდარი. ოთხი ცხენი და ერთი გამყოლი ამოიყვანა. შეიკრა ორი ოჯახის ბარგი და პატარა ქარავანი გრძლად გაიშალა ონისაკენ მიმავალ გზაზე.

წინ ევგენი მიზანდარი მიაბიჯებდა. მაღალყელიანი ჩექმები ეცვა, ორბივით ცხვირი და ჭროღა თვალები ჰქონდა, ერუზა თმაში საფეთქლებთან ჭაღარას ეამოეჩინა თეთრი კბილები. გზის გამკვლევი ის იყო და, როცა მდინარის ღრიალით ან დახრამული ბილიკით დამფრთხალი ცხენი ოჩნობდა, უსიტყვოდ შებრუნდებოდა და აღვირს დაქაჩავდა.

ერთ მოსახვევში მგზავრები ცოტა ხნით შეჩერდნენ. ბოლოში მიმავალ

ცხენს მოსართავი შეუსუსტებოდა და ბარგი გვერდზე ჩამოსცურებოდა. სანამ გამყოლი ცხენს უტრიალებდა, ევგენი უკან დარჩენილ მთებს შეჰყურებდა. ხეობია ბოლოს, თითქოს ცაზე ჰკიდიაო. მზით განათებული, ნისლით ძირწაჭრილი მწვერვალი ჩანდა. დიდხანს შესცქეროდა და თავის საფიქრალს მისცემოდა. გოგონაც უყურებდა. უყურებდა და მისთვის ერთნაირად მაღალი ჩანდა თეთრი მწვერვალიც და მის გვერდით ასვეტილი კაციც.

— წავიდეთ. შენ კიდევ ბევრჯერ მობრუნდები ამ მწვერვალთან, — უთხრა ევგენიმ, სუსტ მხრებზე მძიმე ხელი დაადო, ოდნავ წაუბიძგა და გააბიჯა.

ნელ-ნელა გაიარეს გზისპირა სოფლები და საღამო ხანს, როგორც იქნა, ონში ჩავიდნენ. ძველ სასტუმროსთან შეჩერდნენ.

მზე დიდი ხნის ჩასული იყო, როცა ევგენის რაიკომიდან დეპეშა მოურბენინეს. საასწრაფოდ თბილისში მიხმობენო, თქვა ფიქრიანად. შემდეგ ცხენზე შეჯდა და წავიდა შორეული გზით. წავიდა და უეცრად დამდგარ ღამის წყვდიადში სამუდამოდ გაუჩინარდა.

ზოგჯერ ერთი შეხედვით უბრალო სიტყვასა თუ ვითარებას იმდენი თანამავალი აზრი ან ორაზროვნება ახლავს, რომ მის გარკვევას მთელი ცხოვრება სჭირდება...

ზღვა და ქვიშა

ცხელ ქვიშაში ფეხი კოჭამდე ეფლობა.

ძნელია ზღვის ნაპირამდე მისვლა, როცა მზე აასტიკად გიხურებს გადახოტრილ თავს, სახეზე ოფლი წურწურით ჩამოგდის და თანაც ამოჩემებული გრძელი შარვალი გაკვია.

ბაბუა ხომ მიდის, შენც ძალაუნებურად უნდა გაიარო ცეცხლივით მხურვალე ასი მეტრი.

გრძნობ, რომ მოხუცი უფრო ცუდ დღეშია. შავი შალის ჩოხა გულს უხუთავს, ამ პაპანაქებაში ბოხოხი ხურავს და შიგნითაც თბილად აცვია. მაინც ამაყად მიაბიჯებს ზღვისკენ და ყურადღებას არ აქცევს ტიტლიკანა მობანავეთა დამცინავ ფრუტუნს და თავის ქნევას.

ქობულეთია ზღვა და ქობულეთის ქვიშა. ორი ფერი — ლურჯი და ყვითელი. და მესამეც — ხეთა მწვანე ოიგი უკან.

— აბა, შედი! — გიბიძგებს ბაბუა.

მოოიდებულად შეაბიჯებ წყალში. უეცარი სუსტი ტალღა რომ მუხლებზე ქაფს შემოგაშხეფებს, უნებურად უკან იხევ.

— შედი, ნუ გეშინია! — რიხიანად გეუბნება წელში გამართული მაღალი ბერიკაცი და მხოლოდ ახლა გადახედავს ქედმაღლურად ქვიშაზე გაგორებულ დამსვენებლებს.

გრძელი შარვლის გრცხვენოდა, ახლა ტანის სითეთრის გრცხვენია. გინდა, რომ არაფრით გამოირჩე ამ გარუჯულ ხალხში. გრცხვენია. ჩოხასატევრიანმა ბერიკაცმა რომ მოგიყვანა.

ბაბუა კი არხეინადაა. თვით დასცინის ამ დედაშობილა ხალხს, „სინდისი რომ დაუკარგავთ".

რომელიღაც უხსოვარ დროში, ალბათ მეცხრამეტე საუკუნეში (წარმოგიდგენიათ, მე-ცხრა-მე-ტე საუკუნეში!), შეთვისებული წესების ერთგულება მისთვის შეუვალი კანონია. მიუხედავად იმისა, რომ „რევოლუციაც მოხდა და ბალშევიკებიც შემოვიდნენ", სოფელში მამა-პაპათა საახლეში კოლექტივის კანტორა შეუსახლეს და საწყობი გამაოთეს, სიძეც „ბლუზიანი კომუნიატი ჰყავა, უგვარო მიზანდარი".

„აფსუს დარბაისელი ზემოიმერელი თავადაზნაურობა!..."

აბა, მეფის მთავრობა კი იყო ამოსაგდები და გადასაგდები — რა დააკვიწყებს იაპონიასთან ომში ნაჭამ სირცხვილს, მანჯურიის გორაკებზე უთავბოლო სირბილს, გაოლიანის ყანებში

თენგიზ გუაჩიძე
გზა ბავშვობისაკენ

ხოხვას. კუროპატკინის სისუსტეს და სტეპელია ღალატს? მაშინვე უნდა ჩამოეგდოთ ის ნიკოლოზა, ქვეყნის დამღუპველი. დიდ წინაპართა უნიათო ნაშიერი, მაშინვე უნდა ჩამოეგდოთ და ყველაფერი კარგად წავიდოდა. ვიტე — აი, ვინ იყო სამთავრობო კაცი, ვიტე — თბილისში გაზრდილი, ჭკვიანი და ძლიერი...

ეჰ. ვისღა ახსოვს ახლა ძველი ამბები? სათუთად ინახავს ბაბუა რუსეთ-იაპონიის დროის ლამაზ ალბომებს, პაპიროსის ქაღალდში გახვეული რომ უწყვია საკვრის ძირზე...

მაგრამ შემდეგ რა მოხდა? სრულიად გაუგებარი, მოულოდნელი, აუხსნელი... ცოტა თვალი გავაჭყიტეთ, პატარა გამოიდარა და ისევ არ გადაეფარა ცას ღრუბელი?

მერე ოჯახის კარიც არ შეუნგრია ახალმა დროებამ? ქალიშვილი — საოცება, სიყვარული და იმედი — არ შეიგდო ქოჩორზე აზვირთებულმა ტალღამ?

კაცმა რომ თქვას, ეს ბალშევიკები მთლად მტყუანნი არ არიან. რაღაც მსოფლიო მიზნები აქვთ, ბევრი კაი უნდათ ხალხისთვის, ღმერთმა ხელი მოუმართოთ ყველა კეთილ საქმეში, მაგრამ ნამეტანი ხეპრედ რომ იქცევიან, ნამეტანი მუშტებს რომ იქნევენ და პატიოსნებასა და სინდისს უცნაურად „ალასის“ სასწორზე რომ სწონიან? მე და ჩემისთანები რა კლასი ვართ? ერთ დაფეხვილ აზნაურს მიყვარს ჩემი ეზო, ჩემი სოფელი, ჩემი ეკლესია. ჩემი ენა — ესაა დანაშაული? კი ბატონო, მსიამოვნებს, გლეხი რომ პატივს მცემს, მე არ მიცია მისთვის პატივი? პატარა ყანა თუ გამითოხნა, მე თუ ბოვში მოვუნათლე — ესაა კლასთა ბრძოლა?

ახლა, შეიძლება, არც მესმის მე მათი ყველაფერი, მაინც ძველი კაცი ვარ, მაინც რაღაცა მკიდია ზურგზე და რაღაცას მისტირის გული, მაგრამ ვაჟკაცობას პატიოსნება და სიკეთე თან რომ უნდა ახლდეს, ვეფხისტყაოსანშიც კი წერია. აიღონ და წაიკითხონ, მაგათ მარქსებზე საინტერესო არ არის?

ეჰ, რაც არი არი! ამ ბიჭს მაინც არ მივცემ მთლად გასაფუჭებლად. სხვა მხრივ, ა. ბატონო, ბურთიც თქვენია და მოედანიც. ისე კი, რავარც ცხონებული მამაჩემი იტყოდა — წყალნი წავლენ და წამოვლენ...

...და ბიჭისთვის საოცარი ის არის, რომ თავიდანვე წაგებულ (განა ეს ძნელი მისახვედრია?) ზნეობრივ ჭიდილში ბაბუა წარბს არ იხრის და თითქოს ყოველთვის იმარჯვებს.

ბიჭს კარგად ახსოვს საუბარი, ამას წინათ რომ შედგა სიძე-ქალიშვილსა და ბაბუას შორის. მოხუცის აზრები:

ქალს შეშვენის ოჯახში ტრიალი, რათა უფროს თაობას ღირსეული ცვლა გაუზარდოს; ქალი თუ კრებებზე დარბის, ხოლო შინ ბავშვი უტირის, ამას მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა;

ბავშვი თუ ჭუჩას შერჩა, კიდეც იქურდებს და თავისიანებს დანასაც მოუღერებს („ქალო, გაიგე, ბოვში ოჯახში ყალიბდება, თქვენი მოშლილი სკოლა და პიონერობანას თამაში ვერ გაზრდის მას!“).

სიმართლე ყოველთვის სიმართლეა, ტყუილი ყოველთვის ტყუილია, ვისი პირიდანაც უნდა ამოვიდეს;

პატიოსნება ყველაფერშია საჭირო, „ჟულიკი“ „ჟულიკად“ დარჩება, ზარმაცი ამქვეყნად არ გადაშენდება და ყველას გასწორება-გათანასწორება არ შეიძლება („მალე დაერევით თქვენ ერთმანეთს, მაგრამ მე ნუ მომასწროს მაგი ღმერთმა!“).

ერთგულება ყოველთვის ერთგულებაა და ღალატი ყოველთვის ღალატია, „კლასის“ მიხედვით არ ირჩევა ეს;

ჭაუა და შორსმჭვრეტელობა ყოველთვისაა საჭირო („ამ საწყალ ეკლესიებს რაღას ერჩოდით, მაგენი ხომ ერის წარსული კულტურის ძეგლებია, მერე კი ინანებთ, მაგრამ გვიან იქნება თითზე კბენანი!“).

ზნეობა-უზნეობაში კლასობრივი მიდგომა შეცდომაა („მით უმეტეს თქვე-

ნი — გლეხუჭურ-პროლეტარეკი!") რაც არღვევს ხალხის მიერ ათასწლობით შემუშავებულ ნორმებს და საბოლოოდ რყვნის და ათახსირებს ყველას („შვილმა მამა დააბეზღა — კულაკიაო, მამამ შვილი სასიკვდილოდ გაიმეტა, თქვენ მამას ხვრეტთ, შვილს კი ქანდაკებას უდგამთ, ესაა სამართალი?").

ბაბუას ასე დალაგებულად არ ულაპარაკნია — დედის მიერ ჩამოყალიბებული წიგნიერი ფორმულებია. ბაბუა გაცხარებით და დაუკავშირებლად წამოიძახებდა ცალკეულ ფრაზებს, დედას სისტემაში მოჰყავდა და იქვე პასუხობდა: ჩვენ ვქმნით ახალ საზოგადოებას, რომელსაც ექნება ახალი მორალი, სულ მალე მოისპობიან მჩაგვრელნი და ჩაგრულნი, ზარმაცნი და „ჟულიკნი", მდიდარნი და ღარიბნი. ვინც ამ მიზნისთვის იბრძვის, ჩვენი ერთგულია, ვინც ებრძვის — მტერია. ამას ემყარება ახალი ზნეობაც. ძველი ეკლესიების ნაცვლად ავაგებთ კულტურის საბჭოურ სიმბოლოებს — ფართო და ნათელ კლუბებს, კულტურის სახლებს, გავიყვანთ ელექტრონს, რადიოს, შემოვა კინო, თეატრი, ახალი ყოფა, გათავისუფლდება ქალი, ბავშვს ახლებურად აღზრდის ახალი საზოგადოება... („ვაი თქვენი ბრალი!" — ხანდახან წამოიძახებდა ბაბუა).

მამა უმეტესად გულიანად იცინოდა ბაბუას გაცხარებაზე, ხანდახან თუ იტყოდა სიტყვას დედის შესაშველებლად, ისე, რომ მოხუცს არ სწყენოდა...

ეს ისტორიული კამათი დედის გამარჯვებით დამთავრდა. ასეც უნდა მომხდარიყო, დედა ხომ საოცარი ქალია! ჯერ „წვრილბურჟუაზიული" უწოდა ბაბუას აზრებს, შემდეგ „გაკოტრებული აზნაურის უნიადაგო ამბიციაც" მიაკერა! მაგრამ გამარჯვებული სახით სწორედ ბაბუა ადგა სკამიდან, ამაყად გაიარ-გამოიარა ოთახში, ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა. ასეა, ჩემო განათლებულო ბატონებოო, დინჯად თქვა და ეზოში გავიდა.

მიუხედავად „დინოზავრთა ეპოქის" შეხედულებებისა (დედის ნათქვამია), უმეტესობა ბაბუასადმი მორიდებისა და პატივისცემის გრძნობით იმსჭვალება. მამა ხან რაიმეს ჰკითხავს, ხა — აამბობინებს. დედას კი ძლიერ უყვარს ბაბუა. „მერე რა, რომ ახალი დროის შესაფერი აზრები არ აქვს, — ხშირად უთქვამს ბიჭისთვის. — ძველი ყაიდის კაცია, რას იზამ? სამაგიეროდ უაღრესად პატიოსანია და თავისი იდეალის ერთგული. შენც რომ რაიმეს იწამებ, ბაბუასავით ერთგული იყავი".

ეჰ, ეჰ, — ოხრავს ბიჭი. ყველას რაღაც თავისებური გააჩნია, ყველას რაღაც აქვს საინტერესო. შენ კი, თავგადაკლული რომ ცდილობ მათ დაემგვანო, არაფრით გამოირჩე მათგან, იწამო მხოლოდ სიკეთე და ყველაფერზე სირცხვილ-ნამუსით იწვიო მათთვის, სხვათათვის მაინც ისეთი შეუმჩნეველი მწერი ხარ, გინდ იყო და გინდ არა, სულ ერთია! და ნებისყოფის ვერავითარი დაძაბვა ამას ვერ შველის. ხვდები განა, რომ სიკეთეს სხვადასხვა სახელი ჰქვია?

ეჰ, ძნელია პატარა ბიჭის ცხოვრება! ამ ლურჯ ზღვასავით უზარმაზარ სამყაროში ყვითელი ქვიშის პაწაწკინტელა მარცვალივით ხარ. ზღვა და ქვიშა...

ბაბუა თავზე გადგას. უამრავი ხალხი გიყურებს. თანაც ზღვა გრილია, ქვიშა კი ცეცხლივით ცხელი. უნდა გაბედო, უნდა გაბედო!

და შედიხარ ზღვაში. ეს მსუბუქი წყალი, მოალერსე ტალღა, ყვითელი ნაპირი, ხეთა მწვანე ზოლი და მხურვალე მზე ისე გინანავებს, იმგვარ თავდავიწყებაში გძირავს, რომ აღარც კი გინდა გახსოვდეს სხვათა ალერსი, სხვათა ღიმილი, სხვათა ბრძოლა და სხვათა დარდი...

სხვანიც ყოფილან სამყაროში

ნაცნობი ჰანგები მუსიკისა მძლავრად გაისმის, წრეებავით ბრუნავს, ჰა-

---

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავშვიბისაკენ

ერში ცოცხალივით ირხევა. ყურებში გუგუნებს, გრიალებს და გრგვინავს...

ერთხელ გოგონა ბიჭის სანახავად წავიდა. წავიდა, რადგან ბიჭი სკოლაში აღარ გამოჩნდა.

სულ სირბილით წავიდა, შეიჭრა ნაცნობ სადარბაზოში, კიბე შეუსვენებლივ აირბინა (ფეხებს თითქოს თავისთავად ახსოვდათ ყოველი საფეხურის სიმაღლე) და ის-ის იყო ზარის დასარეკად თითის წვერებზე აიწია, რომ კარი თავისით გაიღო და ვიღაცის უჩინარმა ხელმა ვეება ძაღლი გარეთ გამოუშვა. გამოუშვა და კარი მიხურა.

გოგონა კედელს მიაწყდა. დიდთავა და სამკუთხადრუნჩიანმა ნაგაზმა ყვითელი თვალი მიაშტერა და ფეხზე დაყნოსა. გოგონამ დაყვირებაც ვერ მოახერხა — კრიჭა შეეკრა.

ძაღლი მშვიდად გაბრუნდა, ფხაჭაფხუჭითა და სქელი გავის ქნევით კიბეზე ჩავიდა. კიბის მოსახვევიდან ისევ ამოხედა, ააქიცინა მოკლედ წაჭრილი კუდი, კისერი დახარა, მორგვივით თავი ჩაღუნა და გაუჩინარდა.

გოგონამ სული მოითქვა. ერთხანს დააყოვნა და, როცა დარწმუნდა, რომ ძაღლმა კიბე ჩაათავა და ეზოში გავიდა, შიშნაჭამმა შინისაკენ მოუსვა. ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს შეჩვეული სამყაროს გვერდით არსებობენ კიდევ სხვა სამყარონი, სადაც ბისთვის ყველაფერი უცხო და უცნობია. ამ აღმოჩენამ უფრო შეაშინა.

შეწყდა მუსიკის გუგუნი, უკანასკნელი ჰანგი მიწას დაენარცხა და ჩაჩუმდა. იმგვარი დუმილი დადგა, ყურმა ტკივილი იგრძნო...

ისევ დავყურებ გაცრეცილ სურათს, კვლავ მომესმის იმ განცდათა ნაზი ჩურჩული. ბავშვები კვლავ თვალში მიცქერენ და ოდნავ, სულ ოდნავ სევდიანად ღიმებენ.

ვხედავ ლურჯი მდინარის ნაპირს, ბზის სხივებზე ოქროსფრად მოელვარე თევზს და მისკენ ხარბად გაწვდილ გოგონას გამხდარ მკლავებს...

მატარებლის რომანტიკა

საოცარია მატარებლის რომანტიკა!

დიახ, ჩვეულებრივი მატარებლისა, ელმავალჩაბმული ვაგონების გრძელი მწკრივისა, ზამთარ-ზაფხულ, დღითა და ღამით გრიალით რომ შეიჭრება ხოლმე ხეობაში, აივლის ალმართს და მოსახვევში მიიმალება.

აივლიან და ჩაივლიან, მუდამ ხალხით სავსენი, ფანჯრებში რომ გულგრილად იცქირებიან და მიდიან და მიდიან განუწყვეტლივ ზემოთ და ქვემოთ.

ლიანდაგის დაუვიწყარი სუნი? რკინიგზის პირზე მოკრეფილი მაყვლის გემო? სადგურის ცივი წყალი და მაღალი, შრიალა ცაცხვები?

შუაღამისას ტყის პირზე ცეცხლის გარშემო ხუთიოდე ბიჭი და ერთი გოგონა ზის. ტყე ხანდახან იდუმალ შრიალებს, ცაზე მილეული მთვარე ანათებს. ბიჭები ნედლ ტაროს წვავენ. ერთი ამბავს ჰყვება. შორიახლო ძროხების ცოხნა და ფშვინვა ისმის. იქვე მდინარე მიჩხრიალებს.

— მერე ჩამოცოცდა ხანდია კლდიდან, წამეიკიდა მოკლული ჯიხვი...

— წამოიკიდა, — აწყვეტინებს გოგონა.

— წამოიკიდა და მეიტანა სახლში...

— მოიტანა, — კვლავ ამბობს გოგონა.

— კაი, ახლა, მოიტანა. — ეთანხმება ბიჭი და ცხელი ღადრიდან შემწვარი ტარო ცქვიტად გამოაქვს.

ერთხანს სდუმან. ბიჭი სიმინდა ნაფოტა კბილებით ღრღნის, ითუთქება და სულს უბერავს.

ღამის ქარი ტყეს აშრიალებს, ცეცხლს აქეთ-იქით აწვენს. ბიჭები უფრო მჭიდროდ ეკვრიან კოკონს. გაღრღნილი ნაჭურჩალი წყალში მოადენს ტყაპანს.

— მობრუნდა მერე არწივი, აიყვანა ხანდია საჯიხვეთში, მოკლა ხანდიამ ჯიხვი. წაუღო დედაბერს. დედაბერმა გლეხს მისცა, გლეხმა — მოურავს, მოურავმა — აზნაურს, აზნაურმა — თა-

ვადს, თავადმა ვეზირს გადასცა, ვეზირმა ამოუღო ჯიხვს გული და მეფეს თაყვანისცემით მიართვა. მეფემ ბრძანა, მზეთუნახავი გაეშვათ. ქვემოთ ხანდია ელოდა. წაიყვანა ხანდიამ ქალი, იმ კლდის ძირში მიიყვანა, საიდანაც არწივმა საჯიხვეთში ააფრინა. დასახლდნენ, გამრავლდნენ და იმ ადგილს ხანდიასუბანი ანუ ხანდები ეწოდა. აგერ, იქ, — ხელს იშვერს სიბნელეში ბიჭი.

— შენც ხანდიასუბნელი ხარ? — ეკითხება გოგონა.

— იქაურია! — ყვირიან ბიჭები.

— ხანდიაც იმიტომ გქვია?

— იმიტომ! მაგას ნოდარა ჰქვია, ხანდიაც და გოგრაც!

ხანდია მკვირცხლად გამოიტაცებს ცეცხლიდან შემწვარ ტაროს, ხელში აათამაშებს, სულ უბერავს, გოგონას აწვდის და ეუბნება:

— ახლა შენ მოყევი!

გოგონა ცხელ ტაროს ოდნავ უცაცუნებს კბილებს. სიმინდს ნაცრის გემო აქვს.

— კარგი. — ამბობს იგი და ტაროს სულს უბერავს.

ბიჭები შორიახლო დაზვინულ ფიჩხს მოათრევენ და კოცონს აყრიან. ცეცხლი ბრიალებს. კვლავ სხდებიან და გოგონა თხრობას იწყებს:

— იყო და არა იყო რა, ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით იყო ერთი სახელმწიფო. იმ ქვეყანაში ერთი ღარიბი კაცი ცხოვრობდა, მეტად ნიჭიერი...

ბიჭები დაფიქრებული უსმენენ. შორიდან გუგუნი მოისმის. მდინარის გაღმა, მოაახვევიდან, უეცრად სინათლის მძლავრი სვეტი გამოიტყორცნება, სიბნელეს გაარღვევს და შორეულ მთებზე ათამაშდება.

— ერთი, ორი, სამი, ოთხი... — იწყებენ ბიჭები თვლას.

მთვარის სუსტი სხივებით განათებული, გუგუნ-გრიალით მოდის საბარგო მატარებელი. მთებიც თითქოს გუგუნებენ, თრთიან, ზანზარებენ. გვირაბის წინ მძლავრად ღრიალებს ელმავალი. სათითაოდ ყლაპავს გვირაბის შავად დაბჩენილი პირი ვაგონებს.

— ოცდაცამეტი! — ერთხმად ყვირიან ბიჭები, როცა ბოლო ვაგონსაც გვირაბი ჩანთქავს. შორიდან ერთხანს კიდევ ისმის მატარებლის კაკუნ-გრიალი და მერე ყველაფერი წყდება. კვლავ გაისმის მდინარის ჩხრიალი.

— მამამისი მაღაროში მუშაობდა, იმ მაღაროში, ქვანახშირს რომ იღებენ.

— მაგ მაღაროს შახტი ჰქვია, — ჩაილაპარაკა ხანდიამ.

— ჰო, შახტი. თვრამეტი წლის ყმაწვილმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა, მაგრამ იმგვარი ბუნებრივი ნიჭი ჰქონდა, სულ რაღაც-რაღაცებს იგონებდა, მანქანებს აუმჯობესებდა. ოჯახს რომ ფული მოაკლდებოდა, ხარაზობას იწყებდა, მეზობლების ძველმანებს აკერებდა.

ბიჭები შიშველ ფეხებზე იხედებიან, მხოლოდ გოგონას აცვია ქალაქური ფეხსაცმელი.

— ყმაწვილი რომ დავაკაცდა, ოჯახს მოეკიდა. ამასობაში ისეთი მანქანა გამოიგონა, ხალხი განაცვიფრა: მანქანა თავისით დადიოდა...

— ავტომობილი?! — იკითხა ერთმა.

— ორთქლმავალი, შე მტერო! — წამოიძახა ხანდიამ და ბიჭს თავში თითი ჩაუკაკუნა.

— ძალიან კი იწვალა იმ კაცმა. არავინ ენდობოდა. ზოგი აუდიანს ეძახდა, ზოგი — ცრუა: უცხენოდ და უხაროდ ორ ძალა დაძრავს ურემსო. კოლიც მოუკვდა. მამაკ ორთქლით დაემდუღრა, თავისაა კი არ იშლიდა. ბოლოს ერთმა მდიდარმა იაზრა, ამ ახალი მანქანით სხვა მდიდრებს გავაკოტრებო და გამომგონებელს ფულით ხელი გაუმართა. ააგო მანქანა იმ კაცმა, დაუგო რკინის ლიანდაგი და გამოვიდა მატარებელი, იმგვარი, ახლა რომ ჩაიარა...

თენგიზ გუაჩიძე
გზა გამშვებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იყო მაგ კაცი? — ეკითხებიან ბიჭები გოგონას.

— სტეფენსონია მაგი, მე კაი ხანია მივხვდი, — ამბობს ხანდია და გოგონას თვალებში შეესცქერის. — ედიაონზეც იცი?

— კი, ვიცი, — ამბობს გოგონა და ახლა თვით აწვდის ხანდია-ნოდარა-გოგრას შემწვარ ტაროს.

და ღამის იდუმალება, მდინარის ჩხრიალი, მკრთალი მთვარით განათებული, მუდამ ერთნაირად მოხაზული, ნაცნობი და შორეული და მაინც მშობლიური გორაკები, ეს კეთილი ბიჭები, ცეცხლი და ზღაპარი გოგონას გულში რაღაც უცნაურ გრძნობას ბადებს: თითქოს აფრენა და ზემოდან გადმოხედვა სურს. ილივლივებდა მსუბუქად ლაჟვარდში და მიუალერსებდა ყველას და ყველაფერს.

თითქოს აქამდე უთქმელი, მხოლოდ მის სულში გაჩენილი, მრავლის მომცველი, შეხმატკბილებულად მჟღერი სიმღერის თუ სიტყვების თქმა უნდა, ერთმანეთთან შინაგანად შეწყობილი სიტყვებისა, მის სულიერ სამყაროს ამ ბუნებასთან რომ დააკავშირებს, მთლიანობაში მოაქცევს და აქამდე განუცდელ ნეტარებას აზიარებს.

შუაღამე დიდი ხანია გადასულა. ჩამიჩუმი არსაიდან მოდის, მხოლოდ მდინარის გაბმული ჩხრიალი არღვევს მყუდროებას და ძროხების ცოხნაღა ისმის ჩაბჟუტული კოცონის შორიახლოს. ჩაძინებულ ბიჭებს ორთქლმავლები ესიზმრებათ. ტყაპუჭმოხურული და გარინდებული გოგონას თვალებში კი მოახლოებული ცისკრის დაბადება ისახება და მის შეძრულ არსებაში პოეზიის სუსტი და თბილი ყლორტი ღივის...

ქალაქი

კაცმა რომ თქვას, თბილისი პატარა ქალაქია. ჭუჩები, შესახვევები, ჩიხები ორი მთავარი მაგისტრალის გარშემო იყრის თავს — რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტების გარშემო.

მოედანი რომ ეთქმის, ისიც ერთია — ფედერაციისა.

ვაკის, საბურთალოსა და დიღმის გაშლილი ფართობები თავისუფალია.

გლდანი საკმაოდ შორეული სოფელია. წყნეთში ასვლა მთელი მოგზაურობაა.

სპეციალისტების სახლის შენობა უკიდურესი წერტილია, რომლის შემდეგ ტრიალი მინდვრები გადაშლილა.

მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მშენებლობა ახლა იწყება. მარცხნივ — წისქვილები და რიყეა.

ინგრევა ძველი ქარვასლა. ქალაქის ცენტრი თანდათან მოედანზე და რუსთაველზე ინაცვლებს.

ქაშუეთის მოპირდაპირე მხარეს ძველი „სობორო“ დაანგრიეს და ადგილს უმზადებენ მთავრობის მომავალ სააახლეს (არავინ იცის, მშენებლობა როდის დაიწყება, ჯერ პროექტიც არაა დამტკიცებული).

საძირკველს უყრიან თეთრმეტსართულიანი სახლის ვეება კორპუსს. იქვე შენდება ცირკი, ახალი ხიდი, ხიდს გალმა — სტადიონი.

მაინც პატარა ქალაქია თბილისი. და ამითაა იგი მშვენიერი. რუსთაველზე რომ ცხვირი დააცემინო, პლეხანოვიდან „იცოკხლეო“, დაგიძახებენ. ამით შეიძლება, იმის თქმაც სურთ, რომ ქალაქში ხმები საოცარი სისწრაფით ვრცელდება: სოლოლაკში თქმულს ათი წუთის შემდეგ სვანეთის უბანში გაგიმეორებენ.

მოწყვეტილია ქალაქს ავლაბარი. აქ სხვა სამყაროა, თითქოს სხვა ქალაქია. მუხრანის ზეგიანი ხიდი პირობითი საზღვარია ამ ორ სამყაროს შორის.

სადგურს გალმა ნაძალადევია, „ნახალოვკა“, ვერ იტყვი, ქალაქია თუ სოფელი...

თბილისში ავტომობილი ცოტაა. რუსთაველზე და პლეხანოვზე რახრახა ტრამვაი დადის. ფედერაციის მოედანს ტრამვაის ლიანდაგი სხვადასხვა კუთხით ჰკვეთს. საჰაერო ხაზს ჰკიდებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მალე ტროლეიბუსს გაუშვებენ პლეხანოვზე. ეს იქნება მარშრუტი № 1.

ძველ კირკას დანგრევა ელის ჟორეესის ქუჩაზე, ხოლო სადგურის კუზიან შენობას — განახლება.

ვაკეში ტრამვაი დადის მხოლოდ უნივერსიტეტამდე, რომელიც პედაგოგიურ ინსტიტუტად გადააკეთეს (ხმა დაირხა, ისევ აღადგენენ და ჯავახიშვილს დააბრუნებენო).

იქვე ვარაზისხევს დაუბჩენია პირი, ზედ პატარა, ხის მოაჯირიანი ხიდია გადებული.

მარის ქუჩა ისე ვიწროა, ერთი ტროტუარიდან მეორეზე კაცს ხელს ჩამოართმევ.

ცენტრში, პუშკინის სკვერთან, თეთრ ტრიბუნას აგებენ. აქ მიიღებენ პარადს. პუშკინის ქუჩა მტკვრისკენ ჩარბის და „სალდათის ბაზარს“ ებჯინება.

შუაში ჭრიან კომუნარების მშვენიერ ბაღს, რათა ტრამვაის ხაზი პროსპექტიდან აქ გადმოიტანონ.

ჩიტაძის ქუჩაზე დამთავრდა პარტიის რესპუბლიკური ცენტრის მშენებლობა.

პირველ სკოლას გრძელი უნივერმაღი ააფარეს.

ჭონქაძის ქუჩაზე მთავრდება ბანკის სახლები.

მამადავითის წვერზე წვეტიანი სადგური დაანგრიეს და ვეება ბრტყელ შენობას აგებენ.

პროვინციული ქალაქია მაინც თბილისი. როგორც ნამდვილ პროვინციელს, თითქმის ყველა თბილისელს ცოტა უცნაური წარმოდგენა აქვს თავის ქალაქზე: თბილისი მეორე პარიზია, თბილისისთანა ფუნიკულიორი ქვეყანაზე არ არსებობს, თბილისის სტადიონი მსოფლიოში ულამაზესი იქნება, თბილისი ყველაზე თეატრალური ქალაქია. რუსთაველის პროსპექტი ყველაზე ლამაზია დედამიწაზე, თბილისის აბანოები უნიკალურია მთელ მსოფლიოში, ასე ამფითეატრად განლაგებული ქალაქი არსად არის, თბილისის ქუჩებში ყველაზე ლამაზი ქალები დადიან...

ისე, მართლაც შესამჩნევად დაეტყო ქალაქს აღმშენებლობა.

დაეტყო და რამდენსამე წელიწადში თითქმის იმგვარად უცვლის სახეს ძველ პატარა თბილისს, რომ... სხვა ქალაქებს დაამსგავსებს, მათ ასლად აქცევს.

ეს ურბანიზაციის კანონია და ვინ გაექცევა მას?

თუ ჭავიანი თავი და მზრუნველი ხელი არ გამოჩნდა, მალე გაქრება ხისაივნიანი ეზოტა სახლები, ჩრდილიანი ეზოები, მოისპობა აივნის ჩუქურთმა, მყუდრო ქუჩები და უბნები (ბევრის დანგრევა უკვე მოასწრეს!).

მალე ქალაქს ფართო პროსპექტები გადასერავენ, აიგება დიდი და კეთილმოწყობილი სახლები, შეივსება ქალაქის შემოგარენის ცარიელი ადგილები, დაიცლება სოფლები და ყველა ქალაქს მოაწყდება.

და გახდება თბილისი ისეთი, როგორიცაა ყველა თანამედროვე ქალაქი, — პრაქტიკული და ფუნქციური.

და წავა წლებს მიღმა რომანტიკული ქუჩების ელფერი.

და ჩაკვდება პროვინციული პატრიოტიზმი, რომელიც ისე უხდებოდა ქალაქს, როგორც მთაწმინდას — უბეში შეყუჟული თეთრი ეკლესია...

ახლა რომ ვთქვათ, რატომ არის ეს ცუდი? ყოველ ზრდას თავისი ტკივილი ახლავს. ყველას სურს თანამედროვე პირობებში ცხოვრება. ყველას უნდა ნატახტრის წმინდა წყლია, ამა მტკვრის მღვრიე წყლის მაგივრად. ყველას სურს იზოლირებული ბინები. ყველა ესწრაფვის მოხერხებულ საქალაქო ტრანსპორტს. ქვეყანას კი სჭირდება ჩარხი, აბრეშუმი, ფეხსაცმელი, ფოლადი, მაუდი, ქარხანა...

და მაინც მისტირის ხიდებით გადაუნაგირებული მტკვარი ბოლოობა და

თენგიზ გუაჩიძე
ეჩა გაბუნიძისაკენ

წისქვილებს, მუშტაიდსა და რიყეს, მადათოვსა და ორთაჭალას...

მაგრამ ასე არ იყო მუდამ?

მეცხრამეტე საუკუნის თბილისი არ ჰგავდა მეთვრამეტესას, მეთვრამეტისა — მეჩვიდმეტისას. მეოცისა რად უნდა ემგვანოს მეცხრამეტესას? და კაცმა არ იცის, რა იქნება ოცდამეერთეში...

თბილისი მაინც თბილისად დარჩება. შეიცვლება მისი იერსახე, განლაგება, ფორმები, სიმაღლე და სიღრმე, შეიცვლება მისი მოსახლეობაც, მაგრამ ქალაქის ის დვრიტა, ის ფესვი, ის ფუძე, რომელიც შეუცნობია და სიტყვით ვერ გამოითქმის, რომელსაც უბრალოდ თბილისი ჰქვია, მაინც ყველას თავის ცხელ ქურაში გადაადნობს, თავია რჯულზე მოაქცევს და, ვინც აქ იკხოვრებს, ყველას თბილისელად აქცევს.

ძველი უბანი

მთაწმინდისა და სოლოლაკის კალთები.

აქ, მთის უბანში, მათთვის ათასჯერ გათენებულა და დაღამებულა, მრავალჯერ შეუფიფქავს მათ ოვალწინ ქუჩები თოვლს და მრავალგზის აუდუღებია ფილაქანი თბილისის მხურვალე მზეს. მთაწმინდელებიც იყვნენ და სოლოლაკელებიც.

ქუჩები ვიწრო და ჩრდილიანი, აღმართ-დაღმართიანი, სახლები, ნაგები უმეტესად მაშინ, როცა მომძლავრდა ტფილისის კაპიტალი და შეიქმნა თავისებური სოლიდური სტილი, ახლა რომ იტყვიან „ძველი სახლები".

ძველი ოდესღაც ახალი იყო (ახალსაც ხომ უწოდებენ ოდესმე ძველს!), მათაც შესიციცინებდნენ ამშენებლები, მათ ოთახებშიც დარბოდნენ გახარებული ბავშვები, აქაც ირწეოდა აკვანი, იბადებოდა ათასი ფიქრი და ოცნება...

ახალი ცხოვრების ტალღამ სადღაც გაჰფანტა და გარიყა ის ხალხი. დარჩნენ სახლები. სქელი კედლები, მარმარილოთი მოპირკეთებული გრილი სადარბაზოები, მაღალი ჭერი და ფართო, სქელშუშიანი ფანჯრები; მომრგვალებული ტევადი რკინის აივნები; თლილი თეთრი ქვა, მჭიდროდ დადუღაბებული ცეცხლგამძლე წითელი აგური; ჭასავით მრგვალი ეზოები, ეზოში შესასვლელი დაბალი გვირაბები.

ეს უბანი მეტად წყნარი იყო. ფუნიკულიორის ძირა სადგურამდე მიმავალი ტრამვაის ხაზი რომ აიღეს (ცალფა ტრამვაი დადიოდა), ქუჩები მთლად მიჩუმდა და მაღალი ხეების ჩრდილით დაიბურა. ახლოს მობჯენილი ქედის ხრიოკი კალთები ოანდათან მწვანით შეიმოსა.

გინახავთ ბესიკის ბაღი ოცდაათიან წლებში? გინახავთ იმდროინდელი ამაღლების ან გუდოვიჩის ეუჩები? თუმცა ახლაც ბევრი არაფერი შეცვლილა იმ უბანში გარდა იმისა, რომ ქუჩებს სახელები გამოეცვალათ, სახლებმა კი თანდათან ზემოთ აიწია, მთის კალთებზე აცოცდა და მაღლიდან გადმოხედა ქალაქს.

აი ასპარეზი, სადაც გათამაშდა იმ შორეული ბავშვობის რამდენიმე ეპიზოდი.

მთვლემარე სიმი

წინასწარ ვინ იცის, რა აღიბეჭდება მის გონებაში სამუდამოდ, რა მოულოდნელი გაელვება გაუღვიძებს მანამდე მთვლემარე სიმს?

უეცარმა გრგვინვამ შეაკრთო ბიჭი. წიგნი დახურა და თავი ასწია. გაბმულმა გრგვინვამ კვლავ შეაზანზარა ფანჯრები. გარეთ სეტყვამ წამოუშინა.

ბიჭი სადარბაზოში გავარდა. ჩამობნელებულიყო. სეტყვა გრიალით მოდიოდა, ხოლო როცა იგი კოკისპირულმა წვიმამ შეცვალა, ბაღის მაღალ კედლიდან ეზოში წყალმა ჩანჩქერივით გადმოხეთქა, საწვიმარ მილებში თქრიალ-თქრიალით წამოვიდა. ახლა ქუჩის მხარეს გავარდა ბიჭი. ქუჩა ნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღვრად ქცეულიყო, დალმართი მდინარეს დამსგავსებოდა.

უცებ ბიჭს კივილმა გაუხვრიტა ყური. კვლავ ეზოსკენ გაიჭრა. ქალის კივილს კაცის ბღავილი დაერთო. ბაღის კედლიდან გადმოხეთქილი ნიაღვარი მეეზოვის სარდაფში შევარდნილიყო.

სარდაფის კიბის ძირში მდგარ მეეზოვე კაროს წყალი მუხლებს ზემოთ ასხამდა. ხელში ორი თმახუჭუჭა ბიჭუნა ეჭირა. ერთიც წელზე ებღაუჭებოდა. მისი ცოლი ნახევრად ღია კარში ვერ გამოტეულიყო, მკერდზე ჩვილი ბავშვი აეხუტებინა და ჰკიოდა. ბავშვები ღნაოდნენ. დაფეთებული კარო ხან კიბეზე ასვლას, ხან ცოლის გამოთრევას ლამობდა.

სახლის ზედა სართულის ფანჯრები გაიღო, ატყდა მეზობლების ყვირილი.

ბიჭი ეზოში გავარდა, სარდაფის კიბესთან მიიჭრა და მეეზოვეს ორივე ხელი გაუწოდა.

პირდაღებული კარო უაზროდ ხროტინებდა, თითქოს ყელში თოკი ჰქონდა წაჭერილი, შიშით ავსილი შავი თვალები უმწეოდ გაშტერებოდა.

მერე, როგორც იქნა, კიბის ორ საფეხურზე აალაჯა და ორივე ბავშვი ერთად მიაწოდა.

ბიჭი ძლივს დასწვდა მოფართხალე ბავშვებს (ერთის ფეხი შიგ სახეში მოხვდა და სიმწრის უნებური ცრემლი გადმოაყრევინა), მუცელზე უხერხულად მიიხუტა და სადარბაზოსკენ წაბარბაცდა.

კიბეზე მეზობლები ჩამორბოდნენ (წინ ქალბატონი მარგალიტა მოგორავდა). აღრიალებული ბავშვები ბიჭმა მათ მიაჩეჩა და ქუჩაში გავარდა. „სახანძროს დავუძახებ, თუ წყალი ახლავე არ ამოტუმბეს, ჭერამდე ავა და საწყალ კაროს ბინა სულ გაუოხრდება". სახანძრო იქვეა, ორას ნაბიჯზე, სკოლასთან.

ეზოებში ატეხილი ხმაური ქუჩას ეფინებოდა. წვიმა კვლავ ასხამდა. ბიჭი კოჭამდე წყალს მიარღვევდა. როცა ჩაუხვია, წყლის მღვრიე ნაკადი მუხლებზე დაეძგერა და ლამის წააქცია.

ქვემოდან სახანძრო მანქანის ამაზრზენი კივილი გაისმა. მდინარედ ქცეულ ქუჩას მძლავრად მოაპობდა წითელი მანქანა. ყმუოდა და ზარს შემაშფოთებლად რეკდა.

ბიჭი შედგა. „ტელეფონით გამოიძახეს", ახლოლა იაზრა. ტელეფონი მთელს სახლში მხოლოდ ამხანაგ სიმონს ედგა (მათი ყოფილი ტელეფონი).

სახანძრო მანქანამ გვერდით აუარა, გრიალით შეასხა მღვრიე წყალი. ბიჭი გონს მოვიდა და მანქანას გამოედევნა.

წვიმა თანდათან შეწყდა. ქარმა დაუბერა და შავად არეული ღრუბლების ნაფლეთებში მცხრალმა მზემ ოდნავ გამოანათა. თითქოს ღამე დაილია და უბანში გათენდა. რუხი ნიაღვარი კვლავ ეხეთქებოდა ქუჩის ნაპირებს. აქოშინებული ბიჭი უეცრად შედგა.

წითელი სახანძრო ფოთლებჩამოყრილ ხეებს შორის იდგა მათ სახლთან. მეხანძრეები სადარბაზოში შერბოდნენ და გამორბოდნენ. ხალხის მცირე ჯგუფიც იქვე იყო და გულგრილად უთვალთვალებდა მეხანძრეებს. მზის სხივებმა ააბრჭყვიალა მათი სახლის ფანჯრები, მინები ალისფრად აპრიალდა, თითქოს შიგნით ხანძარი გაჩენილიყო.

ნიავი ქროდა. ცა მთლად გადაწმენდილიყო და კვლავ ლურჯად კრიალებდა. სახლებიდან ხალხი მხიარული აიცილით გამოდიოდა. საიდანღაც მოცვენილი გოგო-ბიჭები ნიაღვარში დატყაპუნობდნენ და კმაყოფილი იღრიჭებოდნენ.

„რა უცნაურობაა?" — გაიფიქრა ბიჭმა, მთლად გალუმპულმა ტანი ისე შეარხია, თითქოს ძაღლმა სხეული დაიფერთხაო და თავჩაღუნულმა შინისკენ გააბოტა.

თენგიზ გუაჩიძე

ბუა ბავშვობისაკენ

ჩვეულებრივ, ყოველი მოვლენა უფრო რთულია, ვიდრე მისი ახსნა; ვინ იტყვის, რა მოხდა იმ დღეს ბიჭის ცხოვრებაში?

მთაწმინდის უბანში კვლავ ცხელოდა.

ხმები

უცნაური იყო ამ უბნის ხმებიც (ქალაქის ყველა უბანი ხომ თავისებურ ხმებს გამოსცემს).

ადრიან დილით, როცა ბალიშს ჩახუტებულს ტკბილად ეძინა, ზედ ფანჯარასთან ჩაიბაკუნებდა ხურჯინგადაკიდებული სახედარი და გაისმოდა ოქროყანელი გლეხის ხმა:

— მაწოონი, მალაკოო!

ნახევარ საათში ჩანთებიანი ქალი წაიკივლებდა:

— აბა კარგი მაწონი, მაწოონი!

ათი საათისათვის გაზინთული მუშა გამოჩნდებოდა, ორ მძიმე ბიდონს მოათრევდა და მღეროდა:

— კერაასინ, კერასიინ!

თუ მუშა არ მოვიდოდა, ნავთის კასრიან „ტაჩკას" თავჩაქინდრული პატარა ცხენი ჩაატარებდა, მენავთე გამაყრუებლად რეკდა ზარს, ისმოდა ბიდონების ხრიგინი, ბავშვების მრავალენოვანი ჭიკჭიკი და დიასახლისების ჩვეული ჩივილი.

შუადღის ჟამს წელში მოხრილი ტოტრიანი სომეხი შევიდოდა ეზოში და სიბერისგან დასუსტებული ხმით სხაპასხუპით იძახდა:

— სტარი ვეშჩი პაკუპაემ, სტარი ვეეშჩ!

მას ჩარხაკიდებული საშიში შესახედაობის კაცი ცვლიდა:

— ტაჩიც ნაჟი-ნოჟნიცი, ტაჩიც კამუუ!

შემდეგ იდგა ეზოში, ჩარხს ნაპერწკლები ბღუჯა-ბღუჯა სცვიოდა, ის კი ყაჩაღივით ატრიალებდა ვეება დანებს.

ნასადილევს ნაცნობი მებატიბუტე მოვიდოდა და მხიარულად იძახდა:

— ბუთიილკი, ბუთილკი პაკუპაემ!

კვირაში ერთხელ, საღამო ხანს, მაღალი, წითური რუსი გამოჩნდებოდა, მხარზე პრიალაშუშებიანი ყუთი ედგა, ფანჯრებს დაკვირვებით ათვალიერებდა და ბარიტონით აყღერებდა:

— სწიოკლა ვსტავლიაც, კამუ სწიოკლა ვსტავლიაც!

მთელი დღის მანძილზე დიდი-დიდი ორ-სამ მანჭანას ჩაევლო ქუჩაზე, ორდენიან სამხედროს ბიჭები გროვად დასდევდნენ, ხოლო მოზრდილები ქუდს უხდიდნენ. სამაგიეროდ, შეუსვენებლივ გაისმოდა „რაზ, დვა, ტრი, ზელენ პაკაჟი!" და იშვიათად — „ცილინდრ!", რასაც კისერში ჩარტყმა მოსდევდა. ბიჭბუჭები ათიოდე ენას ამტვრევდნენ: ქართულს, რუსულს, სომხურს, თათრულს, ოსურს, ასირიულს... მერე მოულოდნელად ესპანური სიტყვებიც გაჩნდა. დიდ მოდაში იყო „პაჟარა" და კოჭობანა, ალჩუ და თოხანი.

საღამოდან დილამდე იშვიათი სიწყნარე სუფევდა. ნელა გრილდებოდა დღისით გახურებული ასფალტი და სადღაც სუსტად ახრიწინებდა პატეფონი „ბრიზგი შამპანსკოგოს" ან „უტომლიონოე სოლნცეს". მაგრამ ეს ხმა არათუ არღვევდა სიჩუმეს, უფრო შესამჩნევს ხდიდა. ფუნიკულიორის ზედა სადგურიდან ნიავს დროდადრო ჩამოჰქონდა სასულე ორკესტრის შორეული მონაბერი. სიჩუმე იყო. იქნებ დრო გაჩერდა?

ბიჭი გუმანით ხვდებოდა, რომ ამ სიჩუმეში ძველი უბნის თითქმის ყველა სახლსა და ოჯახში წუხდნენ და უხაროდათ, დავობდნენ და რიგდებოდნენ, სძულდათ და უყვარდათ, იბადებოდნენ და კვდებოდნენ, ერთი მაინც იყო ბედნიერი. მაგრამ კმაყოფილი — არც ერთი, რადგან (გრძნობდა იგი) კმაყოფილება დროის შეჩერებაა და არსებობის დასასრულის დასაწყისი.

უცოდველი გართობანი

კვირადღის საღამოა. სახლის ყველა ფანჯარა ღიაა. აივნიდან ჭურჭლის

ხმაური და ქალების ხმადაბალი საუბარი ისმის. ნასადილევი კაცები უსაგნოდ დააბოტებენ, აბოლებენ და გასართობს ეძებენ. სადღაც ნარდს ატაკაკუნებენ.

ეზოში მთელი უბნის ბიჭები შეყრილან, ჯერ კიდევ დილით დაწყებულ და დაუსრულებელ ფეხბურთს თამაშობენ. ამ დროს მათ წამოძახილებში ყველაზე ხშირად „პაიჭაძე! დოროხოვ! ჯორბენაძე! შავგულიძე! ბერძენიშვილი! პასი! აჭამე! ოჰ, შენი!" გაისმის. გახვითქული დათო ბურთს მიაქროლებს და ვიღაცას ჯიქურ ეჯახება. მარკლენაა! ასფალტზე გართხმული მარკლენა ჯერ წკმუტუნებს, დასისხლიანებულ მუხლებს რომ დახედავს, ღრიალებს, — დედაა!

შემკრთალი დათო ადგილზევე შეშდება. „რაღა ეს შემომასკდა? აყეფდება ბაყბაყდევი!" სხვები ეზოს კუნჭულებში იმალებიან. მეეზოვე კარო დამნაშავეაავით აფუსფუსდა თავის სარდაფში ჩამავალ კიბესთან.

— მარკლენი, შვილო, შენ მოგიკვდა დედაშენი! — დაიკივლა ფანჯრიდან მარგალიტა გაბგაბიამ, ოთახში შეტრიალდა და ქმარს გასძახა:

— მოგიკლეს, კაცო, ბავშვი, გაიხედე გარეთ!

ფანჯარაში თვით ამხანაგი სიმონი გამოჩნდა, თვალები ბოროტად დააბრიალა, ფანჯრის რაფას ორატორივით ორივე ხელით დაეყრდნო. წელში გაიმართა და მთელი უბნის გასაგონად იყვირა:

— რომელი იყო მაგი!... უჰ, შე მავნებლის შვილო, ისევ გამილახე ხომ ბავშვი? მე შენ გაჩვენებ სეირს...

მარკლენა გაჩუმდა, მთელი სახლი გაინაბა.

დათო ისევ ადგილზე დგას, ხან მარცხნივ გადაიხრება, ხან მარჯვნივ, თითქოს მძიმე ქვებივით წამოსული სიტყვების აცილებას ცდილობს.

დაკოჭლებული მარკლენა მარგალიტას შინ შეჰყავს.

— ახლა მე ვიცი თქვენი ამბავი და თუ მწარედ არ განანოთ, კაცი არ ვყოფილვარ მე! — ამთავრებს სიტყვას ამხანაგი სიმონი.

ბიჭები ეზოდან იპარებიან. დათოც ქუჩაში გადის და ტროტუარის კიდეზე ჯდება.

მის წინ დაბალი სახლის რკინისგისოსებიანი ფანჯარაა, ეთერას ფანჯარა. ეთერა უბნის გიჟია, ფანჯარაში ზოგჯერ მთლად შიშველი დგას და მთელ იქაურ ბიჭებუჭებს მაგნიტივით იზიდავს.

თავჩალუნული ზია, ტანზე ოფლი აშრება, გამურული ხელები მუხლებზე უწყვია და გულზე მოწოლილი გარიყულობის ნაცნობი გრძნობა თვალებიდან მწარე სითხედ წვეთავს.

— ძმაკაც! — თავს ჩაბრია ადგია.— მიაფურთხე მაგ იდიოტს, წამო, პაჟარა გავახუროთ, ერთი არიფი გამოვიჭირე!

— ფული? — ბიჭმა თავი ააწია.

— აჰა, ნახე !— ჩაბრიამ ჯიბიდან ერთი მუჭა ხურდა ფული ამოჰყარა.

დათომ ჩაჩაჩული შარვალი აიწია, თავის სახლს გულგრილად გადახედა, ნაჩვევი მზერა ეთერას ფანჯარას სტყორცნა და ჩაბრიას აედევნა.

მარკლენას დაკაწრულ მუხლებზე შინ იოდი წაუსვეს. რაც ამაზე ცრემლი ღვარა, ერთ ზაჰეს აამუშავებდა.

ამასობაში ამხანაგმა სიმონმა დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული ნატვრა აისრულა: სადაც ჯერ არს განცხადება დაწერა შესახებ იმისა, რომ პატიოსან საბჭოთა მშრომელებს ცნობილი ხალხის მტრის, სამშობლოს მოღალატის, აწ უკვე სამართლიანად განადგურებული ევგენი მიზანდარის ოჯახი მოაშორონ, რაკმეთუ მისი გავლენა მომავალ თაობებზე გამხრწნელ-გამრყვნელ-დამღუპველად მოქმედებს... და დამშვიდდა.

ბიჭი რომ შინ დაბრუნდა, შუალამეს აღარაფერი აკლდა. დერეფანში მთვლემარე სამკუთხადრუნჩიან ნა-

---

თენგიზ ბუაჩიძე
გზა ბაბუშვილისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზს ფრთხილად გადააბიჯა და თავისი ოთახის კარს მიადგა.

ამ დროს დიდი ოთახიდან ამხანაგი სიმონი გამოვიდა. რუხი უსახელო მაისური და ლურჯი ნიფხავი ემოსა, მხარზე პიოსახოცი გადაეგდო. ერთი შეუსისინა, ლაწირაკოო თუ რაღაც ამგვარი და მათ ყოფილ საababანოში საქმიანად შეალაჯა...

უცნაური ხალხი

უცნაური ხალხია უფროსები.

რა ადვილი ჩანს ქვეყნად ცხოვრება, ისინი რომ არ ართულებდნენ. რა ვერ გაუყვიათ, რად ვერ დატეულან, რად არ ისვენებენ?

ბაბუა ამბობდა (საწყალი ბაბუ! განისვენებს მშვიდად თავისი სოფლის გუმბათმორღვეული და კარფანჯრებჩალეწილი ეკლესიის ეზოში. მშვიდად?), ბაბუა ამბობდა, კრებები და მიტინგები სასაფლაოზე უნდა ჩაატაროთ, რათა ყველას დაავიწყდეს წვრილმანწარმავალი და იდუმალი მარადისობის წინაშე გადაწყვიტონ საქმენი.

იმ საუბრის შემდეგ მალე დაუბრუნდა ბაბუა სოფელს (აკი გამარჯვებული სახე ჰქონდა?) და მეტად უცნაურად იქცეოდა: ჩაიკეტა შინ და ბებოსაც არ უღებდა კარს. მხოლოდ საჭმელზე გამოდიოდა ერთხელ დღეში და უსიტყვოდ წაიხემსებდა. ჩქმეტალი ჩიბუხი გაერჭო პირში, „პაველ ბურეს“ ძველი საათი ედო წინ და რაღაც გაყვითლებულ ქაღალდებს ათვალიერებდა, მამაპაპისეულ სკივრის ძირში რომ ჰქონდა საგულდაგულოდ ჩაწყობილი. და მოკვდა ბაბუ.

მოკვდა ისე, რომ აღარ შეურიგდა სიძე-ქალიშვილს, აღარ იკადრა მათთან ყოფნა და საუბარი, ჩუმად წავიდა იმ ქვეყნად, რომლის არსებობა, რაც დრო გადიოდა, მით უფრო სწამდა. მოკვდა ბაბუ და ერთადერთ შვილიშვილს ჩიბუხი, საათი და ძველი ქაღალდები დაუტოვა.

ბებოს ნაამბობით იცის, როგორი იყო ბაბუა მაშინ, ადრე, ახალგაზრდობაში, თუნდაც რუსეთ-იაპონიის ომის დროს... ის დრო წავიდა, გაქრა, დასამარდა, ამიტომ ღირს ახლა მასზე ლაპარაკი და იმდროინდელი ქაღალდების ქექვა? ბებოც ამ აზრისაა, რადგან იცის, „რომ ყრმობა-ყმაწვილობას თავისი კანონები აქვს. ელაგოს სკივრში. მათი დროც დადგება.

მაგრამ წყნარი და ბრძენი ბებოც რომ ვერ ისვენებს და ირთულებს ცხოვრებას? ამოუჩემებია, თვით სტალინამდე მივაღწევ და ჩემი სპეტაკი სიძის ამბავს გავარკვევო! ძლივს გადაათქმევინა და დააშოშმინა დედამ (რად გადაათქმევინა? ეს ამბავი ძლიერ აინტერესებს ბიჭს). რა ამოძრავებდა ბებოს?

დედაც რომ ვერ ისვენებს! სულ რომ უკმაყოფილოა თავისი უშუალო უფროსებით? მე რა ვქნა, როცა ჩემი გამოჩენა და ერთი სიტყვაც კმარა სამსახურებრივი უსიამოვნების ჩამოსაგდებადო; რა დიდ მოთხოვნას მე ვაყენებ, ყველამ წესიერად შეასრულოს მასზე მინდობილი საქმეო, ყველამ თავისი საქმე აკეთოსო; ეს ხომ ის მინიმუმია, ურომლისოდაც ვერც ერთი საზოგადოებრივი წყობა ვერ იარსებებსო. თავგადადებულია უდედმამო ბავშვთათვის, და ყველამ იცის, რომ არავის აპატიებს ოდნავ უგულისყურობასაც. დირექტორი კი თვითკმაყოფილი ფორმალისტი ჰყავს (მისი სიტყვებია). ერთ აზრს ჩასჭიდებია ახლა დედა: უდედმამო ბავშვების სასარგებლო მოქალაქეებად აღზრდა უფრო ადვილია, რადგან ოჯახის მეშჩანური გარემო ხელს არ გვიშლისო. ეს უკვე პედაგოგიკის სპეციალური საკითხია და ამაში ბიჭს არაფერი გაეგება. რა ამოძრავებს დედას?

მარინეს ბებო? უფრო უარესი! ?აშინ რაიკომის მდივანს ისეთი რაღაც უთხრა, რომ დიდი ზარზეიმით გარიცხეს პარტიიდან, რაიონის გაზეთშიც გამოაჭენეს და კინაღამ დაიჭირეს. დამიჭირეთო, თვით იძახდა! რა ამოძრავებდა მარინეს ბებოს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად უცნაური ხალხია ეს უფროსები. უცნაურია კი? რა განსაზღვრავს მათ მოქმედებას? ხაიათის ზნეობრივი საფუძველი? როცა ამხანაგი სიმონი უსამართლობას აჩადის, არავის უკვირს და არც ბიჭს უკვირს. ხოლო როცა დედა ან ბებო თავის აზიანოდ მოქმედებს, ყველას უკვირს და ბიჭსაც უკვირს. რატომ? ამას დაფიქრება სჭირდება, მას კი ჯერ არც გონების ძალა და არც გამოცდილება არ ყოფნის.

ზოგის მოქმედებაში გამორიცხულია პირადი გამორჩენის სურვილი, ისინი მოქმედებენ სიკეთის, პატიოსნებისა და სიმართლის ზოგადი გაგების მიხედვით (შეგნებულად თუ შეუგნებლად? აი, რა არის კიდევ საინტერესო!). სხვებისათვის ეს ზოგადი არ ძრსებობს, უფრო სწორად, საკუთარ ვიწრო ინტერესებთანაა გაიგივებული (შეგნებულად თუ შეუგნებლად?). მათთვის მიზნის მიღწევის ყველა საშუალება მისაღებია (აბა კი ფიქრობენ ამაზე!), ისეთ ხერხს მიმართავენ, რასაც პატიოსანი არ იკადრებს, ამიტომ სჯობნიან პატიოსნებს. გამოდის, რომ პატიოსნება სისუსტეა? ცხადია, არა, მაგრამ ეს „არა" ზოგადი თვალსაზრისითაა აწორი, ხოლო კონკრეტულ შემთხვევაში რომ პოიქითაა?

საბოლოოდ? საბოლოოდ თითქოს ყველაფერი წონასწორდება. როგორ ხდება ეს? განა არსებობს სხვა რამ გამაწონასწორებელი ძალა ან კანონი, ვიდრე ცხოვრების კანონია? რას ემორჩილება ამგვარი მოვლენა (თუკი ჭართლაც ყველაფერი წონასწორდება), ბიჭმა არ იცის.

მაინც შეუცნობი ხალხია ეს უფროსები.

კარო. კარო ყველაზე ბედნიერია ამ სახლში (თუმცა შეგნებული არ აქვს და სულ წუწუნებს). რა ამოძრავებს მას, როცა თავისი აღარარსებული კეთილისმყოფელის ოჯახს ჩუმ-ჩუმად ეხმარება (თუმცა იცის, რომ გაუგონ, დიდი უსიამოვნება არ ასცდება!) და ამავე დროს, ახანაგ სიმონს, კეთილისმყოფელის ანტიპოდს, მონურად ემსახურება? მადლიერების გრძნობა? შიში? თავდაცვის ინსტინქტი? როგორ თავსდება ეს ყველაფერი ერთ ხასიათში?

ამხანაგი სიმონი. აქ ყველაფერი ნათელია და არავითარი კითხვა არ წამოიჭრება. გარდა ერთისა: როგორ და რატომ ჩამოყალიბდა იგი ამგვარი, გარემოს ზეგავლენით თუ ბიოლოგიურად თანდაყოლილი თვისებების გამო? ბიჭისთვის ეს საკითხი ძალიან ძნელი გასარკვევია და თავსაც არიდებს.

ქალბატონი მარგალიტა. მშობლის ცხოველური ინსტინქტი. პირველ რიგში — საკუთარი პირმშო! და ამავე დროს საკვირველი გულკეთილობა, ზრუნვა და მოწყალება სხვა ბავშვთა მიმართ, მით უმეტეს, თუ რაიმე ფიზიკური მანკითაა დაჩაგრული. მაგალითად, აუხსნელი სიყვარული და გულჩვილობა გიჟ-ეთერაადმი. სინდისის ქენჯნა? თუ კვლავ იგივე დედობრივი ინსტინქტი?

დიდად რთული ხალხია ეს უფროსები, რთული და უცნაური. ბიჭის წიგნისმიერი და ზედაპირული ცოდნა უკმარია ამ სირთულეთა დასაძლევად. დაკვირვება და განსჯა კი საინტერესოა (რომ ხვდებოდნენ, რა ბევრი იცის ბიჭმა მათ შესახებ, ზოგს ხომ გული გაუსკდებოდა?! ესაა ასაკის უპირატესობა).

დედამ ერთხელ როგორღაც უთხრა: შენი პასიური მჭვრეტელობა ზიანს მოგიტანს ცხოვრებაში, ყოველთვის აქტიური უნდა იყო სიკეთის დასაკავად და ბოროტების დასათრგუნადო...

ცხადია, ყური უნდა უგდოს დედას, მის ცოდნას და გამოცდილებას, მაგრამ ბიჭი ორომ ვერ გრძნობს თავის „პასიურ მჭვრეტელობას" და, პირიქით, ხშირად, ძალიან ხშირად, გუ-

---

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავშვოგისაკენ

[illegible] რომ ცეცხლი მოედება ხოლმე? თანაც განა ასე ადვილი გასარჩევია ალეთილი ბოროტისგან? როგორ უნდა [illegible]ვდე, საბოლოოდ რა გამოვა რისგან?

ბორანთან

ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა...

შუა აგვისტოა. ანკარა თუ არაა, მღვრიე მაინც არ [illegible] დაცოტავებული მტკვარი. ისეთი სიცხეა, ლამისაა რიყის ქვები დააკლნენ.

გადის და გამოდის ბორანი ზოზინით. მტკვარივით დალეულა მგზავრთა ნაკადი, მაგრამ ბორანი მაინც დადის და წელზემოთ შიშველი, ბანჯგვლიანი მებორნე, გამხდარი და გაფშეკილი ხელ-ფეხით გაცოცხლებულ მიცვალებულს რომ ჰგავს. ხან უზარმაზარ ორთაყვიოს ეჭიდება, ხან ფოლადის მახვილ ბაგირა გაძვალტყავებული მალავით ეყრდნობა და მგზავრის მოლოდინში დაფიქრებული მტკვრის შორეულ მოაახვევს გააცქერის.

თბილისური შუადღის ხვატია.

ბორნის მიაადგომს მარჯვენა ნაპირიდან ოთხი ბიჭი უახლოვდება, მაისურები და ფეხსაცმელები ხელში უჭირავთ, ტრუსების ამარა აოიან და აანამ ერთმანეთს ეჭიჭყინებიან, სად დააწყონ ტანსაცმელი, ბორანი მძიმედ მოდის მეორე ნაპიროდან.

წყალში პირველი დათო გადაეშვა, გაჰკრა მხარული (ქობულეთის ზღვის გაკვეთილებს უქმად არ ჩაუვლია!). მობრუნდა და ბიჭებს შეუძახა. ყველანი მდინარეში გადაცვივდნენ.

ბორანი ნაპირს მოადგა. ორმა შაოსანმა ქალმა და ერთმა ლიპიანმა კაცმა მებორნეა გამოწვდილ ხელში მზეზე მბზინავი ხუოდა ჩაუჩხრიალა და გადმოვიდა. რიყეზე აჩქარებულად მოდიოდნენ სხვა მგზავრები, მებორნეს ხელა უქნევდნენ, არ წახვიდე, დაგვიკადეო. მებორნე არც უყურებდა მათ, მშვიდად ახვევდა თამბაქოს და იქვე მოჭყუმპალე ბიჭებს მობუჩქული წარბებიდან აკვირდებოდა.

— ბიძია, — შეესძახა ჩაბრიამ, — მოვეჭიდებით და გაგვიყვანე?!

პასუხის მოლოდინში ბიჭებმა ხელფეხის ტყაპუნი შეანელეს. მაგრამ მებორნემ უარის ნიშნად თავი გააქნია და ზურგი შეაქცია.

— ქვემოთ წავიდეთ, სილიან ნაპირთან, — ისევ დაიძახა ჩაბრიამ, და ყველა ნელ-ნელა დაჰყვა დინებას. ასიოდე მეტრზე ნაპიროზე ამოხტნენ და ქვიშანარევ რიყის ცხელ ქვებზე წამოწვნენ.

ამასობაში ბორნის მისადგომთან სირბილით მოიჭრნენ სიგრილეს მოწყურებული ვერელი და ვაკელი მოზრდილი ყმაწვილები. უცბადვე დაჰყარეს იქვე ტანსაცმელი და მთლად ტიტლიკანები ყიჟინით შეცვივდნენ წყალში.

ბორანი შუა მტკვარში იყო. ნელა, თავისებური ზუზუნით იძვროდა მსხვილი ბაგირი და მობანავე ყმაწვილების შეძახილებში ყრუდ ისმოდა ბორნის გვერდებზე მიხლილი მძიმე ტალღის დგაფუნი.

ვერელი და ვაკელი ყმაწვილების გუნდა შეუმჩნევლად გამოეყო ერთი, ნაპირზე ამოცოცდა. ქვაზე ჩამოჯდა და მზერა აქეთ-იქით გააპარა. ბორანი შუა მტკვარს მიაპობდა. რიყეზე არავინ ჩანდა, მხოლოდ ქვემოთ, მოსილულ ნაპირზე იწვნენ პატარა ბიჭები და მზეს ეფიცხებოდნენ...

— ბიჭო, ოფელში ვარ და ერთ მშვენიერ დღეს ბიძაჩემი მამიე მეუბნება: ჩემო გენიოსო ძმიაშვილო ალიოშა ჩაბრაძე, ეირბენდი ერთი ზედაოფელში ბიკოლაჩემთან და ჩამომირბენინებდი იმ პაწაა, ოაცხას ბიცოლა გამოგატანს... ეირბენდი, ეირბენდი — შვიდი კილომეტრია ასარბენი, ვფიქრობ გულში, მაგრამ ბიძაა და რას იზამ? თანაც — მარჩენალი ბიძა... დავადექი ზაფხულის მზით გადაბუგულ გზას, მივდივარ და ვყლაპავ მტვერს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ცოტა მოკლედ თქვი, — ეუბნება ოთარი.

ოთხივე ქვიშაგარეულ ქვებზე წევს და წამდაუწუმ ფეხებს ატლინკავებს. დათოს კეფაზე ხელები დაუწყვია და თავჩაღუნულია, სხვები სახეში შესციცინებენ ჩაბრიას.

— ერთი წყაროა შუაგზაზე, ბუჩქებში. მივაწიე, დავლიე და წამოვგორდი, ცოტას შევისვენებ-მეთქი. ქე არ ჩამძინებია! — ჰყვება დინჯად ჩაბრია და თანაც წვრილი კენჭებით ქვიშაზე ბორნის მსგავს ფიგურას აწყობს.

— ყრუ ლაპარაკმა გამომაღვიძა. მზე გადასულა, ბუჩქებში ვწევარ. ვხედავ, წყაროსთან ორი უცნობი კაცი ზის. რაღაცას საეჭვოდ ბუტბუტებენ. მე ვერ მხედავენ, ბუტბუტებენ და ბუტბუტებენ...

— ე ბიჭო, თქვი, გამიხურდა თავი!.,

— მეიცა პატარა, სად გაქვს თავი, რომ გაგიხურდეს?... რაღა ბევრი გავაგრძელო, მივხვდი, რომ ჯაშუშ-შპიონები არიან, შემოგზავნილები, ნემცები ან თათრები, ინგლისელები ან იაპონელები... რა ვქნა ახლა მე? ვტაცე ხელი მოზრდილ ქვას, გადმოვევლე ბუჩქს და დავჭყივლე: არ გაინძრეთ, თორემ გაგათავებთ-თქვა, დაყარეთ იარაღი-თქვა! იცოცხლე, დაყარეს იარაღი, აბა რას იზამდნენ? გამოვრეკე სოფელში და მივგვარე ბიძაჩემ მამიეს, ეს პაწა რაცხა ბიჭოლაშენმა გამოგიგზავნა-თქვა...

— ჰო, ჰო, ჰო! ჰა, ჰა, ჰა!

— ჩაბრო, მართალს ჰყვები თუ გვამასხარავებ? — ეკითხება მარკლენა.

— არ დაიჯერო! — მოკლედ მოჭრა დათომ, ზურგზე გადაბრუნდა და განაგრძო. — ეგ მხატვრები და საერთოდ ხელოვნების ხალხი ყველა ფანტაზიორია. იცით, რას მაგონებს ბორანი? ქარონის ნავს...

— ე ქარონი ვინღაა?

— გარდაცვლილთა გადამყვანია საიქიოში. გადაიყვანდა მდინარე სტიქსზე გარდაცვლილთა სულებს და არ-თმევდა გასამრჯელოს... ასე არაა ეს მებორნეც? აჰა, გადმოიყვანა ორი კაცი, გამოართვა ფული და გაბრუნდა. ესენი კი მთვარეულებივით მიცოცავენ რიყეზე და თავი ცოცხალი ჰგონიათ.

— ახლა მე გიამბობთ ნამდვილ ამბავს, თქვენ ორთავე ჭოსატყუილები ხართ, — თქვა ოთარმა. მაგრამ დათო უცებ წამოხტა, ჩაბრიას ხელი დაუქნია და წყალში შედგაფუნდა...

მზე უკვე გადახრილი იყო, როცა ბანაობით დაღლილმა და აახეგადაწითლებულმა ბიჭებმა ტანსაცმელს მიაშურეს. ვერელი და ვაკელი ყმაწვილების კვალი დიდი ხანია გამქრალიყო.

— ფეხსაცმელები წაუღიათ! — იყვირა უცებ მარკლენამ.

ბიჭები სახტად დარჩნენ. აღარ იყო მარკლენას ახალთახალი ტყავის ოხტა ტუფლები, დათოს მამისეული მოკლეყელიანი შევროს წაღები, ოთარის საგარეო ფეხსაცმელი... მხოლოდ ჩაბრიას ძირგახვრეტილი ჩუსტები ეყარა შორიახლო.

— მომკლავს მამაჩემი! — ტირილჩამდგარი ხმით ამოიკნავლა მარკლენამ.

— რა გვაჭამეს! — თქვა ოთარმა და მაისური გადაიცვა.

— მაგათი დედა ვატირე! ერთი ვიკოდე, ვინ იყვნენ!.. — დაქადნებით იყვიოა ჩაბრიამ და მებორნისკენ გაიქცა. ქარონი ბორნის კიჩოზე იჯდა, ფეხები წყალში ჩაეყარა, ერთი ხელით ბალნიან მკერდს იქექავდა, მეორეთი ლუკმას იტენიდა პირში.

— ჩვენი ბოალია, ყეყეჩები ვართ,— თქვა დათომ.

მარკლენა ქვაზე იჯდა და უხმოდ ტიროდა. ბიჭები დაბნეულები იდგნენ.

—მებორნე არ იცნობს, მგონი ვერელები და ვაკელები იყვნენო. — მობრუნდა ჩაბრია.

— წავიდეთ მილიციაში, — თქვა ოთარმა.

თენგიზ გუაჩიძე

გჯა ბავშვობისაკენ

— აქვეა ალმართზე — გაიხსენა ჩაბრიამ.

— წავიდეთ, წავიდეთ! — წამოხტა იმედმოცემული მარკლენა.

— წავიდეთ, — გადაწყვიტა დათომ.

წავიდნენ. ცხელ ასფალტზე ბატებივით მიაბიჯებდნენ. სოლიდარობის ნიშნად ჩაბრიაც ფეხშიშველი მიდიოდა, ჩუსტები შარვლის ჯიბეებში ჩაეჩარა. აუყვნენ ალმართს და მიადგნენ მილიციას. გრილ სამორიგეოში ერთი მილიციელი იჯდა და რაღაცას წერდა. ბიჭებმა დათო წინ წააგდეს.

— ამხანაგო უფროსო, შეიძლება მოგმართოთ?

— გისმენთ, — თავი ასწია მილიციელმა.

— ვბანაობდით ბორანთან, ვილაც ბიჭებმა ფეხსაცმელები მოგვპარეს...

— ჩვენ თქვენი ფეხსაცმელების ყარაულად უნდა ვიდგეთ?

— მართალია, უყურადღებობით მოგვივიდა. მაგრამ იქნებ იცნობთ იმ ხალხს, ვეღელები და ვაელებია...

— ვერა და ვაეე ნახევარი თბილისია.

— მაშ რა ვქნათ?

— ფეხსაცმელები რიყეზე დაყარეთ, თქვენ აი შორა გაცურეთ ან გალმა გახვედით, არა?

— ცოტა შორა ვისხედით. ვინ იოიქრებდა, რომ...

— უნდა გეფიქრათ!

— რა ვქნა ახლა? — ატირდა მარკლენა.

— ნუ ქვითინებ, ბიჭო, გოგოსავით, ფულს შეგიგროვებთ, — სკადა დამშვიდება ოთარმა.

— რად შინდა თქვენი ფული, მამამ ზაკაზით შეაკერინა. მომკლავს! რა ჯანდაბად ჩავიცვი დღეს?..

— ვინაა ბიჭო მამაშენი? — ინტერესით იკითხა მილიციელმა.

— ამხანაგი სიმონი, ამხანაგი სიმონ გაბგაბია! — ერთხმად უპასუხეს დაიმედებულმა ოთარმა და ჩაბრიამ.

— გამიგია, მაგრამ მაგ საქმეს ამხანაგი სიმონ ივანიჩიც ვერ უშველის, — ჩაუქროლა იმედი მილიციელმა. — ყოველ შემთხვევისათვის, თუ გსურთ, განცხადება დაწერეთ.

— მოვიფიქრებთ, — უპასუხა დათომ და ბიჭები გარეთ გაიყვანა.

— უიმედოა ეს საქმე, — თქვა ჩაბრიამ და ქვის მოაჯირზე ჩამოჯდა.

— შენ რა გენაღვლება, ჩუსტები ჯიბეში გაქვს! — იყვირა ჭირვეულად მარკლენამ.

— ყვირილით და ტირილით საქმეს ვერ ვუშველით. დავწეროთ განცხადება? — იკითხა საქმიანად დათომ და დაუმატა: — მე და ოთარს პასუხს ალავინ მოგვთხოვს, მაგრამ ამას რა ეშველება? მამამისი ქამრით სცემს...

მარკლენა ისევ ატირდა.

— ერთად მივიდეთ მამამისთან და ვუამბოთ. ხომ არ შეგვჭამს? — თქვა ჩაბრიამ.

— მიდით, — უპასუხა დათომ.

— შენ?! — კვლავ იყვირა მარკლენამ.

— მე არ წამოვალ, თუმცა ჩემი ბრალიცაა, — მოჭრა დათომ, შებრუნდა და ალმართს აუყვა. მარკლენა რაღაცის თქმას აპირებდა, მაგრამ ოთარმა და ჩაბრიამ ხელი სტაცეს და ხმა გააკმენდინეს...

საღამო ხანს ნამტირალევმა მარკლენამ მილიციას მამამისის დაწერილი განცხადება ჩააბარა. და როცა მილიციელმა, უკვე სხვამ, განცხადებია წაკითხვის შემდეგ თვალები გადმოუბრიალა, ოთახიდან გავარდა და ალმართზე მოჰკურცხლა.

თუ რა ეწერა ამხანაგ სიმონია ამ განცხადებაში, სამწუხაროდ, ისტორიას არ შემოუნახავს (ყველა სხვა მისი განცხადება უკვე დიდი ხნის მოძიებულია არქივებში). მხოლოდ ის ერთადერთი სავალალო ფაქტია ცნობილი, რომ ამის შემდეგ მარკლენა დიდხანს ატარებდა ძველ, გაცვეთილ-გადატყაულ ფეხსაცმელს, რაც მეტად მძიმედ მოქმედებდა მომავალი იურისტის გუნება-განწყობილებაზე...

ნიკო
ფიროსმანაშვილი

გიგო გაგაშვილი



ქეთევან მაღალაშვილი

ეკატერინე
ბაღდავაძე

ნათელა იანქოშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლადო გუდიაშვილი

თენგიზ მირზაშვილი

რობერტ სტურუა

ეროვნული ბიბლიოთეკა

 დიმიტრი ერისთავი



შოთა
ხოლუაშვილი

ილო
პატაშური

ნაწყვეტი დღიურიდან. 1941 წელი

1941 წლის 22 ივნისი. მე ვარ მარინე (და არა მარინა!) მინდელი, თხუთმეტი წლისაა (დაბადებული ვარ 1926 წლის 26 მაისს). დღეს დაიწყო ომი, მე ვიწყებ დღიურს.

ჩვენი ოჯახი შედგება დედაჩემისგან და ჩემგან. მამა არ მყავს. თუ რატომ არა მყავს ახლა მამა, დაინტერესებული მკითხველი (როგორც იტყვიან ხოლმე) ქვემოთ უნდა მიხვდეს. უნდა მიხვდეს, რადგან მე აღვწერ ყველაფერს, რაც მოხდება და თანაც გავიხსენებ ბავშვობას (რაც გამახსენდება ანუ, რაც მახსოვს).

მამაჩემი, მირიან მინდელი, წარმოშობით რაჭველია (სოფელ სორიდან), დედა — ზემოიმერელი, ნებიერიძის ქალი, სახელად ეკატერინე ანუ ეკა (და არა კატო)!), მსახურობს ერთ კანცელარიაში, მანქანაზე ბეჭდავს. დედის სოფელში მყავს ბებია, ანუ ბებო, უამრავი წლისაა (ორმოცდაათს გადააცილა!), ბებოს აქვს სახლი და ეზო, ჰყავა ქათმები (ანუ ვარიები), წინათ ჰყოლიათ ძროხა, სახელად ლამაზო (მე მას აო ვიცნობდი, მაგრამ ბებო მიყვება ხოლმე).

ბებოს ჰქვია მარიამი. არსებობს კიდევ პატაია მარიამი, დეიდაჩემი, რომელიც ცხოვრობს ბაქოში ქმარ-შვილთან ერთად (მისი ქმარი, ძია ბაგრატი, გვარად რეხვიაშვილი, იქაური განთქმული რესტორნის მთავარი მზარეულია).

მყავს მამიდაკ, რომელიც ექიმია და ჰქვია ნინომამიდა (მისი ქმაოია ძია ბუტა! იგი მეგრელია და საყვარელი კაცია, მისი გვარია მერცხულავა და აოა მირცხულავა!).

მამის მხრიდან, სამწუხაროდ, სხვა არავინ მყავს. მშობლები ადრე გარდაცვლია (შორეული ნათესავები ჰყოლია სორში, მაგრამ მე მათ არ ვიცნობ). ოციან წლებში მამა ყოფილა აქტიური კომკავშირელი (იგი დაბადებულია 1905 წელს), მერე — პარტიული მუშაკი. დედაჩემი გაუცვნია, როცა მის რაიონში გამოუგზავნიათ კომკავშირულ სამუშაოზე, და შეურთავს 1925 წელს.

ჩვენი სოფელი (დედისა, ბებოსი და ჩემი) ძალიან ლამაზია, მთებშია ჩაჭედილი, გვერდით ჩაუდის მდინარე და რკინიგზა.

მე ეს-ესაა დავამთავრე რვა კლასი და გადავედი მეცხრეში. ახლა გვეწყება არდადეგები და უნდა წავიდე სოფელში ბებოსთან, რაც ძალიან მახარებს. ვსწავლობ საშუალო სკოლაში, სოლოლაკში. სკოლის დირექტორია პატივცემული გრიგოლ უგრეხელიძე, უკეთილშობილესი პიროვნება, ჩვენი კლასის დამრიგებელია მასწავლებელი ეფროსინე ბერულავა — ეფრომასწავლებელი...

მყავს ერთი ახლო მეგობარი, დათო მიზანდარი (მეხუთე კლასამდე ჩვენთან სწავლობდა, შემდეგ გადავიდა). მამამისი, ძია ევგენი, მამაჩემივით აღარ არის. დათოს დედას ჰქვია დეიდა ელენე, იგი დედაჩემის სოფლელია. ამიტომ მე და დათო ზაფხულობით ერთად ვიზრდებოდით. დათოს დედა, დეიდა ელენე, მასწავლებელია. ოღონდ ჩვენს სკოლაში კი არ ასწავლია, არამედ ვაკის საბავშვო სახლში. სადაც უდედმამო ბავშვები ცხოვრობენ.

უჰ, რა ბევრი დავწერე. მგონი კაოგად გამოდის — თითქმის მთელი ოჯახი წარმოვადგინე. განვაგრძოთ...

დღეს დაიწყო ომი და აი რა მოხდა: ავერა იყო და გვიან გავიღვიძე. დედა მეუბნება, რადიომ გამოაცხადა, ომი დაიწყოო. ეს სიტყვები მეუცხოვა და სწრაფად წამოვხტი. რას ნიშნავს, ომი დაიწყო-მეთქი? მოუსმინე და გაიგებო.

მოვუსმინე რადიოს. გამოვიდა ამხანაგი მოლოტოვი, რომელმაც თქვა: ფაშიატური გერმანია ვერაგულად თავს დაგვესხა, წითელ არმიას ბრძანება მიეკა, გარეკოს მტერიო. ბოლოში თქვა

თენგიზ გუაჩიძე
ბზა ბავშვობისაკენ

საინტერესო სიტყვები (ჩავიწერე): **„ჩვენი საქმე სამართლიანია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“**

მე მგონი მალე დავამარცხებთ თავხედ ფაშისტებს, ჩვენ არმიას ვინ გაუძლებს?! დედამ არაფერი მიპასუხა და ამოიოხრა. დღეს, მგონი, უკეთაა.

მხიარულად წავედი სტუმრად მამიდასთან.

ნინომამიდა პლეხანოვზე ცხოვრობს. კარი რომ გამიღო, ნამტირალევი სახე შევამჩნიე. გამიკვირდა (მამიდა მაგარი ქალია, ქიროურგია). რა იყო, მამიდა-მეთქი, შევძახე. ომი დაიწყო, შვილო. მერე რა მამიდა, მალე გავრეკავთ ფაშისტებს. აი მოლოტოვმა ხომ თქვა, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო. მამიდას ცრემლი მოადგა, პატარასავით კალთაში ჩამისვა. შენ რა გეამის, რა უბედურება დაიწყოო, ყველაფერი აირევა და დაინგრევაო. ძია ხუტას ფრონტზე წაიყვანენ. უკვე სამსახურში გაიქცაო, მეც მობილიზ ცია მიწევს, ექიმი ვარ, ფრონტზე გამგზავნიანო. მერე რა, მამიდა, ვუთხარი, ფრონტზე თუ მოხვდით შენც და ძია ხუტაც თავს ისახელებთ, გმირები გახდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ომი ისე დამთავრდება ვერც კი მიასწრებთ მისვლას-მეთქი. რა კარგი რამ ხარო, მითხრა მამიდამ, ნეტა მეც მაგ ჭაუის ვიყოო. შემდეგ ცრემლი შეიწმინდა, პირი დაიბანა და ნამცხვრით გამიმასპინძლდა. ფული მომცა ასი მანეთი, ბებოს ჩაუტანეო.

იქიდან ცოტა დაფიქრებული წამოვედი. ხიდზე რომ გადმოვდიოდი, უამრავი ხალხი დავინახე, წითელ დროშებს მოაფრიალებდნენ, სტალინის სურათები მოჰქონდათ, ომახიანად მღეროდნენ. აბა, მალე დავამარცხებთ გერმანელებს, ჩვენი ხალხი უძლეველია-მეთქი, ვფიქრობდი.

საკმაოდ დაიმედებული მოვედი შინ და ჩემოდნის ჩალაგება დავიწყე. ამაღამ სოფელში მივდივარ! აქედან დედა გამაცილებს, ხვალ დილით კი ბებო დამხვდება სოფლის სადგურზე. ერთი ღამეც და სოფელში ვარ. რა კარგია, რა მშვენიერია აღდადეგები! ახლა ვწერ დღიურს. ვამთავრებ.

23 ივნისი. ღამეა. სოფელიც ისე აფორიაქებული დამხვდა, როგორც თბილისია. დალაგებით მოვყვები.

დილით რომ მატარებელში გამეღვიძა (კუთხეში მიკუნჭულს მეძინა), ჩემს წინ ერთი სამხედრო კაცი აღმოჩნდა, მეთაური (საყელოზე ორი „შპალი“ ეკეთა), წყალტუბოში საგზურით მიდიოდა. მეტად შეშფოთებული ჩანდა. სულ იმას გვეკითხებოდა, სად ჩავიდე, უკან მიმავალ მატარებელს რომ გავყვეო (ყველა სხვადასხვანაირად ურჩევდა), რა გადმოსცეს რადიოთი, დაწვრილებით მიამბეთო (ვუამბობდით, ვის რა გვახსოვდა). წუხდა, რაღა გზაში მომისწრო იმან, რასაც სულ ველოდიო. დაბნეულიც ჩანდა. ქალაქ ბობრუისკში უნდა დაბრუნდეს, მგონი იქაა მათი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში, როგორც თვითონ თქვა, ოჯახი ბობრუისკში ჰყავს — დედა, ცოლი და ორი შვილი, ქალ-ვაჟი.

დილის ცხრა საათზე ჩამოვედი. სადგურზე ცხადია, ბებო დამხვდა. შორიდანვე შევნიშნე. თეთრი თმის უზარმაზარ ბუჩქა ქაი უწეწავდა.

ჩემი ბებო ძლიერ მიყვარს, ძალიან ლამაზია: მაღალი, ლონიერი, ნათელშუბლიანი, ცხვირი აეხიანი აქვს, თვალები — ცხივიანი, მზერა — დამცინავი, უფრო ხშირად — დარდიანი (გარდა ყველაფრისა, ბებოს ორი პირველი ბავშვი — ბიჭები — რამდენიმე თვისანი გარდაცვლია, შემდეგ გაჩენილან დედაჩემი ეკა და დეიდაჩემი მარიამ მეორე).

წავედით. ვუყვებოდი გუშინდელ ამბებს. ქუჩაში ყველა გვესალმებოდა. დათოს ანიკობებია თავის ჭიშკართან იდგა, გულში ჩამიხუტა. ამანაც გამომკითხა. დათო ხომ არ ჩამოსულა-მეთქი, ვკითხე. განა არ იცი, აგვისტოში ჩამოვაო, მიპასუხა. არ მინახავს-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მივედით შინ. რა კარგია ჩვენი ეზო — ვაშლის, ალუბლის ხეები, ძველი თუთის ხე ჭიშკართან (სოფლურად — ბეოლა), უნაბი, მამაჩემის დარგული შავი ბალი (მწიფობაში შედის!), სახლის უკან — სიმინდის ყანა, პატარა ბოსტანი, სულ ბებოს ხელით მოვლილი. ბებომ თქვა, სიმინდია გასამარგლი, თოხნას გასწავლიო (ბებო უსაქმო ხალხს ვერ იტანს!), წყალიც მე უნდა ვზიდო ჭიდან (ჩვენი ჭიშკრიდან ას მეტრზეა ნებიერიძეების ჭა ჰქვია. ისეთი ღრმაა, შიგ ჩახედვას ვერიდები, ყინულივით ცივი წყალია. საერთოდ, ჩვენი სოფელი განთქმულია გემრიელი წყლით, განსაკუთრებით სადგურის წყალია ცნობილი).

მთელი დღე სახლიდან არ გავსულვარ, ბებოს კუდში დავდევ. მჭადები (ანუ ჭადები) გამოვაცხვეთ, ბუხარში ცეცხლი მე დავანთე, კეცებიც ავაყუდე, მაგრამ დაგუნდავებული ცომის მხურვალე კეცზე დატყეპებას ბებო ჯერ არ მანებებს. კოტა პარკი-ლობიო მომაკრეფინა ყანაში, როცა მოიხარშა, ხის გობზე გადმოჰყარა და თეფშის ყუით დაუწყო კეპვა. ისე გამეტებით უჩახუნებდა, სულ მეშინოდა, თეფში ხელში არ ჩაეფშვნას-მეთქი. ბებო კი იცინოდა — ქალაქელმა გოგოებშა არაფერი იცითო.

ხვალ გავალ სოფელში და ყველას ვინახულებ. აივანზე მინდოდა ლოგინის გაშლა, ბებომ დამიშალა, ჯერ ადრეა, აგვისტოშიო.

ჩვენი სახლი წაბლის ხისაა, ბაბუას აშენებულია იმის სანაცვლოდ, პირველი რევოლუციის დროს რომ გადაუწვეს (სხვათა შორის, ახლაც ვპოულობთ ხოლმე ეზოში დამწვარ-დანახშირებულ ლურსმნებს), ზაფხულში გრილია, მაგრამ ზამთარში სასტიკად ცივია (ზამთრობით ბებო ხან ჩვენთან ჩამოდის, ხან ბაქოში მიდის დეიდაჩემთან), ხვალამდის — დამღალა მგზავრობამ და ახალმა გარემომ. მეძინება.

24 ივნისი. დღეს მივიღეთ გუშინდელი გაზეთი (ბებოს გამოწერილი აქვს „კომუნისტი"), 23 ივნისისა (ორშაბათსაც გამოსულა!). დაკვირვებით წავიკითხე ყველაფერი. სულ სხვაა რადიოთი მოსმენილი და სხვაა საკუთარი თვალით წაკითხული. ზოგიერთ რამეს მოკლედ ჩავიწერ დღიურში, მაინც ხომ ისტორიული დღეა 22 ივნისი, ეს გაზეთი კი სადმე დამეკარგება.

მოლოტოვის სიტყვა:

„საბჭოთა მთავრობამ და მისმა მეთაურმა ამხ. სტალინმა დამავალა, გამოვიდე შემდეგი განცხადებით"...

— რატომ თვით სტალინი არ გამოვიდა? — სვამს კითხვას ბებო.

— ალბათ არ ჩათვალა საჭიროდ, — ვპასუხობ მე. ბებოს უკვირს ასეთი მარტივი ახსნა.

„დღეს, დილის 4 საათზე, საბჭოთა კავშირისათვის რაიმე პრეტენზიის წარუდგენლად, ომის გამოუცხადებლად, გერმანიის ჯარები თავს დაესხნენ ჩვენს ქვეყანას, იერიში მოიტანეს ჩვენს საზღვრებზე ბევრ ადგილას და თავისი თვითმფრინავებიდან ყუმბარები დაუშინეს ჩვენს ქალაქებს — ჟიტომირს, კიევს, სევასტოპოლს, კაუნასსა და ზოგიერთ სხვას..."

— ბევრი ხალხი დაიხოცებოდა მოულოდნელი თავდასხმის დროს. წარმოიდგინე, რა საშინელება დატრიალდებოდა იქ, — ამბობს ბებო. წარმოვიდგინე და მხოლოდ ის კინოს კადრები დამიდგა თვალწინ, სადაც ომს უჩვენებენ. მერე ვუამბე ბობრუისკელი სამხედროს ამბავი, როგორ იყო დაბნეული, რა უმწეო მომეჩვენა....

„უკვე მომხდარი თავდასხმის შემ-

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავშვოგისაკენ

დეგ გერმანიის ელჩმა შელენბურგმა დილის 5 საათსა და 30 წუთზე...“

— რა ადრე მისულა? — მიკვირს მე.

— ამ დროს წესიერ ხალხს სძინავს, ამბობს ბებო.

— ბებო, დახვრეტენ? — ვეკითხები.

— ელჩებს არ ხვრეტენ, ჩვენც ხომ გვყავს ელჩი გერმანიაში! — მიპასუხა. ეს გარემოება სულ დამავიწყდა: ჩვენ რომ ეს აქ დავხვრიტოთ, იმას იქ დახვრეტენ და რა გამოვა?

„...თავისი მთავრობის სახელით განმიცხადა მე, როგორც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს, რომ გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა ომი დაიწყოს სსრ კავშირის წინააღმდეგ... ახლა, როდესაც თავდასხმა უკვე მოხდა, საბჭოთა მთავრობამ ჩვენს ჯარებს უბრძანა, უკუაგდონ ყაჩაღური თავდასხმა და განდევნონ გერმანიის ჯარები ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან...“

ბებო: ასე ადვილია უკუგდება?

მე: ნახე, თუ არ გარეკავენ, ერთ კვირაში ყველაფერი დამთავრდება. გაიხსენე, ჩვენ გვყავს ვოროშილოვი, ბუდიონი.

„...წითელი არმია და მთელი ჩვენი ხალხი გააჩაღებენ ძლევამოსილ სამამულო ომს...“

ბებო: სამამულო ომი?

მე: ხომ გახსოვს. იყო ადრე კიდევ ერთი სამამულო ომი — 1812 წელს. ნაპოლეონს რომ ებრძოდნენ, ისტორიაში ყავიარეთ.

„...მთავრობა მოგიწოდებთ თქვენ, საბჭოთა კავშირის მოქალაქენო, კიდევ უფრო შეამჭიდროვეთ თქვენი რიგები ჩვენი სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო, ჩვენი საბჭოთა მთავრობის გარშემო, ჩვენი დიდი ბელადის ამხ. სტალინის გარშემო. ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება“.

ბებოც მეთანხმება, რომ ეს სიტყვები მართლაც კარგადაა ნათქვამი!

შემდეგ წავიკითხეთ ბრძანებულებანი სამხედრო წესების გამოცხადების, მობილიზაციის, სამხედრო ტრიბუნალის შემოღების შესახებ. ბებო ამბობს, რომ ომიანობის დროს ეს ჩვეულებრივი და საჭირო საქმეა. მოიგონა პირველი მსოფლიო ომის ამბები — კარგად ახსოვს მაშინდელი საშინელება: დაჭრილებით სავსე ჰოსპიტლები, შიმშილი, სპეკულაცია, შავი ბაზარი... აი რა ყოფილა ომი, ვფიქრობდი მე. ბებო ოხვრით ამბობს, რომ ჯერ სად არის, უამრავი ხიფათი და გაჭირვება მოგველის მომავალში (ნუთუ ნინომამიდა მართალია და ომი წლობით გაგრძელდება?). მე ვეკამათები, ვუმტკიცებ, რომ ომი მალე დამთავრდება.

ერთად ვაანალიზებთ წითელი არმიის მთავარსარდლობის პირველ ცნობას 22 ივნისისათვის, მაგრამ დასკვნები სხვადასხვა გამოგვაქვს:

„1941 წლის 22 ივნისს, გათენებისას, გერმანიის არმიის რეგულარულმა ჯარმა იერიში მოიტანა ჩვენი სანაპირო ჯარების ნაწილებზე მთელი ფრონტით ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და დღის პირველი ნახევრის განმავლობაში მას ეს ნაწილები უმკლავდებოდნენ...“

ე. ი. მესაზღვრეები, ვასკვნით ორივე.

„დღის მეორე ნახევრიდან გერმანიის ჯარი წითელი არმიის საველე ჯარის...“

ე. ი. ნამდვილი ჯარის, ამბობს ბებო.

„...მოწინავე ნაწილებს შეხვდა. გაფთრებული ბრძოლის შემდეგ მტერი უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით“.

აი ხედავ, ვეუბნები ბებოს, უკუგდებულ იქნა დიდი ზარალით! ესაა ჩემი ყველაზე დიდი არგუმენტი.

„მხოლოდ გროდნოსა და კრისტინოპოლის მიმართულებებით მტერმა შეძლო მიეღწია უმნიშვნელო ტაქტიკური წარმატებებისათვის და დაეკავებინა დაბები კალვარია, სტოიანუვი და ცეხანოვეცი“.

— აი ხედავ, მიბრუნებს სიტყვას ბებო, — მაინც დაიკავეს!

— მერე რა, ვეუბნები, ხომ გაიგონე, რომ ეს უმნიშვნელო ტაქტიკური წარმატებაა.

— ტაქტიკურია თუ რაღაც, ვხედავ, რომ პრაქტიკულია, — ჯიუტად ამბობს ბებო.

ჩვენს პატარა რუკაზე ვეძებთ ამ დაბებს. არ არია აღნიშნული. ვნახეთ მხოლოდ გროდნო, კრისტინოპოლიც ვერ ვნახეთ. გადავწყვიტეთ, ვიყიდოთ დიდი რუკა (სახელგამის მაღაზიაში უნდა იყოს) და კედელზე ჩამოვკიდოთ.

რომ შევაჯამო, ბებო უფრო საეპტიკუოადაა განწყობილი, მე უფრო ოპტიმისტურად. ბებო თვლის, რომ ომის მოგებას ერთ წელიწადზე მეტი დასჭირდება. მე კი მჯერა, ომი წელსვე დამთავრდება. საბოლოოდ რომ გავიმარჯვებთ, ეჭვი არც ერთს არ გვეპარება.

მერე წავიკითხეთ ჩერჩილის გამოსვლა:

„რუსეთის საფრთხე წარმოადგენს ჩვენს საფრთხეს და ამერიკის შეერთებული შტატების საფრთხეს“.

ცხადია, მხარეა გვიჭერია. ვაკვნით ორივე. იმიტომ, რომ თვითონ უჭირს, თორემ მაგას რომ ჩვენ ვძულვართ, ცნობილი ამბავია. მიხსნის ბებო. მე ვახსოვს, ეგ იყო ჩვენი პირველი მტერი ოციან წლებში, ბევრჯერ მეკ ჩამომიგლეჯია მაგისთვის ნილაბი პარტიულ კრებებზე (ბებო მაშინ პარტიის წევრი იყო. სტაჟი ჰქონდა 1917 წლიდან), ვერაგი ეაცია. მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი არ აქვს. ბებო გაცხარდა კიდეც, რაც მიეკვირა, რადგან ჩერჩილი მხარს გვიჭერა და რა უნდა ბებოს მეტი ჩერჩილისგან?

შემდეგ წავიკითხეთ ჩვენი ცნობილი მოღვაწეების გამოსვლები:

შალვა დადიანი — თქვენთან ვიქნებით, ახალგაზრდებო!

გიორგი ლეონიძე — ალაშობლოსათვის!

ილო მოსაშვილი — დიდი სტალინის დროშას მხოლოდ გამარჯვება სჩვევია!

თბილისში მიტინგები შემდგარა: მარჯანიშვილის თეატრში, საგალტროლოდ ჩასულ ქუთაისის თეატრში, აბრეშუმაკესოვ ფაბრიკაში, კინო „სპარტაკში“, ბაღებში, სკვერებში, მოედნებზე, წარმოება-დაწესებულებებში, მიტინგები ბელადის სამშობლო ქალაქში.

ახალგაზრდები განცხადებით მიმართავენ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს ამხ. კოზლოვს, ვადამდე გაიწვიონ ისინი წითელი არმიის რიგებში.

ბებო ყველაფერს უაიტყვოდ იამენს, ხანდახან თუ გადააქნევს თავს, სულ რაღაცას საქმიანობს. ხელს ერთი წამითაც არ აჩერებს. ბებოს ძალიან ლამაზი ხელები აქვს, როცა აკმეა აკეთებს, უნდა უყურო და უყურო!...

მთელი გაზეთი წავიკითხეთ, არც ერთი სტრიქონი არ გამოგვტოვებია. მე განსაკუთრებით მაინტერესება ლიტერატურისა და ხელოვნების ამბები (გაკვირვებია, რატომ!):

ეიზენშტეინმა დაიწყო მუშაობა ახალ ისტორიულ ფილმზე — „ივანე მრისხანე“.

გამოიცა „აბესალომ და ეთერის“ ალავირი — პირველი ქართული ნაბეჭდი ალავირი.

ესტრადის მსახიობთა სრულიად-სა-

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავშვოგისაკენ

კავშირო კონკურსი, დამთავრდა პირველი ტური.

თეატრებში: ოპერა — „ქეთო და კოტე“, რუსთაველი — „უდანაშაულო დამნაშავენი“, „ღალატი“, ნარჯანიშვილი „მკაცრი ქალიშვილები“. ქუთაისის თეატრის გასტროლები — „მეფე ლირი,“ „დაწუნებული საქმრო,“. უცხოეთის ამბები, შინაური ამბები, განცხადებები...

მეტად საინტერესო გაზეთია.

12 საათზე წავედი ახელგამში რუკის საყიდლად.

მართალია, ჩვენი სოფელი რაიონის ცენტრია, მაგრამ მაინც სოფელია. ყველას ვიცნობ — ნახევარი ჩვენი ნათესავია, ნახევარი — ნაცნობი.

მაღაზიაში ხანდია-გოგრა შემხვდა. ისიც რუკას ყიდულობდა. ძლივს მივუსწარი, სულ დაიტაცესო. ხანდიას ველაპარაკე: სკოლა დაამთავრა, ჯარში აპირება (თუმცა ერთი წელი აკლია). დაკოიჭა თავისი ნაფოტა კბილები და მეუბნება: ჯარში მეკავშირეობა უნდა ვითხოვო, ომი რომ დამთავრდება, სპეციალობაც მექნება, ხომ იცი, რადიოსა და ტელეფონს ოა დიდი მომავალი აქვსო. რომ შევხედე, მივხვდი, თითქმის ბავშვია. რუსული იაწავლე, შე ბეჩავო, თორემ იმ ტელეფონით სიტყვაა ვერავის გააგებინებ-მეთქი. „სვიაზ!“ — მომახალა წამსვე. ტყუილად ხომ არ უყვარდა ატეფენსონი და ედისონი?! ახლა რადიო და ტელეფონი დაიჟინა! თუ ომა გადაურჩა, ნამდვილად ინჟინერი გამოვა.

წამოვედი. ნებიეოიძეების ჭაათან მოხუცები ისხდნენ. ცხადია, ომზე და პოლიტიკაზე ლაპარაკობდნენ. მივესალმე. ჯერ ვეო მიცნეს. შემდეგ ბაბუა ერმალომ დამადევნა კითხვა: მარიამის შვილიშვილი არა ხარ. გოგო, შენე? კი-მეთქი, ვუპასუხე. ოამხელა ქალი გაზრდილხარო (მართლაც, ძალიან მივიწევ სიმაღლეში, მალე ბებოს დავეწევი!).

მოვედი შინ და რუკა აედელზე გავაკარი. წვრილი ქალაქები არც მასზეა აღნიშნული, მაგრამ ჩვენსას ბევრად სჯობია. ბებო ბოსტანში იყო. მივედი და მივეხმარე.

საღამოს სახლი დავალაგეთ, მე წიგნებს ვალაგებდი. გადმოვყარე კაადიდან, გავწმინდე და მწყობრად ჩამოვარიგე (სულ ჩემი მშობლებისაა). ძველი გაზეთების დასტებიც ვნახე. ბევრ საინტერესოს მოვკარი თვალი. მერმისისათვის გადავდე.

ხვალიდან ვიწყებ ნორმალურ ცხოვრებას. ბებომ მთელი პროგრამა დამიანახა: სიმინდის მარგვლა, ეზოს გაუფთავება, ბოსტანში მუშაობა, წყლის ზიდვა. სადილის აეთება (ყველაფერი მიკი ხელმძღვანელობით! გამოგადგება, შვილო, მეუბნება).

სადღა მექნება თავისუფალი დრო? ჩემი ბებიკო ნამდვილი დესპოტია! მისი შეხედულებით, ქალი რომ ერთი წუთითაც უსაქმოდ დარჩეს, წასულია მისი საქმე! თანაც კითხვას და წერას ნამდვილ საქმედ არ თვლის. დე იყოს ასე. იყოს ისე, როგორც სურს ჩემს აყვარელ ბებიკოს! (მაგრამ მე ჩემსას მაინც ვიზამ, ვწერ და ვიკითხავ, სტუმრადაკ ვივლი და საბანაოდაც გავეპარები)!

ღამის 12 საათია. ვიძინებ...

25 ივნისი. დედაჩემის ძველ წიგნებში ბარათაშვილის სამი გამოკემა ვნახე: 1919 წლისა (თითქმის აულ დაფლეთილი), 1930 წლისა (კარგადაა შენახული) და 1939 წლისა (თითქმის სულ ახალია), რედაქტორები: ი. თავაძე და ა. გაწერელია, წერილები პ. ინგოროყვაისი, ი. ბალახაშვილისა, ს. ჯანაშიასი, ლ. ასათიანისა, ა. შანიძისა, გ. ნადიოაძისა და ი. გრიშაშვილისა. ეს გამოცემა ყველაზე საინტერესოა — პირდაპირ ენციკლოპედიაა ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

ფრონტის ამბები:

მტერი განაგრძობს შეტევას შაულიაის, კაუნასის, გროდნო-ვოლკოვს-

კის, კობრინის, ვლადიმერ-ვოლინსკის და ბროდის მიმართულებით (თითქმის ყველა ეს ქალაქი ახალ რუკაზე ვნახეთ).

წითელი არმია მედგარ წინააღმდეგობას უწევს ფაშისტებს...

სევასტოპოლზე რუმინეთის ტერიტორიიდან გერმანიის ყუმბარმშენების ორჯერ თავდასხმის საპასუხოდ ჩვენმა ყუმბარმშენებმა სამჯერ დაუშინეს ყუმბარა კონსტანცასა და სულინს. კონსტანცა იწვის...

კიევზე მინსკზე, ლიბავასა და რიგაზე გერმანიის ყუმბარმშენების ორჯერ თავდასხმის საპასუხოდ საბჭოთა ყუმბარმშენებმა სამჯერ დაუშინეს ყუმბარა დანციგს, კენიგსბერგს, ლიუბლინს და ვარშავას, სადაც სამხედრო ობიექტებია დიდი ნგრევა მოხდა. ვარშავაში იწვის ნავთის ბაზები.

გერმანელები თვითმფრინავებდან ახამენ საბჭოთა მილიციელის ფორმაში გამოწყობილ დივერსანტებს...

ფინეთმა თავისი ტერიტორია გადასცა გერმანიის ჯარისა და ავიაციის განკარგულებაში....

რუმინეთმა თავისი ტერიტორია მთლიანად გადასცა გერმანიის ჯარის განკარგულებაში...

ეს რა გრანდიოზული რამ ატყდა, რა საშინელება თარეშობს დედამიწაზე? მე კი მეგონა, ერთ კვირაში ყველაფერი გათავდებოდა!

1 ივლისი. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ამხანაგ სტალინის თავმჯდომარეობით, **„იმ მიზნით, რომ სწრაფად მობილიზებულ იქნას სსრ კავშირის ხალხთა მთელი ძალები მტრის უკუსაგდებად“.** ვითარება როგორც ჩანს, უკიდურესად დაიძაბა (ჩემი და ბებოს ერთობლივი დასკვნა).

მე კი ეს დღეები (და ღამეები) სულ ბარათაშვილის კითხვაში გავატარე და ბარათაშვილზე ვბოდავ ახლაც. მეტად შევითვისე და შევიღვიძილე. მგონი, რომ გამეხსნა! რა უცნაური ბედის კაცია! და რა ცუდად გვასწავლეს სკოლაში (ყველა ოეტი შეგვაძულეს!). ბევრს ვფიქრობდი, დამატყვევა, გამიტაცა, გამაწამა და ლექსის მაგივრად აი რა დავწერე:

გული მეუბნება... ნუ გძინავსო.

სხვებს მართლაც რომ ეძინათ. ის კი წვრილი მოხელის მუნდირში იხრჩობოდა. „პეტერბურღიდამ“ ჩამოსული ინსპექტორი „კნიაზ ბარათოვს“ ჩინოვნიკურ გულმოდგინებას უქებდა (ამის შემდეგ ქართველებიც დააწინაურეთ, ხედავთ, რაები ყოფილანო!) და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდა.

ნეტავ რას?

ალბათ უდიდეს დაწინაურებას, ვთქვათ, „სუდა ი რასპრავის“ მთლად უფროსობას! წარმოგიდგენიათ რაამხელა თანამდებობაა?

წასულიყო თელავში. თელავი განჯა არ იყო.

მაგრამ ბედისწერა ახლო მეგობრის, მამუკა ორბელიანის სახით კარს მიადგა და ბოლო წუთს გადაათქმევინა (მგონი, ეს ის მამუკაა, დანტესის მოკვლა რომ უნდოდა). დასნეულებული „კნიაზ ანდრონიკოვი“ განჯიდან ბარათაშვილისთვის განკუთვნილ ადგილზე — თელავში გადავიდა. ეს კი განჯას განეწესა.

გაკეთდა საბედისწერო როკი. განჯა.

ვაი შენს გარჯას განჯაში!

ამათ კი ეძინათ.

მადლობა, ქვით რომ არ ჩაქოლეს. განა ეს არაა ხვედრი წინასწარმეტყველთა? მადლობა მათ, ჩუმ-ჩუმად რომ ჭორავდნენ მხოლოდ. უყვარდათ კი, მაგრამ მაინც ჭორავდნენ. რომ არ გაეჭორათ, რა სიყვარული იქნებოდა, განა ქართველი დიაცები არ იყვნენ? ისე, „ტანცაობა“ მის გარეშე არ მოხ-

---

თენგიზ გუაჩიძე
ბჯა პავშვოგბისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებოდა. რა ცქვიტად „ტანცაობსო“ ეს კოჭლი რაინდი!

„ნუ გძინავსო“.

განა ეძინა?

„ახლა მე იმას ვამბობ, რომ შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესო ხვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავსო!“

ეძინა?

„მე არა მძინავს მაგრამ კაცი მინდა, რომ ამ პატარა კლდე-ღრეს გამიყვანოს, და დავდგე გაშლილს ადგილს. ოჰ, რა თავისუფლად ამოვისუნთქავ მაშინ, რა ხელმწიფურად გარდავხედავ ჩემს ასპარეზსა!“

ჰმ, კაცს ეძებდა...

მადლობა გრიგოლს. ვიცით, რომ უყვარდა, ძლიერ უყვარდა დაი და დისწული (დაო სასურველ! ამა სოფელს შენ დამშთი მხოლოდ...), მეტად წუხდა მელიტონის გაღატაკების გამო, ძლიერ განიცდიდა, დარდობდა, შფოთავდა მათ უმწეობაზე, მაგრამ ქართველი იყო და რა ექნა?

„ვიცი, დაგავიწყდა, მაგრამ არა, არ დაგვიწყებია. ეს იმ სნეულების ბრალია, რომლისა გამოც ქართველი თავისიანს არ გამოადგება...“

ოჯახის სიღატაკე იქამდე მივიდა, ისე დაეცნენ ნივთიერად, რომ ბარათაშვილის გარდაცვალების შემდეგ რუსის გენერალი ლადინსკი მეფისნაცვალ ვორონცოვს მოახსენებდა (ამის გახსენება ახლაც, 100 წლის შემდეგაც, სამარცხვინოა), ორი გროში მივცეთ, თორემ მისი ოჯახი ისეა გაღატაკებული, საშუალება არა აქვთ, ჩვეულებისამებრ სამგლოვიარო ძაძა ჩაიცვანო!

ასე როგორ დააქცია მელიტონმა ოჯახი, რომ ქალებმა შავი კაბის ჩაცმა რ შეძლეს?

ეჰ, გრიგოლ! ხანო ავარიისა, შორეთში გადავარდნილო გენერალო, მეძიებელო სისხლისა გურამიშვილის წარმტაცებელთა და ქართლ-კახეთის უკანასკნელ დღეთა წამმწარებელთა!

ილია ორბელიანის დატყვევება რომ გაიგო, „სამი დღე გაბრუებული ვიყავ ათასის სხვა და სხვა უცნაურის ფიქრებით და სურვილით, და რომ ეკითხათ კი ჩემთვის, მეც არ ვიცოდი, რა მინდოდა. ბოლოს, მესამე დღეს, ეს ლექსები დავწერე („მერანი!“) და თითქოს ამან რაღაც შვება მომცაო“.

შვება რა სათქმელია, შვება კი არა, ცოცხალი როგორ დარჩა, ცოცხალთა წრე რომ გაარღვია და უკვდავებაში გადაიჭრა!?

ადამიანის არსებობის აზრი მიუწვდომელი მიზნისათვის ბრძოლაშია (ეს იდეა იმდენად განვიცადე, შევითვისე და გავიშინაგანე, რომ ახლა თითქოს ჩემეულია, ჩემი სულის სიღრმიდან ამოზრდილი), შენ სხვას უნდა გაუკვალო გზა, იმან კიდევ სხვას, და ასე დაუსრულებლად...

იქნებ ეს თავისთავის შეცნობის იდეაა, საკუთარი თავისკენ სწრაფვაა? ან იქნებ იმ რაღაც იდუმალი ძალის შეცნობის მძაფრი სურვილია, რომელსაც ზოგი ღმერთს უწოდებს, ზოგი ბუნებას? ხოლო შავი ყორანი, უკან რომ მისჩხავის, „თვალბედითი შავი ყორანი“, იქნებ ის ეჭვია, საკუთარი ძალისადმი ის ურწმუნოებაა, რომელიც მართლაც ღრღნის ადამიანის სულს და უსაზღვრო სივრციდან დედამიწაზე ულმობლად ანარცხებს?

არ ვიცი.

იმათ კი მართლაც რომ ეძინათ!

მხოლოდ დედას არ ეძინა, ეფემიას, ორბელიანის ქალს, გრიგოლის დას, ერეკლე მეფის შვილთაშვილს. იმიტომ, რომ დედა იყო.

და ჩავიდა დედა, შვილის სიკვდილის ერთი წლისთავზე, განჯას.

და იხილა ადგილი იგი — საწყალი ქოხი, კვიპაროსის ხე და იქნებ ის „არა ამქვეყნიური ცისა ფერი“ ობლად შთენილი საფლავის თავზე?...

„დამქროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი...“

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩეა ამ ცეცხლიან და სისხლიან დღეებში, მაოფლიოს გაშმაგების ყამს ჩეში დღიურის ფურცლებზე ბარათაშვილის ხსოვნად ეს უმწეო სტრიქონები...

2 ივლისი. ფრონტი:

ბრძოლები გრძელდება მურმანსკის, დვინსკის, ბობრუისკის (ი აქეთკენ მიუწევდა გული ჩემს სამხედრო თანამგზავრს!) და ლუცკის მიმართულებით.

ჩვენთან: დაიბეჭდა გიორგი ლეონიძის ლექსი „სამშობლოსათვის, სტალინისათვის". სტუდენტები მიდიან სამუშაოდ ქარხნებში.

საზღვარგარეთ: ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოუჩენიათ გერმანიის ჯაშუშური ცენტრი...

4 ივლისი. ამხანაგ ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი 3 ივლისს.

„ ამხანაგებო! მოქალაქენო! ძმებო და დებო, თქვენ მოგმართავთ, ჩემო მეგობრებო!"

რა გულში ჩამწვდომად თქვა ეს ფრაზა, როგორი ხმით და ინტონაციით! მეც ვუსმენდი რადიოთი და ბებოც. მე ყოუანტელმა დამიარა და ცრემლი მომადგა...

„მიუხედავად წითელი არმიის გმირული წინააღმდეგობისა... მტერი კვლავ წინ მოძვრება... ხელში ჩაიგდო ლიტვა, ლატვიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ბელორუსიის დასავლეთი ნაწილი, დასავლეთ უკრაინის ნაწილი".

რა სწრაფად მოდის ეს ოხერი. ამბობს ბებო.

„...ფაშისტური ავიაცია აფართოებს თავის ყუმბარმშენთა მოქმედების რაიონებს, ყუმბარებს უშენს მურმანსკს, ორშას, მოგილევს, სმოლენსკს, კიევს, ოდესას, სევასტოპოლს. ჩვენი სამშობლო სერიოზული საფრთხის წინაშეა.. რა არის საჭირო იმისათვის, რომ მოვსპოთ საშიშროება, რომელიც ჩვენს ქვეყანას ემუქრება? საჭიროა, რათა საბჭოთა ადამიანებმა შეიგნონ მთელი სიღრმე იმ საშიშროებისა, რომელიც ქვეყანას ემუქრება".

ეტყობა, ვოროშილოვი და ბუდიონი ააქმეა ვეღ უშველიან. რაღაც დიდი უბედურება ხდება...

„... საჭიროა, რათა ჩვენს რიგებში არ მოიპოვებოდნენ მოწუწუნენი და ლაჩრები, პანიკიორები და დეზერტირები".

რადგან სტალინი ასე ამბობს, ალბათ ეიც ყოფილან. — შენიშნავს ბებო.

„...დაუყოვნებლივ უნდა გარდავქმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავუმორჩილოთ ფრონტის ინტერესებს... წითელი არმია, წითელი ფლოტი და საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე უნდა იცავდნენ ყოველ მტკაველ საბჭოთა მიწა-წყალს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე".

საერთო-სახალხო ბრძოლა, ეი რას ნიშნავს საომარი ომი!

„...უნდა მოვაწყოთ ყოველმხრივი დახმარება წითელი არმიისადმი... უნდა განვამტკიცოთ წითელი არმიის ზურგი..."

ეს ჩვენც გვეხება, ბებო თავს მიქნევს, დაძაბული მისმენს...

„...უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან..."

ჩვენს გარშემო ამგვაროი ჯერ არავინ შეგვხვედრია.

„...პანიკიორებთან, ხმის გამავრცელებლებთან..."

აი ამია ნიშანი ჩანს.

„...უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები, მტრის პარაშუტისტები..."

ეს ყველაფერი ეხება ფრონტისპირა ადგილებს. — ასკვნის ბებო, თუმცა...

თენგიზ გუაჩიძე
გზა პატარა ბიჭისაკენ

„...წითელი არმიის იძულებითი გადმონაცვლების დროს უნდა წამოვიღოთ მთელი მოძრავი სარკინიგზო შემადგენლობა... არ დაუტოვონ მოწინააღმდეგეს არც ერთი კილოგრამი პური, არც ერთი ლიტრი საწვავი... უნდა გამორეკონ მთელი საქონელი... წამოიღონ მთელი ძვირფასი ქონება. რაც არ შეიძლება გამოტანილ იქნას, უეჭველად უნდა მოისპოს...“

ნამდვილი ომი, მგონი ახლა იწყება. მთელი პროგრამაა დასახული, თანაც რა მკაცრი პროგრამა და რა აუცილებელი! ეტყობა, სხვანაირად ბრძოლა შეუძლებელია. ახლა ვნახოთ, ფაშისტებო....

6 ივლისი. ბევრი რამ მაწუხებს: დედის ავადმყოფობა, ჩემი ნათესავების ბედ-იღბალი, დათოს აზრი უკანასკნელი დღეების ამბებზე, შემოქმედების მწვავე სურვილი და... შიში თუ უუნარობა. ბევრი დავწერე და ბევრიც დავხიე... გაფაციცებით ვკითხულობ ძველ გაზეთებს — 1934, 1935, 1936, 1937 წლებისა (მთელი კომპლექტები აღმოვაჩინე). უამრავი ჩემთვის უცნობი ფაქტი და მოვლენა მაღელვებს, მზარავს. მაწუხებს... დედამიწას თითქოს კრუნჩხვა უვლის. და ყველგან მოედინება სისხლის მდინარეები. ვწერ და ვხევ, ვწერ და ვხევ. ჩანს, ერთბაშად ბევრის გარკვევა, ათვისება და შეთვისება მოვინდომე.

რა უძლურია ადამიანის გონება და რა ძ�ierია შეცნობის წყურვილი! თურმე აქამდე ბავშვი ვიყავი. ვგრძნობ, შინაგანი განვითარების რაღაც ახალ საფეხურზე ვარ — მეტად მტკივნეულ, გაურკვეველ შფოთში. იქნებ სხვებიც ასე არიან ამ ომის გამო? ხანდის იგივეა. შუშაავით გამჭვირვალე და ერთგანზომილებიანი, ბებოს ვერაფერს ვამჩნევ (მისი ფიქრების ნაკადი ჩემსაკენ არ ემთხვევა — ამას ვხვდები). დათოა ახლა საჭირო, მისი ნათელი და გამჭრიახი გონება. უნდა დაველოდო, სხვა რა გზაა?

ახსნას დავეძებ წარსულში ხარბად დღევანდელ დღეთა და მომავალთა. ვერ დაიტია გონებამ ალბათ ფაქტი მრავალი, აზრი მრავალთა! და როგორც ყვავილს ავნებს და ახრჩობს სიფიცხე მზის და სიჭარბე წყლისა — მეც, მოკლებული ზომიერ სარჩოს, დასუსტებული ვერ ვწვდები მიზანს; თავს ვაკვირდები უმწეო ზიზღით, მაინც მივილტვი, მივდივარ ურჩად და მელანდება მდინარე სისხლის და დედამიწის სასტიკი კრუნჩხვა.

ესეც მე! ამან ცოტა დამამშვიდა.

ხვალვე წავალ აქაურ სკოლაში, აუცილებლად უნდა ჩავერთო რაიმე საჭირო საქმეში. დათოს ველარ დაველოდები. ასე მომიწოდებს გული და შინაგანად ვგრძნობ, მართალი ვარ...

კიანინო

ის სახლი ქალაქის ერთ-ერთი მთავარი პროსპექტის წყნარ შესახვევში იდგა. როგორც ყველა დიდ სახლში, აქაც მრავალი ოჯახი ცხოვრობდა. კაცები უმეტესად სამსახურში დადიოდნენ, ქალები უმთავრესად დიასახლისობდნენ, ხოლო ბავშვები ეზოს იკლებდნენ.

პირველ სართულზე, რომლის შუშაბანდიანი დერეფანი და მცირე კიბე ეზოში გამოდიოდა, ორი ოჯახი ცხოვრობდა: ერთი ბუღალტრისა, მეორე — მუსიკალური ინსტრუმენტების ამწყობისა.

ბუღალტერი ყველასგან პატივცემული პიროვნება იყო. ადრე გაჭაღარავებული, მაგრამ ორმოც წელსაც არმიტანებული, დინჯი და მარჯვე მეურნე, იგი მეზობლებისა გაჭირვების ტალავესად იყო აღიარებული. ჰყავდა ცოლი და ერთი მოუსვენარი ბიჭი სერგო — მთელი სახლის რისხვა. ხშირად გაუგონიათ სერგოს ღოიალი, როცა მამა სამსახურიდან შინ ბრუნდებოდა და სამართლის სასწორზე დღის ამბებს სწონიდა. ბუღალტრის ცოლი, ამალია, შავგვრემანი ქალი, ოჯახში ქმრისა მონა-მორჩილი, გარეთ ერთი ანჩხლი ვი-

ნმე იყო. შვილს რომ წაეკიდებოდა, ცას სწვდებოდა მისი კივილი.

მეორე ოჯახის უფროსი, რომელსაც ეზოს ბიჭები დაცინვით „მაესტროს“ ეძახდნენ, უკვე საკმაოდ მოხუცებული იყო. მოხრილი დადიოდა თავისი პატარა ჩემოდნითურთ, ჩუმი და უწყინარი ხალხს ერიდებოდა. საოცარია, რომ მის ცოლსაც ამალია ერქვა. ეს იყო მაღალი, წელში გამოყვანილი, მაგრამ საკმაოდ ზორბა ქალი, ბამბასავით თეთრი, ცისფერთვალება. ზედმეტ სიტყვას არ ამოიღებდა, ოჯახშიც სრული თანხმობა სუფევდა.

ამათაც ერთი შვილი ჰყავდათ, მაღალი, ჭიაყელასავით წვრილი, ქერა. ავადმყოფური იერის რუდი. ასე ეძახდნენ. სხვებსავით ეზოში არ დათარეშობდა, სკოლიდან მოსული, მიუჯდებოდა პიანინოს და დედის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა გვიან ღამემდე. მასთან მეგობრობდნენ ბიჭი და გოგო, როცა მშობლებმა ოდესღაც, საოკრად შორს გადატყორცნილ ბავშვობაში, ქალბატონ ამალიას მუსიკაში სავარჯიშოდ მიაბარეს.

მეზობლებს საერთო სამზარეულო ჰქონდათ. მკვეთრად იყო გაყოფილი ამ პატარა ბნელი ოთახის ტერიტორია. ერთ კუთხეში თეთრი ამალიას საოჯახო ჭურჭელი პრიალებდა. მეორე კუთხეში შავი ამალიას ქონება ეწყო. სანამ სამზარეულოში სერგო შეიჭრებოდა, საჭმელ-სასუსნავის მოუთმენელი სურვილით ყველაფერს გადაატრიალებდა, მილეწ-მოლეწავდა და ეზოში გავარდებოდა. მაშინ იწყებოდა შავი ამალიას კივილი. თეთრი ამალია სიტყვასაც არ დაძრავდა გატაცებულ კატლეტზე ან ქათმის ბარკალზე, ჩუმად მიალაგებდა თავის კუთხეს, ოთახში შევიდოდა და რუდის მიუჯდებოდა მკაცრი ზედამხედველივით. რუდი კი უკრავდა...

ომი რომ დაიწყო, ხმა დაირხა, მაესტროს ოჯახი სხვა ქალაქში მიდისო.

ვინ იცის, ვისი წაქეზებით, სერგო მეზობლის კარს მივარდა, წიხლი დაუშინა და აყვირდა:

— ეი, ჭიაყელა მუსიკანტ, ნემეც! გარეთ გამოდი, ვის ემალები!

სხვა ბიჭ-ბუჭებიც აჰყვნენ. ატყდა ღრიალი, სტვენა, კივილი.

მაესტროს ოჯახში პიანინო დადუმდა. გარეთ არავის გამოუხედავს, კარი არ გაუღიათ. იმავე მეზობლებმა დააშოშმინეს ბავშვები.

სამსახურიდან მოსულმა ბუღალტერმა ისე აუწვა ყურები სერგოს, რომ სულ ცივი ხმით აწივლა. სანამ დაიძინა, ტიროდა სერგო სვენებ-სვენებით.

ღამის ათი საათი იქნებოდა, როცა მაესტრომ ბუღალტრის კარზე ფრთხილად დააკაკუნა და კაცი გარეთ გაიხმო.

— დილით მივდივართ, — უთხრა მაესტრომ სევდიანად.

— ჰო. საით, რატომ კაკო?

— არ ვიცი. ალბათ ასეა საჭირო, — მაესტრომ ხელი ჩაიქნია.

— მიგაქვთ ხარახურა? — ჰკითხა ბუღალტერმა.

— ხელის ბარგი, რასაც მოვერევით...

ამ დროს თეთრი ამალიაც გამოვიდა ნამტირალევი სახით და მაესტროს გვერდში ამოუდგა. შავმა ამალიამაც გამოჰყო თავი, მაგრამ დერეფანში გასვლა ვერ გაბედა.

— პიანინო, ძვირფასი ინსტრუმენტი გვაქვს, — დაიწყო იმავე მაესტრომ.

— ვერ წავიღებთ, — თქვა თეთრმა ამალიამ.

— მყიდველიც არავინაა, — ალიარა მაესტრომ და ბუღალტერს შეხედა.

შავი ამალია დერეფანში გამოვიდა და ქმარს ხელი ჩასჭიდა მკლავში. ბუღალტერმა ერთხელ გადახედა მხოლოდ.

— რა ღირს?

მაესტრომ თქვა ფასი. ბუღალტერს გაეცინა:

თენგიზ გუაჩიძე

გზა გავშვოგრისაკენ

— ფანტაზიაა! მაგდენი არა მაქვს, მაგის მესამედს მოგცემთ.

მაესტრომ ცოლს ახედა.

თეთრ ამალიას ცრემლი ღაპაღუპით წამოუვიდა.

— მერწმუნეთ, მცირეს გთხოვთ, უნიკალური ინსტრუმენტია, დამიჯერეთ, ქალაქში არავის არ აქვს ამგვარი, — თქვა მაესტრომ წყნარად და დარწმუნებით.

— მეტი ფული არა მაქვს, ახლა ვერც ვიშოვი. — უპასუხა ბუღალტერმა და მკლავში ჩაბღუჯული ცოლი იდაყვით მოიშორა.

— ერთადერთია ამ ქალაქში ასეთი, — გაიმეორა მაესტრომ და კვლავ თავის მაღალ ცოლს ახედა.

ბუღალტერმა ხელები გაშალა და შინ შესვლა დააპირა.

— კარგი, — თქვა თეთრმა ამალიამ და ხელები სახეზე აიფარა.

მაესტრო გაჩერდა, ერთხანს ცოლს უყურა, მერე ხელები სახიდან მოაშორა, მოეხვია და ორივენი ატირდნენ ერთად...

— ახლავე გამოვიტანოთ, დილით, ვინ იცის, რა მოხდება! — სწრაფად წაილაპარაკა შავმა ამალიამ.

მაესტრომ თავი მოაბრუნა, კარგიო, თქვა და თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო. ცოლმა თავის დაქნევით დაუდასტურა.

შევიდნენ მაესტროს ოთახში.

პიანინოსთან რუდი იდგა. ხელები დახურულ ხუფზე ეწყო და კანკალებდა. ერთი შეხედა შესულებს — ბუღალტერმა კინაღამ უკან დაიხია.

დედამ ხელი მოხვია რუდის და კუთხეში მიიყვანა.

კაცები პიანინოს დაეჭიდნენ, შავმა ამალიამ კარი ფართოდ გააღო.

ბიჭი კედლისკენ შებრუნდა და აქვითინდა.

— რუდოლფ! — უმწეოდ დაუძახა მამამ.

ბიჭმა ხმა ჩაიწყვიტა, გამხდარი მხრები უცახცახებდა, შუბლი კედელზე ჰქონდა მიბჯენილი.

გაათრიეს დერეფანში პიანინო, შავრამ ბუღალტრის ცალფა კარში ვერ შეიტანეს, იტრიალეს, ატრიალეს, იწვალეს, აწვალეს, ვერაფერი მოახერხეს.

— დილამდე იყოს აქ, — თქვა ბუღალტერმა და პიანინო დერეფნის კედელთან მიაცურა.

მაესტრომ ოფლი მოიწმინდა და იქვე აიტუზა.

ბუღალტერი ოთახში შევიდა, კარგა ხნის შემდეგ გამოვიდა და უხმოდ გადაუთვალა ფული მაესტროს.

— კარადა, მაგიდა და საწოლი თქვენი იყოს, — წარმოთქვა წყნარად მაესტრომ. — სამგროშიანი ავეჯია.

— გმადლობთ. ჩვენ არ გვინდა, სხვამ წაიღოს, — უპასუხა ბუღალტერმა. — მშვიდობით იყავით, იმედი არ დაკარგოთ, — დაუმატა მერე.

მაესტრომ გაუბედავად გაუწოდა ხელი, ბუღალტერმა მაგრად ჩამოართვა.

მაესტრო და მისი ცოლი თავისი ოთახისკენ წაფლატუნდნენ.

დერეფნის ბინდბუნდში სალუქად მბზინავ პიანინოს შავმა ამალიამ თვალი ხარბად მოავლო, ფეხაკრეფით მიეპარა და სრიალა ხუფი ნელა ახადა.

— ქალო! — დაუსისინა ქმარმა.

შემკრთალმა ამალიამ ხუფს ხელი გაუშვა. პიანინომ ყრუ ჟღერიალი გაიღო.

— ბიჭი ისწავლის! — მიახაოა ამალიამ ქმარს და თვალები გაუბრწყინდა.

შევიდნენ თავის ბინაში ესენიც და დაწვნენ.

დილით მაესტროს ოთახში აღარავინ იყო...

●

მას შემდეგ ოცი წელი გავა.

შემოდგომის ერთ შუადღეს სახლს, რომელიც ქალაქის ერთ-ერთი მთავარი პროსპექტის წყნარ შესახვევში დგას, უცნობი მიადგება.

ეს იქნება მაღალი. ზვინივით აყუდებული ქერა ვაჟკაცი. გრძელნიკაპიან ენერგიულ სახეზე უცნაურად მომხიბლავი ღიმილი და კმაყოფილება აღებეჭდება. მკერდზე ლაურეატის ოქროს ნიშანი აუბრწყინდება.

მსუბუქი და ფაოთო ნაბიჯით გადაჭრის ეზოს, მზერას აქეთ-იქით დაკვირვებით მოავლებს, ორსაფეხურიან კიბეზე ფეხის ერთი დაკვრით ავა და ზარს თითა დააჭერს.

კარს ჭაღარა, შაოსანი ქალი გააღებს.

— ვეო მიკანით, ქალბატონო ამალია? — ღიმილით შეეკითხება მოსული.

— ვერა... მობრძანდით! — დაბნეულად უპასუხებს ქალი.

იქვე, დერეფნის კუთხეში, პიანინო გამოჩნდება... დასერილი, ნაპირებჩამომტვრეული. გვერდებშელეწილი, ნაბურთავები, ნაწვალები, დასახიჩრებული.

მოაულა სახე შეეცვლება.

ჯიქურ მივა, ნახევრად მოგლეჯილ ხუფს ახდის. კბილებჩალეწილი, ჩაფცქვნილი. ჩაგლეჯილი კლავიატურა გამოჩნდება. ამოცვენილი კლავიშები პერანგშემოკლილი ეკლესიის ჩონჩხივით შეხედავს.

გახევებული ქალი უსიტყვოდ მიაშტერდება მოსულს.

ის კი გრძელ თითს აღმართავს და ფრთხილად, აულ ფრთხილად დაჭერავს ერთ კლავიშს. გაისმის ჟრუანტელისმომგვრელი კვნესა.

უცნობი ხუფს ფრთხილად დახურავს.

— ბოდიში, მშვიდობით, — ეტყვის იგი ქალს, კიბეზე ჩავა, სწრაფი ნაბიჯით გაივლის ეზოს და თვალს მიეფარება.

— გიჟია? — წამოიძახებს ქალი, დერეფნის კარს მიაჯახუნებს და ოთახში შევა, კედელზე ჩამოკიდებულ შავჩარჩოიან აურათებს შეავლებს დაფეთებულ თვალებს, შესტირებს, შებღავლებს და ტახტზე დაემხობა...

არატიპიური დიალოგები

— გოგოებო. იცით რა? — შეიჭრა ალასში გახარებული თალიკო. — გოგოებო, იცით, რა გავიგე?

— რა გაიგე, რა გაიგე, რა გაიგე?

— ჩვენი მარო-მასწავლებელი, მეოთხე კლასამდე რომ გვასწავლიდა, თურმე, თურმე. თურმე...

— რა, რა, რა?

— თურმე ჩვენი ფიზკულტურის მასწავლებლის შეყვარებულია!!!

— ახ, ახ, ახ!

— თურმე წერილი გაუგზავნია... მიყვარხარო...

— ოჰ, ოჰ, ოჰ!..

— იმას კი შეუთვლია. მე სხვა მიყვაოსო...

— უჰ, უჰ, უჰ!

— ამას კი უტირნია...

— ჰი, ჰი, ჰი!

— ახლა შეერიგებულან და ერთად დადიან...

— უი. უი, უი!

— მარკლენ-ჭორო, მართალია?

— არ ვიცი. მართალია, რომ ერთად დადიან.

. . .

— გოგოებო, გოგოებო, იცით, რა მომხდარა?

— არა, არა. არა!

— ჩვენ ჩაბრიას ასი მანეთი ფული მოუგია!

— სად, სად, სად?

— სადა და სკოლის ეზოში, კოჭაობდა ფულზე...

— აჰ, აჰ, აჰ!

— შარვალგამოხეული კი დადის...

— ეჰ. ეჰ, ეჰ!

— მარკლენ-ჭორო, მართალია?

— კი. ოღონდ ოკი მანეთი მოიგო.

. . .

— გოგოებო, გოგოებო, ოთარს სკოლისთვის თავი დაუნებებია!!

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავშვიგზისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რად, რად, რად?

— აბა მე რა ვიცი, ქარხანაში დაუწყია მუშაობა...

— ნუ, ნუ, ნუ!

— მგონი ფრონტზე აპირებს გაქცევას...

— აჰ, აჰ, აჰ!

— მარკლენ-ჰორო, მართალია?

— საღამოს სკოლაში გადავიდა.

. . .

— გოგოებო, გოგოებო! მარინე რომ ლექსებს წერს, ხომ იცით?

— ხო, ხო, ხო!

— ცოტა რომ შერეკილია, ესეც იცით...

— აბა, აბა, აბა!

— და ახვა ასეთები და ისეთები...

— მეოე, მერე, მეოე?

— ჰოდა, ვიღაც ბიჭი მიუყვანია ღამით სახლში...

— ვინ, ვინ, ვინ?

— ვიღაც ბიჭი და... დილით გამოუშვია... საიდან გავიგე და მეზობლის ქალს უთქვამს... ვაიმე, რად მესროლე ეგ სატიალე ჩანთა, გამისკდა თავი... — ატირდა თალიკო.

— გაგისკდა და გაგისკდეს... ნუ ბეუტტრობ!

— შენი ჭოროსთავი თუ გასკდა, ბევრი არაფერი მოგვაკლდება!

— დათოა ხომ იცნობ, ამოგაჭრია მაგ ენაა!

— რა დაგემართათ, ბიჭებო, დაანებეთ მაგ გოგოს თავი...

— შენ გაჩერდი, თორემ!.. აუმ ფეხი გამოყო...

— აუც ხარ და ბაყაყიც!

— ვინაა, გოგო, ბაყაყი? ამ სამელნეს ხედავ?..

— დაწყნარდით, ბავშვებო, დავიწყოთ გაკვეთილი...

— მარკლენ-ჰორო, მართალია.

— თვითონ დათო იყო, შეშა ჩამოუტანია მცხეთიდან...

ზესტაფონო, გშორდები

— ზესტააფონო, ზესტაფონო, გშორდები. შორს მიივდივარ, შორს მივდივარ. ნახვამდის! — მღეროდა ახალგაზრდა და აცა-ბაცა მიაბიჯებდა. გამვლელები თავს არიდებდნენ და ფეხს უჩქარებდნენ, მაგრამ მისი სახის კეთილ და მეოცნებე გამომეტყველებაა რომ წააწყდებოდნენ, უნებურად ელიმებოდათ.

ამასობაში აამხედრო პატრულმა ჩამოიარა და ახალგაზრდა დააკავა.

— ვაში დოკუმენტი!

— აღარ მაქვს დოკუმენტი. ძამიკო, და რა გაჩვენო ახლა? — ახალგაზრდამ პატრულის უფროსს, მაასავით უწვერულ ლეიტენანტს, მხარზე ხელი ძმურად გადახვია და ჩახუტება დაუპირა.

— ნუ, ნუ, პიანჩუგა, ოატოროჟნო! — იყვირა ლეიტენანტმა და უკან სხარტად გადახტა. ხვებმა დაკავებულა ხელი ჩააჭიდეს.

— დავაი დოკუმენტი, ილი შაგაი ეკ ომენდატურუ! — ხმას აუწია უფროსმა და ხელი გვერდზე დაიდო.

— ზესტააფონო, ზესტაფონო, გშორდები, — კვლავ წაიღიღინა ახალგაზრდამ და უცებ გამვლელებს მიმართა: — რა უნდათ ამ კაი კაცებს? მე რუსული არ ვიცი და ამათ — ქართული! კი მაქვს რაკხა ქაღალდი, კომისარიატში ოომ მომცეა, მაგრამ რა მექნა ის დასაწვავი, რომ არ მახსოვს? — სამიოდეჯერ მოიქეცა ერთი და იგივე გულიჯიბე და ვერაფერი იპოვა.

— მოჟეტ ტი დეზერტირ? დავაი დოკუმენტ! — არ ეშვებოდნენ.

— რა დეზერტირი, რის დეზერტირი ამ შუადღიაა, ამ ქუჩაში, გაგიჟდით? ხვალ ჯარში მივდივარ. ზავტრა, ზავტრა ფრონტ, პანიმაეშ?

— ზავტრა? ა კაკ ტი დოკაჟეშ? — არ ეშვებოდა უფროსი.

— ხვალ მეც გადამხოტრავენ თავს და ჩამაცმევენ მაგ შინელს! ამიტომ წამოითა, ბიჭებო, დავლოთ, აგერაა ჩემი სახლი. პანიმაეშ? ვიპიტ, ვიპიტ

ნადო, დომა მამა, ოტეც, ჟენა, ზავტრა ფრონტ! ჰა, მოდიხართ მამაჩემ სამსონასთან?

— მოჟეტ პრავდა ოტპუსტიტ, ტოვარიშჩ ლეიტენანტ? — თქვა ერთმა ხანდაზმულმა ჯარისკაცმა. — ჩეგო ეგო ტაშჩიც, პარენ ნავესელე!

— ტი პომალკივაი! ანუ, ვედიტე, რებიატა!

— მოდიხართ ხომ? ძალიან კაი, ძალიან კაი, ძალიან კაი! გადაირევა მამაჩემი სამსონი... აბა ჩემო, ზესტაფონო...

...— რა დამემართა, კაცო, რა მინდა ამ მყრალ სარდაფში?

— რა გინდა და კომენდატურის გაუპტვახტში აგდიხარ...

ახალგაზრდა წამოიწია და წამოჯდა. სახე ხელებით მოისრისა და მზერა აქეთ-იქით მიმოატარა.

— აღარ გახსოვს არაფერი? — შეეკითხა ღიმილით ხის უქვეშაგებო ნარზე ჩამომჯდარი მხარბეჭიანი უქამრო ჯარისკაცი. — მე რომ მომიყვანეს, გალეშილი ხვრინავდი მაგ ფიცრებზე...

— არაფერი მახსოვს. შენ რატომ ზიხარ?

— ვიჩხუბე, — ბოდიშივით თქვა ჯარისკაცმა.

— გალახე?

— კი, სამივე... — ავლავ მოიბოდიშა უქამრომ.

— აი მალადეც, ბიჭო! კაცი ხარ, კაცი! მოიცა, გავიხსენო... ლუტუსთან დავლიეთ, ხვალ ჯარში მივდივართ და დილიდანვე შევუდექით... მერე სახლში მივდიოდი.. მერე პატრული. საბუთი დავკარგე, გავუძალიანდი... მერე სადღაც შემაგდეს. რატომ ბნელია, ღამეა?

— თენდება, საცაა გათენდება. რა გვარი ხარ, ბიჭო, აქაური ხარ?

— კი, აქაური ვარ, სამსონა ცქიტიშვილის შვილი, ბიჭიკო მქვია...

— დღეს მიდიხარ ჯარში?

— კი, დღეს მივდივართ... თუ გამიშვეს ამ კაი კაცებმა. შენ სადაური ხარ?

— სამტრედიელი ვარ, ახობაძე. არ ამცდება ახლა შტრაფნოი ბატალიონი.

— იმე! რავა შტრაფნოი?

— აბა რა გგონია შენ? ჯარში ჩხუბი არ შეიძლება...

— რაფერ მოგივიდა, მომიყევი, თუ კაცი ხარ!

— კაი აბა. მოგიყვები. მისამართსაც მოგცემ. იქნებ მოხვდე სამტრედიაში... გაგვიშვეს გუშინ სალამოს ქალაქში. სამნი ვიყავით. ამევისუნთქეთ ცოტა. აქაა, ზესტაფონში ჩვენი ნაწილი.

— ვიცი, გორაზეა.

— ჰო, ჰოდა, დავდივართ ქუჩაში სამივე. სადგურში გავლა გადავწყვიტეთ, ხალხს მაინც დავინახავთ. ზოგი აივლის, ზოგი ჩაივლის-თქვა. გავეით სადგურზე. გამოგვეჭიმა პატრულის ლეიტენანტი სამი კაცით...

— ლეიტენანტი? უწვერო, ტერა?

— ჰო. დოკუმენტიო, გვითხრა მკაცრად. ამოვიღეთ „უვოლნიტელნი" და მივეცით. ჩემს ამხანაგებს დაუბრუნა, ჩემი ხელში უჭირავს და მეკითხება დიდგულად, ჩეატი რატომ არ ამიღეო? როდის-მეთქი, ახლა დაგინახე პირველად, ად უნდა ამეღო ჩესტი. შე კაი კაცო? — ვეუბნები ჩემი დამტვრეული რუსულით. — ვედი ეგო, წამოიყვანეთო, — უთხრა თავის ხალხს.. ჩემებმა ქე მოუსვეს, დავრჩი მარტო. რაღა მექნა? დოკუმენტი იმას ეჭირა ხელში. ერთი კი დავიხიე უკან. მაგრამ მტაცეა ხელი. გავმწარდი. ვიცი, არაფერი დამიშავებია. გავიქნიე უბრალოდ მკლავი და გადავარდა ერთი რელსებზე, მეორე მიეხეთქა კედელს. ეს ლეიტენანტი წელში მეცა, მესამემ უკნიდან გადამიგრიხა ხელები, კაი მაგარი ბიჭი იყო. მივხვდი. დავკარგე გონება. რავა ქათამივით მიჭერენ-თქვა და გავანძრიე კიდევ მხრები, ავიქნიე მუხლი და გლახა ადგი-

---

თენგიზ გუაჩიძე

გზა ავშვოგისაკენ

ლას მოვარტყი იმ ლაწირაკს. წეიქცა და გავშეშდი ადგილზე. ძლივს წამოდგა წელში მოკაკვული, ხელები მუცელქვევით ეწყო და ჩამოდიოდა სიმწრის ცრემლი... აღარ გავუძალიანდი და წამოვყევი ჩემით... შტრაფნოი არ ამცდება ახლა...

ახალგაზრდა პირდაღებული უსმენდა.

— ხედავ, რავარი საქმე ყოფილა ჯარი? — თქვა და გაიარ-გამოიარა დაფიქრებულმა.

უცებ კარის რაზამ გაიჩხაკუნა. კარი გაიღო და თოფიანმა გუშაგმა დაიძახა:

— ცქიტიშვილი ბიჩიკო, ვიხოდი, ოტეც პრიშოლ!

— ე შტრაფნოი რაღა არი, მითხარი, თუ ძმა ხარ!

— რა არი და პრიამო ფრონტი, პერედავოი, ვატაკუ! ჯანდაბა და სიკვდილი...

— მისამართი მომეცი, ბიჭო!

— დაიმახსოვრე: სამტრედია, კიროვის 29, ახობაძე. სამტრედია კიროვის 29, ახობაძე...

— ჩეგო ტი ტამ, დავაი ბისტრო! — კვლავ დაიძახა გუშაგმა.

— დავიმახსოვრებ. ნახვამდის აპა! — თქვა ახალგაზრდამ და კარებში გავარდა.

მთებში ჩაჭედილ პატარა სადგურზე

გათენებისაა მთებში ჩაჭედილ პატარა სადგურზე ეშელონი ჩამოდგა.

საბარგო შემადგენლობას თავსა და ბოლოში თითო სამგზავრო ვაგონი ება. ელმავალი მოეხსნა და წავიდა.

დილით, მგზავრებმა რომ გაიღვიძეს, ეშელონი ჩიხში იდგა. არავინ იცოდა, სად იყო მათი საბოლოო მისამართი ან ახლა სად გაჩერდნენ. იცოდნენ მხოლოდ, რომ სადღაც საქართველოში იყვნენ.

ვაგონების წინ გამოეფინა მოხუცი და ახალგაზრდა — ათიოდე ადამიანი. მიდამო დაათვალიერეს, თუნუკის აბრაზე ძლივს ამოიკითხეს სადგურის სახელი.

— აი ბაზარი! — თქვა ერთმა ყმაწვილმა და ხელი გაიშვირა.

სადგურის გვერდით, მაღალი ცაცხვების ძირში, სოფლელებს ბოსტნეული და ხილი გამოეტანათ. ცალყაფნიან ბაზარს ყავრის ჩაშავებული სახურავი ეფარა.

ადრიანი დილა იყო. ჩქამი არ ისმოდა. მხოლოდ უჩინარი მდინარის ჩხრიალი აღწევდა მიწაყრილის გადაღმიდან.

შავად ჩაცმული თავსაფრიანი დედაკაცები, ჭაღარა მოხუცები და ერთი შეცივნული ბიჭუნა — სავაჭროდ გამოსული ექვსიოდე ადამიანი — უსიტყვოდ ადევნებდა თვალს ეშელონთან შეჭუჩებულ მგზავრებს.

ეთნოგრაფიულ ფოტოს ჰგავდა სამი მაღალი ცაცხვი, ყავრისსახურავიანი ბაზარი და სოფლელთა უძრავი ფიგურები...

— ხედავ, წყალი! — ხელი ჰკრა ქერა გოგონამ ყმაწვილს.

რელსებზე გადაირბინეს, ბაქანზე ახტნენ და რკინის მილიდან მოთქრიალე წყალს ხელები შეაგებეს.

— უჰ, რა ცივია! — წამოიძახა გოგონამ და სველი თითები თვალებში ამოისვა. ყმაწვილმაც შეისხა პირზე წყალი.

— კოლკა, მოდი ვნახოთ, რას ყიდიან?...

ყაფანთან მივიდნენ. ეთნოგრაფიული ფოტო გაკოცხლდა: სოფლელები ოდნავ ამოძრავდნენ — ზოგმა გაპაყიდს შეავლო ხელი, ქალებმა თავსაფრები გაიაწორეს.

— რა ღირს?

— რუბლ! — ცქვიტად უპასუხა შავთვალწარბა ბიჭუნამ.

კოლკამ ჯიბიდან თეთრ ნაჭერში გამოკრული ქვამარილი ამოაძვრინა და ქერა გოგონას მოუტეხა. აიღეს თითო

პამიდორი, ჩაკბიჩეს და მარილს ენა აუსვეს.

ბიჭუნა მიაჩერებოდა.

— გემრიელია, — თქვა გოგონამ და ნიკაპზე ჩამოღვრილი წვენი მოიწმინდა.

მახლობელ მთას მზე ამოსცდა და ჩაჩრდილული ხეობა გაანათა. თითქოს ამას ელოდაო, ახმაურდა და ამოძრავდა მიდამო.

ეშელონს უკან პატარა მდინარეზე ხიდი ჩანდა, გაღმა დაბა იყო, მის თავზე მწვანე მთები დაყუდებულიყვნენ. დაბაში ძაღლები ყეფდნენ, აქაიქ მამლები ყიოდნენ...

— რა სილამაზეა. კატა! სამოთხეა პირდაპირ...

— ჩვენებს დავუძახოთ — თქვა კატამ და ეშელონთან მდგომთ ხელი დაუქნია. — მოდით, მოდით აქ!

მოვიდნენ ისინიც.

— ივან კუზმიჩ! — მიმართა გოგონამ ხანშესულ ოსტატს, ვეება ბამბასავით თეთრი ულვაშები საგანგებოდ "მიკრულივით" რომ ჰქონდა გამხდარ გრძელნიკაპა სახეზე. — ივან კუზმიჩ, მიირთვით პამიდორი!

ოსტატმა პამიდორი აიღო, ხელისგულებში ჩამალა, ფრთხილად გაწმინდა, გააპრიალა. მოწონებით შეათვალიერა და ისევ დადო. მერე ბიჭს თავზე ხელი გადაუსვა და ჰკითხა:

— შენი ეზოსია?

— რუბლ — ისევ ცქვიტად უპასუხა ბიჭუნამ და მიაჩერდა.

თეთრულვაშამ ციისფერი თვალებით შეხედა, გაიცინა და დახლს ჩაუარა.

ბაზრის ბოლოს ბაბუა ნესტორი კუნძზე წამომჯდარიყო, ყავარჯნები ერთ იღლიაში ამოეჩარა და გრძელტარიან ჩიბუხს თითქოს უდარდელად აბოლებდა.

— დრასტი, ივან! — მიმართა უცხოს და თვალები მოუჭუტა.

ივან კუზმიჩმა ზრდილობიანად უპასუხა.

— დაბრძანდი აქ, — უთხრა ნესტორმა და თავის გვერდით მიუთითა.

სტუმარი ჩამოჯდა, გულიაჯიბიდან წვრილად დაკეცილი გაზეთი ამოიღო, მოახია, ძაბრივით დაახვია, წეკოთი აავსო და გააბოლა.

— მახორკა, მახორკა! კარგია მახორკა! უჰ, რამდენ ამბავს მახსენებს? — წამოიძახა ნესტორმა და წეკოს სუნი ხარბად ისუნთქა.

ივან კუზმიჩმა მოლოდინით შეხედა.

— პირველ ომში ვჟუჟავდი ნემკებს. მათაც კარგად გვჟუჟეს, ფეხიკ ნომამტვრიეს...

სტუმარმა ყავარჯნებს შეავლო თვალი.

— უკრაინაში იბრძოდით?

— გალიციაში.

დინჯად გააბოლა ორთავემ.

— ჰყიდით რაიმეს? — ჰკითხა ივან კუზმიჩმა.

— აგეო, ჩემი შვილიშვილი ჰყიდია პამიდორს... თავიანი ხელით მოწეულ პამიდორს, ფულა აგროვებს მამაძაღლი... მე კი შინ ვერ ვჩერდები და დილაუთენია აქეთ მოვჩლახუნებ.

— მატარებლებს ხვდებით?

ნესტორმა შეხედა, ავლავ თვალები მოუჭუტა და ავამლი ბოლქვად გამოუშვა.

— ხალხს ვხვდები. შენ დაგხვდი, ამბებს ვგებულობ...

— ოადიო და გაზეთი გაქვთ?

— ოოიეს მუშტარი ვარ, მაგრამ ხალხი მაინც ხალხია, ხან რას იტყვის, ხან რას. საიდან მოდიხართ?

— არმავიოიდან.

— ვიცი არმავირი, ბევრი სომეხი ცხოვრობს. საით?

— აბა რა ვიცი?

— კი იცი, მაგრამ... თბილისში ჩამოიხაბაკებთ, თუ არა — შუა აზიაში გიკრავენ თავს...

— თქვენ ვინ გითხრათ?

— ეგ მე ვიცი. ამიტომ დავდივარ საადგურზე. ეჰ, მუშაკაკად აღარ ვარგი-

---

თენგიზ გუაჩიძე
გზა გავმოგზისაკენ

ვარ. თორემ აგიტატორი, იცოცხლე, კარგი ვარ. ამიტომ უნდა ვიცოდე ყველაფერი — ვინ საიდან მოდის, სად მიდია, რას ფიქრობს... იმ კვირასაც ჩამოიარა ეშელონმა არმავირიდან. მეკანიკური ქარხანა მიგაქვთ?

— ეოთი საამქრო.

— თბილისში დაგტოვებენ. შენ იქნები უფროსი ოსტატი?

— კი, მე ვარ.

— შვილი ხომ არაა? — ყაფანთან მდგარ ყმაწვილისკენ მიაშვირა ნესტორმა ჩიბუხი.

— არა.

— გყავს კი.

— ორი ვაჟი.

— ორივენი იქ არიან? — ახლა ზურგს უკან გააქანა ნესტორმა ჩიბუხის ტარი.

სტუმარმა თავი დაუქნია, ნამწვი დააგდო, ჩექმის ქუსლით მიაჭყლიტა და ვეება ულვაშებზე ორი შეკეცილი თითი მიისვ-მოისვა.

— ჩემებიც. ალმნი. ეოთი ამის მამაა, — შავთვალწარბა ბიჭზე ანიშნა ნესტორმა.

— სად იბრძვიან?

— დამეკარგა ამივე. არც ერთის ამბავი არ ვიცი...

— ომია, — თქვა ივან კუზმიჩმა წყნარად.

— ომია. — დაეთანხმა ნესტორი, გაჭირვებით წამოდგა, ყავარჯნებს ეყრდნო და წავიდა თავის ქნევითა და რაღაკის ბუტბუტით. სანამ თვალს მიეფარებოდა, უყურა ივან კუზმიჩმა, შემდეგ ამოიოხრა, ადგა და ყაფანთან თავმოყრილ თავისიანებთან მივიდა...

მთელ დღეს მიგრიალებდნენ ეშელონები ზევით და ქვევით. მიდიოდნენ შეუჩერებლივ ჯარისკაცებით, კხენებით, საომარი საჭურვლით, ტანკებით დატვირთულნი. ხან სანიტარული მატარებლები აივლიდნენ. წითელი ჯვრები რომ ეხატათ ვაგონებზე, ხან — ნავთის ცისტერნები. ეს ეშელონი კი იდგა ჩიხში და ვერავის გაეგო, როდის დაიძვრებოდა.

შუადღისას, როცა ჩამოცხა, ყველამ ჩრდილს მიაშურა. ზურგზე ხელგადაწყობილი ივან კუზმიჩი სადგურის უკან ვიწრო ბილიკით მიდიოდა.

ღობეშემოვლებული პატარა სამოსახლოები ბუდეებივით გაფანტულიყო მთის ფერდობზე. ეზოებში კაკლის ხეები და თუთები გაბარდნილიყო. აქა-იქ ბროწეულის ყვავილი ღვიოდა. ღობის ძირებში მაყვლის ბუჩქებს შავწითელი ნაყოფი ესხა. ჰერანგისამარა პატარა ბავშვები ყავრიანი ოდების ჩრდილში დატანტალებდნენ.

— ივან! — ღობეზე ნესტორი მომდგარიყო — შემოდი, გული გაიგრილე.

ივან კუზმიჩი ჰიშკარში შევიდა. ნესტორმა დიდი ხნის უნახავივით ხელი ჩამოართვა, მხარზეც მოუცაცუნა, თითქოს ბოდიშს იხდიდა. წელან რომ მიატოვა. კაკლის ძირში დასხდნენ ქვის გრილ სკამზე. თავწაკრულმა ახალგაზრდა ქალმა ოდიდან გამოიხედა და მიიმალა.

— როდის მიდიხართ?

— ჯერ ვერ დავადგინეთ. უფროსი სადგურის სამორიგეოშია ჩაკეტილი, რეკავს ზევით და ქვევით, მაგრამ ჯერ ვერ გვეშველა. თქვა, დაღამებამდე თავისუფალი ხართო...

— ბიჭები ცოლშვილიანი გყავს, ივან?

— ვერ მოასწრეს, — ივან კუზმიჩმა თავი გაიქნია.

თავწაკრული ქალი ოდის კიბეზე ჩამოვიდა, მკირე ხონჩით ყველი, მჭადი და ხილი მოიტანა. შავთვალწარბა ბიჭუნამ მოირბინა და სველი თუნგულა ქვის მაგიდაზე შემოდგა.

— ჩემი რძალია, ივან!

ივან კუზმიჩი წამოდგა, ხელი გაუწოდა. ახალგაზრდა ქალმა უხერხულად ჩამოართვა და სახლში შებრუნდა.

— ვაჟიკო, დაჯექი, ბაბუა! — უთხრა ნესტორმა ბიჭს. თუნგულიდან ღვინო ჩამოასხა და სტუმარს ჭიქა მიუ-

ჩოჩა. — დალიე, ივან, სახარჯო ღვინოა, კივია და ცოტა მეავე.

— მიყვარს თქვენი ღვინოები, — თქვა ივან კუზმიჩმა. — კარგია ამ სიცხეში. არმავირში ჩამოჰქონდათ თქვენება, — ჭიქა ასწია, გახედა. — ჯანმრთელად იყავი, ნესტორ!

— გაგიმარჯოს, ივან!

დალიეს, ხილი დააყოლეს.

— ვენახი დიდი გაქვს, ნესტორ?

— ერთი ხელის დადებაა.

— კოლექტივი რას შვრება?

— რა უნდა ქნას, ამ ქალებისა და ბღარტებია ხელშია... მე კი, მოგეხსენება, მუშად აღარ ვარგივარ... სიმინდა პირი უჩანს, ყურძნიაა რა მოგახსენო...

— შენი ბიჭებია რას აკეთებდნენ?

— ამის მამა ბრიგადირობდა არტელში. საშუალო — სტუდენტი იყო ზოოტექნიკურზე, პატარა უსაქმოდ დაყალობდა დაბაში... — ნესტორმა ჩიბუხი ამოიღო და მის გაწყობაში აიტყვა აღარ დაამთავრა.

— ჩემები ორივენი ქარხანაში იყვნენ, ჩემთან...

— ბიჭებია აადღეგრძელო იყოს, ივან! შინ მშვიდობით მოსულიყვნენ...

ვაჟიკა ხან სტუმრის თეთრ ულვაშებს შეჰყურებდა, ხან ბაბუას რუსული უკვირდა. იჯდა პირდაღებული ბარტყივით და ყოველ წუთს მზად იყო, რაიმეს მოსატანად გავარდნილიყო.

— ნესტორა, ნესტორაა! — ღობეს დაბალ-დაბალი ჭალარა გლეხი მოადგა. უცხო რომ დაინახა, შეცბა. — გამარჯობა, ნესტორა, ბოდიში კი, სტუმარი გყოლია...

— შემოდი, შემოდი, ივანე, ეშელონიდან მესტუმრა. კაცი! მეზობელია, შენი სეხნიაა, — აუხსნა ნესტორმა ივან კუზმიჩს.

ხელისჩამოართმევით მიესალმნენ ერთმანეთს.

—აბა ჰკითხე მაგას, ნესტორა. სად გამორბიან აქეთ?... — ივანემ ღვინო ჩამოისხა. — ბუდ ზდოროვ! — მიუპახუნა სტუმრის ჭიქას და დალია.

— ნუ დაიწყე, ჩურჩუტი, ივანიკა! მთელი ქვეყანა აყრილია და ამან რა ქნას, რა პასუხს თხოვ? ბიჭი რომ გყავს ფრონტზე, იმასაც მოჰკითხე ერთი...

— ვიხუმრე, შე კაცო! მაგას ხომ არ გოუგია? დამიწყე ახლა აგიტაკია-პროპაგანდა...

ვაჟიკომ სავსე თუნგულა კვლავ მოარბენინა.

ისხდნენ მოხუცები კაკლის ძირში. შუადღის მზეა გაევარვარებინა სერები. კუტკალიები შესდგომოდნენ ქვეყანას და ჭრიჭინით ცის გახვრეტას თუ მიწის გაბურღვას ლამობდნენ. მწვანე ქოლგაკავით გაშლილ კაკლის ქვეშ ნიავი უბერავდა და სამი ჭალარა კაცი ომის ღმერთის გულის მოგებას მთის ყურძნის მეავე წვენით ცდილობდა, ერთ ფეხმარდ ანგელოზს ლიტრიანი თუნგულით რომ მოქონდა და მოჰქონდა...

ამასობაში ახალგაზრდები ხიდზე გადააულიყვნენ და დაბის ერთადერთი ქუჩის თავში გაჩერებულიყვნენ.

ეს ქუჩა ცალ მხარეს სახლებს მოეზღუდა, მეორე მხრით კი რიყეს მიჰყვებოდა და, ამრიგად, „აანაპირო" იყო

პირველი ორსართულიანი სახლის ქვემო სართულში მიჯრილიყო სამეითხველო, სასურსათო მაღაზია, პურის წერტი და საპარიკმახერო.

მეორე ორსართულიანი სახლი ცალკე იდგა. აქ რაიონის ხელმძღვანელობა ცხოვრობდა.

ამ სახლების გაყვრივ უსწორმასწოროდ ჩარიგებულიყო რიკულებიანი ხის ოდები, ფოსტა, რკინა-კავეულის მაღაზია. აბრეშუმის პარკის საშრობი ფარდული და კვლავ სახლები... ქუჩის შორეულ თავში ერთი ხის ბოგირი ჩანდა, რომლის გადაღმა. რიყეზე, საბაზრო ადგილი იყო.

— პატარა ოფელია, — თქვა კატკამ.

— ადგილი არ აქვს გასაშლელად, —

თენგიზ გუაჩიძე

გზა გავშვიგზისაკენ

უპასუხა კოლკამ და დაბაზე მომდგარი მთები ხელით მოხაზა.

გავიდნენ გზაზე და სამკითხველოში შეავიდნენ. აქ სასიამოვნოდ გრილოდა. ორი-სამი მკითხველი ჟურნალ-გაზეთებით მოფენილ მრგვალ მაგიდას უჯდა. თეჯირს მიღმა მჯდარმა ჭაღარა ქალმა თავი ასწია, შემდეგ ადგა და თეჯირს დაეყრდნო.

— ეშელონიდან ხართ?

— დიახ!

— ახალი გაზეთები მაგიდაზეა. სხვა ხომ არაფერი გნებავთ?

— არა, გაზეთებს წავიკითხავთ.

კატკამ პირველმა შენიშნა, რა დაკვირვებით უმზერდა მათ იშვიათი სილამაზის ქართველი ქალიშვილი — გამხდარი, ფერმკრთალი, მაგრამ საოცრად მიმზიდველი.

ქალიშვილი ადგა და მათკენ გამოემართა. უბრალო ჩითის კაბა ეკვა, ჭრელი, მოკლემკლავებიანი, და მაინც ისე მოეჩვენა კატკას. თითქოს მათკენ ყველმოღერებული თეთრი გედი მოცურავდა, ისეთი, მშობლიურ ქალაქში რომ ენახა. კოლაკ გაშტერებული შესცქეროდა. ქალიშვილი სწრაფად მოახლოვდა, კატკას მკლავში ხელი მოჰკიდა, თავი მისკენ დახარა და წმინდა რუსულით წარმოთქვა:

— მე მქვია მარინე, თქვენ?

— მე — კატია, ამას — კოლკა, — არ დააყოვნა საზრიანმა კატკამ.

— იქნებ ჩემთან წამოხვიდეთ. იქნებ გშიათ, ვისადილოთ. აქვე ვცხოვრობ. მე და ბებია ვართ, — ახლა კოლკას მიაჟუჟუნა მზერა ქალიშვილმა.

— გაზეთები გვინდოდა გვენახა, — დაბნეულად თქვა კოლკამ და გაწითლდა.

— გაზეთები გვინდა და მერე — ბანაობა. აად ბანაობენ ამ პატარა მდინაოეში? აადგურთან ხომ არ ჩავხტებით მუხლამდე წყალში? სადმე ხომ გაქვთ დაგუბებული? — დააყარა კითხვები კატკამ, რადგან ამ „კრასავიცასთან“ კოლკას დაბნევა და სიწითლე ითაკილა, თანაც გაიფიქრა, ააეთი სილამაზე დანაშაულიაო.

— მოდით, აქ დაახედით. აი რუსული გაზეთები, — მასპინძელივით წაუძღვა ქალიშვილი მაგიდისკენ. შემდეგ თეჯირს დაყრდნობილ ჭაღარა ქალთან მიბრუნდა და რაღაც ხმადაბლა უთხრა. ქალმა გაულიმა და თავი დაუქნია. ქალიშვილი ქუჩაში გავიდა.

რაღაცით ნაწყენი კატკა ხედავდა, რომ თავჩარგული კოლკა გაზეთს სულაც არ კითხულობდა.

ხუთიოდე წუთია შემდეგ სამკითხველოში გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ— ფეხშიშველები, ტრუსებისა და მაისუოების ამარა, მზეზე გარუჯულნი.

— თქვენ ხართ სტუმრები? თქვენ გინდათ ბანაობა? — მიეჭრა ერთი ჭოოფლიანი გოგონა კატკას და კოლკას. — წამოდით, საბანაოდ მივდივართ!..

ახვებიც [illegible] კივდნენ, ხელები ჩაეჭიდეს და ძალ[illegible] ალაობითა და სიცილით გარეთ გ[illegible] ყკ[illegible]ეს. თეჯირს მიღმა მდგარი ქალი კვლავ იღიმებოდა.

ჭიჭყინ-საუბრით, მოკითხვა-გამოკითხვით, შეუჩერებელი ყაყან-ჟრიამულით და ცეკვა-სირბილით ვოგო-ბიჭებია გროვა კატკა-კოლკას თანხლებით მდინარის ხეობას აუყვა. გალმა, მიწაყრილზე, რელსები პოიალებდა, აქეთ შარას მტვრის ბუღი აადიოდა. კუტაალიებია ჭრიჭინი ცას ხვრეტდა.

ერთ მოაახვევში გოგო-ბიჭები შეჩერდნენ.

— იქ ვბანაობთ, — გადაახედეს კატკა და კოლკა.

მკირე მორევის პირზე ხუთიოდე ბიჭი აილაში გორაობდა. მოსულნიც ჩაფოფხდნენ დაბრეცილ ბილიკზე, ტანთ გაიხადეს და წივილ-კივილით მდინარეში გადაეშვნენ...

სანამ ესენი ბანაობდნენ, დაბრეცილი ბილიკის თავზე ერთი გრძელშარვლიანი ყმაწვილი გამოჩნდა. იქვე ქვაზე მოიკალათა და იდაყვდაყრდნობილი და-

სცქეროდა მობანავეებს. კარგა ხანი გავიდა, სანამ ქვემოდან შეამჩნიეს.

— ხანდია, ხანდია მოვიდა!

— ეი, ხანდია, ჩამოდი, იბანავე!

— ხანდია, ჩამოგორდი ჩვენთან!

ყმაწვილი ორიოდე ნახტომით გადაევლო ბილიკს, გზადაგზა წითელ პერანგს იხდიდა და თვითაც რაღაცას ყიოდა. წყალში რომ ჩახტა, ყველა მას დაესია...

შემდეგ კატკა და კოლკა სხვებთან ერთად ცხელ სილაზე გაგორდნენ. ორი ღერი რუსული ყველამ იცოდა. ამგვარი საუბარი გიამართა:

— ეშელონიდან არიან, — დაიწყო ჭორფლიანმა გოგონამ.

— საით მიდიხართ? — ჰკითხეს სხვებმა.

— არ ვიცით.

— საიდან მოდიხართ?

— რუსეთიდან.

— და-ძმა ხართ?

— არა, ერთად ვმუშაობთ.

— ფრიცები ნახეთ?

— არა, გამოვასწარით.

— ტანკში მსხდარხართ?

— აი, ტანკებს ვარემონტებდით.

— დიდხანს გაჩერდებით ჩვენთან?

— არ ვიცით.

ორი ბიჭი სადღაც გაიქცა.

სილაში თამაში გაჩაღდა. ხანდია სამ-ოთხ ბიჭს ერთად დაეჭიდა.

წაიულებიც მობრუნდნენ და მაისურში გახვეული მწიფე ჭანჭური, თხილი და მკვახე ატამი მოარბენინეს. სტუმრების წინ გაშალეს. ნაპარავი ჩანდა. ისე აცეცებდნენ ბიჭები თვალებს.

— ჭამეთ! — თქვეს და იქვე ჩაცუკქდნენ. სხვებიც შემოეხვივნენ...

მზე რომ გადაიხარა, ხანდიამ თქვა:

— ახლა მასთან მივდივართ ვინც გამომგზავნა.

— მარინესთან, მარინესთან! ჩვენც მან დაგვავალა!

— ზაჩემ, ხანდია? — ჰკითხა კატკამ და თეთრი ლიფი მორცხვად ვაისწორა მაღალ მკერდზე.

— ზაჩემ და, კუშატ! — რუსულად უთხრა ხანდიამ და გაუღიმა.

კოლკა ზურგზე იწვა და ცას შეჰყურებდა. ძალიან არ მოსწონდა კოლკას, კატკა რომ ასე გაუშინაურდა ამ უცნობ „გრუზინა". არ მოსწონდა წყალში მათი ღლაბუცი. არ მოსწონდა, ახლაც რომ ერთმანეთის გვერდით იწვნენ სილაზე. გაბუტული იყო კოლკა.

— ნუ კაკ, სხოდიმ, კოლკა? ვედ დევუშკა კრასავიცა! — უმიზეზოდ გაიცინა კატკამ.

კოლკამ არ უპასუხა.

— მარინეს ბებიამ ქათამი დაკლა, მჭადები დააცხო, მგონი ცოტა სახაჭაპურე ფქვილიც იშოვა. ღვინოც აქვს, — ჰყვებოდა ხანდია და გოგობიჭები კატკას და კოლკას უთარგმნიდნენ:

— კურიცა, პანიმაეშ? ჩადი, ჩადი, ჩურეკ, პანიმაეშ? ხაჩაპური, ხაჩაპური, პანიმაეშ? ვინო, პანიემაეშ? კეცი ზნაეშ, კეცი...

კატკა ხანდიას თვალებში შესცქეროდა და კოლკას გულის გასახეთქად მხარზე მხარით ეკვროდა...

საღამო ხანს ეშელონში გარმონი ახმიანდა. მწყობრად მღეროდნენ ტკბილსევდიან რუსულ სიმღერას ქალები. ბუქნავდნენ სტუმრობიდან დაბრუნებული მამაკაცები.

რელაებზე ნესტორი და ივან კუზბიჩი გადმობარბაცდნენ.

— მიიღეთ თქვენი ოატატი! — შეაძახა ნესტორმა ვაგონის ღია კარში.

ვაგონიდან მგზავრები გადმოცვივდნენ.

— ხვალ გინახულებ, ნესტორ, გინაცვალი! — თქვა ივან კუზბიჩმა. — მოდი ერთი მოგეხვიო. — თეთრ ულვაშებზე გადაისვა ხელი.

ნესტორმა წვერი ჩაიფარცხა. ხელი მოხვიეს ერთმანეთს შექეიფიანებულმა მოხუცებმა, სამჯერ აკოცეს. ნესტორს

თენგიზ ბუაჩიძე

გზა გამოვიბისაკენ

ყავარჯნები აქეთ-იქით გადაუცვივდა და, სანამ მიაწოდებდნენ, ივან კუზმიჩს ეკავა ახუტებული.

— ხვალამდის, ხვალამდის!

წავიდა სიბნელეში ნესტორი. მიდიოდა და ხელისგულით იწმენდდა თვალებს.

მთელ ღამეს ჭყვიტინებდა გარმონი ეშელონში. ისმოდა სიმღერის ხმა, არწყდებოდა ტაშისცემა და ფეხების ბაკუნი. ვაგონის ბნელ კუთხეში კატკა და კოლკა ერთმანეთს კოცნიდნენ...

დილით, მზის ამოსვლამდე, ნესტორმა ვაქიკოს დააწრო სადგურზე გაავლა.

ეშელონი აღარსად იყო.

დინჯად მოკალათდა ნესტორი ბაზრის ბოლოში, კუნძზე.

მძიმედ გააწყო ყალიონი და გააბოლა.

ნელ-ნელა გროვდებოდნენ სოფლელნი, შავებში გამოწყობილი თავსაფრიანი დედაკაცები, ჭაღარა მოხუცები და ერთი შავთვალწარბა ბიჭუნა. უხმოდ ალაგებდნენ ყაფანზე ბოსტნეულს და ხილს. იდგნენ და ელოდნენ.

მზე ამოვიდა და გაანათა ჩაჩრდილული ხეობა. ამოძრავდა ეთნოგრაფიული ფოტო. ნესტორი კი იჯდა და თითქოს უდარდელად აბოლებდა გრძელტარიან ჩიბუხს.

ზემოდან მომავალი ელმავლის დაგუდულმა ბღავილმა მთები შეძრა. გუგუნ-გრიალით ჩაიარა ქვემეხებით დატვირთულმა შემადგენლობამ. მას მოჰყვა მეორე, მესამე...

განუწყვეტლივ დაგრიალებდნენ მთებში ჩაჭედილ ჰატარა სადგურზე ეშელონები. როცა მათი ხმა ცოტა მიწყდებოდა, ისმოდა უხილავი მდინარის ჩხრიალი და შუადღის ჰაპანაქების გაბმული ზარი.

ტიპიური ბიოგრაფიები

„იბადებიან ქალები, რომლებიც მხოლოდ უნდა გიყვარდეს, რომლებსაც მხოლოდ უნდა ეფერო. მათი უზადო შინაგანი სიწმინდე ეჯიბრება სულიერ სილამაზეს და გარეგნულ მშვენიერებას...

იმ წელს, როცა ეკა დაიბადა, ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმმა გადაჭრა დასავლეთ საქართველოს რკინიგზისპირა სოფლები და ცეცხლს მისცა რევოლუციურ მოძრაობაში შემჩნეულთა სახლები, მათ შორის ეკას მშობლების სახლიც.

საჩინო და მარიამ ნებიერიძეების კავშირი ახალთაობის ხალხთან იმდენად აშკარად ჩანდა (საჩინოს ძმა იმერეთის აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო), რომ თუ ცოცხლები გადარჩებოდნენ, არავის ეგონა.

გადარჩნენ (საჩინო კარგა ხნით გაეკალა იქაურობას). ეკა მათი მესამე შვილი იყო (ორი „საყმაწვილო“ სენს ემსხვერპლა ადრევე, მას შემდეგ მხოლოდ „პატარა მარიამი“ გაჩნდა), ნახანძრალზე გაჭირვებაში გაზრდილი.

მშობლები ისე დაჰკანკალებდნენ აუსტ გოგონას, რომ ნათესავებიც კი უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

საქართველოში რომ „ისპანკამ“ ჩამოიარა, მრავალთა შორის 1918 წელს საჩინოც გამოასალმა წუთისოფელს...

მე რომ გავიცანი, ეკა უკვე ცხრამეტი წლის იყო და იმ წელსვე მირიას მინდელს გაჰყვა, მათ სოფელში მოვლინებულ კომკავშირელ მუშაკს (მე უკვე მოვასწარი გათხოვება და ფეხზე ძიმედ ვიყავი დათოზე).

ვინაიდან ჩვენი ქმრები კოლეგები და მეგობრები იყვნენ, ჩვენც უცბადვე დავმეგობრდით და, თუ არ ვაჭარბებ, ერთ ოჯახადაც კი გვიცხოვრია. როცა შესაძლებლობა ყოფილა (ევგენის ხშირად აგზავნიდნენ რაიონიდან რაიონში, ესენი კი ორი წლის შემდეგ თბილისში დამკვიდრდნენ).

სამწუხაროდ, ეკა ხშირად ავადმყოფობდა და სკოლის შემდეგ მხოლოდ მბეჭდავთა კურსები გაიარა და სტენოგრაფიაც ისწავლა (უკვე თბილისში).

მანქანაზე ბეჭდვაც ძალიან მძიმე საქმეა და სანამ მირიანი იყო, ეკას ფაქტიურად არ უმუშავია (ზოგჯერ გვეხმარებოდა პარტიულ და კომკავშირულ კონფერენციებზე, იწერდა და ბეჭდავდა). სამაგიეროდ, შინ ციბრუტივით ტრიალებდა და რასაც მე ჩემს ქმარს ალბათ ყოველთვის ვაკლებდი — „ოჯახის ქალობა“ და სამაგალითო დიასახლისობა მიჭირდა მოუცლელობის გამო — მირიანს ჭარბად ჰქონდა და ბედნიერებიც იყვნენ.

ეკა ნაზი აგებლებისაა, უმეტესად ფერმკრთალია, ხშირად — ლონემიხდილიც, მაგრამ ყოველთვის მტკიცეა თავის სინაზეში და ერთგულებაში, რწმენასა და სიყვარულში. დიდი ცისფერი თვალები, ღია წაბლისფერი თმა, სუსტი მკერდი და თხელი მკლავები, — აი მისი პორტრეტი.

თუ სულიერი სიმშვიდე მომენატრება და წყნარი ჭვრეტის სურვილი დამეუფლება, მასთან უნდა მივიდე. ისე შეუმჩნევლად გაგხვევს ზრუნვისა და ალერსის ქსელში, ნამდვილად ტაბები და ისვენებ. ახლახან გამყლავნებულმა სენმა, ცოტა არ იყოს, ჩაუქრო თვალში ნაპერწკლები და მეც დარდზე დარდი მომემატა... მარინე უფრო მამას ჰგავს. — მისი პოეტური ბუნება დაჭყვა“. — აი ალბათ რას იტყოდა ელენე მიზანდარი თავისი მეგობრის ეკა მინდელის შესახებ.

ხოლო ეკასთვის რომ ეკითხათ ელენე მიზანდარზე, ალბათ იტყოდა:

„ოჰ, ელენე სხვანაირი ქალია! ასეთი ქალი ათასში ერთი იბადება, ათიათასში ერთი! მოწოდებით — პედაგოგი, გონებით — მოაზროვნე, ხასიათით — ორგანიზატორი. ახალი, საბჭოთა ქალის დასრულებული ტიპი.

გარეგნულად — მაღალი, მკვრივი, შავთვალწარბა, ეშხიანი!

ენების ცოდნა — რუსული და ფრანგული თანაბრად სრულყოფილად. დაკვრა, სიმღერა, ცეკვა — გამოჩინებულად. ყველაფერი ეხერხება. საკომისრო ქალია. დამთავრებული აქვს მხოლოდ ჰუმანიტარული ტექნიკუმი, მაგრამ ცოდნა პირდაპირ ენციკლოპედიური აქვს.

სულ ბავშვი იყო, კომკავშირის უჯრედი რომ ჩამოაყალიბა, კაცებს წინ უძღვებოდა, სკოლის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, დრამწრეში თამაშობდა, რაიონის ქალებს რაზმავდა, ახალ პედაგოგიკაზე ფიქრობდა და წერდა.

უშიშარი — ქმართან ერთად რაიონში ბანდიტებს შებმია (იყვნენ ცნობილი დვალიშვილები), მოდიდებულ მდინარეში გასულა, კუნაპეტ ღამით მთის სოფელში მარტო ავარდნილა. მანქანასაც წაიყვანს, ცხენზედაც შეჯდება, სადილსაც იშვიათს გააკეთებს. რომ იტყვიან, ვაჟკაცი ქალიაო — აი ესაა ელენე!

ევგენი და ელენე — მათ ერთად ნახვას არაფერი სჯობდა: ერთნაირად მაღლები, სწრაფები, მოუსვენრები, ენერგიულები, დაუღლელები. სხვებისთვის თავგადადებულნი. თითქოს ერთმანეთს შეჯიბრებულნი საზოგადო საქმიანობაში...

უამრავი ნაცნობ-მეგობარი ჰყავდათ ყველა რაიონში, თბილისის ყველა წრეში. შინ სულ სიმხიარულე, ხმამაღალი ლაპარაკი. გულღია სიცილი, შეძახილები სუფევდა. ფანჯრები სულ მოლიაღებული ჰქონდათ, მოფრიალე ფარდები. ცხარე კამათი, თამბაქოს ბოლი, დათვის ტყავები, ჩექმები, სულ გამჭოლი ქარი... და ბიჭიც მათი მსგავსი — დათო გამოჭრილი დედაა.

და ღღეს — არაფერი...

ოცდათერთმეტი წლის იყო. ევგენი რომ წავიდა...

ელენე! ელენე რომ არ იყოს, რა მეშველებოდა?!“

კარო

კარო ძველი თბილისელია. თუმცა აქ არ დაბადებულა, აქ გაიზარდა, აქ შექმნა ოჯახი. აქ გააჩინა შვილები.

თენგიზ გუაჩიძე

გზა გაგრძელებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ზოგიერთ უბანში გაბატონებულ ქართულ-რუსულ-სომხურ ყარგონზე ლაპარაკობს. ძველი უბნის ცხოვრება ისევე წარმოუდგენელია უკაროოდ, როგორც თებერვალში უქარობა და ივლისში უსიცხობა.

კაროომ ახლა ორმოცს მიაღწია. გვიან დაოჯახდა, წვრილშვილი ჰყავს. ამას ბევრი მიზეზი ჰქონდა. პირველი ისა, რომ დიდი უბედურება დაატყდა მის ოჯახს, როცა მამაც, დედაც, დაც და ძმაც დაეღუპა თათარ-სომეხთა დაწყევლილი ხოცვა-ყლეტის დროს საუკუნის დასაწყისში. მაშინ სამი წლის კარო ერთმა ქართულმა ოჯახმა დამალა. ორი წლის შემდეგ ბაქოდან თბილისში მოხვდა შორეულ ნათესავთან.

ობლობაში და სულ ლუკმაპურის ძებნაში გაზრდილ ბიჭს არა თუ ოჯახზე, თავის თავზეც წესიერად არ უფიქრია. აკეთებდა, რა საქმესაც წააწყდებოდა.

ჯერ „მეჩისტე" იყო, ერევნის მოედანთან ჰქონდა ერთი ადგილი, დაბალ ჯორკოზე იჯდა, წინ თავისი ხელით გამოჩორკნილი ყუთი ედგა და ნისიად აღებულ „ჩოთქებს" მუშტრის მოსაზიდად ამ ყუთზე არაკუნებდა. მერე ფეხსაცმელების შეკეთებაშიც დაოსტატდა. რომ მოიზარდა და მოლონიერდა, მეკურტნე მუშების არტელს მიეკედლა.

სად ცხოვრობდა? ვერცხლის ქუჩაზე ჰქონდა პატარა ბუნაგი, სარდაფის ერთი ციცქნა უფანჯრო ოთახი, ხის ტახტი, რკინის „ფეჩი" და ეზოში ონკანი.

ოციანი წლების ბოლოს, ქალაქში აქა-იქ ახალმშენებლობები რომ გაჩნდა, დამხმარე მუშად გადავიდა მშენებლობაზე. ახსოვდა, რომ შეძლებული ოჯახის შვილი იყო და „მეჩისტეობა" და მეკურტნეობა ეჩოთირებოდა. თუმცა რა იყო საჩოთირო პატიოსან შრომაში, არსებობის საშუალებას რომ აძლევდა?

ცოტა უცნაური იყო კარო. ამხანაგები დასცინოდნენ, ხუთი მანეთის მაგივრად მუშტარს „მანეთიო", მორიდებულად რომ ეტყოდა და, თუ სამ მანეთს მისცემდნენ, ან იქვე უბრუნებდა ხურდას, ან მთელ საათს ანდომებდა სამმანეთიანის დახურდავებას, მუშტარსაც აცდენდა და თავის თავსაც. ამის გამო დასცინოდნენ ამხანაგები პატიოსან კაროს, და ამ მიზეზითაც გადავიდა მშენებლობაზე.

აქაც ვერ გამოიჩინა განსაკუთრებული უნარი და საბოლოოდ მეეზოვეობა შერჩა.

როცა ოცდაათიანი წლების დასაწყისში სოლოლაკისა და მთაწმინდის უბნების დამაკავშირებელ ერთ-ერთ ქუჩაზე პასუხისმგებელი მუშაკებისთვის სამსართულიანი სახლი შენდებოდა, კარო ამ მშენებლობაზე მოხვდა. სახლის სარდაფში საერთო სამრეცხაოს მოწყობა იყო პროექტით გათვალისწინებული. შემდეგ რატომღაც ეს იდეა არ განხორციელდა, სარდაფი ვიწრო სათავსებად გადატიხრეს და შეშის დასაწყობად გამოუყვეს თითო ოჯახს. მაშინ შეხვდა კარო ევგენი მიზანდარს.

— ხაზეინჯან, — დრო უხელთა კარომ. — ერთი სიტყვა გითხრამ.

— კარო, მე რა ხაზეინი მნახე? ამხანაგი მითხარი ან სახელი დამიძახე.

— ხარაშო. ტოვარიშ ევგენი... ნეტ, არ გამოვა... ოტჩესტვო მითხარით. ნიკოლაევიჩ? ევგენი ნიკოლაევიჩ, აი პადვალი რომ გაქვთ ყველას, ქვევით რა, ერთი მე მამეცით, თუ შაიძლება. დავთვალე და რვა გამოვიდა ვსევო, სახლში კი ექვსი ოჯახი ხართ — დვა ლიშნი.

— მერე სარდაფში იცხოვრებ?

— ვიცხოვრებ, ესა სჯობია, ოკოშკა ესტ. იქაც პადვალში ვარ რაღა, სერებრენი ულიცაზე. ეს დეარეცია პოსრავნენიუ... ჩემი ხელით გავაკეთებ პატარა ოთახი...

ევგენი დაეხმარა, აღმასკომს სარდაფის ორი ფანჯრიანი ოთახი მიაცემინა, მეეზოვის შტატიც უშოვა. ჩასახლდა კარო და დაიწყო ფუსფუსი. ორ თვეში ისე გაარემონტა სადგომი, ისე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააკრიალა, რომ მართლა ნახვად ღირდა: იატაკი დააგო, კედლებზე ელენეს ნაჩუქარი ღია ფერის შპალერი გააკრა, ჭერი და კარ-ფანჯრები კარგად დაგოზა და შეღება, აგურის პატარა ღუმელი გამართა და კრიალა წაბლისფერი კაფელით მორთო... ევგენიმ, როცა საარდაფის კიბეზე დასათვალიერებლად ჩავიდა, გაკვირვებით შესძახა:

— ვა, კაროჯან (რომ უფრო ესიამოვნებინა, მისებურად მოუქცია) ეს რა ოქროს ხელები გქონია?

გახარებული კარო მორცხვად იღიმებოდა.

— ვსიო სდელალ, ნიკოლაევიჩ, სამ, სამ...

— იცი რა უნდა კიდევ, — თქვა დაფიქრებით ევგენიმ. — აქ, ამ ჩამოსასვლელის თავზე, პარაპეტი გააკეთე, ცოტა აამაღლე, გაიგე? თორემ დიდი წვიმების დროს ეზოდან წყალი შემოგივარდება.

— პონიატნო, გავაკეთებ მერე, ევგენი ნიკოლაევიჩ.

— ავეჯი? ასე ცარიელი ხომ არ იქნები? საწოლი გინდა, მაგიდა, კარადა, სკამი...

— მებელი? კამაც-კამააც ვიყიდი, რა მეჩქაოება?

— ამოდი ჩვენთან. ვნახოთ და გავიყოთ, რაც იქნება. მგონი, ზედმეტიც გვაქვს. მოიცა, ცოლს დავუძახო.

ელენე ჩამოვიდა. ძალიან მოეწონა ოთახები. აიყვანეს კარო თავიანთ ბინაში. და ჩაზიდა ბედნიერმა მეეზოვემ მაგიდა, ტახტი და სამი სკამი. ზედმეტი კარადა არ აღმოჩნდა, სამაგიეროდ ერთი ხელი ლოგინი და მარტოხელა კაკისთვის სამყოფი ჭურჭლეულობა ჩაიტანა. როცა მათ ბინაში დადიოდნენ და ავეჯის გადარჩევაში იყვნენ, კარომ ერთ კუთხეში მიყრილი ძველი ფეხსაცმელები შენიშნა: ევგენიმ დახეული ჩექმები, ელენეს ქუსლებგადაბრეცილი. გადასაგდებად გამზადებული ტუფლები, დათოს გაცვეთილი ბათინკები.

— ეს ხომ უნდა გადაყაროთ, არა? დავაი ია ვოზმუ! — თქვა კარომ. ერთი ავირის თავზე საოცარი ოსტატობით შეკეთებულ-შელამაზებული ფეხსაცმელები უკან მიუტანა გაკვირვებულ ელენეს და ევგენის.

— მართლაც ოქროს ხელები გაქვს, კაროჯან სულ ახლები ეგონება კაცს!

კარო ისევ მორცხვად იღიმებოდა.

როცა ქალიც შეირთო, როცა საარდაფის ოთახებში ლუსია დატრიალდა, მათ ბინას სულ სხვა ეშხი და იერი მიეცა.

დათო და კარო დაძმაკაცდნენ, მაგრამ ამ პერიოდს უკვე ამხანაგი სიმონის მოვლინება დაემთხვა და რაღაც გაიბზარა მათ ურთიერთობაში, თუმცა არც ერთი და არც მეორე ამას არ იმჩნევდა.

ამხანაგმა სიმონმა საკუთარი ბუნებრივად ჩათვალა. როცა კარომ პირველი „ხაზეინჯან" გაუგორა, კარგადაც შეიფერა და კარო და მისი ცოლი თითქმის ხელზე მოსამსახურედ გაიხადა.

ერთხელ, როცა პირველ ხანებში ახლო ნათესავებიც ერიდებოდნენ ელენესთან ბინაში მისვლას (მაშინ რატომღაც დაირღვა ბუნებრივი კავშირი ადამიანებს შორის), კარომ სკოლიდან მოსულ დათოს ნიშანი მისცა — ღამით მინახულეო (მათ ამგვარი ნიშნების მთელი სისტემა ჰქონდათ შემუშავებული).

ზამთარი ილეოდა, თოვდა და წვიმდა, ცივი ქარი თუნუქის სახურავზე დათარეშობდა, ბაღში შიშველ ხეებს წელში ხრიდა. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როცა პალტომოსხმული დათო ოთახიდან გამოიპარა, ეზოში ჩავიდა და სიცივისგან აკანკალებული კაროს საარდაფის კიბეზე ქურდივით ჩაძვრა. ღამის სიბნელისა და სიცივის შემდეგ კაროს ბინა სინათლით გაჩახჩახებული და მათ ოთახთან შედარებით მეტად თბილი ეჩვენა, თუმცა ჭერ-

ზე მხოლოდ ერთი შიშველი ნათურა ეკიდა და ღუმელიც ჩამქრალიყო. ჩაბნელებულ უკანა ოთახში ბავშვებს ეძინათ. მაგიდას კარო და ლუსია უსხდნენ, წინ გაზეთებში შეხვეული რაღაც მოზრდილი საგანი ედოთ.

— პრიშოლ, და? — შეეკითხა კარო. — მოდი, დაჯექი. რაღაცა გითხრამ. ამას ხედამ? ტვოი ბლიზკი, ძია რა, ექიმის ქმარი, ნუ... ვრაჩ — მამიდა მარინა... პონიალ? კატორი მინგრელ..

დათომ ვერაფერი გაიგო.

— კაროჩე. უტრომ მოვიდა ადინ ჩალავეკ, პრინიოს შენთვის ი ტვოი მამა ვოტ ეტო, — კარომ გაზეთები შემოაცალა მაგიდაზე მდებარე საგანს: ორი „ბუხანკა“ ფუმფულა თეთრი პური, წყვილი, მრგვალად შეკრული აქელი ძეხვი, ორი. თავი ყველი და პარკით შაქარი.

— ვინ მოიტანა, კარო?

— მე რომ გითხარი, იმან...

— ვერ გავიგე...

— ნუ. მინგრელ, კაკ ეგო ზვატ? ვისოკი, მოლოდოი... ვსპომნილ — ხუტა! ხუტა ზნაეშ?

— მარინეა მამიდას ქმარია.

— ტოჩნო, ეგ არი. იმან თქვა, ეს თქვენო, ვამ, გაიგე?

— გავიგე, — თქვა დათომ და უნებურად ნერწყვი გადაყლაპა.

— თუ გაიგე, ვაზმი, ღა!

დათო ერთ წუთს დაფიქრდა. მერე სანოვაგე ორად გაყო: ერთი პური, ერთი ძეხვი, ერთი ყველი, ნახევარი პარკი შაქარი.

— შტო ტი დელაეშ? — იყვირა კარომ.

— ბავშვებს აჭამე, — უთხრა დათომ და თავისი წილის გახვევა დაიწყო გაზეთში. ლუსია უსიტყვოდ ეხმარებოდა. მერე უცებ დაიხარა. დათოს თავზე აკოცა და ჩაუჩურჩულა:

— ტი დობრი მალჩიკ!

კარომ არაფერი თქვა, მხოლოდ ცოლს შეხედა უცნაურად და დათოს სარდაფის კიბეზე ასვლაში დაეხმარა.

მთელი იმ წლის მანძილზე თვეში ორჯერ, ხელფასის აღების დღეებში, ძია ხუტა ტოვებდა კაროსთან სანოვაგეს, და იმ დღეს სკოლიდან მობრუნებულ დათოს კარო დათქმულ ნიშანს აძლევდა. ერთი წელი რომ გავიდა, ტაბუ თანდათან მოიხსნა და ნათესავები თავისუფლად დადიოდნენ ერთმანეთთან. მერე ომი ატყდა და ძია ხუტა ფრონტზე წავიდა.

მაგრამ, სანამ ომი დაიწყებოდა, ოთხი გრძელი წელი გავიდა. კარომ ორ ბიჭს კიდევ ორი მიუმატა. დათო კი ომის დაწყების წელს მეთექვსმეტეში გადადგა და საქმეც იპოვა.

პირველი შემოდგომა

ომია პირველი შემოდგომაა. ჯერ ისევ ხალხით სავსეა ქალაქი, ჯერ ისევ ჩვეულებრივი სახე აქვს. მხოლოდ ფანჯრის მინებზე მიუწებებიათ თეთრი ქაღალდის თუ ქსოვილის ვიწრო ნაჭრები — სადმე რომ ბომბი დაეცეს, ფანჯრები არ ჩაილეწოსო. ბომბი თუ დაეცა, ხალხი თუ დაიხოცა, სახლები თუ დაიქცა და ქვეყანა აყირავდა, თეთრი ქაღალდის ნაჭრები უშველის ფანჯრებს? იქნებ უშველოსო, ფიქრობენ და გულმოდგინედ აწებებენ — რაღაც ხომ უნდა გააკეთონ? თანაც ოფიციალური განკარგულებაა. ყველა ეზო, ბაღი. სკვერი თუ პარკი გადათხარეს, ორმოები და თხრილები ფიცრით გადახუფეა და მიწა დააყარეს — თავშესაფრები მოაწყეს.

ქალაქში სამხედრო პატრულირება შემოიღეს. დადიან სერიოზული წითელარმიელები უფროსითურთ, საეჭვო პირებს აჩერებენ და საბუთებს უსინჯავენ. სამობილიზაციო პუნქტები დღე-დაღამ მუშაობენ.

მაღაზიებში ჯერ კიდევ თავისუფლად ჰყიდიან სურსათს და სამრეწველო საქონელს, ჯერჯერობით...

ბაზრები სავსეა ხალხით და ჭირნახულით. ჯერ კიდევ არ ქცეულა საბურთალოს ბაზარი საყოველთაო ვაჭრობის ასპარეზად.

ჯერ კიდევ ნორმალურად დადის ტრანსპორტი, თუმცა, ჩვეულებრივ, ხალხითაა გაჭედილი.

ჯერ კიდევ ჩვეულებრივ გამოდის გაზეთები, ჟურნალები, წიგნები. ხალმრავალ კინოთეატრებში გადის ახალი სურათები. იდგმება ახალი სპექტაკლები...

ყველაფერი თითქოს ჩვეულებრივადაა, მაგრამ უკვე იგრძნობა ომის სუსხი, ომის მსახვრალი ხელი.

ტირიან პირველ ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახები.

გამოჩნდნენ პირველი ლტოლვილები.

სულ უფრო მწვავე ხდება შეშფოთებული ინტერესი გაზეთებისა და რადიოგადაცემების მიმართ.

სულ უფრო ხშირად ეწყობა მიტინგები: ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი სამხედრო ყაიდაზე, მტერი მოსკოვს უტევს! სწრაფად შენდება ახალი საწარმოები, ფართოვდება ძველი. იცვლება ნაწარმის ხასიათი.

ღამ-ღამობით სადგურზე ბღავიან ორთქლმავლები და ელმავლები — მიდიან სამხედრო ეშელონები.

დილით მუშებს უხმობენ ქარხნის საყვირები — ჩქარა, ჩქარა, ყველაფერი ფრონტისათვის!

ხალხმრავალი ქალაქი გუგუნებს, კვნესის, ჩქარობს, შრომობს...

საქართველოში ყალიბდება ქართული ბატალიონები, პოლკები, დივიზიები.

ჯერ ვერავინ იფიქრებს, რომ მალე თვით კავკასიას შეექმნება უშუალო საფრთხე, იმდენად შორსაა ფრონტი.

მოსკოვი და ლენინგრადი — ესაა ახლა ყველას საფიქრალი და საზრუნავი...

ბათუმში, ფოთში და სოხუმში დიდი მუშაობაა პორტების ომის საჭიროებისათვის მოსაწყობად. მატულობს ჰიათურის მანგანუმისა და ზესტაფონის ფეროს მნიშვნელობა. ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის წონა.

უნივერსიტეტი, ინდუსტრიული, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტები ვაჟებისაგან დაიცალა. მიდიან მასწავლებლებიც. მიდიან ქალებიც — სამედიცინო დები, ექიმები, უბრალო მოხალისენი.

ახალგაზრდა, ღონიერი და მშრომელი გლეხობა თითქმის სულ მობილიზებულია. სოფელი დარჩათ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს. აქ უფრო იგრძნობა უკაცობა, ვიდრე ქალაქში.

ჰოსპიტლები ეწყობა ყველა საავადმყოფოში, ბევრ სკოლის შენობაში, დაწესებულებებში.

თანდათან იზრდება უდედმამო ბავშვთა ნაკადი, მოდიან რუსები, უკრაინელები. ბელორუსები, ლატვიელები. ლიტვიელები, ესტონელები. მოჰყავთ მატარებლებით, გემებით, ავტომანქანებით...

მოდიან ევაკუირებული ქარხნები, საამქროები, მუშები, ოსტატები, ქალი და კაცი.

მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, როსტოვიდან მოეშურებიან ხანშიშესული მწერლები, მსახიობები, მეცნიერები.

დიდი მოძრაობაა: დასავლეთიდან დატოტვილად მოედინება ევაკუირებულთა ნაკადი, აღმოსავლეთიდან მიდიან ერთ მუშტად შეკრული, საომარი საჭურვლითა და ჯარისკაცებით გატენილი საბარგო და საამგზავრო მატარებლები, ავტომანქანათა კოლონები, საჭაპანე ტრანსპორტი...

მთელი ქვეყანა მოძრაობაშია.

ერთი შეხედვით, თითქოს ყველაფერი აირ-დაირია, უთავბოლო მოძრაობაა; სადგურები გაჭედილია, ვის აძინავს. ვინ დაბორიალებს. ვინ ბავშვს ამშვიდებს, ჩემოდნები. კალათები, ტომრები, ჩანთები ერთმანეთშია არეული; თითქოს არავინ იცის. ვინ სად და რატომ მიდის, ვის რა უნდა და რატომ, ვინ რას ეძებს და ელტვის.

ოფიციალურ დაწესებულებებში გვიან ღამითაც ანთია შუქი. დილამდე არ

თენგიზ გუაჩიძე

ბჭა გავშვობისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყდება თათბირები, ტელეფონების ზარი, დეპეშებისა და შიკრიკების გზავნა-მიღება, გაჩქარებული შესვლა-გამოსვლა.

ქუჩები სავსეა ხალხით. ხშირია მოოლოდნელი შეხვედრები: რუსთაველის პროსპექტზე მოცეკვავის მსუბუქი, ნაბიჯით ლიუბოვ ორლოვამ ჩაიარა, ცნობისმოყვარეთა გუნდი უკან მისდევს; პასტერნაკი, პასტერნაკი !— ისმის გადაძახილი; აი ის ჯოხიანი ვლადიმერ ორლოვია, ლენინგრადიდან ჩამოსულა! ღიმილმორეული ჩოხოსანი შალვა დადიანი ვიქტორ გოლცევთან ერთად ამაყად მოაბიჯებს. სიმონოვი, სიმონოვი, აი მაღალი, ლამაზქოჩრიანი! მხატი, მხატის მსახიობები!

მთელი ქვეყანა მოძრაობაშია, მაგრამ მოძრაობის უთავბოლობა მხოლოდ მოჩვენებითია. დაკვირვებული მზერა სწვდება ამ მოძრაობის შინაგან კანონზომიერებას, შინაგან რიტმს. რაც გასაკეთებელია, კეთდება, ვინც სად უნდა წავიდეს, მიდის, ვინც ჩამოსასვლელია, ჩამოდის. მოძრაობას აქვს ფარული აუცილებლობა, განსაზღვრული მიმართულება, მთავარი დევიზი: ყველაფერი ფრონტისათვის, — ესაა მოძრაობის ძირითადი არსი და მას ემორჩილება ყველაფერი.

მაგრამ ამ კანონზომიერი მოძრაობის ნაკადებს ადამიანები შეადგენენ, რომელთა უმრავლესობას, გარდა საერთო წარმოდგენისა — საით, როგორ, რა მიზნით, გააჩნია აგრეთვე პირადი უბედურების მწვავე შეგრძნება, საერთო ქაოსის ჰიპერტროფირებული განცდა. ინგრევა ოჯახები, გაურკვეველ მხარეს იკარგებიან მცირეწლოვანი ბალღები, დები და ძმები, გაუბედურებული დედები და მამები. დიდი ტრაგედია უამრავ მცირე ტრაგედიათა მიზეზია. ომის მიერ გამოწვეული უბედურება ამ უმრავლესობისათვის კონკრეტულია, მათ პირად ბედთან, ოჯახთან, ღვიძლებთანაა დაკავშირებული.

ამიტომაა მწვავე და გაუყუჩებელი საერთო და პიროვნული ტკივილი, რომელიც ბადებს შურისგების მკაცრ გრძნობას, მიმართულს ზოგადად ომის და, კერძოდ, ოკუპანტების წინააღმდეგ.

ამ გამწარებულ ხალხში აგორებული სიძულვილის უზარმაზარი ტალღა გატყორცნილი ფოლადის გამძლეობის მქონე სახელმწიფოებრივი მანქანით (ახლა სულ ერთია, რა მსხვერპლის ფასად იქნა მოპოვებული ეს ფოლადის სიმტკიცე!), ის შეუჩერებელი, მოუთოკავი და ყოვლისმძლე ძალაა, რომელიც წალეკავს შემოსეულ მტერს და ულმობლად მიანარცხებს საკუთარი ბუნაგის შელეწილ კედლებს...

მაგრამ ახლა მხოლოდ ომის პირველი შემოდგომაა...

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაადურ ბალარჯიშვილი

ციკლიდან «ძველი თბილისი»

ყვითელი ბოა

ზურა სამადაშვილს

1.

ელვარე თეთრი, ცისფერი და... ყვითელი ბოა:
ფითრდება სახე, სევდიანი სიცილის დროა —
კანკალებს ხელი, იკარგება დღეების წყება,
ბრმავდება ქუჩა და ქალაქმაც იცვალა ფერი.
ერთგული ერთ დროს, უდარდელად სხვასთანა წვება —
ელვარე თეთრი, ცისფერი და ყვითელი ბოა...
და მოდის ვნება ვით უნდილი ახალი წელი:
ფითრდება სახე, სევდიანი სიცილის დროა.
ჩქამია კენჭის და წრეები წამიერს წელენ —
გაგახსენდება, მეგობარო, დიდი ხნის მერე:
ელვარე თეთრი, ცისფერი და ყვითელი ბოა —
დაგწყდება გული, რადგან რაღაც ვერ დაიჯერე.
იყო ზეიმი — მაგიერში მიიღე გლოვა:
ფითრდება სახე, სევდიანი სიცილის დროა.
მუსიკა ნელი, უსათნოეს შესართავს ერთვის —
საზღვარი მოჩანს და ნარცისის ეული ღერი.

2.

თბილისის თავზე ტყვიისფერი მიიზლაზნება.
სადღაც შიგნით კი, მოკალათდა დამფრთხალი შველი,
რაღაცას ელი — აღერღილა მღერად არსება,
მაგრამ მუნჯია, ვით საუნჯე, სიცოცხლე მთელი.

კიპარისები

რომ ვშობილიყავ. როგორც
მხატვარი —
ხუთიოდ სურათს მეც დავხატავდი:
ბავშვობა: კიპარისი.
სიყვარული: ორი კიპარისი.
კაცობა: სამი კიპარისი.
სიკვდილი: ოთხი კიპარისი.
უსასრულობა: კიპარისები...

ხვატი თბილისში

მოსწყინდა უცებ, მოითენთა, ძლიერ მოსწყინდა:
იყო შუადღე და ოხვრაც კი აღმოხდა თბილისს —
მოუნდა: ლაღი სიჭაბუკის სხივით მოსილთა
მჭახე ხმაური კონსერვის ქილის.

მოუნდა წამით გაელვება მძაფრი ნდომისა,
მოსწყინდა თავის გამართლების მუქთა ხელობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარყო დარდი უნაირო უმიზნობისა,
ინატრა ამაყ დარდიმანდის უდარდელობა.

ეჰ... სადღა იყო... საფეთქლებზე ლაქები კირის,
ხოლო ღაწვებზე ნაოჭთა ძნები...
ჰქონდა თვალებად ცარიელი ქუჩები თბილისს
და ხვატის ალში ტორტმანებდნენ დაღლილი წლები.

აღმოსავლური

ისევე. როგორც წყლის ციმციმი მხოლოდ ესადაგება ცას,
მაგრამ ვერ ეტოქება უკიდეგანო ნათელს —
მცირენი დიდთა მაგალითს მოიშველიებენ და
ჰგონიათ გაიზრდება სიმცირე მათი.

ბედისწერის მუჭში გამომწყვდეული,
ფეთქავს ჩიტის უსუსური სხეული.
ვერაფერი გაუგია, რა ხდება —
ყველაფერი ნუთუ ერთად წახდება
და სიზმარი აღარასდროს ახდება —
იმედებს რომ აცთუნებდა, წყეული...
ფეთქავს ჩიტის უსუსური სხეული,
ბედისწერის მუჭში გამომწყვდეული.

წყაროს შხეფები, წამის მონები ვართ.
მხოლოდ მსგავსები ვართ, განა სწორები ვართ.
მცირედი მანძილიც ცასავით შორია,
ხანდახან სიმართლე ტყუილი გვგონია,
ზოგი იტანჯება და ზოგი ერთობა
და საიდუმლოა ჩვენს შორის ერთობა:
ვცოდავთ და უფრორე გვინდება ღმერთობა,
მაგრამ გველირსება ოდესმე შენდობა —
ჟამის ალაყაფზე ამოკვეთილია:
ბოლო კეთილია.

ინიციალი

თოვენ ფიფქები, თუ გედები ფრენენ (შორიდან)...
ვარდება ცა, თუ ბედისწერის მოქრის ქამანდი —
ხილვა უცხოა სახილველად, როგორც კორიდა
და თან უბრალო, როგორც პური და შეჭამანდი.

თუმცა ერთია, მაგრამ მარტო მაინც არ არის —
მარტო არ არის — და მარტოა ყველას წინაშე —
სხვებისაც ისმის შიგადაშიგ ჰარი ჰარალი
და თოვს მირაჟი და მირაჟნი სდევენ მირაჟებს.

და ეგლისება მზერა მზერას... (მინის ღრჭიალი)
სადღაც აღებენ კარებს, მერე უმალ კეტავენ
და მიდის მარტო, მოწყენილი ინიციალი
და აქვს იმედი: დავიწყებას ვერ გაბედავენ...

გეა

თერთმეტი ათას შვიდასი დღეა,
რაც თოთო ძვლებმა შეისხა ხორცი
და იცდის ჩემი მწუხარე ბორცვი,
ჩემი ცისფერი სავანე, გეა!

მე იგი ერთხელ სიზმარში ვნახე —
ირგვლივ ურიცხვი ჰყვაოდა ბალბა.
მერე კი. მერე ცრემლებით დალბა
ქვად და ქანდაკად ქცეული სახე.

აწ სულ ერთია, ამოვალ როდის,
სიჩუმე სუფევს აქაც და იქაც
და საზეიმოდ აწეულ ჭიქას
შერჩა სიმძიმე გრანიტის ლოდის.

თერთმეტი ათას შვიდასი დღეა
თენდება ჩემთვის, ღამდება ჩემთვის
და არ ფეთქდება აქამდე დენთი
შენი ლოცვით და კურთხევით, გეა.

შორს კი მუსიკა ზეცამდე სწვდება,
მგონი, ისინი იხდიან ქორწილს,
ვინც მოითავა ბლოკადა ხორცის
და მიანიჭა დაღლილ ძვლებს შვება.

ოცდაცამეტი

გამოვიქეცი ჩემი ტანიდან,
დავტოვე იგი, როგორც ძელური.
არც სარაზავი, არც სახელური.
ვაჰ, თუ შესახლდეს ვინმე ველური,
რაკი პატრონი სხვაგან წავიდა.

თუმცა მომბეზრდა ეს საბურველი,
სასხვისოდ მაინც არ მემეტება
უზენაესის შემოქმედება
და ორჭოფული ცეცხლი მედება —
სამარადისოდ დაუურველი.

ვართ ერთადქმნილი ორი არსება,
ერთი არსია, მეორე — ფორმა.
ჩვენ გვაახლოებს ცხოვრების ნორმა,
რომ არ ვიაროთ ცალ-ცალკე ორმა,
სხეულის ფორმა არსს ემსგავსება.

მაინც გავრბივარ, კვალი მერევა,
მადლობა უფალს, არ ჩანს მდევარი,
საკუთარ ტანში დაუტევარი,
მინდვრად ღამეთა მე ვარ მთევარი,
ძე შეცთომილნო, მე თქვენს მერე ვარ.

ვერ ვპოვე იგი, რასაც ვეძებდი,
არც დასახევი გზა მოჩანს უკან.
დავკარგე ძვირფას ლანდშაფტის
რუკა
და ახლა გლერტით დაფარულ შუკას
ძლივს მივუყვები თვალის ცეცებით.

ცაო, მდუმარევ და გასუსულო,
შენ ამაციდო იქნებ ცთუნება
და დამიწმინდო მღვრიე გუნება,
რომ, ბოლო-ბოლო, შინ დაბრუნება
სჯობს უსხეულოდ, ვიდრე უსულოდ.

მე ოცდაშვიდის უკვე არა ვარ,
ორი წელია, არც ოცდაათის.
თვეების ჯუფთი გახდა საათი
და ოცდაცამეტს სურს მასლაათი
ჩემთან გულღიად, დაუფარავად.

დგება განსჯის და სიბრძნის ასაკი,
იუდას ცნობის, რწმენის გამოცდის.
სამ დიდ მოსახვევს უკვე გამოვცდი
და არაერთხელ წრფელად გავოცდი,
რომ ვსძლიე ეშმა და ავაზაკი.

მე ისევ მზად ვარ. მე მიხარია,
რომ ორთაბრძოლა არ გავათავე,
რომ ოცდაცამეტს უჩქეფს სათავე.
მე ცოცხალი ვარ, მაშასადამე,
სულიც და ხორციც ერთად არიან.

პირველკლასელის ჩანთა, რომლის ტარება პატრონს არ დასცალდა

ეს ჩანთა აგერ, შვიდი წელია,
ჰკიდია კედელს პარაშუტივით,
ხოლო, ბიჭუნა, რომელსაც იგი
უნდა მოეგდო ზურგზე და ევლო
სკოლაში თავის თანატოლებთან,
მიფრინავს მარტო, უპარაშუტოდ
უსასრულობის ცისფერ მორევში.

●

მე მამაჩემის ნასახლარზე დავთესავ სიმინდს,
ახმიანდება დიდი ხნის წინ გამწყდარი სიმი.
მე მამაჩემის ნასახლარზე ავაგებ ოდას,
დაუფიქრებლად ქალამანში გადავცვლი ბოტასს.
მე მამაჩემის ოცნებებით ვიცოცხლებ აწი.
ჩაივლის ვინმე მეზობელი, მოხუცი კაცი,
იტყვის: მადლი ღმერთს, არ ამოწყდა საჩილაჩაო,
კი, ეთქმის შალვას — არ მომკვდარვარ, შვილი დამრჩაო!
მეტი რაღა ვქნა? ჩვენ ისედაც მივფრინავთ იქით
ღამსხვრეულ ფრთებით, ჩამქრალ მზერით, წაქცეულ
ჭიქით.
მადროვე ღმერთო, გავაჩაღო კერია ძველი!
მერე მობრძანდი, მე შენს მოსვლას ყოველთვის ველი.

●

როცა დავბრუნდი, ვერავინ მიცნო...
გამოცვლილიყო ჩემი ბებერი ითაკა,
ჩემი სიზმრების უზენაესი საყუდარი.
მე ვეღარ ვცნობდი პატარა ბიჭებს,
რომლებიც უცხო თამაშობებით
ირთობდნენ თავს.
მე ვერ ვხვდებოდი გამვლელთა ენას,
რომელზეც ისინი საუბრობდნენ.

გამოცვლილიყო ჩემი ბებერი ითაკა...

ქვა რომ ქვა არი,
მასაც ხავსი მოკიდებოდა.
მაშინ პირველად გავიფიქრე —
რატომ წამოველ,
რატომ დავადგი
იმ მიწას ფეხი,
რომელსაც უკვე, რა ხანია, აღარ
ვახსოვდი.
თურმე მიწაც კაცივით ბერდება.
მასაც აკლდება თვალთ,
ეკარგება ყურთასმენა.
მხოლოდ ეს ყველაფერი
იმათთვის ხდება,
ვისაც იგი ჭაბუკი ახსოვთ.
პატარებისთვის კი მიწა ისევ
ჭაბუკია.
ის მათთან ერთად კვლავ მოხუცდება,
რათა მომავალ თაობებს
სისხლსავსე შეეგებოს...
როცა დავბრუნდი, ვერავინ მიცნო...
ყველას უბრალო მგზავრი ვეგონე —

ძმებსაც და რძლებსაც
და მხოლოდ დედამ,
ერთადერთმა,
როგორც დამლანდა,
იკივლა უმალ — შვილო!
დედაც ბერდება,
მაგრამ შვილი დედისთვის —
არასოდეს,
და მივხვდი მაშინ.
მე შენთან ოდენ დედის გულისთვის
დავბრუნებულვარ, ჩემო ბებერო
ითაკავ!

„ფერიას ოინი“

როცა სიჩუმით გულმიწურვილი
წევხარ და უკვე არვის არ ელი,
აძაგძაგდება შავი ყურმილი
და დაიჩხავლებს ხმით საზარელით..
შეკრთება ღამე, ვით გოლიათი,
რომელსაც უცებ შუბი ატაკეს
და მისი შუქი სისხლით —
წყვდიადით —
შეილებება მყის იატაკი.
შენ წამოხტები — თითქოს ინათა
და გაგაღვიძა მეგობრის რეკვამ...
შენ გაღვიძებდნენ ასე წინათაც,
რასაც „ფერიას ოინი“ ერქვა.
და გიხაროდა რაღაც ბავშვურად,
რომ ახსოვთ შენი ექვსნიშნა ციფრი.
„ისევ ძვირფასმა ხმამ მომაშურა!“ —
იტყოდი, თითქოს ვიღაცის ჯიბრით.
„თქვენ სხვაგან მოხვდით!“ — იტყვი
ახლა და
მძიმედ დაუშვებ ბერკეტზე
ყურმილს...
და მდუმარებით მოცულ სახლიდან
უცებ მოსკდება ქვითინი ჩუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ტკბილად იგალობა ამ დილით
ფრთოსანმა ჩემი ფანჯრის წინ,
მადლობის ნიშნად ხორბლის
მარცვალი
გადავუფინე პატარას.
როდი მიიღო საჩუქარი,
არ გადაცვალა სიმღერა
ხორბლის მარცვალზე,
ფრთები გაშალა,
ნაღვლიანი გაფრინდა ჩემგან...

●

კარგა ხანია მის ველურ ფაფარს
არ უფრენია ქართლის ველებზე,
ძველისძველ თავლაში
წევს და ტირის ბებერი ცხენი.

●

მადლობა თქვენ, ფრინველებო,
ჩემს ზეცას რომ გადაუფრინეთ.

●

დედა, მიშველე,
დამმალე სადმე,
მოდის გაზაფხული...

●

ჩუმად მითხრა საყვედური,
რომ მთელ ზაფხულს გადავივიწყე,
გული მეტკინა,
მე ხომ არსად წავსულვარ მისგან?

●

წუხდა ექიმი...
რას მიხვდებოდა,
სიხარულით ვიყავი ავად.

●

იგი მთელი დღე
ყალყზე შემდგარ ცხენებს ხატავს
აშლილი ფაფრებით,
ვინ გააბრაზა პატარა ბიჭი?

●

განთიადისას,
მეწამული აისის შუქზე,
სანაპიროზე ვიპოვე მოზრდილი
ნიჟარა
მივაყურადე,
ნათლად მომესმა,
ხელგადაჭდობილი მეზღვაურები
მიწის და ქალის საგალობელს
მღეროდნენ.

●

მზე ამოდის, მერცხალი ჭიკჭიკებს,
ლოგინი თბილია,
მეტი რაღა გინდა, — მიყვირის
ვილაცა.

●

მიწას ერთი მარცვალი რომ მიეცი
და ასი დაგიბრუნა,
არაფერი გენიშნა?

●

ისე მომეფერა ერთი ტალღა,
ისე მომეთბო,
აშკარაა, იგი ჩემი ეზოს წყალი იყო
ვეება ზღვისაგან დატყვევებული.

●

საოცარია, შინდის ნერგმა,
ბაბუაჩემმა
აცახცახებული ხელით რომ ჩარგო,
პირველი ყვავილობისას
ბაბუაჩემის თვალებით შემომხედა,
მოხუცმა შინდის ყვითელ ყვავილებში
ხომ არ ჩაიძინა?

●

ასე დიდი სიკეთე რომ
გარდმომივლინე,
ხომ არ გგონია ვიხარებ?
ბაგეებს ვიჭამ —
ცრემლი არ წამსკდეს.

●

ვერ მოგიტანთ დიდ სიხარულს,
მაგრამ მწყურია,
თქვენს სულში,
მშვენიერების პაწაწინა ყვავილი
ალმოვაცენო.

●

მტკივა ჩემი მოხუცი სახლის ფიცრების ერთგულება,
ასე რომ ეკვრიან ერთმანეთს,
რომ არ შემციოდეს,
ისინი ჩემთვის განიძარცვნენ სურნელოვანი
ყვავილებისაგან,
ახლა მორჩილად ჩამწკრივებულან
მარადი სამსახურისთვის.

●

არა იმისათვის, რომ ყველაზე მალალი ხარ,
არა იმისათვის, რომ ყველაზე ნათელი ხარ,
არც იმისათვის, უსაშველოდ თბილი და ბრიალა რომ
ხარ,
მუხლს გიყრი, მზეო, ქოხში შემოსვლისათვის,
ბიჭის მამა შინ რომ არ იყო...

●

ასე იყო მუდამ:
ველზე იწვა თეთრი მხედარი და თეთრი მერანი,
ან იწვა თეთრი მხედარი
და ტირიდა თეთრი მერანი, —
რა უნდა ცირკის არენაზე ცხენს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

ეკლესია

რომანი

●

უმიზნოდ დაყანყალებდა იმ დღეს გედეონი, თვალი რომ მოგეკრა, შეატყობდი, უგუნებოდ ბრძანდებოდა და არც იმის გამოცნობა გაგიჭირდებოდა, გადაღლილიყო კიდეც, ცოტაა ეგეც, დიდი ხნის ნაავადმყოფარს დამსგავსებოდა, მიმჩვარულსა და განაწამებს, რომელსაც ძლივს ღირსებია ფეხზე წამოდგომა. იფიქრებდი, წაქცევასა და სულის გაფრთხობას ბეკრი აღარაფერი უკლია რაო, თან კი ქალაქში უუმურ-უსიამო ქარი ქროდა შემოდგომისა და ყველაფერი ერთად: ოქტომბრის მიწურულის მაშინდელი ჩაუამებულ-ჩანაღვლიანებული დღეცა და გულის გამაწვრილებელი ქარიც, არემარეს რომ ავსებდა გადამჭკნარ-გადაყვითლებული ფოთლით, ის უღიმღამო, დაღვრემილ-დასევდიანებული ქუჩებიცა და მარტოსულივით მოყანყალე ჭაბუკიც, საოცარი ჰარმონიით ესადაგებოდა ერთურთს, თითქო გაგრძელება ან უცილობლად საჭირო დეტალი გახლდათ ერთმანეთისა და ნახატს უფრო მიამსგავსებდი, რომელიც მხატვარს დაუხატავს და რაკიღა ახალ ზეშთაგონებას დაურბევია, გაცილებით უფრო მძაფრსა და დიდს, მივიწუენია მერე ის ნახატი, მიუგდია უპატრონოდ...

ჩანაღვლიანებულ ქუჩებს მიჰზოზინებდა ვედეონი, მიფრატუნებდა გაუცხოებულ-განსხვისებული: სხვა ადამიანად ქცეულიყო იგი მაშინ გარეგნულადაც, ფიქრებითაც, გაუცნობიერებელი შინაგანი სურვილ-მისწრაფებებითაც, უცხო პიროვნებას ეკუთვნოდა იმისი წარსულიც, აწმყოცა და მომავალიც, ნასხვისარი იყო იმდღევანდელი აზრებიც, ან უნდა დაღუპულიყო ყველაფერი, რაც კი იმ დღემდე არსებობდა იმისთვის, გამქრალიყო უგზო-უკვლოდ და სამარადისოდ, ან არადა, ახალი დაბადებულიყო, ხოლო წინაპართაგან საგულდაგულოდ შერჩეულ-გადმოცემული სისხლიც, გენიცა თუ კიდევ ათასი სხვა რამ, დაბადებითვე რომ დაჰყვება ადამიანს, სხვისად ქცეულიყო, უცხო გახლდათ და უჩვეულო... თვალდახელშუა ეფერფლებოდა ოდესღაც არსებული, ძვალ-რბილსგამჯდარ-ჩვეულებრივი. სანაცვლოდ იმ ძველისა კი, რომელიც ორიოდ დღეში გაფერმკრთალებულიყო, ახალი მოისწრაფოდა, მოდიოდა მტანჯველი, ჯოჯოხეთური, მტკივნეულიცა და შემზარავიც — აი, ასეთი და ამისდამაგვარი განცდები სწვეოდა გედეონს იმ დღეს... დაუიალებდა შებინდებამდე და გამვლელ-გამომვლელთ ანცვიფრებდა, ისე დამსგავსებოდა მთვარეულს. უფრო კი სხვა რომელიღაც უცხო სამყაროდან მოვლენილ არსებას, რომელსაც ვერ გამოუმუშავებია უნარი შეგუება-ადაპტაციისა. ამთავითვე გასაწირად რომაგ გადაგებული... მეშვიდე დღე გასულიყო, რაც განუწყვეტლივ, დღისითა თუ ღამით, ძილში თუ სიფხიზლეში გრძნობდა საშინელებას, თანაც მტკივნეული სიცხადით, მძიმე, გაბურეებულ უცხო სხეულსა თუ საგანს, რომელიც მომხდური იყო თითქოს და რაკი ძალა აძლევდა უფლებას, გათავხედებულიყო, დაუკითხავად დაპატრონებოდა თავის ქალას, გონებაც დაეჩაჩანაკებია და ნებისყოფაც, მონად ექცია...

ხალხში გამოჩენა შესძულებოდა გედეონს იმ სავალალო აღმოჩენის მერე, დიდ უბედურებად რომ მიაჩნდა თავიდან, თუმცა შემდგომ კი და-

---

გაგრძელება. დასაწყისი იხ. ჟურნალი „ცისკარი", № 11, 12; 1981 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არწმუნეს სხვებმა, ბედნიერება ყოფილა თურმე ის, რაც მოხდა. შთააგონეს, ლამაზ ვარსკვლავზე დაბადებულხარო და იწამა თავადაც... ლალის დაბადების დღის შემდგომ კი კაციშვილს არ გაჰკარებოდა. ლექციებზე სიარულიც მიატოვა, აუტანელი იყო საზოგადოებაში ყოფნა და ვისიმე ლაპარაკის მოსმენა. მარტო ეგ კი არა, ფიქრიც მტანჯველი გამხდარიყო. ყველაზე მეტად დამთრგუნველი და საზარი ერთი რამ გახლდათ, მოჰკრავდა თუ არა ვინმეს საუბარს გედეონი ყურს, ანდა ანგარიშმიუცემლად გაიფიქრებდა რაიმეს, აბეზარი კრაზანებივით რომ აბზუილდებოდნენ ხოლმე სმენასა და ტვინში ბგერები, გონებაც არ დააყოვნებდა. უმალვე აგრძნობინებდა არსებობას: ელვის უსწრაფესად იწყებდა უკვე ავადმყოფობად ქცეულ საქმიანობას, აკვიატებულსა და მომქანცველს — ანგარიშს, თანაც ცივი, გაყინული, ამაზრზენი და წარმოუდგენლად გადამღლელი იყო ის ბგერები, ბზუოდნენ თავიდან სივრცეში კრაზანებივით, ტვინში მიძვრებოდნენ მერე, ფათურობდნენ იქა. უფრო აუტანელი და საზარი ხდებოდა იმათი ბზუილი და იგესლებოდნენ კიდეც შხამიანი ნესტრებით. ის უცხო სხეული თუ ძრავაც როდი დააყოვნებდა. არახრახდებოდა მაშინვე თავის ქალაქში... დიახ, მტანჯველი იყო ყველაფერი, მაგრამ გედეონი უძლური გახლდათ: ხალხს გაარიდებდა თავს როგორმე, ვაი რომ, ფიქრს ვერ დაემალებოდა ვერსად, თუკი მოხდებოდა საოცრება, ეს მაშინ, როცა უნარს კარგავდა შეგრძნებისას, მაგრამ ასეთ დროს სხვა რამ უბედურება აუბნევდა ხოლმე თავგზას — უცებ, ოდესღაც, ჯერ კიდევ ბავშვობისას ნასწავლი და შემდგომ სამუდამოდ მივიწყებული, ანდა სულაც შემთხვევით გაგონილი ლექსები აუფართხალდებოდა გონებაში და ტვინიც ხელახლა გაიჩენდა საქმეს, იტანჯებოდა ხოლმე მაშინ გედეონი თან, თან კი განცვიფრებას იყო. ვერ წარმოიდგენდა ვერაფრით ადრე, თუკი ამდენი ლექსი ეცოდინებოდა... სიგიჟემდე ბევრი აღარაფერი დარჩენოდა, ხოლო გამოსავალი არ არსებობდა და არა. და, იმ საღამოს, ქუჩებში შემოდგომის უამური ქარი რომ ქროდა, შინ მობრუნების მერე, სარკმელთან დამჯდარიყო ოთახში და კვლავ ძველი სადარდებელი უკარგავდა მოსვენებას, უამრავი, მტანჯველი ფიქრი უტრიალებდა გონებაში და ტვინიც ერთხელ აკვიატებულით ერთობოდა ისევ... ოთახიც, ის სივრცეც, რომელიც სარკმლის მიღმა მოჩანდა და საერთოდ მთელი უკიდეგანო სამყარო, ცოტაა ეგეც, გარდასული დღეებიც, აწმყოცა და მერმისიც, საზარელი, აბზუილებული ბგერებით იყო სავსე, და, აი, შვებასავით წამოტივტივდა უცებ ფიქრი: „მოდი. რაც იქნება, იქნება, წავალ და რეზოს გავუმხელ ყველაფერს..." წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, იმდაგვარი რამ მოხდა უეცრად... არეულად ფიქრობდა თავიდან გედეონი, ერთდებოდა და მთლიანდებოდა მერე ის წყვეტილ-დაქსაქსული ფიქრი და ბოლოს, როგორც იქნა, დაასკვნა: „წავალ და ვეტყვი, მოხდეს, რაც მოსახდენია..." ეს რაღაი გადაწყვიტა. უცებვე დაეწმინდა გონება, მოვლენებმა თუ საგნებმა მხოლოდ და მხოლოდ მათეული, ოდითგანვე არსებული იერფერი დაიბრუნეს, დაღლაც უკვალოდ ჩამოიცილა გედეონმა და გუნებაგანწყობაც გამოიკეთა, მაგრამ მაინც ჩაბნელებულ ოთახში იჯდა სარკმელთან, რომლის მიღმა გულისგამაწვრილებელ-მოსაბეზრებელი მონოტონურობით ზუზუნებდა უსიამო ქარი შემოდგომისა, თანდათან უმსუბუქდებოდა სხეული გედეონს, ჩვეულებრიობას იბრუნებდა ნელ-ნელა და უცებ შეაცბუნა ოთახში ჩამოწოლილმა წუვდიადმა თუ უბგერო სიჩუმემ, ნათელი ფერები სურდა, სინათლე მონატრებოდა თურმე, იგრძნო აშკარად და აღარც დაუყოვნებია, შუკი ჩართო — თვალი მოსჭრა უეცრად განათებულმა ოთახმა... სარკესთან მივიდა მერე: იმ შვიდ დღეს, რომლის მსგავსი ჯერაც არ მოსწრებოდა, ჩამოედნო ერთთავად, გაძვალტყავებულ სახეს ჩასცქეროდა თავისას სარკეში, ფერიც მიხდოდა, გასცრეცოდა, ჩაშავებოდა უპეები და ჯაგარიც ჭარბად მოსდებოდა ლოყებზე... სარკემ კიდევ უფრო მეტად შეამსუბუქა, გაახალისა კიდეც და აზროვნების უნარიც დაუბრუნა მთლიანად: ძალზე ჩვეულებრივ, საყოველდღიურო ამბებზე დაიწყო შემდგომ ფიქრი, ჯერ გაუელვა: „ალბათ ლალი მომაკითხავდა, ჰო, მგონი დღეს უნდა მოსულიყო. — და გაიხსენა, — ერთხელაც აღარ მინახავს დაბადების დღის მერე, ნაწყენი იქნება, რაღა თქმა უნდა..." ცხადად დაუდგა უცებ თვალწინ ლალი, სუსტი, სათნო, აშოლტილ-აკაშკაშებული და მტკივნეულად ჩასწყდა გული, მოენატრა, ისე თვალნათლივ დაინახა და, მომკლა ამდენმა მარტოობამ და ფიქრმა. წავალ, რეზოს ვეტყვი ყველაფერსო... — გადაწყვიტა საბოლოოდ; უცებვე მოინდომა ქუჩაში გასვლა, წამოდგა კიდეც. მაგრამ გაახსენდა, წვერმოშვებული რომ იყო და საპარსი ჩართო — გულმოდგინედ იპარსავდა, ამსუბუქებდა შინაგანად ეს საქმიანობა, თვალმოუცილებლივ ჩასცქეროდა სარკეს და ეამ-ეამ უღიმოდა კიდეც თავის ორეულს, ბოლოს კი სინათლე ჩააქრო ოთახში და გარეთ გავიდა: ქუჩაში ქარი უბერავდა კვლავაც, ისეთივე მოსაბეზრებელი და უამური, ისევ დამჭკნარ-გადამხმარი ფოთოლი ეყარა ირგვლივ ყველგან...

თავიდან დინჯად მიაბიჯებდა გედეონი, როგორცა სჩვეოდა ხოლმე ყოველთვის, და სხეულს ის დანატრებული სიმშვიდე-სიმსუბუქე გასჯდომოდა. ბოლო შვიდი დღის მანძილზე რომ დაკარგოდა, გონებაც ნათელი ჰქონდა, დაწმენდილი, ხოლო თავის ქალას აღარც ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხო, გახურებული სხეული უმძიმებდა და აღარც ხმაურ-რახრახი ჩაესმოდა არარსებული ძრავისა, ბგერებიც აღარა ბზუოდნენ სივრცეში, თითქოს ისევ ქცეულიყო გედეონი იმ ადამიანად, როგორიც იყო საერთოდ, იმ საბედისწერო დღემდე, მაგრამ, აი, ვიღაც ქალსა და კაცს წამოეწია და აკვიატებულ შიშსაც არ დაუყოვნებია: ძალიან ცუდად აქცევა, მკაცრი ხელი სჭირდება აუცილებლადო, — ეუბნებოდა ქალი კაცს ცივი ხმით, — საშინელი უდისციპლინო და ზარმაციაო, ა, ასე მითხრა მასწავლებელმა, მიხედე, შე კაცო, ცოტა ბავშვს... ამის გაგონება იყო და ბგერებმა ტვინს ჩააღწიეს ძალინვე, გონებამაც ისევ ზედმიწევნითი სიზუსტით დაიანგარიშა, ხოლო გედეონს ნაბიჯი აერია, შებარბაცდა კიდეც და ხეს მიეყრდნო, რომ არ წაქცეულიყო, ორივე ხელით აეხუტა, თითქოს წყალში იხრჩობოდა და საიდანღაც მოვლენოდა მხსნელი, იდგა ეგრე, სისხლი მისწოლოდა შიგნიდან თვალებზე და ისევ წართმეოდა საღი აზროვნების უნარი.. ის ქალი და კაცი კი ნელ-ნელა უჩინარდებოდნენ. ბოლოს სიწყნარემ მოიცვა ქუჩა, მაგრამ ბევრი ვერაფერი ნუგეში იყო. გედეონს არა შემატებია რა ამით, კვლავაც დაიმორჩილა იმ სატანჯველმა, რომელიც მოსვენებას უკარგავდა ბოლო შვიდი შემზარავი დღის მანძილზე... გაეხეტა ისევ უმიზეზოდ და უაზროდ, უმისამართოდ, რეზოს ქუჩასთან რომ მისულიყო, აი, მხოლოდ მაშინღა მოეგო გონს, იაზრა, სადაც იყო, იდგა და მერყეობდა, შესულიყო თუ არა ეზოში, ხელი ჩაიქნია შემდგომ და გზა განაგრძო, ოთხჯერ თუ ხუთჯერ აიარა ის ქუჩა და ბოლოს კიდევ შედგა იმ ეზოს წინ, სადაც ბინა ჰქონდა დაქირავებული რეზოს: ოთახში სინათლე ენთო, გედეონი კი აკაშკაშებულ სარკმელს შესცქეროდა, აღარ ახსოვდა რამდენ ხანს იდგა იქა, ალბათ ოციოდე წუთს, შესაძლოა, უფრო მეტსაც... „ოჰ, შენა? — გაიოცა რეზომ, — სად დაიკარგე ამდენ ხანს, დღეს ვაპირებდი შენთან შემოვლას, აი, ამ წუთას უნდა გავსულიყავი გარეთ, — ხმა ჩაუწყდა რამდენიმე წამით: გედეონის სახე არ მოუვიდა თვალში, — კიდევ კარგი, დროზე მომისწარი, თორემ გზაში ავცდებოდით ერთმანეთს...“ გედეონი კი ხმაგაკმენდილი დამდგარიყო კართან, არ გაეგებოდა თითქოს სად იყო ახლა, ფერი ხომ წართმეოდა სახისა, წელშიც წაგრეხილ-წაკუნტულიყო, ისე იყო დაბეჩავებულ-გაუბადრუკებული, ემჩნეოდა, თქმა სურდა რაღაცისა, მაგრამ ვერ მოეხერხებია ხმის ამოღება... „ნასვამი იქნება...“ — გაიფიქრა რეზომ, მაგრამ, როცა დაკვირვებით შეათვალიერა, მიხვდა, სცდებოდა, ნაქეიფარს კი არა, რამდენიმე დღის ნაშიმშილარს დამსგავსებოდა, სახეზეც ჩამომდნარიყო, ჩასისხლიანებოდა თვალები; წამიც და, დაინახა რეზომ, როგორ აუცახცახდა გედეონს ბაგეები, მთელ სხეულს გადაედო მერე ის ნერვული თრთოლა-ცახცახი, ბოლოს ველარ შეძლო ფეხზე დგომა, წინ წადგა ნაბიჯი ფეხარეულ-აბარბაცებულმა და უღონოდ დაებერტყა ტახტზე... რეზოს თანდათან უმძაფრდებოდა შიში, რა მოგდის, რა ამბავია შენ თავსო, სურდა ეკითხა, გედეონმა რომ წამოიწყო ენის ბორძიკით: „იცი რისთვის მოვედი მე ახლა შენთან? — ამისი თქმა იყო თუ არა, თავი დაიმორჩილა, აღარ ცახცახებდა ამჯერად და აღარც თვალები ჰქონდა ჩასისხლიანებული. მერე კი ხელი ჩაიქნია: თავს ზემოთ ასწია მკლავი, ერთხანს ეჭირა გაშეშებული, თითქოს საკუთარი სხეულის ნაწილი კი არა, სხვა რამ საგანი იყო, ჩამოუშვა ბოლოს მძიმედ და მიუბრუნდა რეზოს, ხელიც ჩაქნევა იყო ეს მოძრაობა, მართლაც ასე გახლდათ, ეს კი გედეონის შემდგომმა ნათქვამმა დააღასტურა, — რაც არის, არის, უნდა გითხრა, რისთვისაც მოვედი, — მაგრამ დადუმდა, რამდენჯერმე შეავლო და ისევ მოარიდა მზერა რეზოს, ათიოდეჯერ მაინც გაიმეორა ასე: შეხედავდა ჯიქურ, ცეცხლი ჩასდგომოდა თვალებში, აარიდებდა მერე უცებ მზერას, ჩაბჭინდრავდა თავს და მეორდებოდა ეგრე წამდაუწუმ, ჭკუაზე გადამცდარი კაცივით ირჯებოდა. რეზო კი ფრთხებოდა და ფრთხებოდა, ცოტაც და, აცახცახდებოდა ალბათ, მაგრამ იგრძნო მერე, გედეონი ლაპარაკის გაგრძელებას აპირებდა: ჩაფიქრებულიყო ღრმად, ცხადია, გუნებაში სათქმელსა სწონიდა და ვერ გადაეწყვიტა, გაემხილა თუ არა ის, რასაც ამჯერად ფიქრობდა, და აი, კიდევ ერთხელ ჩაიქნია ხელი და ახლაც წელანდელივით, კვლავაც თავს ზემოთ ასწია მკლავი ხის ხმელი ტოტივით, ჰქონდა ცოტა ხანს გაშეშებული ჰაერში, მოწყვეტით დაუშვა მერე და ჩაიქნია თუ არა ხელი, ხმაც გაისმა მისი, — აღარ ვიცი რა ვქნა, ხალხში ყოფნა შემძულდა, დაილაპარაკებს თუ არა ვინმე, ჩემდაუნებურად ვანგარიშობ და ვანგარიშობ, რამდენი ბგერისაგან შედგება სიტყვები თუ წინადადებები, ის რომ წარმოთქვამს, ეს მინდოდა ახლა მე?...“ ჯერაც ვერ მოგებულიყო რეზო გონს, მძიმედ ულრმავდებოდა ახლახან ნათქვამ სიტყვებს გედეონისას, თანაც გამომცდელად შესცქეროდა, დაკვირვებით, ვერ გადაეწყვიტა, ჭკუაზე შემცდართან ჰქონდა საქმე თუ ნორმალურ ადამიანთან, რომელსაც იცნობდა წლების მანძილზე და მსგავსი რამ არ შეენიშნა არასდროს. გედეონის მზერით რომ იჯერა გული და იმის ნათქვამსაც ჩაუღრმავდა, ირწმუნა, შერყეულაო და შიში გაუღრმავდა, უმალვე უკუაგდო ადრინდელი მერყეობა, საეჭვო აღარაფერი იყო და, როგორც იქნა, ამოღერღა უხალისოდ, დამფრთხალ-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა: „შენ რა, ხომ არ მეხუმრები..“ გედეონი კი უმიზეზოდ იღიმებოდა ახლა, მოდუნებული გადათხლაშულიყო ტახტზე, ეტყობოდა, ფიქრს მინებებოდა და ისიც აშკარა იყო, არეულ-დარეულად ფიქრობდა, ფერმიხდილ სახეზე შემზარავად აღბეჭდვოდა უაზრო, არაფრის მთქმელი ღიმილი, დროდადრო თუ აახამხამებდა წამწამებს, გაიფართოებდა თვალთა გუგებს, ისე, თითქოს, აბდღვრიალებული დარბაზიდან ბნელ სარდაფში ჩავარდნილიყოს უცებ... ხოლო რეზოს აღარ ძალუძდა იმისი მზერა და ანგარიშმიუცემლად გაიმეორა წელანდელი ნათქვამი: „შენ რა, ხომ არ მეხუმრები...“ და კიდევ ერთი საოცრება მოხდა, რომელიც იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემი აღმოჩნდა გედეონისთვის, რომ დაძაბული ხომ იყო და იყო, მერე უარესად დაეჭიმა ნერვები, შესაბრალისად აახამხამა წამწამები, სასიკვდილოდ განწირული ადამიანი იყო თითქოს და ესეც როდი იკმარა, ხროტინით ამოიოხრა... მიზეზი კი მისი საქციელისა, აი, რა გახლდათ: თუკი წელან, წელანაც და მთელი იმ შვიდი დღის მანძილზე გონება უჩვეულო ხალისითა და მონდომებით უკირკიტებდა სხვათა მიერ წარმოთქმულ სიტყვებს, ამჯერად რომ ჩაესმა გედეონს რეზოს ნათქვამი, ბგერები აღარ აზუზუნებულან კრაზანებივით და ტვინსაც აღარ შეუსრულებია ის აკვიატებული საქმე... დაჭიმული ელოდა ახლა გედეონი, როდის ამოიღებდა ხელახლა ხმას რეზო, რათა ერთხელ კიდევ მისცემოდა საბაბი თავის შემოწმებისა. დაძაბულობა კი ამჯერად რომ დაუფლებოდა და აკნინებდა სულიერადაც და ფიზიკურადაც, მარტოდენ შინაგანი როდი იყო, გარეგნულადაც აშკარად დასტყობოდა: ციებიანსავით უთრთოდა ყოველი ნაკვთი თუ ნერვი სხეულისა, ისე ცახცახებდა, ტახტიც აჭრიჭინებულიყო გულის გამაწვრილებლად... ამ ამბავს უარესად დაეფრთხო რეზო, ეჩვენებოდა, თითქოს ოთახის კედლებიც თრთოდნენ გედეონთან ერთად, სჯეროდა უკვე, ჭკუაზე შერყეული ადამიანი იჯდა მის წინ და საგონებელს ჩავარდნილიყო, არ იცოდა, რა ეღონა, გულხელდაკრეფილი მშვიდი ჯდომა არ ღირდა, რაღაც იყო საჭირო, მაგრამ რა, ვერ გარკვეულიყო, ღა წაიდუდუნა: „მართალს ამბობ, კაცო?..“ რეზოს ხმის გაგონებისთანავე გაუქრა გედეონს ცახცახიცა და ის არაადამიანური დაძაბულობაც — აღარც ამჯერად გაუგონია ზუზუნ-ბზუილი თუ იმ არარსებული ძრავას რახრახი: ბგერები აღარ დაუანგარიშებია ტვინს და, აჰა, უეცრად შეუმსუბუქდა სხეული, ეწმინდებოდა და უსუფთავდებოდა გონება, ხოლო სიმშვიდემ, რომელიც ძლივს ღირსებოდა, ღიმილი მოჰგვარა, ჩვეულებრივი, ყოველთვის რომ სჩვეოდა ისეთი, და ეგრე გაღიმებული წამოდგა, გვერდით ამოუდგა რეზოს და ახლა, მეგობრის გვერდზე რომ დამდგარიყო, გრძნობდა აშკარად საშინელებას იმ მარტოობასა და ტანჯვაში განვლილი დღეებისას და ახლაღა უპასუხა რეზოს წუნარი, მშვიდი ხმით: „ჰო, მართალს ვამბობ, არ ვიცი, რატომ მემართება ასე, მაგრამ სიმართლეა რასაც გეუბნები, გავიტანჯე, ცოტაც და, გავგიჟდებოდი ალბათ, უველას ლაპარაკს ვუკირკიტებ, — ამას რომ ამბობდა, სახეზე ღიმილი ეფინა კვლავ, მაგრამ ნასხვისარი კი არა, როგორც რამდენიმე წუთის წინ, რეზო რომ დააფრთხო, არა, ჩვეულებრივი, თავისი, — აღარ შემიძლია...“

რეზომ კი უცებ შეამჩნია წელან, როგორ დამშვიდდა გედეონი, ჩვეულმა, ნაცნობმა ღიმილმა რომ გადაურბინა სახეზე, ისიც იგრძნო, სწორედ აი ახლა, ამ ოთახში რომ სწვეოდა საჭირო და აუცილებელი სიმშვიდე, ურომლისოდაც შეუძლებელი იქნებოდა ნორმალური არსებობა თუ სიცოცხლე. ჰო, ყოველივეს ძირითძირამდე ჩასწვდა რეზო, ის წელანდელი ეჭვიც გაუქრა და შიშიც, ჭკუაზეშერყეულად რომ ეჩვენა გედეონი და თქვა:

— შეგამოწმო თუ...

— მიდი, აბა!..

განცვიფრებას ველარ მალავდა გედეონის შემოწმების შემდგომ რეზო. გედეონს კი აღარც ამჯერად დაუანგარიშებია ბგერები, რეზო რომ გამოხატავდა გაოცებას და ერთმანეთს აზრმა გაუელვა მოულოდნელად, რომელმაც უფრო მეტად გააახალისა: „ვინ იცის, ეგებ სამუდამოდ დავიმორჩილე ტვინი, ა, რა იცი, ხომ შეიძლება ასეც მოხდეს...“ არა სცდებოდა, აუცხადდებოდა წინასწარმეტყველება: აწი და აწი, დრო რომ გავიდოდა, მხოლოდ საკუთარი სურვილისდა მიხედვით დაიანგარიშებდა ბგერებს სხვათა მიერ წარმოთქმული წინადადებებისას, აღარ გასტანჯავდა უცხოთა საუბრის კირკიტი... შვება მოუტანა ამის გაფიქრებამ, ისეთი საამო და ტკბილი, რომლის არსებობისა იმ ღამემდე არა უწყოდა რა და არც დასჭირვებია როდისმე... იჯდა ახლა გედეონი, საოცრად დასწმენდოდა გონი, ხოლო გარეთ, ქუჩებში ისევ ძველებურად ქროდა უსიამო ქარი, ხმა აქაც შემოდიოდა, ვიწრო სტუდენტურ ოთახში და გედეონს მათრობელა სითბო და ერუანტელი უვლიდა სხეულში, ზუზუნი რომ ესმოდა ქარისა... უველაფერს ერთდროულად ფიქრობდა იგი მაშინ, არეულად თითქოს, მაგრამ საოცარი სიცხადით მთლიანდებოდა და ერწყმოდა ერთურთს ის აწეწილ-დანაწევრებული ფიქრები... მერე ლალი ზოენატრა უცებ, დაუძლეველმა სურვილმა წამოუარა იმის ხილვისამ: „რა ხანია აღარ მინახავს, — და ინანა, — შინ უნდა დავრჩენილიყავი, რა მინდოდა, აქ რომ მოვქერქეტდი, ამ საღამოს მომაკითხავდა აუცილებლად...“ ისიც მოაგონდა, მერვე დღე რომ იყო, რაც ინსტიტუტს აღარ გაჰკარებოდა და სხვაც ბევრი რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაახსენდა კიდევ ჩვეულებრივი, ისეთი, ყოველთვის რომ ახსოვდა და მხოლოდ იმ აფორიაქებული უკანასკნელი დღეების გამო მისცემოდა მივიწყებას. იმგვარად დასხლტოდა მეხსიერებიდან, თითქოს ოდესღაც ნანახი სიზმარი იყო, ან ყოველად ჩვეულებრივი ამბავი, რომლის დაახსოვრება ზედმეტია: თუკი გედეონი გამაბრუებელ ნეტარებას მინებებოდა სულ-ხორციანად, რომლის უბრალო წარმოდგენაც არ ძალუძდა ორიოდე საათის წინ, ხანგრძლივი დაძაბულობისა და მომქანცველი ტანჯვა-ჯვარცმის შემდგომ ფასდაუდებელ განცხრომადა და შვებად რომ მიეჩნდა, რეზო აფორიაქებულიყო, კალაპოტი დაკარგოდა ჩვეულებრივი ცხოვრებისა, იმდენად უცნაურადა და არადამაჯერებლად გამოიყურებოდა ყოველივე, რაც კი აგერ ახლახან მოესმინა და ეხილა: სქელ, მღვრიე, გაუვალ ბურუსს დაეფარა თითქოს იმისი გონება — მონუსხულივით შესცქეროდა გედეონს და საკმაოდ არეულ-აბურდული ფიქრები მისჯარვოდა, თანდათან რომ ურევდა გონს: „მართლაც საოცარი ამბავია, კაცმა რომ თქვას, თითქმის დაუჯერებელი, არადა, აქამდე რომ არ დასცდენია სიტყვა?!"

ბოლთა დასცა რეზომ, არათანაბარი, ნერვული ნაბიჯით მივიდოდა ერთი კუთხიდან მეორემდე, მერე მობრუნდებოდა ისევ, შეჩერდებოდა წამით, მოწყვეტით შედგებოდა გედეონის წინ, შეავლებდა მზერას და კვლავ განაგრძობდა სიარულს წინ და უკან... გედეონი კი შესცქეროდა როგორი გამწარებითა და ფაციფუცით აწყდებოდა ოთახს ერთი კუთხიდან მეორეს, გალიაში გამოწყვიდეული ნადირივით, რომელიც ჯერ კიდევ ვერ შეჰგუებია ტყვეობას და როცა შედგებოდა ხოლმე მის წინ და გადახედავდა, გედეონი, იმისი საქციელის შემხედვარე, ღიმილს ველარ იკავებდა: ძალზე სასაცილოდ ეჩვენებოდა, რაც კი მაშინ ხდებოდა იქა — რეზოს უეცარი აფორიაქებაც, ბოლთის ცემაც და ისიც, სიარულისას გამეტებით რომ იქნევდა ხელებს... გვარიანი დრო გავიდა იქამდე, ვიდრე დამშვიდდებოდა რეზო, თუმცა მთლიანად გონს მოსული ჯერ კიდევ არ გახლდათ, მოულოდნელად მიეჭრა გედეონს, წამოდექი ფეხზეო და როცა წამოაყენა, შეაჯანჯღარა ერთი ღონივრად და ამოიოხრეხა:

— შეუძლებელი ამბავია, დაუჯერებელი, ნიჭია, ხომ იცი შენ, ნაღდი ნიჭი...

— უჰ, კარგი ერთი, — ხელი ჩაიქნია გედეონმა. დაეჭვდა თან, ხომ არ მაპასხარავებსო, მაგრამ მიხვდა უმალვე, ტყუილუბრალო ორჭოფობა იყო: „არა, როდის ყოფილა, რეზო ვინმეს აპამპულავებდა..."

— ნიჭია, — თავისას არ ეშვებოდა რეზო. გედეონს დღემდე არ ეხილა მსგავსი აფორიაქება რეზოსი. ხოლო იგი ძველებურად ირჯებოდა, დაძრწოდა ოთახში, ბოლოს კი, როგორც ჩანდა, მოქანცა სიარულმა. შედგა და თქვა, — მაცალე კაცო, როდის იგრძენი შენ პირველად ეს ამბავი?..

— საიუბილეო საღამოზე, — კვლავაც დამორცხვებული გამოიყურებოდა გედეონი. — მაშინ დამემართა პირველად ასეთი რამ..

გრძნობდა გედეონი, რეზოს წეღანდელმა მღელვარებამ რომ გადაუარა, თანდათან და მერე და მერე მარტოდენ სიხარულს მინებებოდა, შვებასა ჰგვრიდა მეგობრის უეცარი გახარება, კიდევ ისიც, უშუალოდა და დაუფარავად რომ ამხელდა ყოველივეს. რასაც განიცდიდა და თავადაც აფორიაქდა მერე, აღელდა, თვალნათლივ ხედავდა რადგან, როგორი უანგარო მეგობრობა შესძლებოდა რეზოს, თავზეხელაღებულ, მაგრამ განათლებულ ჭაბუკს. ყველას რომ ანცვიფრებდა იმ უკიდურესობებით, თანდაყოლილი რომ ჰქონდა და უხვად მოვადლებული და, რაც ყველაზე მთავარია და ნიშანდობლივი, არასდროს შეძლებია რეზოს გრძნობათა თუ თავისი სულიერი მდგომარეობის იმდაგვარი გამოხატვა, მაშინ რომ შეამჩნია გედეონმა და ერთი რამ ენიშნა კიდევ: რეზოს, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გულთან მიჰქონდა ყველაფერი, რაც გედეონს აღელვებდა, იმის ყოველი მოქმედება ადასტურებდა ამ ამბავს...

მერე კი ისევ აფუსფუსდა რეზო, აწრიალდა, კარადასთან მივიდა ბოლოს. ჩაიმუხლა იქ, ჩანთა გამოიღო, შიგ ხუთიოდე ცარიელი ბოთლი ჩადო ღვინისა და გედეონს უთხრა ..წავალ ახლა და ღვინოს მოვიტან. აღვნიშნოთ ეს ამბავი, მგონი აუცილებელია..." ხოლო გედეონი გაუნძრევლად იჯდა იმის დაბრუნებამდე: უცნაურზე უცნაური განწყობილება დაუფლებოდა მაშინ — არაფერს ფიქრობდა, ის წეღანდელი საამო შვება-სიმსუბუქე გაჰქრობოდა უკვალოდ, აღარც გადაღლილი იყო იმუამად და არც აფორიაქებული, ბუნდოვან, შეუცნობ გაურკვევლობას დამორჩილებოდა, ამიტომაც წართმეოდა უნარი განსჯისა და ფიქრისა, სარკმლის მინებს კი ისევ გაბოროტებით აწყდებოდა შემოდგომის ქარი და, აი, რეზოც მობრუნდა, ქლოშინით შემოიჭრა ოთახში, კუჩების სიცივე და სურნელი შემოიყოლა თან, შეუსვენებლივ ერბინა, შემოვიდა თუ არა, ღიმილი მოეფინა სახეზე, იმის დანახვაზე გედეონსაც უმალვე დაუბრუნდა უწინდელი სასიამოვნო შვება-განცხრომა, სხეულიც შეუმსუბუქდა, მოზღვავებული ენერგია იგრძნო, უცაბედად დაიკარგა გრძნობა თუ განცდა არაფრის მთქმელი სიცარიელისა, რეზოს გასვლის შემდგომ რომ დაჰპატრონებოდა. სუფრა უცებ გაშალა რეზომ, არ სჭირდებოდა მაინცდამაინც დიდი

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიდარაბა: ხუთიოდე ბოთლი ღვინო მოეტანა, ერთი პური და კიდევ ცოტაოდენი ყველი, სულ ეს იყო და ესა... და უმალ მიჰყვა სადღეგრძელო სადღეგრძელოს, როგორც ყოველთვის, მათი დროსტარებისას, რეზო თამადობდა მაშიაკი. მწყურვალებივით დაეწაფნენ ღვინოს და შეთრობითაც უცებვე შეთვრნენ, თითქმის შეუსვენებლივ შესვეს პირველი ხუთ-ხუთი ჭიქა... თანდათან აავსო თამბაქოს კვამლმა ოთახი, თითქოს სქელი, გაუმჭვირვალი ნისლი შემოჰხვეოდათ გარს, თუთუნის კვამლი კიდევ უფრო თენთავდათ და აბრუებდათ, ისედაც მოთენთილ-გაბრუებულებსა და შეზარხოშებულებს... ორივე გახალისდა უეცრად გამოცლილი იქ ხუთ-ხუთი ჭიქა ღვინის მერე, შემდგომ კი განცხრომით წრუპავდნენ, ნება-ნება, უფრო რომ გაეხანგრძლივებინათ სიამოვნება, ხოლო სადღეგრძელოთა უმეტესობა გედეონს შეეხებოდა, მაგრამ მეგობრობასაც ახსენებდნენ ხოლმე და მართლაც სამაგალითო მეგობრები იყვნენ ისინი, დაიწყეს თუ არა სწავლა ინსტიტუტში, პირველი დღიდანვე დაუახლოვდნენ და შეეგუენ ერთმანეთს და მას შემდგომ არაფერი მოსვლიათ უთანხმოების მსგავსი, ასე მოეღწიათ იმ დღემდე და ეჰა, საცა იყო სტუდენტობაც მიილეოდა და ახლა, როცა ღარიბულ პურ-მარილს შეექცეოდნენ, მომავალზეც ლაპარაკობდნენ, სჯეროდათ, მეგობრებად დარჩებოდნენ სამარადისოდ, სიცოცხლის დასასრულამდე... ნელ-ნელა ცარიელდებოდა ბოთლები და გული სწყდებოდათ ბიჭებს, უფრო დგებოდნენ სმის გუნებაზე. მეტი ღვინო უნდა მომეტანა, შევცდიო, ნანობდა რეზო და კვლავ გედეონის სახელს იმეორებდა, ის კი გულწრფელი მოწიწებით იხდიდა მადლობას, თითქოს უცხო ხალხით გაჭედილ სუფრასთან იჯდა... ბოლო ორ-ორი ჭიქაც გამოსცალეს მერე და სიგარეტს მიეძალნენ ისევ, ხმას აღარ იღებდა არც ერთი მათგანი, ორივე საფიქრალს ასდევნებოდა თავისას: რეზო, არ არის ძნელი მისახვედრი, გედეონზე ფიქრობდა მხოლოდ, სხვა რამის დარდი არა ჰქონდა იმ დროს, საოცრად შემსუბუქებოდა ტანი და კუნთებიც დასჭიმვოდა ერთდროულად, რა თქმა უნდა, ღვინოსაც მიუძღოდა ბრალი, მაგრამ სასმელზე უფრო მეტად იმ ამბავს აეფორიაქებია, აგერ ახლახან რომ გაეგო და ამუამად, როცა ღრმად ჩაფიქრებულიყო, ცდილობდა, როგორმე მეცნიერული თვალსაზრისით აეხსნა ყოველივე, რაც მომხდარიყო, საერთოდ ასე გახლდათ, თითქმის ყველა ცხოვრებისეულ ამბავს, სულ ერთი იყო, წვრილმანი იქნებოდა თუ მსხვილმანი, მეცნიერულად ხსნიდა ხოლმე, ჩვეულება ჰქონდა ამგვარი და ახლაც მრავალი მსგავსი შემთხვევა გაიხსენა გუნებაში, მოულოდნელად რომ აღმოჩენოდათ ადამიანებს ესა თუ ის ნიჭი თუ უნარი და ისიც მოაგონდა, მსგავსი ყაიდის ხალხს თავად არა გაეგებოდა რა იმ ნიჭისა, ეგ კი არა, მეცნიერებიც უძლურნი იყვნენ აეხსნათ არსი და ვითარება საქმისა... „ყოველთვის ვგრძნობდი, რაღაცით არაჩვეულებრივი ვინმე რომ იყო გედეონი. — ფიქრობდა რეზო. — მაგრამ ამ ამბავს ვერ წარმოვიდგენდი ვერაფრით...“ ამას რომ ფიქრობდა, ჟამ და ჟამ გედეონს შეავლებდა ხოლმე მზერას... ხოლო გედეონს არ შეეძლო მაშინ სხვა რაიმეზე ფიქრი: თავის თავს ეალერსებოდა მხოლოდ და მხოლოდ — ჯერ ბუნდოვნადა და გაურკვევლად ისახებოდა იმის გონებაში ფიქრი, უფორმოდა და უკონტურებოდ, მისგან დამოუკიდებლად, ერთი შეხედვით სრულიად უმიზეზოდაც, მაგრამ, რა თქმა უნდა, საბაბი არსებობდა და კანონზომიერიც და იმ დროს, როცა სტიქიურად ჩნდებოდა ფიქრი, ბრუვდებოდა და თავგზას კარგავდა, სასმელითაც იყო გონდაბინდულ-გაბრუებული, თამბაქოს კვამლითაც, უფრო მეტად კი იმ შვიდი დღე-ღამითა და თავსგადახდენილით და რეზოს წეღანდელი საქციელითაც — უეცრად რომ აღელდა, როგორც კი ვითარება გაირკვა საქმისა და შემდგომ უცებ რომ დაეუფლა სიხარული, ისეთი, სხვა დროს რომ არ დასტყობია არასდროს... არა, არ გამოუმჟღავნებია ოდესმე მსგავსი რამ რეზოს. მაინცდამაინც როდი ეხერხებოდა განცდათა გამოხატვა, ქალურ თვისებად მიაჩნდა, ძლიერი ბუნებისაა და ამიტომაც არის, ვერ გაუგებ ადვილად, როდის რა სწყინს და რა უხარიაო, აი, ასე ამბობდნენ რეზოზე ნაცნობები... მერე კი გედეონის გონებაში ის უფორმო და უკონტურებო ფიქრი ნელინელ იძენდა ფორმასაც და მკვეთრად შემოხაზულ კონტურებსაც და აღტაცება-აღფრთოვანებაც როდი აყოვნებდა, უხვად მოედინებოდა, ეუფლებოდა და იმორჩილებდა, წამლეკ-გამაბრუებელ ერუანტელად ედებოდა იმისი სხეულის ყოველ ნერვსა თუ უჯრედს, ამგვარი რამ კი არ განეცადა არასდროს, რაც თავი ახსოვდა, უჩვეულო გახლდათ ის აღფრთოვანებაცა და მოჭარბებულ-გადაზედმეტებული სიხარულიც, რომლის შეგუება ძნელზე ძნელი რამ გახლდათ, იმგვარი ემოციური ჭაბუკისათვის, გედეონი რომ ბრძანდებოდა და ალბათ ამიტომაც თუ იყო, იმ ღამით, როცა რეზოს ოთახში იჯდა, თამბაქოს სქელ, მათრობელა კვამლში გახვეული, მარტოდენ თავის თავს სწირავდა ფიქრებს, სხვა ვინმეთა დარდი არა ჰქონია და ვერც გაამტყუნებდი, რაკიღა ცხოვრებას მისას მდორედ ჩაევლო, ყოველთვის იგრძნობოდა დიდებულად მორგებული ჯებირ-კალაპოტი თუ მჭიდროდ შემოკრული არტახები, რომელიც ბორკილებად არა ქცევია არასდროს, ისე გახლდათ შეგუებული, სიცოცხლე ვერც წარმოედგინა უკალაპოტ-უარტახებოდ... ცხოვრება კი მიზოზინებდა, ემატებოდა წლებს, წლებს და ისე მომდგარიყო დღევანდელი დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფრით გამორჩეულა გედეონი სხვათა-გან, არსად და არასდროს, პირუკუ, ერთი ყოვ-ლად ჩვეულებრივი ვინმე იყო ყველგან და ყოველთვის... არადა, მოგეხსენება ალბათ კარგად, ზოგი დაბადებისთანავე შეიძ�lebs განსხვავდეს ირგვლივ მყოფთაგან, იცი ვგონებ, დაბადებითვე უჩვეულოდ დიდი თმა დაჰყვება ზოგიერთს და, რა თქმა უნ-და, ამით უეცრადვე მიიპყრობს ყურადღე-ბას, მარტო მშობლებისას და უახლოესი ნათე-სავებისას კი არა, უცხო ადამიანებისასაც, გა-მონაკლისს წარმოადგენს რადგან და, ეს სხვა-გვარობა ხდება გარეშემო მყოფთა ყურადღე-ბისა თუ დაინტერესების მიზეზი, ზოგჯერ კი საბაბიც ერთი შეხედვით თითქოს უსაფუძვლო მითქმა-მოთქმისა და აურზაურისა... ზოგი და-ბადება თუ არა, წონით გამოირჩეა, ჩვეულებ-რივზე ნაკლებით ანდა მეტით, ეს სულ ერთია... იბადებიან შვიდთვიანები, რვათვიანები, მენჯ-ამოვარდნილნი, კურდღლის სასიანნი, ვინ იცის, კიდევ რანაირ-რანაირნი აღარ იბადებიან — უამრავზე უამრავი გადახრა-ანომალია არსე-ბობს ამქვეყნად, ყველას რას ჩამოთვლი... ზოგი მოევლინება თუ არა ქვეყანას, ბოხი ხმით ტი-რის და ამცნობს იოგელივ მყოფთ, აბა, მეც მოვედიო და ის ხმა ჩვილთათვის შეუფერებე-ლია, ზოგი ღიმილით იბადება თურმე, მოვა ამ-ქვეყნად და ნეტარი, სათნო ღიმილი აღებეჭდე-ბა სახეზე მაშინვე და ასეთები იმთავითვე გა-მოირჩევიან სხვებისაგან, დაბადებისთანავე იწვევენ ხმაურსა თუ განცვიფრებას და რაკი თავიდანვე გამოირჩნენ სხვებისაგან, მერე, როცა წამოიზრდებიან, ადვილად ველარ ირ-გებენ კალაპოტსა თუ არტახებს, გულუხვად რომ იმეტებს ცხოვრება ყველასათვის და აუ-ცილებელიცაა, ჰო, ეჩოთირებათ არტახები, რადგან ერთხელ გამოირჩნენ სხვებისაგან, თა-ნაც დაიბადნენ თუ არა, მაშინვე... ხოლო გე-დეონი ჩვეულებრივი ვინმე ყოფილა, ქვეყანას რომ მოვლენია იმ დროს: არც მენჯი ჰქონია ოურმე ამოვარდნილი და არც სხვა რამ, არც თმა დაჰყოლია დიდი და ბოხი ხმითაც არ უტი-რიაო და არც გაღიმებული ყოფილა, ნორმა-ლური ჩვილი იყო წონითაც და საერთოდ ყო-ველმხრივ, თან ერთი რამაა კიდევ — იმ დროს დაბადებულა, როცა აუცილებელი იყო, არც აჩქარებულა და არც დაუგვიანია, ეს დაბადება იმისი და, მერეც არ გამორჩეულა რაიმეთი სხვებისაგან: ხომ ხდება ხოლმე, ზოგიერთი ძალზე ადრე იწყებს ლაპარაკს, ანდა, არ მოე-ლი სულაც, ის კი ნაადრევად გადადგამს პირ-ველ ნაბიჯს, ზოგი პირიქით, და ერთნიცა და მე-ორენიც, როგორც უფრო ხშირადა ხდება ხოლ-მე, ადვილად იქცევენ მითქმა-მოთქმის მოყვა-რულთა ყურადღებას. გედეონს კი მსგავსი ამ-ბავი არ შეხვედრია არც ჩვილობისას და არც ბავშვობაში, ენაც თავის დროზე ამოიდგა, მა-ინ წარმოსთქვა პირველი სიტყვა, როცა სა-ჭირო გახლდათ, და პირველი ნაბიჯიც დროულ-ად გადადგა. ისე რომ რაიმე ლაპარაკი არ გა-მოუწვევია და სკოლაში შესვლამდეც ყოველ-მხრივ ჩვეულებრივ ბავშვად ითვლებოდა — არც ნამეტნავ-გადაჭარბებულად ცელქი ყოფი-ლა და არც თვალშისაცემ-ზედმეტად სერიოზულ-ი... მერე კი დრო გავიდა და სკოლის ასაკმაც არ დააგვიანა. მოატანა. და, მაშინაც ის განმე-ორდა, რაც მოსალოდნელი იყო, ისე აეწყო იმისი ცხოვრება, პირველი კლასიდან მოყოლე-ბული არცერთ მეოთხედში არა ყოფილა ფრია-დოსანი. ფრიადოსნობას ვინ ჩივის, კარგოსა-ნიო, რომ იტყვიან, ამგვარი რამეც არ ღირ-სებია და ისიც უნდა აღვნიშნოთ, ერთხელაც არ დარჩენილა კლასში, ამით რომ მაინც გამორ-ჩეულიყო როგორმე სხვათაგან, არა, მსგავსი რამ არ მომხდარა არასდროს. სკოლიდან თუკ-გაიპარებოდა როდისმე, იმითაც ვერ გამოარ-ჩევდი ვინმესაგან და წესრიგსაც ზომიერად არღვევდა. არც საუვედური მიუღია მოსწავ-ლეობისას, არც ქება დაუმსახურებია და ახლა რომ უნდა მოგითხროთ, ეს ამბავიც სკოლის წლებს განეკუთვნება: ჭიდაობის სექცია ჩამო-აყალიბეს მაშინ და რადგან სხვები ჩაეწერნენ, მივიდა გედეონიც. სხვები რომ არა, თავად რას გაბედავდა, ინიციატივის გამოჩენა არ ჰყვარე-ბია არასდროს და არც შეეძლო. ვარჯიშობდნენ სხვები და თავადაც აჰყვა ფეხის ხმას, მაგრამ მოულოდნელი არა მომხდარა რა. არც აქ გა-მორჩეულა არაფრით — ივართებოდა შეჯიბ-რები და რაკი ერთურთს ერკინებოდნენ, ჩემ-პიონები ხდებოდნენ ზოგ-ზოგები. ზოგი კი ჭი-დაობისათვის გამოუსადეგარი იყო და ყველა შეხვედრას აგებდა, ხოლო გედეონი არც ჩემ-პიონი გამხდარა და არც იმათში ამოუყვია თა-ვი, სპორტის ამ სახეობისათვის უვარგისად რომ მიიჩნიეს... ერთი რამ არის კიდევ ნიშან-დობლივი — ოჯახური მდგომარეობითაც არ ყოფილა გამონაკლისი: დედისერთა გახლდათ და, მოგეხსენებათ, დედისერთანიც ისევე მრა-ვალრიცხოვანნი არიან ჩვენში, როგორც დედ-მამიშვილებით დაბუნძლულ-განებივრებულნი, შესაძლოა, უფრო მეტნიც და ბარემ ერთსაც დავსძენ — არც მამა აკლდა გედეონს და არც დედა, ორივენი ჯან-ღონით სავსენი იყვნენ, საღ-სალამათნი... ოღონდაც ეგ კია, მოხდა ერთ-ხელაც და რარიგ გასაკვირი უნდა იყოს, გედე-ონის საქციელმაც გამოიწვია სხვათა განცვიფ-რება: უმაღლესში რომ ჩაირიცხა — აი, მაჭინ იყო ეგა. თუმც ისიც უნდა ითქვას, ვჯონეს სხვებზე მეტად თავად დარჩა გაოცებული — ე, რა ბედმა გამიღიმა, არ მოველოდიო... ხოლო სოფელში ერთი კი დაირხა ხმა, ნინუცასა და

ეპოლოს გედეონი ჩარიცხულა ინსტიტუტშიო, მიულოცეს კიდეც როგორც რიგი და წესი მოითხოვდა და მერე მიივიწყეს უმალვე, აღარც გახსენებიათ, სულ ეს იყო და ესა... შემდგომ სტუდენტობდა გედეონი და აქაც ჩვეულებრივ კალაპოტს დამორჩილებოდა ყოველივე: არაფერს შეუცვლია სიცოცხლის მდორე ერთფეროვნება თუ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ-დაკანონებული ჩვეულებრივი ნირი ცხოვრებისა — გადიოდა დრო, მიითრევდა ფეხს ზოზინ-ზოზინ-მძიმე-მძიმედ, შეუნიშნავ-შეუმჩნეველი მოძრაობით, იმდაგვარად, თითქოსდა არც მიედინებოდა, ის კი გადადიოდა კურსიდან კურსზე და აი, საცა იყო სტუდენტობაც მიიწურებოდა, დარჩებოდა უკან... ოღონდ გეტყვით, გადამავიწყდა კინაღამ, ერთი რამეთი მაინც გამოირჩეოდა სხვებისაგან გედეონი: ახოვანი ტანის ყმაწვილი კაცი გახლდათ და გარეგნობაც საკმაოდ დახვეწილ-ნასათუთარი ჰქონდა, მაგრამ თავად არ ჩაფიქრებულა არასდროს ამაზე და სხვები რატომღა მიაქცევდნენ უურადღებას, საამისოდ როდი ეცალათ... არ იფიქროთ, თითქოს გედეონს ოდესმე დარდად შემოსწოლოდეს გულს, რატომ არაფრით გამოვირჩევი სხვათაგანო. არა, ამდაგვარი არაფერი ყოფილა, ოღონდაც ერთხელ კი მოხდა ამის მსგავსი რამ: მაშინდელი ამბავია, ლალის რომ დაუახლოვდა, გაიცნო თუ არა, იმ დღიდანვე გულში ჩაუვარდა გოგო, მოეწონა, მოეწონა კი არა, ლამის იყო კერპად გაეხადა, თუმცა კაციშვილისთვის არ გაუმხელია, რა დდეც დასდგომოდა, მარტოდენ თავის ფიქრებსა თუ სიზმრისეულ ზმანება-ოცნებებში წარმოესახა ღვთაებად ეს გოგო და აი, სწორედ იმ ხანებში დარია ხელი სევდა-ნაღველმა: ერთი ჩვეულებრივი ვინმე ვარ, არაფრით გამოვირჩევი სხვებისაგან და ლალიმ როგორღა უნდა მიკადროსო... მაგრამ პირიქით მოხდა, იკადრა კი აბა, მტანჯველი სიყვარულითაც შეუყვარდა იგი ლალის და რაკი შეუყვარდა, ცხადია თავისთავად, გამოარჩია კიდეც სხვებისაგან.. ისე კი, როგორც ხშირად ხდება ცხოვრებაში, ჭაბუკიცა და ქალიც მხოლოდ ერთურთის გარეგნობას მიეყვანა სიყვარულამდე, ერთმანეთის სულიერი სამყაროსი არა გაეგებოდათ რა... ის ღაქე კი, რეზოსთან რომ იყო სტუმრად გედეონი, მეორე ღირსახსოვარ-მნიშვნელოვანი დღე გახლდათ იმისი ცხოვრებისა, პირველზე არანაკლები, თითქმის ტოლფასი, შემდგომით შემდგომ გაირკვევა ასე რომ არის, პირველი კი, აი, ის იყო, საიუბილეო თარიღს რომ დღესასწაულობდა ინსტიტუტი და თუკი მაშინდელმა აღმოჩენამ ააფორიაქა და აურ-დაურია ჩვეულებრივი დინება ცხოვრებისა, ლამის იყო დაასნეულა კიდეც და კინაღამ ფსიქიატრიული საავადმყოფოს კართანაც კი მიიყვანა, ამ მეორე დღეს, სამარადისოდ რომ შერჩებოდა იმის მეხსიერებას ულამაზეს გახსენებად, სულ სხვა მარილი ჰქონდა და სხვაგვარი ლაზათი ეცხო: მიმჯდარიყო გაბრუებული და შვებას დამორჩილებული ტახტზე და ფიქრებს მისას მკვეთრზე უმკვეთრესი ფორმა ჰქონდა და ცხადზე უცხადესად შემოხაზული კონტურები და, რაც უმთავრესია, ზუსტად აი, იმ წუთებში იბადებოდა რწმენა საკუთარი თავისა თუ შესაძლებლობებისა, ადრე საერთოდ რომ არ გააჩნდა და არც მიუჩნევია საჭიროდ, ისე შემოგრიალებულიყო იმდღევანდელი დღე, ხოლო რწმენის ჩასახვის მიზეზი, წეღანდელი საქციელი გახლდათ რეზოსი, მოულოდნელად რომ დაეუფლა განცვიფრება, მერე და მერე სიხარულადა და აღფრთოვანებად რომ ექცა, თანაც ბუნებრივადა და უშუალოდ რომ გამოხატა ყოველივე... მთლიანად აღარ გადმოგცემთ მიმდინარეობას გედეონის ფიქრებისას, ოღონდაც იმას კი გეტყვით, რა დასკვნამდეც მივიდა: „მართლაც ნიჭია, ხომ იცი შენა...“ — გაიფიქრა და შემდგომ თანდათან ირწმუნა, არაჩვეულებრივი ადამიანი ვარო... ამის მერე იყო, აშკარად რომ იგრძნო, როგორ ილეწებოდა და იმსხვრეოდა ჩარჩოები, მთელი განვლილი სიცოცხლის მანძილზე საჭიროდ რომ მიაჩნდა, ნაკუწნაკუწდებოდა და იფხრიწებოდა მჭიდროდ შემოსალტული არტახები, ურომლისობა ადრე ვერც წარმოედგინა და ის კალაპოტიც ირღვეოდა და საცა იყო ჩაიშლებოდა, რომელსაც ყოველთვის გამოემწყვდია, რაც კი თავი ახსოვდა...

არ ვიცი, გიფიქრიათ თუ არა ოდესმე, რა ემართება ადამიანს, რომელსაც მთელი სიცოცხლე ისე გაუტარებია, რომ არაფრით გამორჩეულა სხვათაგან და მერე უცებ, ერთ წარმტაცსა და დიდებულ, თუ უბადრუკ-უღიმღამო დღეს მისცემია შემთხვევა სხვათაგან გამორჩევისა, მე კი ძალზე ხშირად მიფიქრია, თუმცა, გამოგიტყდებით და ვიტყვი, ცოტა არ იყოს, მაფრთხობს ერთი საზარად მიჩნეული სიტყვა — ეკლექტიზმი, ხშირად ტყვიასავით რომ დაახლიან ხოლმე მოკრიტიკოსო ელემენტ-პიროვნებები მომწერლებოებს, მაგრამ არც ისე, — ბოლომდე რომ ვერ ვთქვა სათქმელი, ჰოდა, გაგიმხელთ, რა დასკვნამდეც მივსულვარ, შესაძლოა ბოროტმოქმედად იქცეს მსგავსი ყაიდის ადამიანი, უტყუარია ერთი ძველისძველი ხალხური სიბრძნის, უნახავმა რა ნახას პრინციპი, თაობიდან თაობაში რომ გადასულა და დადასტურებულა... ამ მხრივ ეგებ მართლაც საინტერესო და საგულისხმო იყოს თანამდებობის ბოროტად გამომყენებელ პირთა და მათი მსგავსების წარსული — ყოვლად ჩვეულებრივნი ბრძანდებოდნენ ალბათ თავის დროზე, კალაპოტ თუ ჩარჩოებმორგებულნი... ხოლო გედეონი მხოლოდ აი, აგერ ახლა უნდა განსხვავდეს ირგვლივმყოფთაგან და მარტოდენ მაღალმა ღმერთმა უწყის, რას ჩაიდენს და მოიმოქმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებს მერე და მერე... იმ ღამეს კი რწმუნდებოდა თანდათან, უჩვეულო ვინმე ვყოფილვარო და ამის შეგრძნება ხალისს ხომ მატებდა და მატებდა, გონებასაც უწმენდდა, ჰო, საკმაოზე მეტად გახლდათ გახალისებული, ყველაზე მთავარი და ნიშნეული ერთი რამ იყო: ამ არაჩვეულებრივი ნიჭისა და უნარის მქონე ადამიანმა, თავად უკვე დაიჯერა ღა იწამა ესა და ძალიან ადვილადაც, ოდნავი ეჭვიც არ შეჰპარვია, ერთხელ და სამუდამოდ დაიმორჩილა თავისი თავი, ჩამოიცილა ის დიდი, თითქმის დაავადებად ქცეული ჯოჯოხეთური სატანჯველი და ტკივილისმგვრელი აკვიატება — კირკიტი სხვათა საუბრისა... იმ მართლაცდა ღირსსახსოვარი საღამოს შემდგომ შეეძლო საკუთარი ნება-სურვილისდა მიხედვით, მოიწადინებდა თუ არა, მაშინვე ჩაერთო ტვინი ბგერათა გამოსათვლელად და მერე, როცა კი სურვილი წამოუვლიდა, გამოერთო დაუყოვნებლივ, თითქოს ელექტროძრავად ქცეულიყოს იმისი ტვინი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სპეციალისტის ნებას ჰმორჩილებს და სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი რამ მომხდარიყო კიდევ: გედეონი აღარ გრძნობდა საკუთარი თავის ქალაში ჩადგმულ მძიმე, გახურებულ უცხო საგანსა თუ სხეულს და აღარც იგრძნობდა მერე და მერე... „აღსარებასავით იყო მართლაც, — ფიქრობდა იგი, — აქამდეც უნდა გამეგზავნა ეს ამბავი რეზოსთვის, ვინ იცის, ალბათ ასე თუ ამშვიდებს და ანუგეშებს აღსარება მორწმუნეს...“

გვიანი ღამე იყო, რეზოს რომ გამოეგზავნა გედეონი: ქუჩებში ისევ ქროდა ცივი ქარი შემოდგომისა, თუმცა ამჯერად უემურადა და გულის გამაწვრილებლად როდი მოსჩვენებია, ხოლო არემარე ისევ მოეფარდაგებია ყვითელ, გადამჭკნარ ფოთოლს, მაგრამ მთვარისა და ნათურების მკრთალ შუქზე ყველაფერი ლამაზი და სათუთი იყო ირგვლივ, თითქოს ჯადოსნურიც... გედეონი კი მძიმედ მიაბიჯებდა, ნელინელ, მშვიდი, თავდაჯერებული ადამიანის ნაბიჯით და გზა-გზა ისევ ჩაესმოდა რეზოს ნათქვამი: „მართლაცდა საოცარი ამბები ხდება ხოლმე ამქვეყნად, ზოგჯერ დაუჯერებელიც. როგორცა ჩანს, სრული ჭეშმარიტება ყოფილა. ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებს საზღვარი არ გააჩნიაო..“ შინ რომ მივიდა, მაშინღა მიხვდა, ორი საათი მოენდომებია იმ გზის გასავლელად, სხვა დროს ოციოდ წუთი რომ იყო საკმარისი... მეორე დღეს კი რეზომ ქვეყანას ამცნო უჩვეულო ამბავი, არც ერთი ნაცნობთაგანი არ დაუტოვებია, არც ახლობელი და არც შორეული, თანაც სახეზე ეტყობოდა აშკარად, წუხანდელი ღამე თეთრად დასთენებოდა, შეხვდებოდა რომელიმე ნაცნობი, შეაჩერებდა დიდის ამბით, მიესალმებოდა ღიმილით, რატომღაც ცხადად გამოხატული მოწიწებითაც, ალბათ, რა არის უფრო გულდასმით მომისმენოსო... „როგორა ხარ?“ — ჰკითხავდა და ბოლოს მოაყოლებდა, თითქოსდა საბუთად: — გაიგე ახალი ამბავი? — და დადუმდებოდა მრავალმნიშვნელოვნად, ერთხელ კიდევ შეავლებდა გულდასმით მზერას მსმენელს და განაგრძობდა; — ჩვენს გედეონს არაჩვეულებრივი ნიჭი აღმოაჩნდა...

— ნიჭი? — იკითხავდა ის ნაცნობი და, ცოტა არ იყოს, გაოგნებული მიაჩერდებოდა, ცხადი იყო, არ სჯეროდა ნათქვამი, ორჭოფობდა, — ხუმრობ თუ რა არის, გედეონი და ნიჭი? დავიჯერო ვითომ?

— ჰო, კაცო, ასეა და, რა ვქნა... — ამბობდა რეზო და დაწვრილებით ჰყვებოდა ყველაფერს წუხანდელი ღამისას და, ცოტა არ იყოს, ალამაზებდა კიდეც, — ასეა, აბა...

— აუჰ, უყურე შენ!.. — უკვირდათ ნაცნობებსა და თანაკურსელებს, — ვინ იფიქრებდა ასეთ ამბავს...

ხოლო ზოგიერთებს, რა დასამალია და, ნაცნობ-მეგობართა უმრავლესობას, არა სჯეროდა აგერ ახლახან გაგონილი...

— ნიჭი არა, შენც ერთი, ის არ გინდა... — ეუბნებოდნენ ურწმუნონი და თავიანთი აზრით, ფრიად ანგარიშგასაწევ საბუთს იშველიებდნენ, წყალი რომ არ გაუვიდოდა ისეთს, — გაჭირვებულ სამებზე ძლივს სწავლობს, შენ კი რას ამბობ, სულელი ხომ არა გგონია ვინმე, რა ნიჭი, რის ნიჭი, გედეონის ამბავს გვასწავლი?

— ერთი შენც, ვითომ გაგეგებოდეს რამე, — ეუბნებოდა ურწმუნოებს რეზო, ცხარობდა თან საშინლად, — მეც ვარ რა, მოცლილი, რა მალაპარაკებს, — ხელს ჩაიქნევდა უნუგეშოდ, მაგრამ, თქვი ყველაფერიო, შეეკამათებოდნენ ურწმუნონი და ისიც მოლბებოდა მყისვე; — მე მგონი, იცით კარგად, ყველა ადამიანს აქვს თანდაყოლილი რაიმე ნიჭი თუ უნარი, განურჩევლად ყველას, აი, მაგალითად, — თითს მიაშვერდა რომელიმე ურწმუნოს რეზო, — აზრზე რომ არა ხარ, ადვილი შესაძლებელია, შენც იყო რაიმე ნიჭით დაჯილდოებული, მთავარია, აღმოაჩინო როგორმე მიჩქმალული უნარი. ბუნება ამ მხრივ ძალზე გულუხვია, სამეცნიერო ჟურნალებს მაინც არ კითხულობ? არადა, ვინ იცის, რამდენი გენიოსი დადის დედამიწის ზურგზე და ბაიბურსაც არ არის, ჰო, ასეა...

იმ დღეს, მართლაც დიდი აურზაური თუ მითქმა-მოთქმა გამოიწვია თანაკურსელთა შორის ახალი ამბის გაგებამ: ედავიდარაბებოდნენ ერთმანეთს, კამათობდნენ ცხარედ და იყო ერთი ვაიუშველებელი — მართალი იქნება თუ არა, რაც ახლახან გავიგეთო და წარამარა ამეორები-

---

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ნებდნენ რეზოს ერთსა და იმავეს, ისიც დაუზარელად ჰყვებოდა და ჰყვებოდა, შეძლებისდაგვარად დამაჯერებელ საბუთებსაც იშველიებდა ნათქვამის დასადასტურებლად, ლოგიკური მსჯელობის უნარსაც, მართლაც რომ საკმაოზე მეტად ჰქონდა მომადლებული, ფლანგავდა დაუზოგავად და სწორედ ამის გამო ხდებოდა, იმ ურწმუნოთა რიცხვი რომ კლებულობდა და კლებულობდა თანდათანობით. ერთი სული ჰქონდათ სტუდენტებს გედეონის გამოჩენამდე, ელოდნენ გაფაციცებით, მაგრამ გაუცრუვდათ იმედი: პირველი ლექცია დაიწყო და ის კი არ გამოჩენილა, პირველს მეორე მიჰყვა, მეორეს მესამე, გადაუქანცათ ლოდინმა თვალები და ნერვებიც უჩვეულოდ დაეჭიმათ, თუმცა გედეონი მაინც არ ჩანდა და არა, ხოლო ცნობისმოყვარეობა იზრდებოდა და იზრდებოდა. ლექციებსაც უგულისყუროდა და ნაძალადევად ისმენდნენ სტუდენტები — ყველას ერთი სადარდებელი ანაღვლიანებდა და აჰკვიატებოდა მაშინ, ლექტორებსაც აღარ ეპუებოდნენ, ხალისითა და განსაცვიფრებელი ექსტაზით განაგრძობდნენ კამათსა თუ მსჯელობას. ახალი ამბის გაგებისთანავე რომ წამოეწყოთ... და, აჰა, ის უკანასკნელი ლექციაც გასრულდა, მაგრამ, რაო ვითომ, არაფერი ახალი, გედეონი არ გამოჩენილა მაინც და, თითქმის ყველამ ირწმუნა ამბავი, რომელიც რეზომ მოიტანა, თანაკურსელთა შორის სამიოდე ურწმუნოღა თუ დარჩა და რაკი აქამდე არ გამოჩნდა ისა, ვისაც ამგვარი მონდომებითა და ცნობისწადილით შეპყრობილნი ელოდნენ, მეტი რაღა ძალა ჰქონდათ: სინამდვილე იქნებაო, გადაწყვიტა უმრავლესობამ და ცნობისმოყვარეობაც უფრო გაუცხოველდათ, მაგრამ რაღას იღონებდნენ, ისევ ხვალინდელ დღეს უნდა დალოდებოდნენ და, რა გაძლებს ხვალამდეო, სევდა გაურიეს ფიქრს...

გედეონი კი, როცა ამგვარის დიდის ამბითა და ნერვული მოუთმენლობით ელოდნენ ცნობისმოყვარეობას ერთთავად მინებებული თანაკურსელები, შინ გახლდათ იმ დროს, თავის სტუდენტურ ტახტზე გაკოტრიალებულიყო, გამოუცდელ-გაუწაფავი ხელით რომ იყო გამოჩორკნილ-ნაჩალიჩარი და ნებივრობდა არხეინად: თამბაქოს კვამლში გამობვეულიყო, ჩაეყვინთა საამო, სურნელოვან ბურუსში და მომავალზე ოცნებობდა, მაგრამ არა, ოცნებად როდი ითქმის ის, რასაც მაშინ განიცდიდა, თვალნათლივ შეჰმზერდა ხვალინდელ დღეებს — ნათელს, კრიალას, უღრუბლოსა და ლაჟვარდოვანს, მომჯადოებელ, სადღესასწაულო ფერებში ატივტივებულსა და აბდღვრიალებულს და ყამ-ყამ განცვიფრებაც მიაკითხავდა ხოლმე, ეს რა კაცი ვყოფილვარო და ამოიოხრებდა დროდადრო, ფუჭად გამიფლანგავს წლებიო... თუმცა ცხადად არ გაეგებოდა და ვერც წარმოედგინა, როგორი იქნებოდა მომავალი საერთოდ, რა მოხდებოდა ხვალ ანდა ზეგ თუ იმის მერე, მაგრამ ერთი რამ არ იწვევდა ეჭვს, აშკარა გახლდათ, ბრწყინვალე და უჩვეულო უნდა ყოფილიყო მერმისი, თან მკვეთრად განსხვავებულ-საპირისპირო მანამდე არსებულისა, გარდასულისაც და დღევანდელი დღისაც... აი, ამგვარ ტკბილსა და ჟრუანტელისმომგვრელ ნებივრობა-განცხრომაში ჩამოიბინდა, ის კი ისევ ტახტზე გაგორებულიყო, შესცქეროდა ჭერს თვალდაუხამხამებლად და მომავალს ხედავდა, სჭვრეტდა როგორც რაიმე საგანსა თუ ნივთს ანდა პეიზაჟს, რომელიც წარამარა გეჩრება თვალში... ხოლო შებინდებულზე ლალი ეწვია და გედეონსაც არ დაუყოვნებია, წვრილად ჩაუკაკლა ყოველივე, რაც კი თავს გადახდენოდა. „ღმერთო ჩემო, რამხელა ბედნიერებაა, ვგრძნობდი ყოველთვის, არაჩვეულებრივი რომ იყო, აკი ვეუბნებოდი ხოლმე კიდეც...“ — გაიფიქრა ლალიმ და სიხარულის ცრემლით დაინამა თვალები და ღაწვები, აწითლებულ ბაგეებამდეც ჩააღწია კურცხალმა. „ვაიმე, გედეონ, რა ბედნიერი ვარ, შენ ვერც წარმოიდგენ ალბათ...“ — ეს უთხრა ვაჟს და თმაში შეუცურა თითები, უცებვე მოაშორა მერე და ნელინელ, გამოზომილი, ნებიერი ლამაზი მოძრაობით აიწია თითის წვერებზე და კისერზე შემოხვია მკლავი. შესცქეროდა, ვერ აშორებდა ცრემლით დანამულ, გაფართოებულ თვალებს, ბოლოს კი ტუჩები მიუშვირა, იდგა ეგრე, ფეხის წვერებზე აწეული და უკან გადაზნექილი... ისინი დიდხანს იყვნენ იმ საღამოს ერთად, დრო კი არას დაგიდევდა, მიისწრაფოდა შეუბრალებლადა და უმოწყალოდ, გულგრილი ყოველივესა და ყველაფრის მიმართ, ილეოდა, იშრიტებოდა თვალდახელშუა და გული სწყდებოდა ლალის, ასე უეცრად რომ ახლოვდებოდა წასვლა-განშორების ჟამი და გედეონიც ითანაღრებოდა, ისხდნენ ერთმანეთის მხარდამხარ იმ სტუდენტურ ტახტზე, ერთიმეორის სითბო-სურნელით რეტდასხმულ-გაჟღენთილ-გაბრუებულნი... „წასვლის დროა,“ — იტყოდა ლალი, მაგრამ ადგილიდან ვერ იძვროდა, არ ეთმობოდა ის უტკბილესი ჟრჟოლვა-სურნელი, უჭირდა და ენანებოდა ვაჟის მკლავებიდან თავის დაღწევა, წამოდგებოდა, როგორც იქნებოდა მერე, გაემზადებოდა წასასვლელად — შეისწორებდა კაბას, გადაივარცხნიდა და დაი-

ლაგებდა აჩეჩილ თმას, მივიდოდა კარამდე და კვლავ უკან ბრუნდებოდა და ისევ იმ საამო, მათრობელა ბურუს-ურუანტელს მინებდებოდა: ირინდებოდა ვაჟის მკლავებში, იტრუნებოდა და გიზგიზებდა... ყველაფერი, რაც კი იქა ხდებოდა მაშინ, ძვირფასი და აუცილებელი იყო ორივესთვის, ვაჟიც განიცდიდა და ქალიც წაჰლეკ ბედნიერებას, საამო ტკივილამდე მისულს, ბოლოს დათმეს, როგორც იქნა, ერთიმეორე. შემოდგომის ბინდიანი ქუჩებით ბრუნდებოდა ლალი შინ, ნელი, დინჯი, ლამაზი ნაბიჯით მიდიოდა, მიირხეოდა სუსტი და ტანწვრილი, ხოლო ტუჩებითა და თმით ბიჭის ის ძვირფასი და ნაცნობი სუნი მიჰქონდა, რომელიც აუცილებელი გამხდარიყო მისთვის, ღიმილი ეფინებოდა სახეზე და იცოდა, აახლამდე მიჰყვებოდა ნაცნობი სურნელი, ხოლო გამვლელები, ქუჩას რომ მიუყვებოდნენ, ზოგი აჩქარებული ნაბიჯით, ზოგიც დინჯად და ნება-ნება, თვალს ვერ სწყვეტდნენ სადად ჩაცმულ, ლამაზი გარეგნობის გოგოს, რომელიც ეულად მიაბიჯებდა, ფიქრში ჩაძირული მიირხეოდა და იღიმებოდა უმისამართოდ, უფრო კი ფიქრებს ულიმოდა თავისას, რაკი უბედნიერეს არსებათაგანი იყო.

შინ მივიდა თუ არა, ლოგინში ჩაწვა, წამლეკ, ტკივილნარევ ბედნიერებას გრძნობდა. ბოლოს ნელინელ დაუმძიმდა ქუთუთოები, გონებაც დაებინდ-დაენისლა და ღრმა ძილმა წაართვა თავი, ვაჟის ხატება კი არ გამქრალიყო, ისევ იმასთან დარჩენილიყო: ძილშიაც აბრუებდა და თენთავდა ის უძვირფასესი სუნი, რომელიც თმასა და ტუჩებს შემოენახა... ქალწულს მშვიდი, ბავშვური ძილით ეძინა.

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი სახელები

თამარ ლებანიძე

თამარ ლებანიძე თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მოსწავლეა.

ეს ლექსები მან გასულ წელს დედაქალაქის მოსწავლეთა ღია ლიტერატურულ კონკურსზე წარმოადგინა.

პატარა, სათვალებიანი გოგონა მიკროფონთან მივიდა, რვეული გაშალა და... თავისუფალი ლექსების კითხვა დაიწყო.

იმ საღამოს აუღერებული უამრავი ტრადიციული, რითმიანი ლექსების ფონზე, თამარის ვერლიბრი უკვე გახლდათ მოულოდნელობა, მაგრამ მოგეხსენებათ, ურითმო ლექსების წერა თუ მათში საინტერესო პოეტური სამყარო არ ჩანს, თავისთავად არც თუ ისე დიდი პლიუსია პოეტისთვის.

ყურადღების დიდი დაძაბვა იყო საჭირო, რომ მის მიერ წაკითხული ჯერ კიდევ გაპოუკვეთელი რიტმის მქონე ლექსებში, საინტერესო და თამამი აზროვნება გაერჩია კაცს.

დიახ, თამარ ლებანიძის ლექსებს ფორმის მხრივ ჯერჯერობით აკლიათ დახვეწა (თავისუფალი ლექსიც ინდივიდუალურ, მაგრამ მკაცრ შინაგან რიტმიულ კანონებს ემორჩილება), თუმცა ამ დროებით მოვლენას მშვენივრად ავსებს მისი ფაქიზი პოეტური სული და მძაფრი მგრძნობელობა.

! !!

ყველა ბავშვისთვის მახლობელი და ძვირფასი თემები: დედა, მეგობრები, ბავშვობა, მშობლიური ქალაქი, თამარ ლებანიძესთან თავისებურად აუღერდა, შეიძლება ერთგვარად ტრაგიკულიც კი:

მე დავრჩი და კიდევ დიდხანს ვიდექი
საჰაერო ბუშტების უჰაერო, უსიცოცხლო
ნარჩენებით ხელში,
როგორც ყლორტებგადატეხილი მცენარე —
ეს ჩემის ბავშვობის ხეს მოხვდა ტყვია.

სხვა მისი ასაკისთვის, ერთი შეხედვით, თითქოს და „შეუფერებელ" მოვლენებზეც წუხს გოგონა: „მარტოობა", „როდესაც კაცი სულელურად იღუპება", „ქალაქი" და სწორედ ეს გვაძლევს იმედს, რომ მომავალში მისი გზა ფიქრის და ძიების წიაღში წარიმართება.

როდესაც რედაქციაში თამარ ლებანიძის ლექსები წავიკითხეთ, შევყოყმანდით. ასე ნაადრევმა პუბლიკაციამ თავბრუ არ დაახვიოსთქო, ვიფიქრეთ, ბოლოს მაინც დაბეჭდვა გადავწყვიტეთ. არ ჩანს თამარ ლებანიძე ისეთი გოგონა, რომ რაიმემ გააყოყოჩოს.

ენვერ ნიჟარაძე.

●

შენს სულში ყველაფერი გარკვეულია.
გონება წყნარად და პასიურად ისმენს შენიშვნებს.
შენს გულში ყველაფერმა დაიკავა კუთვნილი ადგილი,
თანაც ისე, რომ პროპორცია არ დარღვეულა.
შენ იცი, რაოდენ აფასებენ ადამიანები ყურადღებას
და ცდილობ, სათნოების ნიღაბი არ მოიშორო.
შენ გაქვს ლამაზი თვალები,
უკან გადაწეული თმები
და ნათელი აზრები.
შენ ყველა გიღიმის.
ყველას მოსწონხარ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე არ მოვწონვარ ყველას.
ჩემი სული ამღვრეულია.
გონება თავის მსგავსს დაეძებს.
გული კი მორიგეობით სავსეა
ბრძოლის სურვილით, უსაზღვრო სიძულვილითა
თუ სიყვარულის სიმღერით.
მე მიმაჩნია,
არ შეიძლება ყველას უთანაგრძნო.
ჩემი თვალები არაა ლამაზი,
თმები შუბლზე მაქვს ჩამოშლილი.
და არც აზრები მაწუხებს მაინცდამაინც კეთილი.
მე ყველა არ მიღიმის.
მაგრამ მე მაინც ჯიუტად მჯერა,
რომ არსებობს ადამიანი,
რომელიც მე შემიყვარებს,
შენ კი — მხოლოდ მოეწონები.

მეგობრებს

მე მეგონა, როგორმე გავძლებდი უთქვენოდ.
მაგრამ არა.
თქვენი იმედის გარეშე მე კარებგაღებულ
ცარიელ გალიას ვგავარ,
რომელსაც ჩიტები სჭირდება, და თანაც როგორ?

●

როდესაც კაცი სულელურად ილუპება
და თხოვნა არა სჭრის,
უნდა უბრძანო.
სამკუთხედში, სახელწოდებით:
თხოვნა. ბრძანება, გაფრთხილება
ვალდებული ხარ იპოვო ცენტრი.
ზუსტად ისე, მეტროს ვაგონის კარებზე რომ აწერია:
„ნუ მიეყრდნობით!“

ბავშვობის ხე

ოდესღაც იქ, ბავშვობაში,
მე ვიდექი ორი, წითელი და ლურჯი საჰაერო
ბუშტით ხელში.
მოვიდნენ ორნი.
ერთმა განაცხადა, რომ რაღაცა აქვს ჩაფიქრებული
და ლურჯი ბუშტი უნდა გასკდეს,
მეორემ კი უცერემონიოდ მიაბჯინა

ანთებული სიგარეტი წითელს.
ისინი წავიდნენ.
მე დავრჩი და კიდევ დიდხანს ვიდექი
საჰაერო ბუშტების უჰაერო, უსიცოცხლო
ნარჩენებით ხელში.
როგორც ყლორტებგადატეხილი მცენარე —
ეს ჩემს ბავშვობის ხეს მოხვდა ტყვია.

ქალაქი

მე გუშინ ჩამოვედი სოფლიდან ქალაქს...
აქ წყალიც უფრო უხეშია და სიტყვაც,
აქ ადამიანები გაცვეთილან და ჩაკეტილან,
აქ თოვლი უფრო მძიმეა და უხალისო,
აქ სიცილსაც დაუკარგავს ეშხი,
აქ კეთილდღეობა უფრო ფასობს, ვიდრე ბედნიერება,
აე სიყვარული ჩაუმწყვდევიათ ოთხ კედელს შუა,
აქ სათნოებაზე ლაპარაკიც ზედმეტია,
აქ მუსიკა დაუყვანიათ ტექნიკის დონემდე,
აქ მხოლოდ ბავშვებს მოაქვთ ცოტაოდენი სიხარული,
აქ ბევრი რამ უფრო რთულია და ძნელი.
ვიდრე ჩემს მარტივ სოფელში.
მე მაინც მიყვარს ეს ქალაქი.
და ღმერთმა ნუ ქნას,
ქალაეი
ოდესმე
სოფელს დაემსგავსოს.

დედა — შვილს, რომელიც უკვე თექვსმეტისაა

რა შემიძლია რომ შევასწავლო მე,
უცხო მხარეში მოხვედრილ,
მარტოობისა და ცრემლებისაგან
დაღლილ
იისფერ ყვავილს?
რა უნდა გითხრა...
მხოლოდ ერთი რამ:
არ უღალატო საკუთარ რწმენას,
იყავ გულწრფელი,
არ დაივიწყო სულის ძახილი
და მხოლოდ მაშინ არ მიგატოვებს
კაცობრიობის უდიდესი ნიჭი —
ბედნიერება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობარ ბიჭებს

(ათი წლის შემდეგ)

დარბილებულხართ, როგორც
პლასტელინი
მაცივრიდან გამოღების შემდეგ.
ეს იმიტომ, რომ თქვენში ჩასახლდა
პატარა მსუსხავი მზე,
რომელსაც ოჯახის სითბო და
შვილის სიყვარული ჰქვია.

მარტოობა

მე ვიცი, არავის ვუნახივარ მარტო,
ჩემს თავთან ერთად.
მე ყოველდღიურად მხედავენ
ღიმილთან,
ამხანაგებთან,
სიხარულთან,
ცრემლებთან,
განცდებთან ხელჩაკიდულს.
მხედავენ
კინოში,
ხეივანში,
ავტობუსში,
პლაჟზე.
მე დამინახეს ერთი ორჯერ
სარკეებშიც.
მაგრამ ვიცი, რომ ჯერ არავის
ვუნახივარ
მარტოობაში, ჩემს თავთან ერთად.
და თუ მნახეს, ალბათ ვერ
მიხვდნენ,
რომ ეს მე ვიყავი.

ნარკვევი

ლადო მრელაშვილი

რიჟრაჟიდან რიჟრაჟამდე

მანქანა შედგა. იქიდან ქალი გადმოვიდა, ხელჩანთა გახსნა და ცხვირსახოცი ამოიღო.

გრილი სიო უმალვე მიეალამუნა. შუბლზე ჩამოშლილი თმის ერთი ნაწკეპი ისევ უკან გადაუგდო და მერე გზაზე ავარდნილი მტვრის ღრუბელი ღობეს იქით მიჩიხა.

განიერი, კარგად მოხრეშილი გზა სამხრეთისაკენ მიდიოდა. გზის ორთავ ნაპირს თვალსაწიერამდე გასდევდნენ ცაში ავარდნილი ალვები. ჩუმი შმაშურით ფართქუნობდა ფოთოლთა სიმწვანეში მსუბუქი ფრთებით გახლართული ნიავი. ალვებს იქით ჯერაც ისევ თვლემდნენ მწკრივზე გაბმული ზვრები. მათი შაბიამნისფრად დაფორეჯებული ქათიბები გოლგოთების ძირამდის განფენილიყო განთიადის ვეუან ბურუსში.

გორაკს იქიდან ამოფრქვეული ოქროს სხივები სპილენძისფრად ახურებდნენ ცაში მიმოფანტულ თეთრ, ხუჭუჭა ღრუბლებს, ხოლო თვითონ მზე გავარვარებული გონგივით დამდგარიყო გორაკის თავზე.

ქალი ფრთხილად გადავიდა გზისპირა თხრილზე, ღობეს მიადგა და კარი მოსინჯა.

— შალიკო, — მიუბრუნდა მანქანიდან გადმოსულ შოფერს. — ყარაული არსადა ჩანს. აბა, გასძახე, კარი გაგვიღოს.

ძახილზე გვიან მოსული ყარაული ღობეს მოადგა.

— ვინ იძახის? — გამოეძრახა მოსვლისთანავე. მერე კართან მდგარი ქალი დაინახა და ხელი მოიჩრდილა. — ისევ შენა ხარ, შვილო? — იცნო მოსული და კარს კლიტე ახსნა.

— როგორა ხარ, მიხა-პაპავ? — მოიკითხა ქალმა.

ერთი ჩია კაცი იყო — ვენახის ძველი სარივით გარუჯული, მოფამფალეპული, დიდი, უბეჩამოვარდნილი შარვალი ნასხვისარივით ადკა ტანზე. შინ შეკერილი, სატინის გახუნებული ხალათი ბოსტანში ჩადგმულ საფრთხობელასავით ეკიდა გამომშრალ მხრებზე. განიერი საყელოდან კნაჭა კისერი ჩილიკის ჯოხივით ამოსჩროდა. მხოლოდ დამჭკნარ სახეზე მოუჩანდა წვრილი, ხავსისფერი თვალები — დაკვირვებული, საქმიანი, სიცოცხლით სავსე.

— გუშინდელს აქეთ ძაან კაი გუნებაზე ვარ, შვილო, ღმერთმანი, ძაან კაი გუნებაზე.

— ვითომ გუშინდელი რაღააო? — შეედგა ქალი.

— ეე, შვილო, განა სუ აქ ვიქნები ყარაულათა. ე ვენახები რო დაიკრიფება, ღამღამობით მეც მივუჯდები ამ დალოცვილსა. ძაან დიდი მადლობელი ვარ, შვილო, აბა, მე რაღა შამიძლიან, მაგრამა, რაც შამიძლიან, ნუ ღამზოგამთ და მამიხმარეთ.

ქალმა დამხვდური ერთხელ კიდევ შეათვალიერა, რაც ყოველგვარი სამუშაოები მოთავდა, ვენახებიდან ხალხი გავიდა და ზვრები ყარაულებს დარჩათ, ამ ბერიკაცს მეორედ ჰხედავდა.

— ღვინიაშვილი შენი რძალია?

— მაშა! ჩემი რძალია, მაშა! — ისე დაბეჯითებით უმტკიცებდა, თითქოს წართმევა დაუპირესო. გვერდით მისდევდა მოკაკული და თვალებში შესცქიროდა. უკან, ქამარში გაყრილი გრძელი წალდის ტარი ლამის მიწაზე დასთრევდა გაფშეკილი კუდივით.

— მერე? შენ რა გიხარიან? — შენთვის კი არ გამომიგზავნია. იმ შენმა რძალმა შვიდი შვილი რომ გამოაგორა და საქართველოს შეჰმატა, ეგ იმისია. აი, შენ მაშინ დაგაჯილდოვებთ, თუ ამ ვენახებს ისე შეინახავ დაკრეფამდის, როგორც აქამდის ინახავდი.

— ეე, შვილო ღვთის სამართალს წინ ვინ გადაუდგება, ან დახვრეტილ ცას ხელს ვინ ააფარებს? — წელს ექვსჯერ დავისეტყვენით... მაინც ფიქრი არ არი გურჯისა, გადაიკიდებს

ხურჯინსა. გეგმასაც შავასრულებთ და ვალდებულებასაც. მაინც ხო სუყველაფერში შენი იმედითა ვართ.

— ჩემი იმედით მე თითონ არა ვარ. შენ რა გაქვს საიმედო?

— ეე. შენი იმედი ძალიანა გვაქ. შვილო. რაც შენ მოხვედი. საგარეჯოში ველარ ჩავსულვარ.

ქალი ერთხელ კიდევ მოუბრუნდა და ბალღივით ცუღლუტურ თვალებში ჩაჰხედა.

— გამოცანებით ლაპარაკი გცოდნია. მიხა-პაპავ. ეს რა. — მე ავკრძალე რაიონის ცენტრში მოხუცების ჩასვლა თუ თავად შენ არ გიშვებენ შინიდან?

— არა. შვილო. სიარულს ვინ დამიშლის? — ბერიკაცის თვალებში ეშმაკებმა წამოუვეს თავი. — მაგრამ თავად ვერა ვბედამ. — არ დავიკარგო-ბეთჭი. შასასვლელი შასასვლელს აღარ ჰგავს. — გამოსასვლელი კიდევ — გამოსასვლელს. — დიდ ქალაქში მგონია ხოლმე თავი.

ქალმა ობილად. ალერსიანად მოჭუტა თვალი და თავადაც ეშმაკურად გაიღიმა.

— ჰაი. მიხა-პაპავ. რა ლიქნი გცოდნია. ცოტა ახალგაზრდა რო იყო. რაიკომის ინსტრუქტორად დაგნიშნავდი. ღმერთმანი. დაგნიშნავდი. არა გჯერა?

— როგორ არა. შვილო. როგორ არა. რო თქო — ორი აღმა მიდისო. შენ ხალხი იმასაც დაგიჯერებს. — მე ვინ ოხერი ვარ? ინტრუქტორობას კი ძალიან კარგათაც შავიფერებდი: ჩემოდენა ტუუილს ვერცერთი ვერ გეტყოდა და ჩემითანათ კვერს უველაფერზე ვერავინ დაგიკრამდა.

ქალი ახლა უკვე იცინოდა. იცინოდა და თუნდაც ასგზის დაიფიცავდა. ეს ბერიკაცი სანამ აქ ყარაულად მოვიდოდა. უფრო ადრე კიდევ სადღაც ენახნა.

ქალმა საურმე გზიდან გადაუხვია და მწკრივებში შევიდა. ფრთხილად მიდიოდა. ნარწყავ ნიადაგში ფები ღრმად ეფლობოდა მწკრივთა შორის ორთავ მხარეს ათვალიერებდა თვალშეპარულ ყურძენსა და დატროუებულ რქებს. დროდადრო ჩერდებოდა. მტევნებით დაყურსულ ვაზს გულდაგულ უსინჯავდა მსხმოიარობას. სიკუმსესა და მარცვლის სიმსხოს. დაიხრებოდა. მავთულებში მოხერხებულად გაძვრებოდა და ახლა სხვა მწკრივებს მიადგებოდა. უველგან ნასეტუვი რქა და დაცხრილული ფოთოლი ჩანდა. ხოლო ყურძენს. აი. საოცრება! — ერთ მარცვალსაც ვერ უპოვნიდით მიმოფრიჯგვილს. მხოლოდ ის ადგილები აჩნდა ზედ მჭრქალ-რუხ ზოლად. სადაც სეტუვა მოჰხვედროდა და ჭრილობას შემდეგ პირი შეეკრა.

ქალი ნასიამოვნები სინჯავდა და თან უკან ადევნებულ ბერიკაცს კმაუოფილი ეუბნებოდა:

— სანაძლეოს ვდებ. მიხა-პაპავ. წელს. სანამ შენ აქ ყარაულად შემოხვიდოდი. მანამდის სადღაც შემხვედრიხარ.

— შავხვედრილვართ. შვილო. როგორ არ შავხვედრილვართ. — ბერიკაცი დაიხარა. მტევნის სიმძიმით მავთულიდან აგლეჯილი რქა სადღაც ნაპოვნი ულეწელას ღეროთი ისევ მავთულს მიაბა და სტუმარს გვერდიდან მოუარა. — იმ შავსა და ავათ მოსაგონარ ღამეს. ბოლო დროს ე ვენახები რო დაგვესეტყვა. შენ რო დაგვეცი შუაღამისასვე და იმ სეტუვას შენებური მეხი მააყოლე. იმ მეხის ერთი ნატეხი მეც მამხვდა.

ქალმა ფეხსაცმელზე ულამდე აკრული ტალახი ცემენტის სარს შეაწმიმდა და კიდევ ერთხელ გაიღიმა.

— მართლა როგორი ქარაგმებით ლაპარაკობ. მიხა პაპავ?

— აბა. ამას რა ქარაგმა უნდა. შვილო? იმ ღამესვე რო შაბიამანი და გოგირდი გაამზადებინე. მეორე დღეს დილა-ბნელზე რო ქუდზე კაცი მაითხოვე ზურგის აპარატებით. მეც იქ არ ვიუავი? აეს ნაკვეთი სწორეთ მე შავწამლე და გოგირდიც მე შავაყარე. ლაფი ძუბლებამდისა მცემდა. იმ. სეტუვაში აზელილ მიწაში ერთ ფეხს რო ამოვაირობდი გადასადგმელათ. სანამ მეორესაც ამოვიღებდი. უკვე პირველი მეფლობოდა. ნიათი გამიქრა. მუხლი მამეჭრა. მაგრამ მაინც არ ვეშვებოდი. ძალს ღმერთი იყო და ძალს მე. ძალს ღმერთი იყო და ძალს მე! — აეგრეა ბადაოჩენილი ეს ვაში. აი!

— თვალი კი დაუდგეს სიბერეს. ბედავ. თუ რმე სად შემხვედრიხარ და მე აღარც მახსოვდა.

— ჰი-ჰი-ჰიი! — შენ კი გაიხარე. — ჩაიქირქილა ბერიკაცმა. — რა დროს შენი სიბერეა. მავთულებზე ბიჭა-ბატკანივით დაჰხტიხარ.

— ღმერთმანი. მართლა ვნახობ. რომ ორისამი წლით ძაინც დაგიგვიანდა რაიკომის ინსტრუქტორობა. — ხალმები ქალი მწკრივებიდან გამოვიდა და ახლა საურმის ბალაბზე გაიწმინდა ფეხსაცმელები. — დაიცა. — უცებ შედგა. — ერთი კარგი რამ მომაფიქრდა. ზვრები რომ დაიკრიფება. ბერე სად წახვალ?

— როგორ თუ სადა? — შინ ჩავალ. როგორ. რაკი ტელევიზორი დაუდგეს. ჩემი რძალი შინ აღარ ზამიშვებს?

— მოიცა. სერიოზულად ვილაპარაკოთ: თუ. როგორც ვენახებს უფრთხილდები და ინახავ. იმასაც ისე შეინახავ. მე შენ ერთი კარგი ისტორიული ძეგლის შენახვასა და უარაულობას მოგანდობ. მიხა პაპავ.

— ეე. აბა მაგაზე როგორღა შაგაწუხებ. შენგან იგრეც ძალიან მადლობლები ვართ. მოხველ თუ არა და ომში დაღუპული ბიჭების დედები მაიკითხე. მაშინ რო ოთხმოცი მანეთი გამოგვიგზავნე. ჯერ იმის მადლობაც არ გვით-

---

ლადო მრელაშვილი

რიბრაკიდან რიურაკამდე

ქომ. ახლა კიდენა გუშინდელი ტელევიზორი..

— შენ ნამეტანი ნუ იკატუნებ თავს. ძია მიხავ. მე მადლობა კი არა, კაცი მჭირდება. რო იმ ძეგლს მიგვიხედოს. ხვალვე მოდი და მოვილაპარაკოთ. — ორშაბათობით არი ხოლმე რაიკომში მიღება. — ქალმა ხელი ჩამოართვა და გამოემშვიდობა.

— რო არ მოგატყუო. ხვალ ვერ მოვალ. აბა, სად წავალ. სანამ რთველი არ გათავდება? — თქვა უარაულმა.

შოფერმა ბოლო მარცვლები შეიყარა პირში. მერე გაწიწკნილი მტევნის ნარჩენი გადააგდო და ვენახის კარი გამოაღო.

— კარგი. ეგრე იყოს. რთვლის შემდეგ მოდი. — ქალმა კარი გაიარა. გზისპირა რუს მსუბუქად გადაახტა და მანქანაში ჩაჯდა.

გზა ახლა უკვე არხს გასდევდა მღვრიე. მაცოცხლებელი ივრის წყალი დინჯი ლივლივით მიუყვებოდა კაცისგან დადებულ კალაპოტს. ხეები გამქრალიყო. მხოლოდ იშვიათად ბუჩქები და გადამტვრეულ ალვის ძირზე ამონაყარიღა ღიმღამობდა არხის კიდეზე. ნარი. თავცეცხლა და ურობალახა გაზულუქებულიყო სინესტისაგან. ბეტონის პირზე გადმოკიდებული თაგვისარას ბარაქიანი თავთავები მღვრიე წყლის სარკეში ისწორებდნენ სინოტივით გაყღენთილ ყუნწებს.

ქალმა თვალი მოსწყვიტა მარტოსულად აყუდებული წყალსაქაჩის ბათქაშაცვივნილ კომკს და შოფერს მიუბრუნდა:

— გუშინ ვეღარ მოვასწარი წერილების გადაკითხვა, ხომ არ დაივიწყე?

— არა, მაგას რა დამავიწყებს. ქალბატონო მედეა, მანდვეა, მანქანის თახჩაში. — შოფერმა მარჯვენა წარბი მარჯვეთ აზიდა.

ქალმა თახჩა გააღო, იქიდან მოგრძო კონვერტი გამოიღო და ზედ დაჰხედა.

თავისი ყოფილი თანაკურსელის წერილი იყო. სწერდა: უკვე კარგადა ვარ და სამსახურშიაც დავდივარო.

მედეამ უპატრონოდ დარჩენილი ეს ქალი თელავიდან გადადებული ავადმყოფი ჩამოიყვანა და საგარეჯოს საავადმყოფოში დააწვინა. თავადვე ეთქვა საწყალს: „ჩემი მომხედი ამ ქვეყანაზე მედეას გარდა არავინ იქნებაო". დიდი მეგობრობა არ ჰქონიათ სტუდენტობისას, მაგრამ ადამიანს უჭირდა და რას ჰქვიოდა შენი და ჩემი? — ვინც უნდა ყოფილიყო, — მისი იმედი ჰქონდა. თავზე საუკეთესო ექიმები დააყენა, შინ გაკეთებული საჭმელი მიჰქონდა ყოველდღე. სადაც არ უნდა ყოფილიყო, რა დროსაც არ უნდა დაბრუნებულიყო იქიდან, უეჭველად მიაკითხავდა და ერთ თვეში ფეხზე დააყენა. — შინ გაისტუმრა გამოჯანმრთელებული. ბოლოში მიეწერა: „მთელი თელავი შენ მოგტირის. — ნეტა თუ დაგვიბრუნდება ისევაო".

— ნეტაი მე რას მომტირიან? — ხმამაღლა გაიფიქრა ქალმა. — ძალიან კარგი მდივანი ჰყავთ. მივიდნენ და იმას მიაკითხონ.

შოფერმა ერთი გადმოჰხედა თანამგზავრს და ისევ გზას უმარჯვა მანქანა.

მეორე წერილი ზუგდიდელი მანანა თოდუასი იყო.

„შენს გადარჩენილ ბავშვს წელს 9 წელი შეუსრულდა. სალამს გითვლის და თავის ნახატსაც გიგზავნისო".

მართლაც კარგი ნახატი იყო: ცამდე აწვდილ ციხის კედელს ვიღაც თავზე უაბალახწაკრული, იარაღით დახუნძლული კაცი ეფოფხებოდა. ქვეშ შეკაზმული ცხენი დაჭდგარიყო და მხედარს აჭყურებდა დაეჭვებული: ნამდვილად ავათუ არაო. ქვეშ ეწერა: „დათა თუთაშხია რუბის ციხეზე".

ეს ბიჭი დედამ შარშან მოიყვანა და აჩვენა. მშვენიერი ბიჭი იყო: მაღალკანჭა, კოხტა და ლამაზი. სიხარულის ცრემლად იღვრებოდა საწყალი ქალი: „შენი გადარჩენილია ეს ბავშვი, შენ მაჩუქე იგი ხელმეორედ. შენ აღადგინე იგი მკვდრეთითო".

მედეამ პირველად ვერა გაიგო რა, მერე კი, სტუმარმა ტელევიზია, კაკაპეთის სასოფლო ურილობა რომ ახსენა და იქაური ბავშვის მომტაცებელიც წუევლა-კრულვით ჩადო მიწაში, რაღაცას მიხვდა. თურმე ეს პავშვი ზუგდიდში მოეტაცნათ არაკაცებს, ოც დღესა ჰყოლოდათ დამალული და მერე, იმ კაკაბეთურ ხალხის რისხვასა და ბორგვნას დაეფრთხოთ.

— „მეორე დილითვე ღამიანად მომიყვანეს და ჭიშკართან დამიტოვეს თვალებახვეული. ღმერთო კი მომკალი. სად მჭონდა, ჩემო გადამრჩენელო, ვინმესთვის მისაცემი ხუთიათასი მანეთი?"

— ნიჭიერი ბიჭი ყოფილა... ამათაც იციან რა, გაზანზღარება, რომელი ბალღების გადამრჩენელი მე მნახა. — ნახატი ფრთხილადვე გაკეცა ოთხად. ფრთხილადვე ჩადო კონვერტში და ისევ თახჩაში შედო.

— მეღორეობის კომპლექსისაკენ გადავუხვიო? — იკითხა შოფერმა. როცა თანამგზავრმა ახალი კონვერტი აიღო.

— იქიდან ჩამოვიაროთ. — თავაუღებლად თქვა და წერილი გახსნა.

მოსკოვიდან იწერებოდა ვინმე სერგო კუპატაძე. სამამულო ომის ვეტერანი ვარო. წელს გამარჯვების 35 წლისთავთან დაკავშირებით აქ მიმიწვია „მცირე მიწაზე" მდებარე საზღვაო სასწავლებელმა და 255 საზღვაო ქვეითი ბრიგადის ვეტერანთა საბჭომო. აქეთ წამოსვლისას საგარეჯოზე გამოვიარე და გზადაგზა მოსკოვამდე ეს წერილი დავწერეო. მე თქვენი რაიონის ცენტრში ხშირად გავდი-გამოვდივარ და, როდესაც ვუცქერი, რა იყო საგარეჯო მანდ თქვენს მოსვლამდე და ეხლა რა არი, როდესაც ბარაჩოებში ჩასმულ საგარეჯოს ვხედავ, ყოველთვის ერთი სურვილი მიტანს: გადმოვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დე მატარებლიდან თუ ავტობუსიდან. მოწიწებით მოვიდე თქვენთან და დაბლათ დაგიკრათ თავიო...

ქალს ცალუბა ღიმილი მოჰგვარა ძველი ვეტერანის ამაჩუყებელმა გულახდილობამ. მერე წერილში ჩადებული ღია ბარათების ფერად ფოტოებს შეავლო თვალი: ერთი კრემლის ხედი იყო იზმაილოვის კულტურისა და დასვენების პარკიდან. მეორე — ბულგარეთის შავი ზღვის პლაჟი — მზიური ნაპირი. ორივეს საჩუქრად უგზავნიდა. — სხვა ვერა შეგკადრეთრაო.

ქალმა გადმოაბრუნა. წარწერა წაიკითხა: „კეთილი გულით მიძღვნილი, მცირედიც შეიწირების".

— ძალიანაც კარგი შესაწირია. — თქვა ქალმა და ფანჯარაში გაიხედა.

შოროკნებიანი სიმწვანე რუხ ნაცრისფერში გადადიოდა. სერს ქვემოთ, ტაფობში უკვე მარილის თეთრი არშია ერტყა კამკამა ტბის კლაკნილ ნაპირებს. გზა ორ ტბას შუა, მაღლობზე მიდიოდა.

— თევზი ხომ გიყვარს, შალიკო? — ქალს არ მიუხედია, ისე იკითხა.

— როგორ არ მიყვარს. — შოფერმა თავი მოაბრუნა.

— აქაური თევზი ევარგება?

— რომელი თევზი? — ვერ გაიგო შოფერმა.

— აი, ამ ტბებისა. — გინდა მაქეთ მხარის და გინდ აქეთ მხარისა.

— აქ თევზს რა უნდა. ქალბატონო მედეა. ეს ხო მლაშე ტბებია.

— ეხლა ვითომ უცოდინრობაში დამიჭირე. შენზე ადრე ვიცხობდი აქაურობას. ამ ტბების ადგილას რო დიდი საგუბრები გავაკეთოთ გარეჯის უდაბნოს მოსარწყავად და თანაც შიგ თევზი გავუშვათ, ივარგებს?

— როგორ არ ივარგებს. კაცო. სამგორშიც ეგეთი ტბები არ იყო?.. მოსვლისთანავე კი ძალიან დაადგით თვალი ამ საწყალ ტბებს და. როგორც ვატყობ, მალე აუსრულებთ ქადილსაც.

— ეჰ. ხალხი აღარა გვყოფნის. შალიკო. ხალხი, ძალიან აუცრუა ხალხს გული ყოველდღიურმა უამინდობამ. მე თუ მკითხავ. პირველ რიგში ქარსაცავებია საჭირო. მაგრამ ისიც უწყლოდ არ იქნება.

მანქანა გორას ქეჩოზე მოექცა და მერე იქიდან თავქვე დაეშვა შორს, ამ მოშიშვლებული გარემოს ფონზე. ურობალახას. ქუჩისა და ავშნის შერეულულ სილიმღამეში. ერთბაშად დაანდა ხეთა პატარ-პატარა კორომებით მოჩითულ უდაბნოს პერანგს ღილებივით ასხმული სახლები.

ესეც შენი უდაბნო!

ოდესღაც აქ, ამ „უდაბნოდ" წოდებულ გარემოში, მეექვსე საუკუნიდან შაჰ-აბასის შემოსევამდე ჰყვაოდა სამონასტრო ცხოვრება და ქართული კულტურა. იწერებოდა მოწამეთა ცხოვრებანი. ითარგმნებოდა ბიბლია და სახარება. გროვდებოდა გორაკთა ფერდობებსა და ტაშირებზე სამკურნალო ბალახ-ბულახი და შემდეგ მათგან თურმანიძის მალამოს ტოლფარდ წამალ-სალბუნებს ამზადებდნენ წმინდა მამები. ერთი-მეორეზე ჩნდებოდა მიუვალ მღვიმეებსა და პირქუშ კვაბების გულში ნაკვეთი ტაძარ-მონასტრები და სადგომ-სენაკები. ქანჩახთა კიბეებზე იყალყეებოდნენ მაღალი გალავნები და ციხე-კოშკები. ფოლადის საჭრეთელი იწურებოდა მარჯვე ოსტატის ღონიერ მუჭაში და დაუმორჩილებელ ქვათა ზედაპირი იფურჩქნებოდა რთული, დახვეწილი, ჰაეროვანი ორნამენტებითა და ნატიფად ნაკვეთი ჩუქურთმებით. დროდადრო გადასდებდნენ გვერდზე კალამ-საჭრეთელს ღვთისმოსავნი. გაიხდიდნენ ბერულ პერანგებს და ჯაჭვის კურტაკებგადაცმულნი, ჩაბალახმობურულნი და ფარდაბღუჯულნი ხმალდახმალ მისჩხვერავდნენ ანაზადად მომხვდურ მარბიელებს...

შემდეგ დაუმორჩილებელი კახეთის გაუტეხლობით გაავებულმა შაჰ-აბასმა გადაჯეგა აქაურობა. მონასტრის მსახურთ ძველებურმა ალღომ უმტყუნათ. ხმლის ნაცვლად ჯვარი მოიმარჯვეს და მძვინვარე დამპურობლებმაც ექვსასსულიან დაჩოქილ ფარას ცხვრებივით დაურეკინა თავები „უამსა ლოცვისასა".

მას შემდეგ ერთ-ორ საუკუნეს კიდევ იღონღილა და ბოლოს სრულიად მიტოვებულ იქნა.

ადრე, იგი რატომღაც, გარდაბნის რაიონში შედიოდა. როგორც ეტყობა, უფრო ადვილად დასამუშავებელი. უფრო მსუქანი სავარგულებით მდიდარმა გარდაბანმა ვერ დაძალა ეს რეათას ჰექტარიანი მიწა, თავი მიანება და კიდევ უფრო გააუდაბურა იქაურობა. ეპატრონებამ დაანგრია გალავნები და კოშკები იავარქმნა, ჩამოიქცა უნიკალური ფრესკებით მობატული კლდეში ნაკვეთი ტაძრის გუმბათები და კედლები. ბოროტმა ხელმა გადაჩიჩქნა საუკუნეების სიღრმიდან ამოსული წარწერები და ზედ თავისი საკუთარი შემზარავი ხელწერა დატოვა. და იქცა უწმინდესი სენაკები კერძომესაკუთრული გაუმაძღრობით მოუირეებული. გაქსუებული მწუემსების ბუდედ. ხოლო ციხეკა გალავნები და ეკლესია-ტაძრები ცხვრისა და საქონლის ალბაჯ-საყარად.

და მას შემდეგ, ამ ქალისთვის ძილი ძილად აღარ იყო და ღვიძილი ღვიძილად, სანამ ფაეპაპაეული გარეჯის უდაბნოს მთელი სამონასტრო კომპლექსი თავის ნამდვილ პატრონს — საგარეჯოს არ დაუბრუნა.

მალე მთელმა რაიონმა დაჩმკლავა ხელები. თავის ძველთაძველ მამა-პაპეულ ჩამჭრალ კერას მიაშურა. მიალაგ-მოალაგა. გაწმინდა და

ლადო მრელაშვილი

რიერაეიდან ოიურაეამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ აანთო სინათლისა და სიბრძნის კანდელი — გახსნა დავით გარეჯის სახელობის სახალხო უნივერსიტეტი და საძირკველი ჩაუყარა გრანდიოზულ სახალხო დღესასწაულს — „გარეჯობას".

და, როდესაც ყოველი წლის 14 მაისს ბერთუბანი, დოდოს რქის მონასტრის გარეშემონი, ლავრა, სავანე-უდაბნო, ჩაჩხატურა და ნათლისმცემლის მისადგომები თვალსაწიერამდე აივსება სრულიად საქართველოდან მოსული სტუმარ-მასპინძლით, როდესაც ფერდობები, ღარტაფები და გორ-გურები ვეღარ იტევს ზღვაღ შემომდგარ ხალხს, მცირე ხნით განაპირდება ქალი, ოდნავ განზე ვადგება, რათა ნაცნობ-შინაურთ მის დიდრონ თვალებზე ბორგნეული გულის ნაჟური — სიხარულია ცრემლი არ ნახონ და, მწარედ გაიფიქრებს: „მეფე ერეკლეს კრწანისზე რომ ამის მეათედი ხალხი ჰყოლოდა... ალბათ სადღაც უარაბაღში არ მოეწეოდა სიკვდილი იაბოსავით დაკოდილ ხიჯას..."

მანქანამ მოუხვია, გზიდან გადავიდა და პირდაპირ მინდორზე დამუხრუჭდა.

ქალმა თავი აიღო და ფიქრებიდან გამოერკვა. მერე ხელში შერჩენილი წერილი ისევ თაბჩაში შეაგდო. მანქანიდან გადმოვიდა და მიმოიხედა.

გორის ფხაზე შემომდგარი მზე დაუნანებლად უშენდა ოქროვან შუბებს ირგვლივეთის უძრავს და მოძრავს. აქ უკვე უდაბნოს უკან დაეხივნა. წუალსა და მიწის სიღრმეში მბორგავ უბერებელ წვენს მიმოელბო ხე-ბალახის მცოცავი ფესვი და ზედაპირზე მუქ სიმწვანედ ამოეხეთქა. პირვანდელ გომურებსა და ფარეხებს დაბალი, ერთსართულიანი კაცთა სადგომები მიჰმატებოდა. უკვე შემოღობილი ეზოებიდან მოზრდილთა ძახილი და ბალღების გნიასი ისმოდა. ხის ფინურ ბინებს — „ძველ, ერთსართულიან სახლებს" გვერდით ახალი ორსართულიანი სახლები მისდგომოდა. იმდენად ახლები, რომ მათი ჯერ კიდევ ხალასი. გაუხუნარი აგურის კედლები სარკესავით ირეკლავდა გავარვარებული მნათობის შუქს. ზოგი მათგანი მოთავებული გახლდათ, ზოგს სახურავს ჰხურავდნენ, ზოგის კედლები შენდებოდა, ზოგისას საძირკველს ჭურიდნენ. ხოლო ზოგისთვის მხოლოდ ახლა სჭრიდნენ ბალავარს. ყველგან ეყარა ხე-ტყე, თუნუქი, აგურის გროვები, ქვიშისა და შლამის გორაკები, იდგა ცემენტისა და წყლის ცისტერნები. ხოლო წელამდე გაშიშვლებული, უდაბნოს ძზით დარუჯული მშენებლები კედლებადა და ჭერად აქცევდნენ საშენ მასალათა ამ უსახო ხორებს. მშვენიერი კოტეჯები მწკრივდებოდა უშენ ბინდორზე, ლავგარდანები და ლორფინოები ზომიერად ამკობდნენ მათ გარეგან ფორმას, ოდნავ გამოწეულ, ლამაზ შიბად გაყოლებული აგურის ზოლი სათვალიოდ ყოფდა სართულს სართულისგან. ბელეტაუზე ასასვლელი კიბეები, კოხტად განლაგებული კარ-ფანჯრები, ცალ მხარეს გრძელი დაქანების, ხოლო მეორე მხარეს ერთბაშად დაყირავებულ-დასხლეტილი სახურავი, უცხო, შეძლებული კაცის ვილის იერს აძლევდა სიმაღლეზე აწვდილ შენობებს.

ღმერთმანი, ასეთ სახლში კი ღირდა ცხოვრება!

ეს გახლდათ სოფელი უდაბნო! სოფელი ახალი, ახლად ჩასახული და ფეხადგმული. მხოლოდ ოთხიოდე წლის ისტორიას მოითვლიდა იგი. აქ საქართველოს უძველესი კუთხიდან — ჰერეთიდან პირველად ოცდახუთი ინგილოს ოჯახი ჩამოსახლდა. ხოლო ახლა უკვე სამოცდაათამდე კომლს არწყუულებდა ეს ოაზისი.

აქ უპირველეს ყოვლისა გაუვანილ იქნა 60 კილომეტრიანი სამანქანე გზა და სასმელი წყალი. შემდეგ კი გაიხსნა რვაწლიანი სკოლა, საბავშვო ბაღი, საექიმო პუნქტი, პურსაცხობი, ბიბლიოთეკა, კავშირგაბმულობა, აშენდა მეცხვარეობის ფერმები და, ასე და ამგვარად, საქართველოს რუკაზე გაჩნდა კიდევ ერთი ქართული სოფელი, კიდევ ერთი მეურნეობა. — „უდაბნოს მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობა".

სწორეთ ამ მეურნეობის დირექტორი — ვახტანგ ხარაშვილი გახლდათ. ვინც პირველი შეეგება მანქანიდან გადმოსულ ქალს.

მშენებლებმა მუშაობა შეაჩერეს და უდაბნოს თავკაცთან მოსაუბრე ქალს დაუწყეს ყურება. ოცდაათზე მეტი ახალი სახლი შენდებოდა და თითო-თითოდ კი არა, ყველა ერთბაშად! ეს არც იყო გასაკვირი, რადგან ნინოწმინდელებმა გადაწყვიტეს ერთი სახლი სრულიად უსასყიდლოდ აეშენებინათ ახალმოსახლეთათვის უდაბნოში, ოღონდ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს მოემარაგებინა საშენი მასალით. ეს კეთილშობილური წამოწყება რაიონის დანარჩენმა სოფლებმა აიტაცეს და ასაკის განურჩევლად მოაწყდნენ მშენებლები გარეჯის ბებერ მიწას.

— აბა, სოფლის განაშენიანების გენერალური გეგმა მაჩვენე. — უთხრა ქალმა დირექტორს და თვალებში დაკვირვებით ჩაჰხედა.

— წამობრძანდით. — დირექტორი შებრუნდა და სოფლის განაპირას, სიცხით დაშინებულ ბალახზე მუცლით გართხმული ვაგონისკენ გაუძღვა.

ქალი გზადაგზა ჩერდებოდა, ყოველი სახლის ირგვლივ მოფუსფუსე მუშებს თბილად ესალმებოდა, ეკითხებოდა ჯანმრთელობაზე, შინ დარჩენილ თავისიანებზე, რა უჭირდათ, რა ულხინდათ, რა აკლდათ, ხომ არაფერს უჩიოდნენ თავკაცს, მომმარაგებლებს, აღუთქვამდა დახმარებას, ჰპირდებოდა, მხარზე ხელს მეგობრულად უთათუნებდა, იცინოდა, აცინებდა და ახლა სხვა ჯგუფში, სხვა მშენებლებთან გადადიოდა.

და, როცა ვაგონ „ჰტაბს" მიაღწიეს, ქალმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკვე დაწვრილებით იცოდა რომელი სახლის მშენებლებს რა მასალა აკლდათ და სად რა სჭირდებოდათ.

— კარგად გაუწიე ვარაუდი, ვახტანგ. — ქალი დაგრაგნილ გეგმას გაჩორკნილი ფიცრების გრძელ მაგიდაზე შლიდა. — შიბლიანელები საძირკვლის სიღრმეს უჩივიან: ამოდენა საძირკველს რა ცემენტი გააძღობსო. სახლს თუ საძირკველი ღრმა და მკვიდრი არ ექნა, ამ ქარსა და ხორშაკში ფეხზე რა გააძლებინებს? კარგად გაუწიე ვარაუდი. — სიღრმე არ დააკლონ. ეს არი კულტსახლი არა?

— დიახ, მედეა არჩილოვნა. ანდე, სპორტული კომპლექსის გვერდზე გახლავთ.

— ვიცი, კარგია, რომ კულტურისა და დასვენების პარკთან იქნება... ცენტრიც კარგად მოვნიშნეთ, ღმერთმანი, ყოველი ქუჩა თითქმის ბოლოს აქ იყრის თავს... ამაში კი ყოველთვის ეჭვი მეპარება. — ხომ არ აჯობებდა საცურაო აუზი ცოტა მარჯვნივ — ბაღის კიდეში ვადაგვეტანა?

— როგორც თქვენა ბრძანებთ, მედეა არჩილოვნა...

— როგორც მე ვბრძანებ კი არა. — როგორც მოიხდენს და როგორც უკეთესი იქნება, ისე უნდა გაკეთდეს აქ ყველაფერი.

დირექტორმა ჯერ ნიკაპი მოისრისა და მერე კეფა მოიქექა.

— აბა, გავიდეთ და კიდევ ერთხელ დავათვალიეროთ ადგილზე. გეგმაც წამოიღე.

დიდ გულისყურს მოითხოვდა ათწლიანი გეგმა — რომლის საფუძველზედაც 600 კომლიანად უნდა ქცეულიყო ეს სოფელი. აქედან 400 კოტეჯი 1985 წლამდე უნდა დამთავრებულიყო, ხოლო 200 — 1990 წელს.

და, ქალიც ყოველ ამოსვლაზე კიდევ ერთხელ გეგმავდა, კიდევ ერთხელ აითვალიერებდა, კიდევ ერთხელ დავობდა პროექტის სრულყოფაზე და კიდევ ერთხელ ამოწმებდა ადგილზე ყველაფერს...

უკან დაბრუნებულებს ვაგონში ორნი დახვდნენ. ისტორიული მეცნიერების დოქტორი, კახეთში არქეოლოგიური ექსპედიციის უფროსი — კიაზო ფიცხელაური და დავით გარეჯის მუზეუმის დირექტორი ილია ქვლივიძე.

— ოჰო, პროფესორო, გამარჯობათ! — ღმერთმანი, დღეს თითქოს მოგელოდით კიდეც უდაბნოში. გამარჯობა, ქვლივიძე.

— ვიცოდი, რო აქ იქნებოდით, ქალბატონო მედეა. — საშუალოზე მაღალი, ჩასხმულ-ჩასკვნილი, უდაბნოსა და ცილნაღის მზით შერუჟღული, შუახნის პროფესორი უმალ წამოდგა და სალამი შეაგება. ახალგაზრდული სიმკვირცხლე ჯერ ისევ შემორჩენოდა. იდაყვამდე აკაპიწებული სახელოებიდან ღონიერი მაჯები მოუჩანდა.

ო, რამდენი რამ გადახდათ ორივეს ერთად, სანამ გათხრების ნებართვას მიიღებდნენ!.. მერე, დაფინანსება და მუშახელი!

უფროსმა, ვისაც შეეძლო ამ ყველაფრის მოგვარება, ძლიერ შორს დაიბერა: „რაო? დავით გარეჯის უდაბნოში გათხრები? — როგორ გეკადრებათ? — ეს ხომ გიურზას ზონაა? ახლა ის მაკლია, ხალხი გველებს დავაშხაინინო და ნაადრევად გავგზავნო საიქიოს. არა, ჩემო კარგებო, მე ჯერ კიდევ საღად ვაზროვნებ!"

აღფრთოვანებული მამულიშვილის მაგიერ ქალი რომ ცივ, ანგარიშიან საქმის კაცს წაეწყუდა, ერთბაშად აიმღვრა. უნდოდა მკვახე რამ ეკადრებინა კაბინეტში მჯდომისთვის, მაგრამ ძლიერი ნებისყოფით მალევე მოეგო გონს და დანანებით უთხრა:

— აი, თქვენ ისტორიკოსი ბრძანდებით, ბატონო პროფესორო, როგორ ფიქრობთ, რა იქნებოდა იტალიის კამპანიიდან წმინდა ელენეს კუნძულამდე ნაპოლეონი, არკოლეს ბიდზე ავსტრიელების ტყვიის წვიმისა რომ შეშინებოდა?... ვფიქრობ, დროზე ადრე არავინ კვდებაა... მშვიდობით ბრძანდებოდეთ. — ქალმა კაბინეტში მრავალმნიშვნელოვნად მიიხედ-მოიხედა. — ყოველ შემთხვევისათვის მე თქვენ ერთ მანქანა ანტიგიურზინს გამოგიგზავნით. — და გარეთ სულშეხუთული გამოვიდა.

— უნდა ავჩქარდეთ, ბატონო კიაზო, რთვლის დამთავრებას ვერ მოვუცდით. ის ყორღანული ველები, რომელზედაც გარეჯის წყლით მკვებავი არხი უნდა გავიდეს, ძალიან დაზიანდება, თუ დროით არ დავასწარით შესწავლა. დოსუიეს, დოდოს რქის, ჩამძვრალი ხევის, ნატაბტარის და ივრის მარჯვენა ნაპირას გამოვლენილი ნამოსახლარების დიდი ფართობი კარგად არი დაცული. მაგრამ თუ არ დავაჩქარეთ სამუშაოები, არ შეიძლება უდაბნოში ადამიანის დაბრუნებამ ძალაუნებურად უარყოფითი გავლენა არ მოახდინოს.

— განა ხალხი უფრო არ დაიცავს თავისი უშორესი წინაპრების ნასადგომარს, თუ მათ დავანამუსებთ და ავუხსნით, რაც საჭიროა?

— არა, ბატონო კიაზო, მარტო აქ ჩამოსახლებულთა იმედზე ვერ დავრჩებით. აი, ახლაც კი მათ დიდ ზიანს აყენებს ივრისპირელი მოსახლეობა. ისინი საამშენებლო ქვის საშოვნელად აქამდე უწევენ და ექსკავატორებით აბრუნებენ ყორღანთა ზედაპირს, ამით კი შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს ჩვენს შემდგომ მუშაობას.

— განა რაიონის აქტივი და ყველა, ვისაც დავალებული აქვს მისი დაცვა, ცუდად იცავენ?

— არა, მაგას როგორ ვიტყვი, იმ კაი ხალხზე. პირიქით, გუშინ გიორგწმინდელ მშენებლებს ერთი მანქანა ქვა უკანვე მიუტანინებიათ და იქვე დაუყრიენებიათ. მაგრამ მარტო რაიონი თავისი ძალებით ვერას გახდება. თუ ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდგომი ორგანოებიც, ვისაც ამ ძეგლთა დაცვა-პატრონობა ევალებათ, სასწრაფოდ არ ჩაერევნენ. რთვლამდე დაცდა არ ეგების, — ახლავე უნდა განვაახლოთ მუშაობა.

— ახლა ძალიან გაგვიძნელდება ქალბატონო მედეა, თქვენი მუშახელი ძალიან დაკავებულია. ვის უნდა ვუთხრათ, უველას თავისი თავი უჭირს ახლა.

— მერე ძალიან დაგვიანდება. — ქალი დაფიქრებით უცქეროდა პროფესორის. ჭაღარა თმის სიხშირეს. რომლისთვისაც მელოტს ჯერაც ვერ დაერივნა ხელი. — ტექნიკუმის სტუდენტებს მოგაშველებ. მერე თანდათან განთავისუფლდება რთვლის შემდეგ ხალხი... პარალელურად გავაკეთებთ უველაფერს. — საათს დაჰხედა. — ოჰო, რა დრო გასულა. ახლავე ხომ არ დაბრუნდებით უკან?

— არა, ქალბატონო მედეა. მე ჯერ შემოვლა მთლად არ დამიმთავრებია. რა ვქნა, ძალიან დიდი ფართობია.

— შენა, ქვლივიძე, აქ საიდან გაჩნდი?

— წუხელ საღამოს ამოვედი კიაზოსთან და დღეს აქამდე შემოვრჩი.

— რაო, როგორ არი შენთან საქმე? კიდევ აჭიანურებს კულტურის სამინისტროს სარესტავრაციო სამმართველო ნათლისმცემლის ეკლესიის სამუშაოების დაწყებას?

— გულთამხილავი ხართ, მედეა არჩილოვნა.

— მაგათ ურჩევნიათ, თბილისში არ ჩამიყვანონ, თორემ, გაგიხარიან ვაძახებინებ „ბურდა-ვალას". — აბა, ეხლა უნდა მაპატიოთ, სარწყავი არხის მშენებლებს გავუვლი და მერე უკანვე უნდა დავბრუნდე. — 12 საათზე სამარკო-საექსპორტო ღვინოების ჩამომსხმელ ქარხანაში მშენებლების თათბირი მაქვს დანიშნული. მინისტრის მოადგილე, სამშენებლო და სამონტაჟო ტრესტის მმართველები, მშენებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელები მელოდებიან და ვერ დავაღალატიანებ... მაშასადამე ხვალიდანვე შევუდგეთ გათხრებს?.. თუ ზეგიდან?

— ოჰ, ქალბატონო მედეა, თქვენ თუ ერთი ამოიჭერით გულში რამე, მერე წინ ვეღარაფერი დაგიდგებათ. აბა, რას ვიზამთ, — კატას ფილტვი ესროლეს და — მეც ეს მინდოდაო. გნებავთ. ზეგიდანვე დავიწყოთ.

— მაშ შევთანხმდით.

— შევთანხმდით, ქალბატონო მედეა, მართლაც და რაღას უნდა ვუცადოთ? — მაინც საზოგადოებრივ საწყისებზე გვიხდება მუშაობა.

ქუჩა შუა სოფელზე გადიოდა. ეს იყო მთავარი ქუჩა, უველაზე უხნესი ქუჩა სოფელში. უდაბნოში. კარგად შემოღობილ ეზოს ფიცრის ალაყაფი ჰქონდა. ღია ჭიშკარში ხმელი, საშუალო ტანის შავგვრემანი ქალი იდგა. ცალი ხელი ჭიშკრის ბოძისთვის ჩაეკვლო, ცალითაც პატარა ბავშვი ეჭირა.

— ერთ წუთს გამაჩერე, შალიკო. ამ ქალს დაველაპარაკო, ჯავარაშვილები ამ სოფლის პირველი მოსახლეები არიან და, იგრე როგორ ჩავუაროთ, რომ არ შევეხმიანოთ.

— მობრძანდით, შინ მობრძანდით. — ქალმა მანქანიდან გადმოსულს ხელი გაუწოდა. დიდი ხელი ჰქონდა, — მზით დამწვარი, ძვლებად ქცეული, მუშაობით სახსრებდაკორძილი, ღონიერი.

— როგორა ხარ, მარიამ? სად არიან შენი კაცები?

— აბა, ეხლა სად იქნებიან? ზოგმა საქონელი გალალა, ზოგი ცხვარშია და ბალღებმაც ხბორებ გალალეს წყალხევაში.

— ბოსტანი ხომ არ გაგიფუჭებია?

— ბოსტანს როგორ გავაფუჭებდი, წყალს არ ვაკლებ და ხელსა.

სახლი ბელეტაუად იდგა. მოხრიოკებულ ეზოს საქონლის ნიშატი მაინც ეტყობოდა, თუმცა საგულდაგულოდ გაეფხიკნათ და დაეგავნათ. საქათმე, საინდაურე, საღორე, სახბორე, პატარა ფარეხი და გომური გასდევდა ეზოს ორ კუთხეს. სახლს უკან კოხტად შემოეღობნათ მოზრდილი ბოსტანი. ბოსტნის თავში რკინის მილით ამოსული წყალი ბოსტნის ბოლოსკენ მიდიოდა პატარა რუთი და ბულგარული წიწაკის, ჩვეულებრივი წიწაკის, ბადრიჯნისა და პამიდვრის კვლებს რწყავდა. ბოსტნის ბოლოში გოგრები შეჭღოღებოდნენ ულორტებით ღობეს, ხვიარა პწკლებით სარეს ჩასჭიდებოდნენ და ვეება ნაუოფთა სიმძიმით შიგნით გადმოეზნიქნათ. ხახვი, ნიორი, ტარხუნა, ოხრახუში, სტაფილო, ბოლოკი, რეჰანი და ქინძი მოსდებოდა ტახტა-ტახტად აქა-იქ აურილ სიმინდსა და მზესუმზირებს შუა-შუა. ერთგან კი ოთხკუთხედად შეეკრათ თალი რქაჯაგნიან ვაზებს და დაკუმსული მტევნები დაეკიდებინათ შიგადაშიგ.

— ბარაქალა, მარიამ, ბარაქალა. მართლა უოჩაღი ქალი ხარ. არც მეურნეობას აკლებ ბელსა და არც კარმიდამოს. ამიტომაც არი, რომ სახლი დოვლათიანი გაქვს. მაკრამ ერთი სამდურავი მაინც უნდა გითხრა.

მასპინძელი ცოტა შეცბა და დაიძაბა.

— მითხარი, პატივცემულო და, თუ რამ დავაკელ, იმასაც შევასრულებ. სულ ეს კი არ არი ჩვენი ნაკვეთი. სხვაგანაცა გვაქ. ისიც გადავხანით და შამადგომაზე ვაზი უნდა ჩავუაროთ.

— აი, სწორეთ ეგ უნდა გისაუვედურო, მარიამ. შენსას რომ არაფერს აკლებ და მეზობლებს კი არას ეტყვი. შენსავით მოიქცნენ. ასეთივე ბოსტნები გამართონ კარწინ. ეზოები ეგრე სუფთად ჰქონდეთ. პირუტყვისა და ფრინველის სადგომებიც სუფთად და თავ-თავის ადგილას. შენ იმ დღესაც მითხარი. წყალი რაკი ეზოში მომივიდა. იხვები და ბატები უნდა გავიჩინოო.

— გავიჩენ კიდეც. პატივცემულო, გავიჩენ კიდეც, რაკი ვთქვი. მინდა რო ჯერ კარტოფილი ამოვიღო და მემრე ჩავიდე საგარეჯოს. მაშა. მეზობლებს კი როგორ არ ვეუბნები, მაგრამ

ახალმოსახლენი არიან და ჯერ სახლებისა და ღობეების მოწყობას უნდებიან. მე კი მეოთხე წელია აქა ვარ. დავეხმარები კიდეც. მაშ მეზობელი რისაა, თუ ერთმანეთს არ მიეხმარება.

— აბა, ჰე, შენ იცი, მარიამ, მაგრამ პირობა არ დაივიწყო. ხომ გახსოვს ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელს რას შეჰპირდი. ამასწინათ შენი ხეივანი რომ დაათვალიერა? — უდაბნოში პირველ რთველზე, პირველი მტევანი იმან უნდა მოწყვიტოს.

— არა, გენაცვალე, მარიამა არაფერს არ ივიწყებს. შენ კარგად გვეყოლე, თორემ რთველს როგორ გამოგაპარებთ...

— აი, მალე ეს სოფელი ასეთი მარიამებით გაივსება, შალიკო, — ეუბნებოდა შემდეგ მანქანაში ქალი შოფერს. — ნახე, დიდი ვენახის ჩაყრა გადაწყვეტია ცალკე ნაკვეთში. ჩაჭურის კიდეც, ეგ იგეთი ქალია. წყალია მთავარი, თორემ აქ იგეთი ვაზი დაიძახებს. კრეფას ვერ აუხვალ. მიწა ნასვენია. შავი ფერის. ჰუმუსიანი. ხალხი შრომას დახარბებული. შენ ოღონდ მიწა შეუსახელე. — ზედ დააკვდება გლეხი კაცი. აგერ, კიაზო. სამარხებსა სთხრის. ამ მიწას შემოუნახავს ცამეტ სირიელ მამამდე არსებული და გამჭრალი დიდი ცივილიზაცია. შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანის ყოფისა და კულტურის ამსახველი უამრავი რამ ამოდის მზისგულზე ხელახლა. შეიძლება ქართველი ერის ისტორიაში ბევრი რამ სხვანაირად იქნეს წაკითხული აქაური გათხრების შემდეგ. ბრინჯაოს სასხლავები იმას მოწმობს, რომ აქ სამი ათას ხუთასი წლის წინ ზვრები უნდა ყოფილიყო. მაშ რატომ არ შეიძლება. ახლაც ჩაიყაროს ვაზი? როგორც კი დამთავრდება მტკვრის სარწყავი სისტემის მშენებლობა. მაშინვე უნდა დავაპლანტაჟოთ სავენახედ შერჩეული ფერდობები.

როცა სარწყავი არხის სამუშაოები გამოჩნდა, მანქანა გააჩერა და ფეხით მიუახლოვდა მშენებლებს. გზადაგზა ხვატს გადარჩენილ უვავილებს კრეფდა და მერე ხარბად ყნოსავდა უდაბნოს მცხუნვარე სურნელს. ერთხანს შეჩერდა და სიამით უცქერდა, როგორ გამგელებული ღრღნიდა და კბეჩდა ექსკავატორი ქვასა და მიწას. როგორი ხრიალ-გრაგნით გაჰქონდათ ქვედაუბაჩამოვარდნილ ბულდოზერებს ნათხარნაყარი და ხალხი, თავად ხალხიც რა გულმოდგინედ შესდგომოდა თავთავის საქმეს.

სალამ-ქალამის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ინჟინერი დღეს არ ამოსულიყო არხზე.

— აჰა, გასაგებია. დღეს ხომ კვირაა. რას იზამთ, ეპატიება. მოენატრა ბიჭს ცოლ-შვილში ყოფნა. თქვენ კი ბარაქალა. ხალხო, რომ უინჟინროდაც იცით თქვენი საქმე. ბარაქალა საქმთავარწყალმშენის მესვეურთაც, რომ გულთან მიიტანეს ჩვენი სათხოვარი და ზრუნვას არ გვაკლებენ. აბა, თქვენ იცით, ბიჭებო, ერთი ამ უდაბნოს ვაჩვენოთ, უინჟინროდაც რა შეგვიძლიან. — ნელა მივადა, მეწინავე ბულდოზერის კაბინასთან, ღია კარის ჩარჩოში ყუნწებით ჩაჭედა თაიგული, ნაამებ. შავად სახეგაბადრულ მებულდოზერეს თბილად გაუღიმა და უკან გამობრუნდა.

გორაკის თავზე ასულთა თვალწინ კვლავ გადაიშალა ტაფობები თავისი ზლაზე ტბებით, ტბებს იქით მოხერხებულ ადგილებზე ფარეხები დაეურსულიყვნენ შუადღის ხვატში, სიჩუმით, სიმარტოვით. მიუსაფრობით გულგასენილნი ალბათ დასიცხულ-სიზმრებში ჰხედავდნენ მოსაწველად ბაკში შერეკილი ცხვრების უთვალავ ფარებს, ულელითა და მატულით დასაპალნებულ ცხენ-სახედრებსა და ულელჩანგლიან, ბომბორა ძაღლებს. ნოთენთილ ეურს ესმოდა მწყემსთა ხამუშ-ხამუში „ჩიიპე-დრრიიპე", სათლში ჩასული თბილი რძის ჩხრიალი, დედების ბღავილი და დაუსვენარი ქორფა ბატკნების სასიამო პეტელი.

ქალს გაახსენდა, შარშანწინდელ ზამთარს როგორ გადაურჩა უდაბნოს ცხვარი შიმშილით გაულეტას და ფიქრებმა წაიღო.

ერთბაშად მოვიდა საშინელი თოვლი. ორი დღე თოვდა გადაულებლად. დღე და ღამე თოვდა. ისეთი თოვლი დადო, ზოგან ორ მეტრამდე ავიდა. ჩაიხერგა გზები და ბილიკები, განსაკუთრებით გაუჭირდათ უდაბნოსა და მის მიმდებარე ადგილებში პირუტყვს და მწყემსებს. მთლიანად შეფერხდა ბინებამდე საკვების მიტანა საქონლისათვის, მწყემსებისათვის. ცხვარი ჩაიკეტა. ადამიანები ვერ მიდიოდნენ თივებამდე. თოვლის სიმძიმით ჩაინგრა ფარეხები, გაიყინა სასმელი წყალი. ყინვამ დაწყვიტა ელექტრომავთულები. დაილეწა ბოძები. შეწყდა სატელეფონო კავშირი. გაუთავდათ შეშა. დაცივდნენ მწყემსები. გაჩნდნენ ავადმყოფნი. იღუპებოდა ცხვარი. საჭირო იყო სურსათი და მედიკამენტები. ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეფრინველეობისა და მეღორეობის კომპლექსი, სადაც ყოველდღიურად მარტო 100 ტონა საკვები უნდა მიწიდულიყო.

მაშინვე იგრძნო ქალმა მოახლოებული საშიშროება. იმ ღამესვე დარაზმა პარტიის რაიონული აქტივი და სასწრაფო მობილიზაციით 25 ბულდოზერი გამოიყვანა გზების გასაწმენდად სხვადასხვა მხარეს. უდაბნოსკენ მიმავალი პირველი ბულდოზერის კაბინაში თავად ჩაჯდა და ექვსი საათის განმავლობაში მიიკვლევდა გზას თეთრ უდაბნოში. უკან მისდევდნენ სურსათითა და მედიკამენტებით დატვირთული მანქანები, ექიმთა და ვეტერინართა ბრიგადა.

მხოლოდ გათენებისას მივიდნენ სოფელ უდაბნოში. თოვლს ისე ჩაეჩუმქრა ირგვლივ ყოვე-

---

ლადო მრელაშვილი

რიუროსეიდან რიურაკამდე

ლივე, ვერც იტყოდით, თუ აქ სოფელი იყო ოდესმე.

გარეთ, თოვლზე, პირველი საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის სახელობის სოფელ უდაბნოს მეცხვარეობის სპეციალიზებული მეურნეობის დირექტორი გამოჩნდა. ბულდოზერში რომ თავიანთი მდივანი დაინახა, ამოდენა კაცმა ღვარღვარად ჩამოყარა ცრემლი. ნელ-ნელა ამოიყვრნენ სითეთრეში ჩაძირული სახლებიდან სხვებიც.

ქალმა უკან მოყოლილი ხუთი ბულდოზერი ხუთ მხარეს გაუშვა, მერე სოფელი მეწინავე ბულდოზერის არნადით მიმოფხეკილ მოედანზე შეჰყარა და თავისებურად „დაუთათრულა": თოვლით დაშინებული ვაუკაცი კი შემირცხვენია, ან ის კაცი რა კაცია, ვინც სიცივეს შეუდრკება?

მაშინვე თან მოყოლილ ხალხსა და სოფელში მოგროვილთ დაუნაწილა ვის რა უნდა ეკეთებინა.

პირველ რიგში საჭირო იყო:

ხალხის სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

ელექტროქსელის მოწესრიგება.

სატელეფონო კავშირის აღდგენა.

დანგრეული ფარეხების შეკეთება და იქამდე პირუტყვის საკვების მიზიდვა.

როგორც კი ხალხი გაისტუმრა, მერე თავად ჩამოუარა ბინებსა და ფარეხებს. მის მისვლას ყველგან ისე ხვდებოდნენ, თითქოს ზაფხულის მზეს შემოეყოს თავი ყინვით გათანგულ სადგომებში. ზოგს ეს უთხრა, ზოგს ის, ზოგი შეაქო. ზოგიც გაკენწლა თავისებურად და ბოლოს ერთი შუახნის მწყემსს დაეკვირდა:

— შენ ჭიაბერაშვილი არა ხარ?

— დიახ. კაგა ვარ. ჭიაბერაშვილი.

— ვიცი. ვიცი. შარშან ას სულ ცხვარზე ასი ბატკანი მიიღე. ეხლა რაღაც სხვებზე უოჩაღად გამოიყურები. თუმცა ძალიან დაღლილი სახე კი გაქვს. წელს როგორ არი საქმე. წუხელ ხომ არ გიზარალნია?

— მგონი გადავრჩით წუხელ მე და ჩემი ცხვარი.

— არაფერი დაგკლებია?

— არაფერი.

— დანაკლისი ყველგან არი ცოტად თუ ბევრად. შენ როგორ გადარჩი? — ქალი თბილად უმზერდა მწყემსის გაუპარსავ წვერს.

— წუხელ ცოტა ვიეშმაკე. — ჩაიღიმა მწყემსმა და გეზად აჰხედა მდივანს. — ცხვარს ერთი იღლია თივა გადავანარჩუნე. თოკით შევკარი, ზურგზე მოვიგდე და ჰემრე მთელი ;;ამე ფარეხის თავიდან ბოლომდის გავდი-გამოვდიოდი ფეხჩაუკრეფავად. ცხვარმა დაინახა თივა და უკან დამედევნა. ცხვრის წესი ეგეთია: ერთი თუ დაიძრა, იმას მეორე მიჰყვება, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე და მემრე მთელი ფარაც აედევნება. მა რა უნდა მექნა? — თუ ცხვარი გაცივდეობდა, — გაბერწდებოდა და რაღა დოლი დამიდგებოდა წელსა? იმ სიარულში რომც სული ამომხდომოდა მუხლს მაინც არ ჩავიკრეფამდი.

ქალმა ჩანთა გახსნა და იქიდან კონიაკის ბოთლი ამოაძვრინა.

— აჰა, კაგავ, შენზე ალალია. ყველას ჩვენებური ჭაჭა შეჰხვდა ორ-ორი, სამ-სამი ჭიქა, ეს კი მთლად შენთვის მომირთმევია. საერთო მარაგიდან არ გეგონოს. წუხელ ჩემმა ძმამ მისაგზლა, რომ დროდადრო მომეწრუპნა და არ გავცივებულიყავ. მაგრამ ხომ ჰხედავ, წვეთი არ მოჰკლებია. როგორც ატყობ, მე მაინც სიცივემ ვერ დამჯალდა. — ქალმა დამორცხვებულ მწყემსს ძალით ჩაუდო ხელში ბოთლი, „ბარაქალა შენს მოხერხებასო" და ახლა სხვა ბინებისკენ წავიდა.

მერე ამბავი მოუვიდა, — მწყემსები დამდურებოდნენ ჭიაბერაშვილს: ნაჩუქარი ბოთლიდან არც თვითონ დაულევნია წვეთი და არც ჩვენ „ჩაგვაცეცხლა თითო ტაქანიო". იგრე ინახავს და უფრთხილდება იმ საჩუქარს, ხემწიფის მზეთუნახავს მოუქარნია იესასთანო.

ყველა უარყოფითს, როგორც ეტყობა, ხანდახან მაინც დაჰყვება რაღაც დადებითიც. იმ ზამთრის შემდეგ, მწყემსებად თუ არავინ ;;ბერებდა წასვლას, ცხვარში გასაგზავნად თუ ომის გადახდა იყო საჭირო, მერე ბევრმა მოიწადინა მეცხვარეობა. ხოლო ვინც უკვე მწყემსობდა, შინ გამოქცევის ნაცვლად იძახოდა თურმე — „აექ დავიხოცებით და ცხვარს არ ვუღალატებთო"...

სამარკო-საექსპორტო ღვინოების ქარხანაში თათბირმა მთელ ორ საათს გასტანა. სტუმრებმა შეთავაზებულ პურ-მარილზე უარი თქვეს, — „გურჯაანში სამ საათზე უნდა ვიყოთო" და წავიდნენ. ქალმა ბენზინჩამომსხპელამდე გააცილა, დაემშვიდობა და შოფერს მიუბრუნდა:

— ხომ არ დაიღალე, შალიკო?

— არა, რას ბრძანებთ, მედეა არჩილოვნა.

—აბა, მაშ კასპისკენ გავუტიოთ, დაკრძალვაზე არ დაგვიგვიანდეს.

შოფერმა მანქანა მოაბრუნა.

პატარძეულის ბოლოში შავი ქვის სალებითა და აგურით მოქსოვილი კედელია. კედლიდან მილით ცივი წყალი გადმოსჩქეფს ასეთივე ქვით ნაქსოვ აუზში. წყალს იქით ოდნავ ამაღლებულ ადგილზე მარმარილოს დაფებაკრული კედლები პატარძეულიდან წასულთა და სამამულო ომში დაღუპულთა გვარებით არი აჭრელებული. შუაში სამამულო ომის გმირის — პოლკოვნიკ გიორგი ბილანიშვილის ბიუსტია. აივლით ბაზალტის კიბეებს და იქვე მიმოფანტული ქვევრები წვანან მწვანე მინდორზე, ხოლო მათ მარცხნივ მკვიდრად ჩამსხდარან მიწაში ვეება ბერმუხები, რომელთაც სიკვდილს შემდეგ მეორე სიცოცხლე ჩაჰბერეს. ტანშემოძარცვულ ხეებს შიშველი ხელები ცად ისე აღუპყრიათ, თითქოს აქ ჩამოთვლილ დაცემულ მეომართა

სულები წამომართულან, რათა მარადიული ლოცვა აღავლინონ მიწიდან ცამდე უბერებელი მამულისთვისო. ტოტებზე მომცრო და წვრილ-წვრილი ზარები ჭკიდია. როგორც კი სიო დაუბერავს, ზარის ენებზე შებმული მოკლე თოკები რწევას დაიწყებენ. მათი მრავალ ხმაზე ჩამოკრული ნაღვლიანი მუსიკა ხევით ხევზე და გორიდან გორზე გადააქვს მაწანწალა ქარს.

იშვიათად ჩაივლის აქეთ ხამად მოხვედრილი მგზავრი, რომ არ შეჩერდეს. ცივი წყლით გული არ გაიგრილოს და, თუ ქარიანი დღეც შეხვდა, გარდასულ სულთა სულის შემძვრელ მუსიკასაც არ ეზიაროს.

— ხომ არ გავაჩერო, მედეა არჩილოვნა?

— აქ არა, ეკლესიასთან გამიჩერე. ერთ წუთს შევირბენ. დღეს მღვდელი მანდ იქნება.

შოფერმა წამით შეავლო გაოცებული თვალი და დაღმართი ჩაათავა.

გორაკზე მოზრდილი ეკლესია დგას. მის კედლებსა და სახურავს რესტავრატორთა ხელი არ შეჰხებია, ისე კარგად არის შენახული. მხოლოდ ერთი აკაკის ხე ამოსულა კრამიტებშუა და მწვანედ გასუდრულა ეანგისფერ სახურავზე.

— გამარჯობა, მამაო. — ქალი გუმბათიდან დაშვებული ჯაჭვის ქვეშ გაჩერდა.

იატაკი აგურისა იყო და სასიამო სიგრილეს ჰფენდა მთელს ეკლესიას.

კანკელთან მოჩალიჩე ანაფორიანი შენობრუნდა. ქალს დააკვირდა, იცნო და სალამი დაუბრუნა.

— კურთხეულ იყავ, შვილო ჩემო. დაგლოცოს პირმა ღვთისამ და ნაწილმა ბარძიმისამ: — ნახევრად მიმწვარი სანთლები იქვე დაალაგა და მოსულისკენ წამოვიდა.

ქალი იდგა და კიდურა, დროთა ბრუნვისაგან განაცრისფერებულ სვეტზე ოთხკუთხა ნათელ ლაქას მისჩერებოდა.

ანაფორიანმა მზერა გააყოლა ქალის მზერას და შეშფოთდა.

— მამაო, — მობრუნდა ქალი. — ხატების საქმე როგორა გაქვს?

— კარგათ, შვილო. კურთხეულ იყოს უფალი ჩვენი, — ამბ. ღვთის მადლითა და იესო ქრისტეს შეწევნით ყველა თავ-თავის ადგილას სუფევს. — ანაფორიანი მობრუნდა და აღსავლის მხარეს თვალი მოატარა.

— მამაო, ტრიფონ. აქ წმინდა ნინოს პატარა ხატი ეკიდა. სრულიად უბრალო, ხის ჩარჩოიანი. ამასწინათ რომ ვიყავი, მაშინაც დამხვდა. რა იქნა ის ხატი? — ქალმა ერთხელ კიდევ შეათვალიერა სვეტზე თეთრი ლაქა და მერე ანაფორიანის დაფანჩულ წარბებს იქით შეუყურეს თვალებში ჩაჰხედა.

მღვდელს ეგონა ამ მზერამ კეფა გახვრიტა და გაიარაო. შეშფოთებული თვალები აცა-ბაცა გაექცა.

— შინ წავიღე, შვილო ჩემო, საჩინო ადგილს იყო და არ მინდოდა ავი რამ ზრახვა აღეძრა ავკაცთა გულში.

ქალმა საათს დაჰხედა.

— აი, სამს აკლია ჩვიდმეტი წუთი. აქედან კასპამდის ჩასვლას მოვანდომებ... დიდი-დიდი ორი საათი დამჭირდეს. დასაუკლაღებასა და მიცვალებულის შესანდობარის თქმაც... ორი საათი ვიანგარიშოთ. უკან დაბრუნებაც ორი საათი, სულ გამოდის ექვსი საათი. დღეს, ამ საღამოსვე, ცხრას რომ ზუსტად ჩვიდმეტი წუთი დააკლდება. ესე იგი ექვსი საათის შემდეგ, ის ხატი აქ უნდა იყოს. თავის ადგილზე დაკიდებული. გამოვივლი და თავად შევამოწმებ.

— ავი მზერა შევნიშნე, შვილო. გლეხები შემოდიან და გადიან. ვაი, თუ არ დაინდონ-მეთქი.

— აი, რას გეტყვი, მამაო: დურგალმა იოსებამ ნამუსი შეუნახა უზენაესს. ქრისტეს მოციქულებმა კი ქვეყანას მოსდეს ღვთისმშობელთან სულიწმინდის მრუშობის ამბავი... მშრომელი კაცი აქ თუ შემოვა, მხოლოდ იმიტომ, რომ თავის ოჯახსა და მამულზე ილოცოს. ხოლო ვინც შემოდის, მაგ ხატისთვის შემოდის. და, ეგ ხატი, მამაო ტრიფონ, ხატი კი არა, ქართველი ხალხის სულია ხელში ნაჭერ ჯვრად შეკრულ ვაზის რქებში გადასული და განსხეულებული. ყოველ ღვთისმსახურს კი, ვინც ამ ეკლესიის ზღურბლს გადმოაბიჯებს, დიდი თევდორე უნდა ახსოვდეს, რომელიც მტრის ხელით თავმოკვეთილი გოსტიბის მთებში დაწვა, რათა საქართველო ფეხზე მდგარიყო.

ქალმა ეკლესია ჩქარი ნაბიჯით გაიარა და გარეთ გამოვიდა.

მანქანაში ჯდა თუ არა, თახჩა ისევ მოჩხრიკა და ბოლო წერილი გახსნა.

ლენინგრადელი ვალენტინა მაქსიმის ასული ტოკარევა სწერდა: ქალიშვილი შემეძინა, რომელიც ახლა უკვე ორი კვირისაა და იმ საშინელი ღამის მშვიდობით გადატანის გამო თქვენი სახელი — მედეა დავარქვიო.

ქალმა ვერც გვარსახელით გაიხსენა ეს ქალი და ვერც ის იაზრა, რომელ ღამეზე იყო ლაპარაკი. მერე კვლავ მიჰყვა წერილს და ერთბაშად ნათელი გახდა ყველაფერი:

ეს ქალი, — წერილის ავტორი, ათი წელი უშვილო ყოფილიყო და ექიმებს ახტალის ტალახით მკურნალობა ერჩიათ. ორი წელი დადიოდა რეგულარულად და შარშანაც ახტალიდან ბრუნდებოდა თურმე. როცა გზად მანქანაში საშინელი ღამე წამოეწიათ.

ქალი მიჰყვა წერილს და თანდათან ცნობიერებაში აღდგა ის ღამე:

შარშანწინ, იმ დღეს, უდაბნოს თოვლიან სივრცეში, როცა უკანასკნელ ფარეხს, „გველის წყაროდ" წოდებულ ადგილს მიაღწია, რაციით მოვიდა ცნობა უდაბნოში, რომ პატარძეულის ბოლოდან ივრის პირამდე კახეთის მთავა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი გზატკეცილი თოვლს ჩაეკეტნა. 11-12 კილომეტრის მანძილზე მანქანები გაჩერებულიყო და შიგ მომწყვდეული ხალხი შველას ითხოვდა.

ქალი მაშინვე წამოდგა და თეთრად გასუდრულ მიდამოს ერთხანს უცქეროდა მდუმარედ. მერე რაიკომის მდივანს თამაზ ქევხიშვილს მიუბრუნდა და მძიმედ უთხრა:

— შენ ამ უბანს უნდა მიჰხედო, თამაზ. მე წავალ და დავხედავ, რა ხდება რესპუბლიკურ შარაზე.

გზა უდაბნოდან საგარეჯომდე მსუბუქი ძანქანით სამ საათში დაფარა.

კაბინეტში შესვლისთანავე მეორე მდივან — ნუგზარ გურჯიძეს, საგზაოს უფროს — მურთაზ ქურხულს, სამონადირო მეურნეობის დირექტორ — გივი ჯაფოშვილსა და საგარეჯოს მთავარ ექიმს — ვიქტორ იაშვილს ტელეფონით გამოუძახა, მილიციაში მილიციის უფროსი არ აღმოჩნდა და უფროსის მოადგილეს უთხრა, რისთვისაც ურეკავდა. მოადგილემ დიდად გაიკვირვა:

— აბა, ამ სიცივესა და ქარბუქში მე რას ეუზამ იმოდენა ხალხსა და მანქანებს?

— მაშინ იცი, რას გეტყვი, არწივო: ერთი ოციოდე კვერცხს გამოვატან ვინმეს, იქნებ, სანამ უამინდობა იქნება. წიწილებიც გამოსჩეკო ერთ ადგილზე თბილად ჯდომით. — უურმილი მკვახედ დაახეთქა ორყაბაზზე და ახლა სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსს — არჩილ ზურაბაულს შეეხმიანა:

— ამ წუთში მოვდივარ. მედეა არჩილოვნა, — მოისმა ყურმილში.

მერე მათ ავტოინსპექციის უფროსის მოადგილე — ოთარ ღვინიაშვილი და ავტოინსპექტორი გივი ფანოზაშვილი მიემატნენ. (მეორე დღეს კი — განათლების განყოფილების გამგემ — ნუგზარ ჭანტურიამ და სხვა ბევრმა საგარეჯოელმაც იწყინა: რატომ ჩვენ არ გაგვაგებინეთო. მაგრამ სატელეფონო კავშირი მოშლილი იყო, ძალიან ბევრგან და ვერაფრით დაუკავშირდნენ). ზემოსენებული ხალხი კი ისინი იყვნენ, ვისაც „კოლხოზნიკის" მარკის მანქანები გააჩნდათ.

ახლა საჭირო იყო მექანიზმები. საგარეჯოში კი ორად-ორი ბულდოზერი იყო დარჩენილი, რომელნიც ქალაქის გაწმენდაზე მუშაობდნენ. აქედან ერთი მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის, საგარეჯოს № 2 სამმართველოსი გახლდათ, რომელსაც ავთანდილ მეურმიშვილი მართავდა, ხოლო მეორე რაიონგზაო განყოფილებას ეკუთვნოდა. მებულდოზერე გიორგი ხოსიტაშვილი იყო.

ამათ მიემატათ რაიკომის შოფერი შალვა თედიაშვილი და სასწრაფოდ შედგა მაშველი ჯგუფი.

ქალმა, სანამ გზას გაუდგებოდნენ, შინ შეირბინა და ჩექმებზე ბაწრის წინდები ამოიცვა, რათა უინულზე ფეხი არ დასხლტომოდა.

და თერთმეტკაციანი რაზმი დაიძრა.

სოფელ ნინოწმინდიდან ივრის ხიდამდე — ორიათასამდე ავტობუსი და მსუბუქი მანქანა გაეჩერებინა თოვლსა და ქარბუქს. მგზავრებს ფანჯრების შუშები ჩაეკეტნათ, ჩაერთოთ ღუმელები და სალონებს ათბობდნენ. ბევრს უკვე გასთავებოდათ საწვავი და მათი მანქანის მინებზე გალაღებულ ყინვას, თითქოს დასცინის მგზავრთა გაჭირვებასო. ულამაზესი ნაუშიანი ყვავილები მოექარგა. ამ უკიდეგანო თოვლიან ველზე ისეთი ყინვა დაალაჯებდა, ერთ მანქანაში მოქცეულ მოსისხლე მტრებსაც კი მოსიყვარულე ძმებივით ახუტებდა.

აქეთ-იქით უწესრიგოდ მიმოყრილმა მანქანებმა, როგორც კი შუა გზაზე ბულდოზერები შემოიჭრნენ, უმალვე დაიწყეს გაკვალულზე გამოსვლა. ატყდა ერთი ოროომტრიალი. ყველას უნდოდა, პირველი თვითონ დამდგარიყო სუფთა ასფალტზე, ახლა აქ აითქვიფნენ ერთმანეთში. კიდევ უფრო ჩაიხერგა გზა. წკირიც კი აღარ ჩავარდებოდა, ისე მიეჭუჭკნენ ერთმანეთს. შურდათ ბულდოზერების უკან მიმავალი კოლხოზნიკისა, რომელშიაც რაიკომის მდივანი იჯდა. უნდოდათ მიჰყოლოდნენ თავადაც უკან და გაესწროთ კიდეც. ერთმანეთში ირეოდა მოხუცების მოთქმა, ბავშვების ჩხავილი, ქალების წიკვინი, კაცების ბუხუნი და, ყველაფერ ამას ერთად არეულს, ივრის ხეობაში ჩუმქრავდა უდაბნოდან სისინით მოვარდნილი ქარი.

ქალი იძულებული გახდა ამ ყიამეთში „კოლხოზნიკის" კარი გამოეღო, ფეხზე დამდგარიყო და მთელი ხმით ეყვირა მგზავრებისათვის, რომ ისინი მათ საშველად იყვნენ მოსულნი, რომ თუ არ მოეხმარებოდნენ, იმდენი მაინც ექნათ, თავთავიანთ ადგილს მდგარიყვნენ, რათა ხელი არ შეეშალათ გზის გაწმენდაში.

ხალხმა თვალი მოჰკრა მანქანის სახურავზე ზემოთ ამაღლებულ ქალს. ზოგმა იცნო კიდევაც და სიხარულით გადაირივნენ: — თავად რაიკომის მდივანი მოსულიყო მათ საშველად!

როგორც იქნა, ერთმანეთს გააგებინეს საქმის ვითარება და ჩაწყნარდნენ. მაგრამ ისე იყვნენ დაბუხულნი და ნიათგაცლილნი, ვერავინ გამობედა გარეთ გამოსვლა.

გამწარებული მუშაობდა თერთმეტი კაცი. ზოგი მანქანა ისე იყო მიყინული მიწაზე, ადგილიდან არ იძვროდა. ზოგიც გზის საძებნგასაკვლევად ბოსტან-ვენახებში გადასულიყო და იქვე იყო ულამდე ჩაფლული.

„სატვირთო მანქანებია საჭირო". — გაიფიქრა ქალმა და კაცი გაგზავნა უკან, საგარეჯოში მანქანებისთვის.

დამშეული ხალხი, დამშეული ბალღები, დამშეული მანქანები!

ქალმა კიდევ ერთი კაცი გაგზავნა ნინოწმინდაში, რათა ისინიც მიშველებოდნენ. მოეტანათ საჭმელიც, ვისაც რის მოტანა შეეძლოთ და თანაც ბენზინიანი ცისტერნები მოსულიყვ-

ნენ, დაცლილ ავზებში ბენზინის ჩასასხმელად.

— ვისაც თერმოსი აქვს, ჩაი და რძე გააცხელოს ბავშვებისა და მოხუცებისათვის. — დაადევნა კაცს და ისევ თავის ვაუკაცებს შეუერთდა.

საღამოს ცხრა საათიდან დაწყებული, დილის ცხრა საათამდე გამოჰყავდათ მანქანები გზაზე, მგზავრებს სასტუმროში, საავადმყოფოში, რაიკომის შენობასა და მოსახლეობაში ანაწილებდნენ. ნინოწმინდისა და საგარეჯოს მოსახლეობამ იმ ღამეს გაათბო, გააშრო, ასვა-აჭამა და როგორც შესძლო ისეთი მასპინძლობა უჩვენა მგზავრებს. ხოლო მეორე დღეს, როცა თბილისიდან წამოსული მაშველი რაზმი დილის თერთმეტ საათზე მოვიდა პატარძეულამდე, ყველა თავთავის გზაზე გაისტუმრა.

ეს მაშველი რაზმი, გზათა მინისტრის მოადგილის — ოთარ მხეიძის მეთაურობით ადრევე გამოსულიყო თბილისიდან. იმ ღამეს ვერ გამოსცილებოდნენ გომბორის გადასახვევს. ვერ გადმოელახათ სართიჭალის ოთვლი და ქარბუქი, მიუხედავად დიდი ცდისა და მონდომებისა.

ქალს ცალუბა ღიმილი მოჰკვეთა ერთი შემთხვევის გახსენებამ: ქანცგაცლილი ბიჭები ღობის მავთულებს აკრულ „ეიგულს" აძრობდნენ მიწიდან. მანქანაში ორნი იყვნენ. — გოგო და ბიჭი. წინა საჯდომი სავარძლები გადაეხსნათ ბოლომდე და ამ „შეზლონგზე" მიწოლილნი ისე ჩახუტებულიყვნენ, ბულდოზერებიც რომ დაგებათ, ვერ ააძრობდით ერთმანეთს.

მანქანის რუეკაზე როგორც იყო წამოყო გოგომ თავი. ერთი კი შეჰხედა კეთილისმყოფელებს და, როგორც კი მიჰხვდა, რასაც უპირებდნენ, თავი ისევ მიდო, სახე ისევ ბიჭის მკერდში ჩამალა და ასე ჩაბუბნულმა ხელით ანიშნა, თქვენი არაფერი გვინდა, თუ ხალხი ხართ, მოგვცილდით თავიდანო.

— გამოათრიეთ ეს მამაძაღლები და ჩემთან წაიყვანეთ. დაიხოცებიან ამ ცოდვის განკითხვაში. ცოდონი არიან. მანქანას დაუბით ტროსით და იგრე წაიყვანთ.

იმ თერთმეტმა კაცმა რაც იმ ღამეს გმირობა ჩაიდინა, ღირდა სათქმელად. ასი წლის მოხუცოაც არ ახსოვდათ ასეთი ყინვა და ქარბუქი.

ამ ყინვამ ქალს გაახსენა, რომ ვაზი მხოლოდ 16-17 გრადუსამდე სიცივეს უძლებს. ხოლო 1975-76 წლის ყინვებმა 400 ჰექტარი ვაზი ფესვად ამოაძირკვინა საგარეჯოელებს და 600 ჰექტარი კი ძირში გადააჭრევინა.

სასწრაფოდ აფრინა კიდევ ერთი კაცი. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსთან. ამ ღამეს თუნდაც ქვეყანა დაქცეულიყო, უნდა მოსახლეობა გაეფრთხილებინა. რათა სოფლებში ქუდზე კაცი გამოსულიყო. ძველი საბურავები, ფიჩხი, ათასგვარი ნარჩენები. წალაში, უვარგისი ნამჯა და ჩალა-ბულა დაებოლებინათ ვენახებში.

მართლაც იმ ღამეს დიდად იმარჯვა ხალხმა: რქებს თოვლისაგან ბღერტავდა, კვირტებიდან თითქმის სათითაოდ აცლიდა ყინულის კირჩხლებს და ვაზი გადაარჩინა...

ქალმა კიდევ ერთხელ ჩაჰხედა წერილს.

„დიდი მადლობა გადაეცით ჩემს მანპინძლებს, ვინც მე შემიხიზნა იმ ღამეს და სიცივით სიკვდილისაგან იხსნა ჩემი მომავალი ბავშვიც და მეცო".

მასპინძლები აღარ ახსოვდა, ვინ იყვნენ და, ამიტომ მთელ სოფელ ნინოწმინდას უთვლიდა მადლობას.

ქალმა იხსენა, იხსენა და ვერაფრით გაიხსენა, რომელი იყო ეს ტოკარევა.

წერილი ისევ თახჩაში შედო და ჩაფიქრდა.

მანქანა ხიდზე გადავიდა და მტკვრის მარჯვენა სანაპიროს გაუყვა.

პიტალო კლდეების თავზე გადმომდგარი, ცისფრად შეფეთქილი ძველთბილისური აივნიანი სახლები დაგუბებულ მტკვარს გადმოსცქეროდნენ ეშხიანი იერით. ძეტენის პლატოს თავში რუხ ლოდებზე დაშენებული ქედნისფერი ტაძარი იდგა. ტაძარს იქით ძლიერ, სალაშქრო ცხენზე ამხედრებული თბილისის დამაარსებლის ძეგლი მოჩანდა მბრძანებლურად ხელ შემართული.

ქალმა შეჰხედა და შარშანდელი თბილისი-ქალაქობა გაახსენდა. — ხრულიად საქართველოს საშემოდგომო ზეიმი ბარაქიანი მოსავლისა. ამ პლატოზე მოსთხოვა ადგილი საზეიმო ცერემონიის განმგეთ; „თბილისის დამაარსებელი — ვახტანგ გორგასალი ჩვენებური იყო, საგარეჯოელი. — კერძოდ უჯარმელი. ამიტომ ჩვენზე უპრიანია აქ ვაჩვენოთ დედაქალაქს ჩვენი რაიონის შემოდგომის ბარაქაცა და მარიფათიცო".

რა ბარაქაცა და მარიფათიც უჩვენეს. შემდეგ ამაზე გაზეთები წერდნენ. ყველაზე ლამაზი და სიმბოლური კი ის იყო, ივრის პირებზე დაჭერილი ერთი წყვილი დედალ-მამალი ხოხობი რომ აუფრინეს ცხვირწინ ნარიყალისკენ თვალმიციებულ გორგასალს.

ხოხბები ფრთათა ტკაცანით აცვივდნენ ჰაერში. ყოველგვარი საფრთხის გარეშე გადაუფრინეს გოგირდის ცხელ წყლებს და მერე ბუმბერაზი ციხის ნანგრევებს იქით, ბოტანიკურ ბაღს შეეფარნენ.

შემთხვევით იქ მყოფმა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ღიმილიანი თვალი გააყოლა მაშხალებივით წასულ ფრთოსნებს და... არავის გაჰქცევია ხელი მშვილდისკენ, არც ერთი საძტროდ მოზიდული ისარი არ დასდევნებია უკან მსოფლიო ხოხბების სახელის წინაპართა შთამომავლებს...

მცხეთასთან შოფერმა მანქანა გააჩერა.

— ერთ წუთს შევირბენ „სალობიოში", ხაჭაპურებს მოვიტან.

ლადო მრელაშვილი

რიკრაფიდან რიჟრაფამდე

ქალი გადმოვიდა და ცას აჰხედა. რაც სამგორს გამოსცდნენ, რაღაცნაირად არ მოსწონდა ჰაერი. რაღაც იცვლებოდა თანდათან, რაღაც უსიამოს გრძნობდა გუმანი. ჯვრის მონასტრისა და ზედაზნისკენ კი მოკრიალებული იყო. თბილისისკენ ხიცხის პურუსი დასწოლოდა უძოსა და დიღმის კორებს. მხოლოდ არმაზის მხრიდან ამოდიოდა ნისლის კოწოლივით მღვრიე-ნაცრისფერი ბალნიანი ღრუბლის ნაგლეჯები და მაღლა მცხეთის თავზე იწევდა ნელა, დაუინებით.

შოფერი მოვიდა და ათიოდ ღვეზელი მოიტანა.

— ხაჭაპური არ იყო და ეს ვიყიდე. მიირთვით, მედეა არჩილოვნა, გემრიელია.

— მე და ღვეზელი რაღაც ვერ ვეწყობით ერთმანეთს.

— მიირთვით, მიირთვით. ვიცი, დილას აქეთ ერთი ჭიქა ჩაის ამარა ხართ.

— არა, შენ თითონ მიირთვი. ჩავალთ კასპში და იქიდან პურუჭმელს ხომ არ გამოგვიშვებენ?

როგორც კი კასპში შევიდნენ, ქალმა სატელეფონო სადგური მოაძებნინა და მანქანიდან გადმოვიდა.

— ერთი, ამინდის ბიუროში დავრეკავ. დილას აქეთია, დღევანდელი პროგნოზი არ ვიცი.

— თქვენ ბრძანდებოდეთ, მე დავრეკავ, მედეა არჩილოვნა.

— არა, ჩემი უურით უნდა მოვისმინო, რას იტყვიან.

ქალი დაარხეინებული დაბრუნდა უკან.

— ეს ტელეფონები როგორ ერთნაირად არ მოშლილი უველგან.

— ძალიან დიდხანს კი დააუოვნეთ. ვერ დარეკეთ?

— დავრეკე. როგორც იქნა.

— რაო?

— არაფერი. საღამო ხანს ნალექია მოსალოდნელი კახეთისკენო. მაინც გულმა არ მომითმინა. — ჩემი მტერი ენდო მაგათ. სეტყვის საწინააღმდეგო ბრძოლის ჩვენი რაიონული სამსახურის უფროსს დავუკავშირდი.

— რაო, მერე?

— იმანაც ისა თქვა: დღის ბოლოს წვიმას ველოდებითო. — ეგრე ხო მეც ვიმკითხავებ... მაინც კაი დროს მოვედით. გასვენებამდის ნახევარი საათი კიდევ არი.

როცა ადგილზე მივიდნენ, ქალმა შინაურეს მიუსამძიმრა ბერიკაცის უდროო სიკვდილი. მეგობარი გადაკოცნა: „რას ვიზამთ, უველა სიკვდილის შვილები ვართო“ და ეზოში მოუდგა.

ოთახში შემოურული მიცვალებულისათვის დამახასიათებელი მძაფრი სუნი იდგა. ირგვლივ ჩამომსხდარი შაოსანი ქალები ყოველი ნაცნობის შემოსვლაზე აქვითინდებოდნენ და შესჩივლებდნენ: აი, რა გვიყო და როგორ დაგვაობლა ჩვენმა მამამ და ბიძამო.

მეგობარმა ქალმა სტუმარი ამ განუწყვეტელ ზრიგს გამოარიდა და ეზოში გამოიყვანა.

დიდი ვაშლის ქვეშ გრილოდა და სიწყნარე იყო. მოშორებით, სახლის გვერდზე, მოფარებულში, დიდრონ ქვაბებში იხარშებოდა შილაფლავი და ხაშლამა, ეზო სავსე იყო ხალხითა და ხმამაღალი ჩურჩულით.

ის იყო მეგობარი სკამების მოსატანად წავიდა, რომ ჩრდილში მაღალი, მოდურად გამოწკეპილი ახალგაზრდა შემოვიდა.

— გამარჯობათ, ქალბატონო მედეა. — თავაზიანი ღიმილით გაუწოდა ხელი.

— გამარჯობათ. — თქვა ქალმა და ხელი ჩამოართვა. ამ კაცს პირველად ხედავდა და კითხვის თვალი მიაპყრო.

— თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, ქალბატონო მედეა, ვინ ოხერია ეს კაცი, ამ უდროო დროს რას ამეკვიატა, მით უმეტეს, ჩემს სიცოცხლეში არ მინახავსო. ეს, ალბათ, ახლა არის, ქალბატონო მედეა, მაგრამ გარწმუნებთ, მე ჩემდა თავად, თქვენ ძალიან კარგად გიცნობთ. არა, პირად ნაცნობობაზე არას ვამბობ, მაგრამ მშვენივრად ვიცი თქვენი მიღწევები ჩვენი რესპუბლიკის საერთო მიღწევების ფონზე. ვიცი, საგარეჯოს რაიონის პარტიული რაიკომის პირველ მდივნად მისვლისთანავე როგორ დარაზმეთ პარტიული აქტივი, კომკავშირი და, საერთოდ მთელი რაიონის მოსახლეობა მიმდინარე, გასული და მომავალი ხუთწლედთა მიჯნების დასალაშქრავად. თქვენ ისეთი საშვილიშვილო საქმე გააკეთეთ, ქალბატონო მედეა, რომ მისვლისთანავე მოიპოვეთ ერისკაცის სახელი, რაც ბევრთათვის, თუნდაც თავიანთი სიცოცხლის საუკუნოვან მიჯნას გადააბიჯოს, მიუღწეველია. ოო, ნურაფერს იტყვით, ქალბატონო მედეა, საქვეყნოდ არის თქვენი თავმდაბლობა ცნობილი. როგორ გეკადრებათ. — საუკუნოვანი, კაცისაგან და ღმერთისაგანაც მიტოვებული უდაბნოს გასარწყავება, იქ ახალი სიცოცხლის აღორძინება და ათიათასობით ტონა ხორცი, ყურძენი, ხორბალი, თივა და სხვა და სხვა, ეს სამშობლოს ბელელში შეტანილი დიდი საგანძურია. 52 000 ჰექტარი ახალი მიწა! — არა, ეს სახუმარო არ გახლავთ, ქალბატონო მედეა. 80 000 სული ცხვარი 700 მწყემსი, ჰექტარზე 35 ცენტნერზე მეტი მარცვლეული, 3 ათასზე მეტი ტონა სენაჟი, 16 000 ტონა სილოსი, 45 000 ტონა თივა, უამრავი ნამჯა და კიდევ ვინ მოსთვლის უდაბნოს დოვლათს. უდაბნოსაც რომ თავი დავანებოთ, მე ვიცი თქვენი გიგანტური კომპლექსები: მეძროხეობისა, მეღორეობისა, მეფრინველეობისა, მომითმინეთ, მომითმინეთ. ქალბატონო მედეა, მე უველაფერი ვიცი. ისიც ვიცი, საგარეჯოში თქვენი მოსვლის შემდეგ 7 წლის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქციამ 8,5 მილიონი მანეთიდან 31 მილიონ მანეთს რომ მიაღწია. მრეწველობამ 17 მილიონიდან, — 50 მილიონს. კაპიტალური და-

ბანდების მოცულობა 12-დან 17 მილიონამდე გაიზარდა. შემდეგ, მშენებლობა? — აშენდა 8 საშუალო სკოლა, 5 რვაწლიანი, 350 საწოლიანი ახალი საავადმყოფო, 7 საბავშვო ბაღი, სარაიონო კულტურის სახლი, სამი კლუბ-კანტორა, საცხოვრებელი სახლები 500 ოჯახისათვის, 5 სასოფლო საბჭოს შენობა, საექსპორტო და სამარკო ღვინოების ჩამომსხმელი ქარხანა, ვაზის სასათბურო მეურნეობები, წყალსადენები, სავაჭრო და საყოფაცხოვრებო ობიექტები, პიონერთა ბანაკი წყაროს თავში, დასასვენებელი სახლები ცივ-კოდაზე მშრომელთათვის. თქვენ შესანიშნავად შესძელით ადგილობრივი კადრების მიზიდვა და ადგილზე დამაგრება, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის განმტკიცება რაიონში, ჩამორჩენილი საწარმოების რენტაბელობა...

ქალი უცქერდა ახალგაზრდის მსუქან საბეზე უცვლელ ღიმილს, რაღაც შთაგონებით გაბრწყინებულ თვალებს, საგულდაგულოდ დავარცხნილი, ცეცხლისფერი თმის ტალღოვან თრთოლას და თანდათან ცვიფრდებოდა. მერე, ნამეტანი რომ გაუტია, აღარ დაუხვალიებია.

— მოიცა, მოიცა. ჩემო ძმაო, დიდებული მეხსიერება გქონია. მაგრამ ეგრე რო გააჭენე, მე აღარაფერს მათქმევინებ?

— სწორეთ მაგისთვის გეახელით. ქალბატონო მედეა. რომ თქვენ შეგხვედროდით, მთელი კვირაა. თქვენს ნაკვალევს დავდევ და ვერსად მოგიხელთეთ. ამასობაში თითქმის შევისწავლე მთელი თქვენი რაიონის წარსული. აწმყო და მომავალი პერსპექტივები. შევისწავლე. რომ თქვენს რაიონში, სინოპტიკოსების ზუსტი აღრიცხვით 160 დღე მაინც ქარიანია. რომ ამ ქარის სიძლიერე წამში 15-41 მეტრს აღწევს, რომ ათი წლის განმავლობაში 1974 წლამდე ქარისმიერმა ეროზიამ 48 ათასი ჰექტარი თავთავიანი კულტურების ნათესები დაღუპა. თქვენ კი მოსვლისთანავე ქარს ულმობელი ბრძოლა გამოუცხადეთ. 500 ჰექტარამდე გააშენეთ მინდორსაცავი ტყის ზოლები და ამგვარად, 4000-მდე ჰექტარი ეროზიული ფართობი შემატეთ 525 ჰექტარზე გადაჭიმულ სახელმწიფო ტყის ზოლს და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი რამ იღონეთ ამ მხრივ. ვიცი, გასული სამეურნეო წლის შედეგების მიხედვით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა რომ დაიმსახურეთ. ვიცი, რომ უახლოეს ორ წელიწადში გინდათ სასწაული მოახდინოთ და გარეჯის უდაბნოში 500 ჰექტარი ვენახი გააშენოთ. ყურძენი წლევანდელი 36 ათასი ტონიდან 5 წლის შემდეგ 70 ათას ტონაზე აიყვანოთ. ხოლო 10 წლის შემდეგ 100 ათას ტონამდე. 100 ათასი ტონა ყურძენი! — ეს ხომ ზღაპრული ციფრია, ქალბატონო მედეა! და, მიუხედავად ამისა, არავის ეჭვი არ ეპარება, რომ თქვენივე ბედნიერი ხელმძღვანელობით საგარეჯოელები შესძლებენ ამას.

— ღმერთმანი, ფენომენალური მეხსიერება გქონიათ. რამ დაგახსომათ ამდენი ციფრები? — ძლივს ჩაურთო ქალმა. მერე ხის ჭვეშ მოტანილ სკამებს გაჰხედა და მეგობარს გასძახა. — „არ მინდა. მთელი დღეა. მანქანაში ვზივარო".

— მე, ქალბატონო მედეა. მარტო მშრალი ციფრები არ მახსოვს. ვიცი, როგორ ეხმარებით არამარტო მეზობელ, არამედ საქართველოს შორეულ რაიონებსაც. ვიცი, რომ ქალაქ გორში გორელებს ქალაქის შესასვლელში დეკორატიული კედელი გაუკეთეთ და ზიგ მუხის ღარიანი წყარო გამოუყვანეთ. ვიცი, რომ წელს, შრომის წითელი დროშის ორდენოსან ჩვენს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს, დაარსებიდან 50 წლის აღსანიშნავად, თქვენ მის საკუთარ ტერიტორიაზე უსასყიდლოდ აუშენეთ მარანი — ღვინის საცავით, ბუხრით, საწნახლითა და ქვევრებით. ვენახ-მუზეუმის ტერიტორიაზე. ამ 6-7 წლის წინ რომ ლანჩხუთის რაიონს დიდი ქარიშხალი დაატყდა თავზე, რამოდენა ცემენტი, აგური, შიფერი და ხე-ტყე გაუგზავნეთ. ვიცი, რომ ცაგერს, ლანჩხუთს, ვანს, საჩხერეს, ქობულეთს ეხმარებით პირუტყვის საკვებით ზამთარში. ვიცი, რომ გურჯაანის რაიონში ხელახლა დასახლებულ ჭერემელებს 11 კილომეტრიან გზას უკეთებთ, რომელიც მათ თავიანთ ნათესაობასთან დააკავშირებს სოფელ კაკაბეთში, ჩაილურში, ბურდიანში და სხვაგან. მთებში, ხაშმზე გაგუავთ უმოკლესი გზა გომბორამდე, რომელიც 50 კილომეტრიან მანძილს 18 კილომეტრამდე შეამცირებს.

— ეს ნე კი არა, რაიონს გაჰყვეს და სხვა რაიონებსაც თავად საგარეჯოს რაიონი ეხმარება.

— აა, ქალბატონო მედეა. ვითომ ტუუილში დამიჭირეთ? თქვენზეც ბევრი რამ ვიცი.

— აბა, აბა, აქ ჩემზე არ იყოს ლაპარაკი.

— არა, ქალბატონო მედეა. მე უპარალოდ მოგახსენებთ, რომ ვიცი, როგორ გაუგზავნეთ ერთ ღარიბ ქალს 100 მანეთი ვითომ „სეიზად", რათა სიანაყე არ შელახოდა, რომელსაც ქმარი ავადმყოფი ჰყავდა. ვიცი, რომ თქვენი სიცოცხლის დაზღვევიდან აღებული დანაზოგ ფულით მრავალშვილიან დედას საჩუქრად ტელევიზორი უყიდეთ. წამლების საშოვნელად გაჭირვებულნი თქვენთან ისე მოდიან, თითქოს მთავარი საფთიაქო სამმართველოს მმართველი თქვენ იყოთ. რომ იმ წამლებს თქვენი საკუთარი ფულით ხშირად ყიდულობთ და უგზავნით ავადმყოფებს, რომ აქ მოსვლისთანავე დაიბარეთ საგარეჯოს საქალაქო საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე მერი ლეჟავა და სამამუ-

---

ლადო მრელაშვილი

რიფრაუიდან რიჟრაუამდე

ლო ომში დაღუპულთა მშობლების აღრიცხვა დაავალეთ. მერე ტრადიციად დაამკვიდრეთ, რომ ყოველ 9 მაისს ჩამოუაროთ მათ და საჩუქრები დაურიგოთ. რომ მოსვლისთანავე ყველა ომში დაღუპულთა ოჯახს 50-დან 80 მანეთამდე თანხა დაურიგეთ კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დახმარების ფონდიდან. თქვენ პირველსავე ჩაბოკლაზე ნახეთ, ვის როგორი სახლი ედგა და ვის რა აწუხებდა, მაშინვე დაატრიალეთ აქტივი. რაიონის სხვადასხვა ორგანიზაციები და ყველას, ვისი სახლიც შეკეთებას საჭიროებდა. უსასყიდლოდ შეუკეთეთ. ახლა კი, ერთ მარტოხელად დარჩენილ საბრალო დედაბერს ახალ სახლს უშენებთ.

— მე არაფერსაც არ ვუშენებ. ამას ყველაფერს რაიონი აკეთებს.

— დიახ, დიახ. რაიონი, მაგრამ განა თქვენი ინიციატივით არ იყო, რომ საგარეჯოელებმა 1942 წელს სამამულო ომში ლვოვის მისადგომებთან გმირულად დაღუპული კაკაბეთელი მასწავლებლის — ნიკო პავლიაშვილის ნეშტი ლვოველ პიონერებისაგან მიკვლეული საფლავიდან ამოიღეს და თავის მშობლიურ სოფელში არ ჩამოასვენეს? განა თქვენი ინიციატივით არ აღიმართა მის ახალ საფლავზე ობელისკი. სადაც მიდიან პიონერები ყვავილებით, საზეიმოფიცს დებენ და შემდეგ იქვე საზეიმოდ შედიან კომკავშირში? არა, ქალბატონო მედეა, რატომ თქვენს მოსვლამდე არ იყო საგარეჯოში ისტორიულ-კულტურულ ძეგლთა აღდგენის დასახმარებელი ფონდი? — განა თქვენ არ შექმენით რაიონის სახელმწიფო ბანკში სპეციალური ანგარიში, რომელშიაც რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივს და ინტელიგენციას ნებაყოფლობით შეაქვს წელიწადში თითო თვის ხელფასი? და ამ დაგროვილი თანხით ხდება რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიულ ძეგლთა რესტავრაცია? განა თქვენ არ შექმენით ქალაქის საშუალო სკოლასთან ღვაწლმოსილ პედაგოგთა კომისია, რომელმაც თვეში ერთხელ უნდა ჩაიბაროს ანგარიში თავიანთ უოფილ მოსწავლეთაგან, რომელნიც რაიონში პასუხსაგებ პოსტებზე არიან, — სპეციალისტები გნებავთ, პარტიული მუშაკები თუ წარმოებადაწესებულების ხელმძღვანელები? — მაშასადამე, ვინ რა გააკეთა გასულ ერთ თვეში ისიც თქვენი ინიციატივაა, რომ საგარეჯოში საბინაო საკითხი თითქმის მთლად გადაწყვეტილია. რომ ბინებს რიგის მიხედვით კი არ აძლევთ, არამედ საჭიროების მიხედვით. ისიც თქვენი ინიციატივა იყო, რომ შეიქმნა და აღორძინდა საგარეჯოს ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლი, რომელმაც მოსკოვის საკავშირო ფესტივალზე გაიმარჯვა და დიდი ოქროს მედლის მფლობელი გახდა. ან თქვენი ჩანაფიქრით პატარძეულის ბოლოში სამამულო ომის 30 წლის თავზე გაკეთებული მემორიალი? — ოჰ, იგი ისეთი პოეტურია, ქალბატონო მედეა, რომ არ შეიძლება მისი მომკონი თავადაც პოეტი არ იყოს!

—აი, მაგაზე კი ვერ დაგეთანხმებით. ლექსებს მხოლოდ ბალღობისას ვწერდი. ეხლა კი, ღმერთმანი, ნამდვილად არა მცალიან მაგისთვის. კითხვა კი ძალიან მიყვარს, მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ, თქვენ თვითონ ვინა ბრძანდებით, ეგრე კარგათ რო შეგისწავლიათ ზოგიერთი ჩვენი მიღწევები და მომავალი ჩანაფიქრები? ლექსი კიდევ გასაგებია, მაგრამ რამ დაგამახსოვრათ ისეთი რამეები, რაც მხოლოდ ციფრებით დაინტერესებულ ხალხსაც არ ახასიათებს? მაინც ვისთანა მაქვს პატივი საუბრისა?

— მე რადიოსა და ტელევიზიის სპეციალური კორესპონდენტი გახლავართ — ჭიჭიკო ბარდაძე. თქვენი მუშაობის სტილის დიდი თაყვანისმცემელი. მე ბევრი რამ ვიცი თქვენს შესახებ. მე ისიც კი ვიცი, რომ ამდენი ხნის განმავლობაში წელს პირველად წახვედით შვებულებაში — დასასვენებლად. მაგრამ გულმა არ გაგიძლოთ იქა, ათ დღეში უკან, — რაიონშივე გამოიქეცით და ის ათი დღეც თითქმის წასვლა მოსვლას მოახმარეთ. ისე, რომ მინდა თქვენზე ნარკვევი დავწერო რადიოსათვის.

— ჰოო, აი, თურმე ქარი საით უბერავდა... იცით რა, ბატონო ჭიჭიკო, აქ, ასეთ ადგილას, მე ძალიან უხერხულად მიმაჩნია ასეთ რამეზე საუბარი. და, განსაკუთრებით ჩემზე. მე არაფერი გასაზანზღარებელი არ გამიკეთებია და თანაც მხოლოდ იმას ვჯერდები, რაც ერთ ჩვეულებრივ მოკვდავს, პატიოსან, რიგით ადამიანს ევალება თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის, პარტიისა და მთავრობის წინაშე. ხოლო, თუ ასეთი ეთილი განზრახვა გაქვთ ჩვენი რაიონის მიმართ, კვლავინდებურად მობრძანდით საგარეჯოში და ძველებურადვე შეისწავლეთ რაიონის მოწინავე ადამიანები, რომლებზედაც, ღმერთმანი, მართლაც ღირს დაწერა ერთი რამ კი შემიძლია პირველ რიგში დაგიკონკრეტოთ: ჩვენი რესპუბლიკის მეცხოველეობის წინანდელმა მესვეურებმა ამერიკული, ეგრეთ წოდებული — „ბრენდის" მერძეული საქონლის კომპლექსის პროექტი შემოიტანეს. საგარეჯოს რაიონის ხელმძღვანელობამ მაშინვე ეჭვი გამოთქვა მის ვარგისიანობაზე ადგილობრივი პირობების გამო. ჩვენთან ხომ 5 თვეს ძალიან ცივა. ასეთი კლიმატი კი არ მოუხდებოდა მეწველ პირუტყვს. მიუხედავად საგარეჯოელთა ეჭვისა და უარისა, კომპლექსი მაინც აშენდა, შევიძინეთ ველის წითელი ჯიშის ათასორასი დეკეული. გაიარა ერთმა წელმა. დაიწყო შობადობა და მოჰყვა კიდეც პირუტყვის დაცემასიკვდილიანობა და, აქედან გამომდინარე, მცირე პროდუქტიულობა. ეს კი გამოწვეული გახლავთ სიცივით, რასაც ასე ვუწინასწარმეტყველებდით ამ კომპლექსის მშენებლობის წამომწყებთ. კომპლექსის სიმძლავრე 3600 ტონა რძეა. ჩვენს პირობებში კი მისი მიღება შეუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლებელია. რა ხანია პარტიის ცენტრალურ კომიტეტში მკაცრად დავაყენეთ საკითხი, რომ მეცხოველეობის ახლანდელ მესვეურთ მაინც უურად ეღოთ ეს ამბავი. ამ კომპლექსის დათბობის მიზნით მისი გადაკეთება გადაწყდა. პროექტის შედგენა დაეკვალა საპროექტო ინსტიტუტს. მაგრამ ახალი, სარეკონსტრუქციო პროექტი ჯერაც არა ჩანს... მაშასადამე მშენებლობა არ დაწყებულა. საქმე ჭიანურდება. ზამთარი კი, რამდენიმე თვე და კარზე მოგვიკაკუნებს. რა ვუყოთ საწყალ პირუტყვს? საღ წავიყვანოთ?.. აი, რაზე უნდა დაიწეროს. მაგის გარდა, სხვაც მრავალი პრობლემაა მოსაგვარებელი, რომელზედაც ღირს დაწერა. თქვენ ჩამობრძანდით და სიამოვნებით დაგეხმარებით ყველაფერში. პირადად მე კი, ამის შემდეგ, გულს ნუღარ ამიჩუყებთ ჩემს რაიონულ ჩირთი-ფირთზე. ჩემზე უკეთესი, რამდენიც გნებავთ, იმდენია ჩვენს ქვეყანაში.

— მე თქვენზე მინდა დავწერო, ქალბატონო მედეა. თქვენ ისეთ რაიონს ხელმძღვანელობთ სხვა. თქვენს ადგილას, მაგის მეათედსაც ვერ ვააკეთებდა. ამის გარდა, მე ახალი კაცი ვარ რადიო-ტელევიზიაში. მაგრამ მაინც მოვასწარი თქვენი რაიონის გაცნობა. თქვენც გიცნობთ კარგად. თქვენ ისეთი ავტორიტეტი მოიხვეჭეთ. — მთელ რაიონს კი არა, მთელ საქართველოს რომ თვალში ჩაუვარდეთ. ხელს არ ამოისვამს.

— იცით, რას გეტყვით, ბატონო ჭიჭიკო?.. ეთიოპიის ამხარელებს აქვთ ერთი კარგი თქმა: ღელეთი ის არი აღტაცებული, ვისაც ნილოსი არ უნახავსო... ასე, რომ სჯობია სხვებიც გაიცნოთ კარგად და დაწერა მერე გადაწყვიტოთ. ვფიქრობ, დღეს ამაზე შევთანხმდეთ. ახლა კი ნება მიბოძეთ, საგარეჯოში შეხვედრამდე დაგემშვიდობოთ...

მიცვალებული რომ გამოასვენეს, ცა უკვე იქუფრებოდა. სასაფლაოდან მობრუნებულებს შუა გზაზე წამოეწიათ გრუხუნი. მსხვილი, მძიმე წვეთები მანქანის სახურავზე აბაგუნდა.

— ცუდად არი, შალიკო, საქმე. რაღაც არ მომწონს ამ წვეთების სიმსხო. ღრეც ძალიან ცხელოდა. ქარიც რაღაც არასასიანოდ ამოვარდა.

— შეიძლება ჩვენკენ სულაც მოკრიალებულია ცა, მედეა არჩილოვნა.

— არა, გული რაღაც კარგს არ მეუბნება. ჩვენ აქ ველარ დავრჩებით. ახლავე დააწექ უნდა საგარეჯოში წავიდეთ.

გადაირია ჭირისუფალი.

— როგორ, ამოდენა გზაზე საიდან სად ჩამოხვედი და პურუჭმელი უნდა გაგიშვა?

მაგრამ მედეა რის მედეა იყო, თუ თავისას არ გაიტანდა?

— ჩვენ თავს რაღაც უბედურება ტრიალებს. თქვენებთან ბოდიში მომხადე.

და მანქანა უკვე კასპის ქუჩებში მიჰქროდა.

— ღვეზელი კიდევა გაქვს, შალიკო?

— ნახევარიც არ შემიჭამნია. დიდი ღვეზელებია. მოგართვათ?

— არა, შენ თითონ ჭამე. ხაშლამასა და ბილაფლავზე კი ნუ დამემდურები. სხვა დროს კი, არა მგონია ხელი ასევე შეგვეშალოს. — ქალს ტუჩის ცალი კუთხე წამით ღიმილმა აუგრიხა.

— აბა, რასა ბრძანებთ. მედეა არჩილოვნა, ნე რომელი მექელესე მნახეთ?

— გეხუმრე, შალვა-ბატონი, გეხუმრე. ჩემზე კარგად. აბა, ვინ გიცნობს. ოღონდ ცოტა კიდევ აჩქარდი. რაღაც ვერ ვისვენებ.

თბილისს გასცდნენ თუ არა, ჩამობნელდა.

ლოჭინიდანვე დაიწყო თავსხმა.

ჯერ კარგად ჩანდა, როგორ ცეკვავდნენ კაპოტზე წვიმის დიდრონი წვეთები ყოველი მათი დარტყმა დაირაზე ათამაშებულ თითებივით რაკუნობდა და პაწაწკინტელა აფეთქებები წყლის წვრილ-წვრილ შადრევნებს ისროდნენ მაღლა. მერე წამოვიდა მერეხი და საწმენდები ველარ ასწრებდნენ საქარე მინის გაწმენდას. ცა გვრგვინავდა, გრუხუნებდა და იალნოსა და ციგ-გომბორის მხარეს იკუწებოდა ზეცა ელვის მაკრატლით დაფატრულ ღრუბლებს კიდევ უფრო მეტად ეხსნებოდათ წვიმის რძით დამძიმებული ცურები და შეუბრალებლად აყიებდნენ მიწა-მყარს.

საგარეჯოში შესვლამდე ეკლესიისკენ გადაახვევინა და მერე, მანქანიდან გადმომხტარმა, სირბილით დაფარა ღვთის სახლამდე მანძილი.

ეკლესია ისევ ღია იყო. მღვდელი კარში ჩამდგარიყო. ფოთმინებით მარცვლავდა კრიალოსანს და გზას გაჰყურებდა.

ქალმა წამით საათს დახედა.

— მგონი დათქმულ დროზე მოვედი. — აბა, თქვენი საათი შეამოწმეთ. — მერე შიგნით შევარდა და უმალვე უკან გამოვარდა.

— ყველაფერი წესრიგშია. მამაო. ღმერთს როდი უყვარს, როცა წმინდანები მისგან მოშორებით განისვენებენ. თუ დამემგზავრებით, შინამდე მიგიყვანთ.

კარის ჭირთხლს მიყრდნობილი მღვდელი კვლავ მშვიდად მარცვლავდა კრიალოსანს.

— მადლობა მომიხსენებია. შვილო, ცოტას კიდევ დავიცდი. იქნებ ვინმეს გამოადგეს თავშესაფრად ამ ღვართაფაში წმინდა საუფარი.

— შენ იცი, მამაო, მადლი არსად არ იკარგება.

თითქმის ელვის შუქზე მიიკვლევდნენ გზას. შეშინებულ მგზავრთაგან მრავალს გზიდან გადაეუვანა ტრანსპორტი და გაეჩერებინა.

რაიკომთან ქალი მანქანიდან გადმოხტა და კიბეები თითქმის სირბილით აათავა.

მოსაცდელში თავმოყრილ ხალხს მიესალმა. კაბინეტში შევიდა და კარი მიხურა.

ლადო მრელაშვილი

რიჩარაუიდან რიჟრაუამდე

ციხფერი, თეთრწინწკლებიანი კაბა მთლად გაუიებოდა. თეთრი ჩესუჩით ლამაზად გაწყობილი საუელო და სახელოები დაჭმუჭნოდა. გალუმპული თმიდან მხრებსა და სახეზე ისევ წუალი სწვეთავდა.

მივიდა მაგიდასთან და ზარს თითი ამოსდო.

კაბინეტში მორიგე შემოვიდა.

— რაიონში რა ამბავია?

— ცუდი ამბავი, მედეა არჩილოვნა. შიბლიანიდან დარეკეს. ხევი ადიდდა და სოფლის ბოლოში კალოებზე შევარდაო. საგარეჯოში ღენა გამოითიშა, ანთოკთან სატელეფონო კავშირი გაწუვეტილია. ჩაილურში ავტომანქანები და პირუტუვი მინდორში დარჩა, მანავში მთიდან დაშვებული ღვართქაფი გზაზე ამოვარდნილა და წაულეკნია. ვიღაცამა თქვა, გოლგოთები დაისეტუვაო. — ერთიმეორეზე აურიდა მორიგე.

ტელეფონმა დარეკა.

ქალი ყურმილს დასწვდა.

სეტყვის საწინააღმდეგო სამსახურიდან იყვნენ: ჭურვები გველევა და თუ მალე არ მოგვაშველეთ, ყველა საბრძოლო პუნქტი სახვალიოდ ბრძოლას შეწყვეტსო.

—ეხლა ვის ეყოლება ადგილზე მანქანა? — ქალმა სხვა ტელეფონი აიღო და სადღაც დაელაპარაკა: — ვახტანგ. შენა ხარ? — ამ წუთსვე, საიდანაც გინდა იქიდან გააჩინე მანქანა და თელავში გაგზავნე. „ალაზნის" ტიპის ჭურვებია მოსატანი სასწრაფოდ... ეგრე, ეგრე. მე გავალ და რუისპირის პუნქტში დავრეკავ, მისვლისთანავე რომ გამოგატანონ. — ყურმილი დადო და ისევ მორიგეს მიუბრუნდა: — მოსაცდელში რა ხალხია?

— რა ვიცი, ათასჯურა ხალხია. ზოგი აქაური, ზოგი მოსული. ორნი ენგურჰესის მშენებლობიდან არიან.

— ეხლავე შემოიყვანე ენგურჰესელები. ვინ იცის, რა უჭირთ, ამ კვირა დღეს რომ გამოსულან. მოიცა. სანამ მე მაგათთან ვიქნები, შენ მანამდე მოასწარი, დარეკე ყველგან და აქ წუთშივე აქ იხმე ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე. სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი, რაიკომის მდივნები, განყოფილების გამგეები, პიუროს წევრები. მილიცია. ელექტროქსელი, კავშირგაბმულობა. საგზაო განყოფილება, სოფლტექნიკა. წუალთა მეურნეობა... სამედიცინო პერსონალი და, საერთოდ, მთელი რაიონული აქტივი. ვინც კი დღეს საგარეჯოშია, ეხლავე აქ გამოცხადდეს. საგზაო განყოფილებამ მანავისკენ დასძრას თავისი ტექნიკა სასწრაფოდ.

მორიგე გავიდა.

კაბინეტში ორნი შემოვიდნენ, საკმაოდ სოლიდური ასაკის და საოცრად თავაზიანნი. მასპინძელს მიესალმნენ. ბოდიში მოიხადეს უდროო სტუმრობაზე და სთხოვეს მცირე სუვენირი მიეღო იმ დიდი ყურადღებისა და ღვაწლმარებისათვის, მშენებლობის დაწყებიდანვე რომ უწევს საშენი მასალის დროული მიწოდებით მსოფლიოში უდიდეს ელსადგურის მშენებლობას.

ქალმა წარწერიანი მაჯის სათი ჩამოართვა.

— დიდი მადლობა მომიხსენებია, მაგრამ ეს საჩუქარი რაიონმა დაიმსახურა. ამიტომ ავდგები და რაიონის სხვა საჩუქრებთან ერთად შევინახავ. შევინახავ, როგორც სიმბოლოს ორი რაიონის მშრომელთა გულწრფელი მეგობრობისა და ძმობისა.

— ჩვენც მაგ აზრით მოგართვით, პატივცემულო, სწორედ მაგ აზრით მოგართვით.

— კიდევ და კიდევ დიდი მადლობა და, აგრეთვე დიდი ბოდიში, რომ ისე ვერ გხვდებით, როგორც თქვენისთანა სტუმრებს ეკადრებათ. — და კვლავ მორიგე იხმო. — ციცქიშვილს უთხარი, სტუმრებზე იზრუნოს. — და წამოდგა.

— აჰ, რავა გეკადრებათ, პატივცემულო. ჩვენც გვიმუშავნია და ვმუშაობთ. ჩვენც ვიცით ასეთი დროის ფასი. არაფერზე არ შეწუხდეთ, ძალიან გთხოვთ, არაფერზე შეწუხდეთ. აგერ, თბილისში საქმეზე ჩამოვედით და, რაკი დღეისთვისაც იქვე შემოვრჩით, გამოვიარეთ აქეთ, არა, ბატონო, არაფერზე შეწუხდეთ, აგერ მანქანა გვიცდის და შორი გზაც გვიდევს წინ.

— აბა, აქედან პურუჭმელებს როგორ გაგიშვებენ საგარეჯოელები? — მით უმეტეს, რომ წინ გრძელი გზა გიდევთ. როგორც საჭიროა, თქვენზე ისე იზრუნებენ. ეხლა კი, კიდევ ერთხელ გთხოვთ პატიებას. — და კვლავ მორიგეს მიუბრუნდა. — მოსაცდელში დარჩენილებს უთხარი, ხვალ მოვიდნენ. ხვალ მიღების დღეა. ვისაც ძალიან ეჩქარება, დამიცადოს. რა დროს დავბრუნდები, არ ვიცი. მოსვლით კი აუცილებლად მოვალ, თუნდაც შუაღამისას. — და კაბინეტიდან გავიდა.

გარეთ თავსხმა შემწყდარიყო და ახლა ჩვეულებრივ წვიმდა. ქარიც ჩამდგარიყო. ქუჩებში მხოლოდ მისი სავიზიტო ბარათები — ჭადრის ტოტებზე შეგლეჯილი ფოთლები ეყარა, ხველი და ტალახით მოსვრილი. ცაზე ღრუბლები მაინც ავად ირეოდა. ერთი-მეორეზე ამოდიოდნენ ცივის მხრიდან ზლაზვნითა და ზმორებით დაგრაგნილი და შავად ჩამოქუფრულნი.

— აბა, შალიკო, ბადიაურისკენ დაძარი, საკომანდო პუნქტზე უნდა მივიდეთ. იქიდან პირდაპირი ხაზით უნდა დავუკავშირდეთ რუისპირში მთავარ ცენტრს, რომ ჭურვები დაუბრკოლებლად გამოატანონ.

აქამდე აღწევდა სხვადასხვა მხრიდან წამოსული სეტყვის საწინააღმდეგო ქვემეხების ერთიმეორეზე მიყოლებული ქუხილი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს მთელი რაიონი მტრის წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლას

აპირებდა და ახლა საარტილერიო მზადება მიდიოდა.

მანავამდე წვიმამ მოუწვრილა და მერე ეინ-ულში გადავიდა. როცა მანავში შევიდნენ, მხოლოდღა თქორავდა.

ქალმა მანქანა გააჩერებინა, გადმოვიდა და ფეხით გაუყვა დატბორილ გზას. „მღვრიე ხევი" და მარნის ხევი შეერთებისას კალაპოტში ველარ დატეულიყო, გზაზე ამოვარდნილიყო და ასფალტი ერთიან აეყარა. მერე იქიდან წამოსულს ქვა-ღორღით გაეშენდნა მთავარი შარა. ზედ მანქანები რის ვაი-ვაგლახით გადადიოდნენ.

ორივე ხევი ღვარ-ცოფიანი იყო და მალე ჩამოჯდარიყო. ეტყობა, მთაშიც მაგარი წვიმა მოვიდა, ერთბაშად ჩამოასხა ჩამოსასხმელი და უმალ გადაიღო. ახლა ერთიან დაეურული, უბრალო, უბოროტო, უსუხური რუსაკითღა მოწანწკარებდა.

ქალმა თვალი გააყოლა ხევის სადინარს და წარბი შეიკრა. გზიდან ასიოდ მეტრზე კალაპოტი ამოექოლა, ღობე გაეგლიჯნა და ვენახებს მოსდებოდა. იქიდან გამოვარდნილს სიმინდის ყანა გადაეთქერნა და ახლა შლამსა და ქვიშაში უზარმაზარ საზამთროებივით ეყარა ქვები და ლოდები.

„აი, ჩვენი ბუნების წარაუკმო განადგურების შედეგი". — გაიფიქრა ქალმა, იავარქმნილ მიდამოს თვალი აარიდა და ხევს ზევით აუყვა.

ძლივს მიიკვლევდა გზას შლამსა, ღორღსა და ნაღვარევში. დროდადრო ჩერდებოდა, გამამხნევებელს რასმე ეტყოდა კარმიდამოსა და ეზოებში შეზიდულ ქვა-ღორღს უკვე გარეთ ეზიდებოდნენ და ისევ განაგრძობდა სვლას.

სოფლის თავში რომ ავიდა, თქორიც შეწყდა. ახლა უკვე წვიმით დამძიმებული ფოთლებიღა იწურებოდა. ქალი ველარ გრძნობდა კისერსა და საყელოში ჩასულ უსიამო სისველეს.

სოფელში შემოვარდნილ „მღვრიე ხევს" მარჯვენა ნაპირის მოსახვევში ერთბაშად დაერტყა ხის სუსტი ჯებირისათვის, წამში გაეგლიჯნა და იქვე მდგარი გომური სულ აღეკვეთა პირისაგან მიწისა. მარნის ცალი მხარე გამოეღრღნა, ვაზის ხეივანი პირქვე დაეცა, იქვე მიექვიშა და მერე პირდაპირ პოსტანს დასჯახებოდა.

გაოგნებული იდგა პატრონი ამ მოულოდნელი განადგურების პირისპირ. ისე გამოთიშულიყო ყველაფრისგან, მდინვნის მოახლოება არც კი გაუგია. მთელი ეზო და მიდამო გასუდრულიყო. მხოლოდ პატარა, სიამოვნებით მოჭყლოპინე გოგო-ბიჭი დაჭყაპუნებდა მსხლისა და ქლიავებ ქვეშ შემორჩენილ გუბეებში.

კაცს არ გაუგია, როდის ჩამოადეს ხელი წვიმით გაუიებულ პიჯაკზე.

— ყველაფერს მოევლება, თედო, ეხლავე მოვა ტექნიკა. გომურიც აშენდება და კაი მაგარი ჯებირიც გაკეთდება მოსახვევში.

კაცმა ნაცნობ ხმაზე გვიან მოიხედა და უკვე ხევ-ხევ წასული ქალის ზურგს უეცრად შეცვლილი, დაიმედებული მზერა გააყოლა.

ხევის პირას მწკრივზე დარგული კაკლები ვერ დაეძალნა სტიქიას. მართალია, ძირები გამოეთხარნა, მაგრამ მათი ერთმანეთში გადაწნული ფესვებისთვის ვერაფერი დაეკლო. კვლავ ამაყად მდგარი ხეები სინოტივით პეწდაწმენდილნი დაჰყურებდნენ მოძალებული ტალღებით ნალოკ ფესვებს. მხოლოდ გაღმა მდგარი მარტოხელა კაკლისთვის მოეღო ბოლო: ზროზე მიბმული კარიან-ღობიანად მოეგლიჯნა და სანახევროდ ჩაემარხნა შლამში. კაკლის ზემოთ ორმოციოდე ნაბიჯზე აშკარად ეცუღლუტნა გალალებულ მდინარეს: საიდანღაც ვიღაცის ბაღიდან, დიდრონი, მსხმოიარე კომში წამოეღო და ზედ შუა რიყეზე დაერგა. ხეს არაფერი აკლდა და ქვა-ღორღშიც ზომაზე იყო ჩამჯდარი.

ქალი ახლა მღვრიე ხევის შენაკადს — მარნის ხევს აუყვა.

აქ უარესი უბედურება დაეტრიალებინა კაცზე გაავებულ ბუნებას. გადაეთქერნა სიმინდის ყანები, წაელეკნა ბოსტნები და ქვის ქვეშ ჩაემარხნა ვენახები. სახლის სასაძირკვლე ლოდები ეყარა ვაზთა მწკრივებში. დაგლეჯილი მავთულები და გადამსხვრეული ბოძები მიენაშნა შლამსა და ნარიყს. სანერგეები ისე გადაესწორებინა ღვართქაფს, თითქოს არასოდეს ყოფილიყოს.

ქალს გული კიდევ უფრო მოეწურა. როდესაც თავთავიანთ ნაკვეთებში მობორიალე პატრონები დაინახა, ჯოხით, ჩხირით, შიშველი ხელებით თითო-თითოდ თხრიდნენ ნახევრად გადარჩენილ ვაზებს, ფეხზე აყენებდნენ და ფოთლებსა და დაუეყილი მტევნებიდან სათუთად აცლიდნენ ლაფსა და ქვიშას. დროდადრო შედგებოდნენ, სიზმრის ბურანიდან გამოსულებივით უსასოოდ გაშლიდნენ ხელებს და გამოციებული თვალებით უცქეროდნენ ჩამარხულ ვენახებს — ვაზების საძმო სასაფლაოს.

უკან გამობრუნებულს შარაზე ამბავი დაახვედრეს: გოლგოთების ზვარი მთელი 200 ჰექტარი სეტყვამ წაიღოო.

ეს უკვე დიდი მეხი იყო!

ამ ამბავს დიდ საფრთხეში უნდა ჩაეგდო ყურძნის დამზადების სარაიონო გეგმაცა და ვალდებულებაც.

— ეხლავე უნდა გავვარდეთ გოლგოთებში, შალიკო, — უთხრა შოფერს, რომელიც განუყრელი ჩრდილივით სულ უკან დასდევდა. მერე მეურნეობის დირექტორს ეიუბრუნდა. — აბა, შენ იცი, გორგი, ეტყობა, ერთხელ კი-

---

ლადო მრელაშვილი

რიჟრაუიდან რიჟრაუამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ უნდა მოვიქაჩლოთ თაკი ამასწინანდელივით. ამაღამვე უნდა მომზადდეს ყველაფერი. ხვალ დილით კი, მაშინდელივით, ქუდზე კაცი! ნუგზარ! — უკვე მანქანიდან გადმოსძახა რაიკომის მეორე მდივანს. — შენ აქაურობას მიჰხედე, სანამ მე ამოვალ. სხვა სოფლებიც უნდა შემოწმდეს. სატელეფონო კავშირები შეწყვეტილია. სანამ ამოვალ, ყველას, ვინც საჭიროა და აგრეთვე რაიონის აქტივს გამოუძახე რაიკომში. — წყალდიდობით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციო საარაონო კომისია უნდა შეიქმნას.

ნახევარ საათში, დილანდელ ალვებთან, ზვარში შესასვლელ კარებთან იდგა ქალი.

ყარაულის ჭაჭანება არსად იგრძნობოდა.

დრო არ ითმენდა.

შოფერმა ხელი გადაჭყო, მისწვდა და თავად გამოაძრო კარს ურდული.

სეტყვას დასავლეთის მხრიდან დაერტყა მწკრივებისათვის. ცალი გვერდი თითქმის სულ წაეღო. მეორე მხარე, — აღმოსავლეთისა, ისევ მთელი და თითდაუდებელი ჩანდა. ვაზის ფოთოლი, აგლეჯილი კუფხლები, ყურძნისა და სეტყვის მარცვლები სულ ერთმანეთში იყო ალუფხული. მწკრივსა და მწკრივშუა ჯერ ისევ გაუმდნარი მოჩანდა სეტყვის თეთრი ხვირიში.

ყარაულის ჭაჭანება კვლავ არსით იგრძნობოდა.

„ალბათ, თავის ქოხშია შემძვრალი და შეშინებული თაგვივით არი მიკუნჭული სადმე კუთხეში".

ნახნავიცა და უხნავიც ისე დამბალიყო, ქალი მუხლებამდე ამოითხუპნა. გული უდუღდა. ბოღმა ყელს აწვებოდა და მხოლოდ დიდი ნებისყოფით იკავებდა თავს, თვალთა საგუბრებიდან ცრემლებად რომ არ წამოსულიყო.

ზვრის შუა გამავალ საურმის მოსახვევში, საღამოს ბინდ-ბუნდში, თვალი ჰკიდა უცნაურ საფრთხობელას და უმალ ყარაულად შეიცნო იგი.

ბერიკაცს აცახცახებული, გაძვალტყავებული ხელები ნაპირა სარისთვის მოეხვევნა. შუბლით ცივ, გლუვ ზედაპირზე მიჰყუდებოდა და იდგა გარინდული.

ახლა უფრო პატარა და კაფანდარა მოეჩვენა ქალს. მთლად დაჩიავებული, მუხლებში ისე მოხრილიყო, ქამარში გაჩრილი, განუყრელი წალდის ტარი მიწაში კინაღამ ნახევრად ჩაჰფლოდა.

ახლოს რომ მივიდა, აშკარად დაინახა, როგორ უთრთოდა ბერიკაცს გალეული მხრები და, როგორ ცახცახებდა.

ქალი დაიხარა, დააკვირდა და მიხვდა, რომ ბერიკაცი ტიროდა.

ახლა კი ვეღარ შეიკავა თავი, თავადაც გული ამოუჯდა და ცრემლმაც გზა მისცა თავის სადინარს...

...მერე, გვიან, როცა რაიკომში ყველაფერი მოთავდა, როცა ყველა წავიდ-წამოვიდა და უზარმაზარ კაბინეტში მარტო დარჩა, ქალმა მიმოფანტული ქაღალდები უჯრაში ჩაყარა, იდაყვები მაგიდაზე დააწყო, პეშვები შეატყუპა და ზედ შუბლი ჩამოდო.

დიდხანს იჯდა ასე გარინდებით.

მახვილმა ყურმა მისალებში ხმაური გაიგონა.

ქალმა თავი ასწია და კარს გაჰხედა.

კაბინეტში თავისი ძმა იდგა ჩანთით. მეორე მკლავზე ტანსაცმელი და ლაბადა გადაეკიდნა. ხელშიაც ფეხსაცმელები ეჭირა.

— შენა ხარ, ომარ? რამ წამოგაგდო ამ შუაღამისას?

— საჭმელი მოგიტანე. — ტანსაცმელი სკამის ზურგზე გადაფინა, მერე ჩანთა გახსნა და იქიდან პატარა ქვაბი ამოიღო. გაზეთში შეხვეული თონის პური, მოხარშული კვერცხი, თითო ცალი კიტრი, პამიდორი და ერთი მუჭაც მწვანილი მოუდო გვერდით.

— რა მოგარბენინებდა? ეხლა შინ მოვდიოდი.

ქალმა გაზეთი გაშალა და ქვაბს სახურავი აჰხადა.

— იფ, რა აჯაფსანდალია! — მარტო სუნი დაგბნედავს. აბა, შენ მაქედან მოუჯექ. ხომ იცი ქართული ანდაზა: მარტო კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო.

ძმამ სიბრალულით შეხედა ქალის თბილ, ხავერდოვან თვალებს და თავი დანანებით გაიქნია:

— ნეტა, როდისღა დაისვენებ, ადამიანო?..

100 — რუსთაველის თეატრი — 100

წყარო არჯისტობისა

რუსთაველის თეატრი თავისი ასი წლისთავს დიდებით შეხვდა. არც ერთ დროს, არასოდეს, ასეთი აღიარება, — მსოფლიო სახელი ქართულ თეატრს არ ჰქონია. ქართულ თეატრს კი არა, რომელიც გნებავთ, მანამდე აღიარებულ დიდ თეატრებს უჩვენებიათ ევროპაში თავიანთი წარმოდგენები და შინ ჩუმად გაპარულან.

რუსთაველის თეატრმა შექსპირის სამშობლოში შექსპირის პიესა წარმოადგინა, ბრეხტის სამშობლოში ბრეხტისა და თავისი დიდი ხელოვნებით გააოცა უცხოელნი. ზეობით შემოიარა თითქმის მთელი ევროპა, სახელი და დიდება მოიხვეჭა.

რა მიზეზით, რა ნიშნით მოეწონათ ქართული თეატრი უცხოეთში? ვის ან რას უკრავდა ტაშს ლონდონი და რომი?

არც რუსთაველის თეატრის დირექტორი ყოფილა ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი, არც დამდგმელ რეჟისორს დაუმთავრებია ოსბორნი, არც მსახიობებს უსწავლიათ დიულენის სკოლაში, არც დრამატურგი ჰყოლიათ ტრინტის კოლეჯდამთავრებული.

ოზურგეთის „კოლეჯდამთავრებულთა" გარემოცვაში შეიქმნა „რიჩარდიცა" და „კავკასიურიც..."

თუ წარსულს გავიხსენებთ, უფრო შორსაც წავალთ...

„14-ს დეკემბერს ითამაშეს ყველასგან ცნობილი და არა ერთხელ ნათამაშევი „ხანუმა" — წერდა აღტაცებული ილია ჭავჭავაძე 1886 წ — „... თეატრი ამის თამაშობაზე ერთს განუწყვეტელ ხარხარად გადაიქცა. რომ გენახათ ხარხარებდა ყველა, დიდი და პატარა, იმ სასიამოვნო ხარხარითა, რომელსაც მართლა-და მხიარულების სიცილი ჰქვიან. არა ერთსა და ორს შემოუჩივლია ჩვენთვის, რომ დაკიბოცენით სიცილითაო".

თითქოს გუშინ დაიწერა ეს სტრიქონები, — რუსთაველის თეატრის „ხანუმაზეც" ხომ ასე ვხარხარებდით!

„აბა რა თქმა უნდა, საცა ბ-ნი გაბუნია, ბ-ნი საფაროვისა და ბ-ნი აბაშიძე ერთად შეიყრებიან, იქ თამაშობა კარგი იქნება! ერთმა ნაცნობმა ესეც გვითხრა: ამ არტისტების უბედურება ის არის, რომ ქართველებად არიან დაბადებულნი. ეგენი რომ რუსეთში იყვნენ ან სხვაგან საცმე და რომელიმე გავრცელებული ენა ჰქონოდათ და ისე ეთამაშნათ აუარებელ სიმდიდრეს და დიდს სახელს შეიძენდნენო".

ეს სტრიქონები დაწერილია ასი წლის წინათ, დიდი ილიას მიერ, როცა ქართული თეატრი პირველ ნაბიჯებს დგამდა.

დასაბამიდანვე, სცენაზე გამოვიდა თუ არა, ქართველმა მსახიობმა დაიპყრო მაყურებელი, იმთავითვე განუმეორებელი და შეუდარებელი იყო. მაშინ ჩვენს არტისტობას დიულენის კი არა, ფაღავას სკოლაც არ ჰქონდა გავლილი. არც „სისტემებსა" და „მეთოდებში" ერკვეოდნენ, მაგრამ მაცქერალნი აღტაცებაში მოჰყავდათ.

ილია ჭავჭავაძემ მყისვე იგრძნო ქართველ მსახიობთა თანდაყოლილი, ბუნებითი ნიჭიერება, იწინასწარმეტყველა ისიც, რომ ეს არ იყო ვიწრო საშინაო მოვლენა, რომ დღეს თუ ხვალ ქართველ მსახიობთა ელვარე ხელოვნება მთელ ქვეყანას მოეფინებოდა.

რა წყაროს ეწაფებოდა ქართველი მსახიობი, რომ მნახველს ასე ხიბლავდა, რა ხერხი აცოდა, რა მეთოდი ჰქონდა?

გინახავთ თეთრყაბალახმოგდებული ქართველი ბერიკაცი წვეულებაში ან ქორწილში მიპატიჟალი?! — დედამიწა მისთვის სცენაა, ბოლო დედამიწის მკვიდრნი მაყურებელნი, აი, ამ უზარმაზარ სცენაზე გამოდის იგი — „არტისტი", მან უნდა ითამაშოს ქართველი კაცის როლი. მოსწონს ეს როლი, უყვარს, იცის ზეპიოდ. მიხრა-მოხრა, ტარება ტანისა ბალეტის მსახიობს შეშურდება, სიტყვა-პასუხი, სიმახვილე სიტყვისა — სიტყვის შემოქმედს.

მისი პირველი გამოჩენა ხალხში ცალკე თემაა საუბრისა, — ნათესავს სხვა წესითა და რიგით შეხვდება, მოყვარეს სხვა გულით გაულიმებს. მამაკაცთან შეხვედრა სხვა სპექტაკლია, ქალს სხვა ლაზათით ემთხვევა ხელზე.

მიკითხვა-მოკითხვის, „კი, ჩემო ბატონო! გმადლობთ, ღვთის რებით, ბატონო"-ს შემდეგ თუ ჩვენს თეთრყაბალახიან ბერიკაცს სუფრასთან მიიწვევენ და თამადად აირჩევენ, „არტისტი" „რეჟისორად" იქცევა. დადგამს ისეთ წარმოდგენას, არასოდეს რომ არ გინახავთ, თქვენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალწინ შექმნის ისეთ სანახაობას, საცა იქნება მხიარულება, ხარხარიც, ღიმილიც, ცეკვა-თამაშიც, სიმღერაც, რაღა თქმა უნდა! სმაში შეჯიბრება, მჭევრმეტყველება, ლექსაობა, ურთიერთპატივისცემა, ზოგჯერ მტრობის გამომჟღავნებაც, ლხინს ექნება ზეწერტილიც, კვანძის გახსნაც და ფინალიც, — მეტწილად კახური მრავალჟამიერით დამთავრებული.

ახლა ჭირში ვნახოთ ჩვენი თეთრუაბალახიანი. ის აქაც რეჟისორია, მაგრამ ამჟამად სხვა უანრის — ტრაგედიისა. ტრაგედიის დადგმაც არანაკლებ ემარჯვება. მთავარ როლსაც ბრწყინვალედ თამაშობს: მიცვალებულს ხავერდოვანი ბანით დაიტირებს, ხელისგულებსაც წაიშენს თავზე, მაგრამ აღარ გადააჭარბებს, ვაჟკაცურია მისი ცრემლი, სულისშემძვრელია მწუხარება.

როცა აკაკი ხორავა „დიდ ხელმწიფეში" ვიმე შვილოო — შვილის ცხედართან გმინავდა, სენაკელ თეთრუაბალახიან ბერიკაცებს ჩამოჰგავდა თავიანთი ახლობლების ცხედართან მამაკაცური სიწრფელით აქვითინებულთ!..

წყაროსთვალი ქართული თეატრის ზეობიაა ქართველი კაცის არტისტულ სულში მშრომელი ერის ყოფასა და ადათწესებშია საძებარი.

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურა გახლავთ საზრდო ქართველ მსახიობთა შთაგონებისა.

ხოლო დიდი ქართული ენა ფუძე, რაზეც ყოველი დაეფუძვნა.

სულითა და გულით მივულოცავ რუსთაველელებს იუბილეს და ვუსურვებ ახალ დიდ თეატრალურ დღესასწაულებს.

ნოდარ ფულეისკირი

●

ყოველი თაობა ეროვნულ თეატრზე მსჯელობისას მას, ძირითადად, უშუალოდ მიღებული შთაბეჭდილებების მიხედვით აღიქვამს. ყველაფერი, რაც იყო მანამდე, ჩვეულებრივ, მისთვის ლეგენდარულის სფეროში გადადის ხოლმე. და რამდენადაც მეტია წარსულში ლეგენდარული სახელი, მით უფრო მეტს ითხოვს ადამიანი მისი თანამედროვე თეატრისაგან. შეიძლება ითქვას, რომ მიუხედავად ისეთი დიდი სახელებისა, როგორიცაა კ. მარჯანიშვილი, ს. ახმეტელი, ისეთი საინტერესო და მდიდარი წარსულისა, რაც რუსთაველის თეატრს ჰქონდა ორმოცდაათიან წლებამდე, ჩვენს თვალში ლეგენდას არასოდეს დაუჩაგრავს ჩვენი თანამედროვე რუსთაველის თეატრი. მე საკმაოდ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც, მახსოვს ა. ხორავასა და ა. ვასაძის ელვარება „ოტელოში", და ის სიამაყე, რომლითაც მაშინ რუსთაველის თეატრის სიმაღლეზე ლაპარაკობდნენ. მახსოვს უკვე ძალზე კარგად დ. ალექსიძის მიერ დადგმული „ოიდიპოს მეფის" საოცარი წარმატება. მე მაშინ რამდენჯერმე ვნახე ეს სპექტაკლი. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი წარმოდგენა სპორტის სასახლეში, როდესაც ათიათასი მაყურებელი, თითქმის ისევე, როგორც გრანდიოზულ ანტიკურ თეატრებში, სულგანაბული და შეძრწუნებული ადევნებდა თვალს ოიდიპოსის ტრაგედიას. არ შეიძლება იმის დავიწყება, თუ რაოდენი თავმოწონებით იმეორებდა მაშინ თითოეული ჩვენთაგანი, რომ ქართულ სცენაზე ერთდროულად სამი ოიდიპოსი იშვა (ა. ხორავა, ს. ზაქარიაძე, ე. მანჯგალაძე).

შემდეგ კოპოუტის „როცა ასეთი სიყვარულია," რომლის თაობაზეც მაშინ ამდენი აზრთა სხვაობა წარმოიშვა. სპექტაკლის განხილვა მოეწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მოწვეულნი იყვნენ რეჟისორი მ. ოუმანიშვილი და სპექტაკლში მონაწილე მსახიობები. მაშინ სტუდენტთაგან ერთ-ერთი გამომსვლელი მეც ვიყავი. ამ განხილვაზე იყო გულწრფელი აღტაცებაც, ეჭვიც, ხომ არ არის სპექტაკლში მხოლოდ ვ. მეიერხოლდის პრინციპთა გამეორება, მსჯელობაც იმაზე, ხომ არ ხდება თეატრი ეკლექტიკური, მაგრამ ერთში ყველანი შეთანხმებული ვიყავით: ამ სპექტაკლით ჩვენთვის ესოდენ ძვირფასმა თეატრმა დრამის წარმოდგენის, დრამატურგიული ხედვის ახალი, საინტერესო შესაძლებლობები გვიჩვენა. შემდეგ კვლავ ახალი თაობა რეჟისორთა, წარმატებაც და წარუმატებლობაც, თ. ჩხეიძის ბრწყინვალე „სამანიშვილის დედინაცვალი" და ცალკეულ რეჟისორთა ნაკლებად შთამბეჭდავი სპექტაკლები და, ბოლოს, რუსთაველელთა ახალი სიმაღლე, დაკავშირებული რ. სტურუას რეჟისორულ ნოვატორობასთან. და ისევე, როგორც ეს საერთოდ თეატრის სიმაღლისთვის არის დამახასიათებელი, საერთო ეროვნული სიამაყე შესანიშნავი რეჟისურით, მსახიობთა ბრწყინვალე თამაშით, შექსპირისა და ბრეხტის ინტერპრეტაციაში დამოუკიდებელი გზის მონახვით, მსოფლიოს თეატრალურ ასპარეზზე ესოდენ ფართო გასვლით.

ხშირად მსმენია საკმაოდ ბანალური და სწორხაზოვანი კითხვა. „რუსთაველის თეატრის შენთვის ცნობილი რომელი პერიოდი მიგაჩნია ყველაზე წარმატებულად?" თითქოს ამ კითხვაზე საკმაოდ ადვილია პასუხის გაცემა, რადგან რუსთაველელებს ისეთი ფართო აღიარება არასოდეს არ ჰქონიათ, როგორც დღეს აქვთ. მაგრამ ალბათ ამგვარი პასუხი არ იქნებოდა სწორი. თეატრი არის ერთგვარი მედიუმი ლიტერატურასა — ამ შემთხვევაში დრამის ტექსტსა — და მის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამედროვე მაყურებელს შორის. დრამა, როგორც მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოები, უცვლელი რჩება საუკუნეთა განმავლობაში. მისი მნიშვნელობის განსასაზღვრავად ლიტერატურის ისტორიაში, კაცობრიობის კულტურის განვითარებაში, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რომელი თეატრი როგორ დადგამს ამა თუ იმ სპექტაკლს. შეიძლება თეატრს ჩაუვარდეს სოფოკლესა და შექსპირის დადგმა და არნახული წარმატება ხვდეს რომელიღაც მეათეხარისხოვანი დრამის წარმოდგენისას, მაგრამ ეს ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს თვით დრამის ავტორთა სახელის დიდებაარდიდებაზე. სამაგიეროდ, თეატრის სახელისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად შესძლო მან მისი თანამედროვე მაყურებელი ეზიარებინა მაღალ დრამატურგიასთან. სწორედ აქ მუღავნდება თეატრის დასის, მისი რეჟისორის უნარი, ალღო აუღოს თანამედროვე მაყურებლის გემოვნებას, ესთეტიკურ პრინციპებს, წარმოადგინოს ეროვნული, მსოფლიო მწერლობის მიერ შექმნილი უველაზე მნიშვნელოვანი დრამები მისი თანამედროვე საზოგადოებისათვის უველაზე უფრო მისაღები, და აქტუალური ფორმით. დღეს ჩვენ ვუყურებთ ბრეხტს, შექსპირს რუსთაველის თეატრის სცენაზე და მოგვწონს მათი სტურუასეული ინტერპრეტაცია. თავის დროზე ასევე მოგვწონდა რუსთაველელთა მიერ წარმოდგენილი მსოფლიო დრამის ზოგიერთი სხვა აღიარებული ნაწარმოები, თუმცა მათი ინტერპრეტაციის პრინციპები არსებითად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. რასაკვირველია, დღეს რომ გვქონდეს საშუალება წარსულში ესოდენ წარმატებით განხორციელებული შექსპირის თუ სოფოკლეს კვლავ ხილვისა, ჩვენზე ალბათ ისინი ველარ მოახდენენ მაშინდელ ეფექტს. მეორეს მხრივ, ძნელია იმის წინასწარმეტყველება, რამდენად მოგვეწონება თანამედროვე რიჩარდი რამდენიმე ათეული წლის შემდეგ. დრო იცვლება, იცვლება მაყურებლის გემოვნებაც. სწორედ ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ შეცდომა იქნებოდა რუსთაველის თეატრის მიერ განვლილი გზა შეგვეფასებინა მხოლოდ თანამედროვე მაყურებლის, რეჟისორის თუ მსახიობის ესთეტიკური პრინციპიდან გამომდინარე. ასეთ დროს ყოველთვის გასათვალისწინებელია ის — თუ რამდენად თანამედროვე და საინტერესო იყო თეატრი იმ პერიოდის მაყურებლისათვის, რომლისთვისაც იდგმებოდა წარსულში ესოდენ აღიარებული სპექტაკლები.

ამიტომ თეატრისათვის ყველაზე წარმატებულად, ვფიქრობ, ის პერიოდები უნდა მივიჩნიოთ, როდესაც რუსთაველის თეატრმა შესანიშნავად შესძლო მისი თანამედროვე მაყურებლის ზიარება ჭეშმარიტ დრამატურგიასთან. საბედნიეროდ, ასეთი პერიოდები ჩვენთვის ესოდენ ძვირფას თეატრს არ ჰქონდა ცოტა. ეს არის მისი ძალა, ეს არის მისდამი უსაზღვრო სიყვარულის საფუძველი. ყველა ჩვენგანის სურვილია 100 წელს გადაცილებულ რუსთაველის თეატრს არასოდეს არ შეჰპარვოდეს სიბერე, ის ყოველთვის თანამედროვე დარჩეს.

რისმაკ ბორდეზიანი

მოქმედი ვულკანი

ამ გაზაფხულზე თბილისს ჩამოვიდა ინგლისის თეატრალურ მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. თვითმფრინავი საღამოს უნდა ჩამოფრენილიყო, მაგრამ ნაშუაღამევს დაეშვა თბილისში, რადგან ჩვენს დედაქალაქში კოკისპირულად წვიმდა. როგორც კი ინგლისელებმა ავტობუსში დაიგულეს თავი და წვიმით გადარეცხილ, ელექტრონის შუქზე გადალაპლაპებულ თბილისის ქუჩებს მოავლეს თვალი, რუსთაველის თეატრი გვაჩვენეთო, ითხოვეს. აკი ვთქვი, გაზაფხულზე იყო ეს ამბავი-მეთქი, სწორედ მაშინ, როცა რუსთაველის თეატრი იტალიასა და შვეიცარიაში მოგზაურობდა. ასეც უთხრეს სტუმრებს. შენობა მაინც გვაჩვენეთ მაგ თეატრისაო და წარმოიდგინეთ მკითხველო: ღამის ორი საათია, კვლავ კოკისპირულად წვიმს, რუსთაველის პროსპექტზე მოჩქეფს წყლის ნაკადები, დგას თეატრის წინ ავტობუსი, ფეხზე წამომდგარა 88 ინგლისელი თეატრალი და ტაშს უკრავს. დიახ, ტაშს უკრავს ჩაბნელებული, დაცარიელებული თეატრის შენობას. მადლიერების, აღიარების გამომხატველ ამ ტაშისცემას თითქოს თეატრიც ეხმიანება, ეხმიანებიან მის სცენაზე ფეხადგმული ადამიანები, ნიღბები, რომელთაც სწორედ აქ ჰპოვეს სიცოცხლე.

ის წვიმიანი საღამო იმიტომ გავიხსენე, რომ კიდევ ერთხელ აღვნიშნო, თუ რაოდენ პოპულარულია დღეს რუსთაველის თეატრი — ქართული მწერლობის ნეკნიდან ნაშობი ტაძარი, რომლის სვეტებად დიდი ილია და აკაკი გვევლინებიან. ეს ორი ბუმბერაზი იდგა ამ თეატრის სათავეში და მათი შარავანდედი მუდამ ადგას ამ თეატრს. მის ცუდ, უმწეო სპექტაკლებშიც კი იგრძნობა, რომ იგი დიდი თეატრის წიაღშია შობილი.

უმწეო სპექტაკლები-მეთქი ვთქვი თორემ, დიდ, საქვეყნო აღიარების მომხვეჭელ სახელებს რა გამოულევს მას.

რუსთაველის თეატრის ისტორია თითქმის მთელი ქართული თეატრის ისტორიაა. აქ იყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის თავს ქართული თეატრის ყველა მაგისტრალური ხაზი. აქ იწყებოდა და იწყება ყოველი ახალი თეატრალური მიმდინარეობა (მიმდინარეობებს რომ გვერდი ავუქციოთ, ახალი თეატრებიც მის წიაღში იშვნენ).

რუსთაველის თეატრის თავისებურება და განსხვავებული ნიშანი ის გახლავთ, რომ თითქმის ყოველ ხელმძღვანელს ახალი თეატრალური ესთეტიკა მოჰქონდა თან და ამ ახალ ესთეტიკაზე შექმნილი თეატრი ეურდნობოდა და ანვითარებდა მის წინამორბედს. ყოველი ახალი ხელმძღვანელის ახალი ესთეტიკა კი ახალი ტიპის მსახიობს ზრდიდა და აღიზარდნენ კიდეც ამ თეატრში სხვადასხვა ხელწერის სხვადასხვა გამომსახველ საშუალებათა მფლობელი მსახიობები, ბევრი მათგანის ცხოვრება ამ თეატრის კი არა, ქართული კულტურის ისტორიის უკვდავი ფურცლებია.

აქედან გამომდინარე რუსთაველის თეატრის ასწლოვანი ისტორია არის სრულიად ახალ თეატრთა შექმნის ისტორია. იგი მაგონებს მარადიულ ვულკანს, რომელიც მუდამ მოქმედებს და ამ მოქმედებაში ჰპოვებს თავის შემოქმედებით სახეს — იმ ახალ სახეს, რომელითაც იგი მუდამ არის საინტერესო, მნიშვნელოვანი.

ეს არის თეატრი, რომელსაც შესწევს უნარი თავის თავში აღმოაჩინოს ძალა გუშინ მისსავე მიერ შექმნილის უარყოფისა, უკუგდებისა და ახლის წარმოქმნისა.

და თუ თეატრს არ შესწევს უნარი ყოველდღიური გარდაქმნისა, ყოველდღე ხელახლა დაბადებისა, იგი კარგავს თეატრალური ფენომენის თავისებურებას და მუზეუმად გარდაიქმნება. ეს კი ის არის, რასაც პიტერ ბრუკი მკვდარ თეატრს ეტყვის.

ამჟამინდელი რუსთაველის თეატრი სრულიად ახლებური აზროვნების თეატრია, მისი ესთეტიკა განსხვავდება ყველა სხვა ადრინდელი თუ დღევანდელი თეატრალური ესთეტიკისაგან, თეატრის ახლანდელმა მოქმედმა ბირთვმა სრულიად ახალ, გრადაციაში წარმოგვიდგინა მისი ასწლოვანი ძიება.

თანამედროვენი მუდამ მაქსიმალისტები ვართ, რადგან გვიჭირს დისტანციიდან შევხედოთ პიროვნებებს, მოვლენებს, მაგრამ მე მაინც ბუნებივრად მეჩვენება ის მოთხოვნაც რაც უკვე დაიბადა, რაც უკვე გაჩნდა: კვლავ ახალი უნდა იპოვოს თეატრმა, დროა ახალი თეატრალური ესთეტიკის შექმნისაო.

კი, ღმერთმანი ბუნებრივად მეჩვენება ეს ყველაფერი, იმდენად ბუნებრივად, რომ თითქმის მავიწყდება კიდეც, რაოდენ რთულია, რაოდენ შეუწვდომელი, რომ ერთმა შემოქმედმა ამდენი მოიცვას.

მაგრამ ერთი რამ მაიმედებს:

რობერტ სტურუა საოცრად მშვიდად და ცბიერი ღიმილითაც კი შეხვდა მსოფლიო აღიარებას. აღიარება კი არ მოერია მას, პირიქით მოხდა — მან აჯობა დიდებას (თითქოს ჭირს კიდეც ამ სიტყვის დაწერა, თანამედროვე და მეგობარ კაცზე, მაგრამ ფაქტს ხომ ვერ აუქცევ გვერდს!), სულ გაურბის, ემალება. აი, ამ თვისებების გამო მჯერა — იგი კვლავ უერთგულებს რუსთაველის თეატრის ტრადიციულ პრინციპს — მოქმედი ვულკანის პრინციპს და დღევანდელ თეატრალურ ესთეტიკაზე აღმოცენდება სრულიად განსხვავებული, სრულიად ახალი თეატრალური ესთეტიკა ხვალინდელი ქართული თეატრისა. — მას ხომ თითქმის სიჭაბუკის ასაკში უწია აღიარებამ და რამეთუ არ ელოლიავება მას, ძალიც შესწევს ახლის შექმნისა. მე შევნატრი ამ ახალს და ძალიან მინდა სწორედ ქართული მწერლობის, ქართული დრამატურგიის საფუძველზე აღმოცენდეს რუსთაველის თეატრის ხვალინდელი გამარჯვებანი.

გურამ ბაბიაშვილი





ჭაბუა ამირეჯიბი სამოცი წლისაა

ჩემი თაობისათვის იშვიათია მოინახოს ისეთი შემოქმედი, რომელსაც ასე მძიმე სულიერი ბარიერების დაძლევის შემდეგ ამდენი სიკეთე შეუძლია დათესოს.

მისი კეთილშობილური მრწამსის ნამდვილ ჰიმნად მოგვევლინა „დათა თუთაშხია“ — მრავალწახნაგოვანი ლიტერატურულ-ფილოსოფიური სიმფონია, აგებული ერთ დიდ სუნთქვაზე.

მართლაც, რა საამაყოა ასეთი განძით ხელდამშვენებული შეხვდე შენი სამოცი წლის იუბილეს!

ბედნიერება მხვდა წილად ჯანსუღ კახიძესთან ერთად დამეწერა მუსიკა ამ ფილმისათვის.

მუსიკის ხარისხის შესახებ მსმენელმა განსაჯოს, მე კი მოგახსენებთ, რომ ეს უბდიდრესი ლიტერატურული მასალა შეუძლებელს ხდიდა, მაქსიმალური შემოქმედებითი დამუხტვის გარეშე შემექმნა შესატყვისი მუსიკალური სახე.

ასეთი შემოქმედებითი ზემოქმედების უნარი (მხედველობაში მაქვს, არც თუ ხშირი, მაგრამ პერიოდული შეხვედრები მასთან) ჭაბუას ბუნებიდან, მისი საოცარი თხრობის უნარიდან გამომდინარეობს.

ჩვეულებრივ საუბარშიც იგი უსათუოდ რაიმე საინტერესოს გამოურევს, ოაც შეიძლება მის თანამოსაუბრეს დიდხანს აეკვიატოს.

არასოდეს დამავიწყდება მასთან გატარებული რამდენიმე ღღე ბათუმში, ფილმ „დათა თუთაშხიას“ დამდგმელ ჯგუფთან შეხვედრის დროს, როდესაც ჭაბუამ შუალამის საუბრისას სასტუმროში წამიკითხა მაღაროსკარელი უსახლკარო ერემოს ერთკუპლეტიანი „ნეკროლოგი“. მან ისეთი სული ჩადო ამ ლექსში, რომ მე შთაბეჭდილების ქვეშ რამდენჯერმე გავამეორებინე. ჭაბუა, მიუხედავად დაღლილობისა, ამას სიამოვნებით ასრულებდა.

გავიდა რაღაც ორი-სამი წელი და ეს „აკვიატებული“ კუპლეტი, რომელსაც დაემატა ე. თათარაიძის ლექსი, გადაიქცა ჩემი ახალი ნაწარმოების თემად, რის შესახებ ჭაბუამ არც იცის. დაიწერა ვოკალურ-სიმფონიური პოემა მეცოსოპრანოსა და ორკესტრისათვის, რომელიც ამა წლის ოქტომბერში შესრულდა მუსიკის საერთაშორისო ფორუმზე.

დიდი მადლობა, ჩემო ჭაბუა, ასეთი შემოქმედებითი დამუხტვისათვის. ამერთმა დიდხანს უდღეგრძელოს შენი დიდებული პიროვნება ჩვენს ერს.

ბიძინა კვერნაძე

პიროვნება და შემოქმედი

ᲘᲑᲘᲚᲘᲡᲡ სამოციანი წლების დამდეგს დაუბრუნდა ჭაბუა ამირეჯიბი შორი გზიდან და უმალვე ისე ჩაერთო ქალაქის ცხოვრებაში, თითქოს ორსამდღიანი მივლინებიდან ჩამობრუნებულიყოს. მალე მწერალთა კლუბის ვერც ერთი თავყრილობა — ოფიციალური ღონისძიება იქნებოდა თუ ძმაკაცური ნადიმი — უიმისოდ ვეღარ წარმოიდგინებოდა. კიდევ მცირე ხანი რომ გამოხდა, საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში შეიძლებოდა უკვე მასთან შეხვედრა. ამგვარ ყოფაში გავიდა ოცი წელიწადი, ცოტათი მეტი, და ამასობაში ჭაბუამ სამოცს მიატანა.

მისი ეს თვისება (ცხოვრებისეული ორომტრიალის გარეშე რომ არ გაეძლება ამ კაცს) მის ახლობლებს მონატრება გვეგონა თავდაპირველად, გარჯის, მიდგომ-მოდგომის, ხალხთან ურთიერთობის მოუკლავი წყურვილი მხოლოდ.

მერე და მერე ვიაზრეთ: მისი არსება ყოფილა ეს, უშინაგანესის გამოვლინება, „სხვაგვარად არ ძალმიძს". ესე იგი — ექვსი თავისნათქვამა შვილის მამობაც, მოყვარული არსების მეუღლეობაც, ხალხმრავალი და სტუმრიანი ოჯახის გაძღოლაც, აურაცხელი ნათესავის, ნაცნობის, ამხანაგის, მეგობრის საქმეთა მეურვეობაც, ათასი გაჭირვებულისთვის ზედ გადაგებაც, ყოველი საქვეყნო, საზოგადო სატკივარის გულთან მიტანაც, შეხვედრებზე, თათბირებზე, დისკუსიებზე დასწრებაც, ტელევიზიით მალ-მალ გამოსვლაც, პრეესისი ფურცლებზე პუბლიცისტობაც, ახალი ლექსის, რომანის, სპექტაკლის, ფილმის, ნახატის, ქანდაკების შეფასებაც, ფეხბურთელთა გულშემატკივრობაც, კაი ყმად, კაი ბიჭად დარჩენაც, სმაში გამძლე მეინახეობაც, ჭირის დღეებზე გამოუკლებლად დასწრებაც, ქართლსა თუ კახეთს, ფშავსა თუ დუშეთს, იმერეთსა თუ სამეგრელოს, გურიასა თუ აფხაზეთს ხშირ-ხშირად გავარდნაც... ჩამოთვლა დაგღლის კაცს, ამდენი ჭაბუკობის გაწევა კი არა!.. და მაინც უნდა განვავრცო ეს ნაკლული ნუსხა: მოთხრობების რამდენიმე წიგნის გამოცემაც, ორმოცთაბახიანი რომანის შექმნაც, მისი სატელევიზიო შვიდსერიიანი სცენარის გამზადებაც და აწ უკვე ახალ — სამოცდაათთაბახიან რომანზე მუშაობაც...

არ ვიცი, ვის რამდენად დაუჯდება ჭკუაში ეს მოსაზრება, მაგრამ, ჩემის ღრმა რწმენით, სხვაგვარი ბიოგრაფიის მქონე და ცხოვრების სხვაგვარ წესს მიდევნებული კაცი ვერც დაწერდა „დათა თუთაშხიას". აქ ილანდება ის მარადქართული მოდელი სამყაროსთან მიმართებისა, როდესაც სიღრმეთა მხილველი თუ მწვდომელი პიროვნება ქმედითი ცხოვრების იდეალსაც გაუბზარავად ინარჩუნებს — „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა". ამის მთქმელსაც ვერ წარმოვიდგენთ მხნეობას მოკლებულ, ძაბუნ კაცად თუ უნდილ პიროვნებად. ვერც „ალუდა ქეთელაურის" ავტორს. ვერც „დიდოსტატის მარჯვენისას". მრავალ სხვა ვისმე კიდევ...

ჭაბუას ოჯახის ცხოვრების ყაიდა პირდაპირი გაგრძელებაა მამამისის — თავის დროს ცნობილი ვექილისა და მოღვაწის ირაკლი ამირეჯიბის სახელისა. იქ ხშირად იყრიდნენ თავს ოციან-ოცდაათიანი წლების უსაჩინოესი, ოჯახიშვილნი და მამულიშვილნი. და ამ თავისებურ აკადემიაში შთამომავალნი სწავლობდნენ: მოყვასის სიყვარულს და ერის სიყვარულს, სიკეთეს და სათნოებას, გულშეუძვრელ ვაჟკაცობას და მოქიშპის დანდობას, ენამჭევრობას და რაინდულ ზრდილობაა...

რაინდობა ისედაც მოსდგამდა ამირეჯიბთა საგვარეულოს. მაგრამ მარტვილი არავინ მაგონდება ამ გვარის შვილთაგან.

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება დღესაც ერთი გაბმული მარტვილობაა — ერისთვის და შემოქმედებისთვის თავგადადებულ რაინდთა უცილობელი ხვედრი.

რევაზ თვარაძე

მზეჭაბუკ ამირეჯიბი

არ ვიცი, სხვა ქალაქში როგორ ხდება, თბილისში კი არავინ არავის არ აცნობს — „გაიცანი, ეს კარგი ბიჭიაო!"

„კარგი ბიჭი" იმთავითვე ყველასთვის ნაცნობია.

ჩემთვის არავის გაუცვნია ჭაბუა ამირეჯიბი.

არ მახსოვს ის დღე და წუთი, როცა მითხრეს — „გაიცანი, ეს ჭაბუა ამირეჯიბიაო!"

ეს ძალიან დიდი ხნის წინანდელი ამბავია, მე თბილისელი ბიჭის, ჭაბუა ამირეჯიბის გაცნობის თარიღი არა და არ მახსოვს.

იყო ასეთი სკოლა მთაწმინდაზე — მერვე შრომის სკოლა. ადრე, თურმე, ქალთა გიმნაზია ყოფილა. ორსართულიანი აგურის შენობა დიდი შიდა ეზოთი, შენობას რიკულებიანი ქართული აივანი მიყვებოდა.

ამ შენობის ბოლოს, ეზოს კუთხეში, მოთავსებული იყო რადიო-ტექნიკუმი.

ამ ტექნიკუმში სწავლობდა ჭაბუა.

მე კი ამ დროს მერვე შრომის სკოლის მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიყავი.

ალბათ სწორედ მაშინ, იმ სკოლის ეზოში, ფეხბურთის, კალათბურთის, ლახტის ან გრძელი ვირის თამაშისას გავიცანი ჭაბუა.

კი არ გავიცანი, ან ერთ გუნდში მოვხვდით, ან ერთმანეთის პირისპირ ვიდექით.

ამ დღიდან მოყოლებული მახსოვს ჩვენი სკოლის ეზოში, ცამდე აშოლტილი, უზარმაზარი ჭადარი და აშოლტილი, ოქროსფაფრიანი ჭაბუკა — ასე ვეძახდით.

ის ჩემზე ერთ წლით უფროსი იყო, მაგრამ სიმაღლით ორჯერ მაღალი (იმ წლებში ძალზე მომცრო ტანისა გახლდით, როგორც იტყვიან, წრიპა, სხვათაშორის, თავიც პატარა მქონდა).

სიმაღლის მიუხედავად, ჭაბუა მეტად სწრაფი და მოქნილი იყო, არავის უდებდა ტოლს არც ერთ სპორტულ თამაშში.

დადიოდა ქალაქში ერთი ლამაზი ჭაბუკი და ამშვენებდა ქალაქს, იგი ამ ქალაქის განუყოფელი ნაწილი იყო.

გავიდა ხანი და იაევ გამოჩნდა ქალაქში ახოვანი, ჭალარაშერეული, პირხმელი ვაჟკაცი და ისევ დაამშვენა ქალაქი თავისი დარბაისლური იერითა და ზრდილი საქციელით.

დაიწყო ახალი ცხოვრება.

ძნელი და შინაარსიანი, შემოქმედებითი ცხოვრება.

გაჩნდა ბუხარი, მის ირგვლივ ყოველ საღამოს იკრიბებოდნენ ძველი და ახალი მეგობრები და თანამოაზრენი. გაჩნდა სითბო და სიყვარული, შრომა და ზრუნვა; ზრუნვა ყველასადმი, ვინც კი მისი ყურადღების სფეროში მოხვდებოდა.

მან მძიმე და ვრცელი ცხოვრების გზა გამოვლო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი და ძნელი გზა ნიჭიერსა და დაკვირვებულ კაცს მხოლოდ სიბრძნეს შემატებს.

ჭაბუას სიბრძნე მოყვასის სიყვარულია. იქნებ ზოგმა თქვას, იგი უცნაური კაციაო. რა თქმა უნდა, იგი უცნაური კაცია. აი მისი „უცნაურობის" ერთი მაგალითი: რუსეთიდან სნეული მეგობარი ჩამოიყვანა, უმკურნალა, ვიდრე სამსახურში მოაწყობდა, მთელი წელი ინახავდა და ყოველთვიურად ფულს აძლევდა. აკლებდა ოჯახს, შვილებს და მეგობარს აძლევდა.

როგორც დათა თუთაშხიას ზნეობა და ეთიკა სამაგალითოა მკითხველისთვის, ასევე ჭაბუა ამირეჯიბის ზნეობა და ცხოვრების წესი, შრომის უნარი, ერისა და მწერლობის თავდადებული სიყვარული სამაგალითოა ყველა შემოქმედისთვის.

იგი ჭეშმარიტი შემოქმედი და ჭეშმარიტი ადამიანია.

მისი ნათლობის სახელია მზეჭაბუკ — ძველი ქართული, კეთილხმოვანი სახელი.

მზეჭაბუკ ამირეჯიბი.

დიახ, იგი სითბოსა და სინათლეს ასხივებს და ჭაბუკივით მხნეა და ენერგიით აღსავსე.

60 წელიც მწერლისთვის ხომ ჯერ კიდევ სიჭაბუკის წლებია.

გიგლა ფირცხალავა

●

დაკვეთით დაწერილ სტატიასა თუ მილოცვას გარკვეულ უხერხულობასთან ერთად დიდი ღირსებაც აქვს. წინ გიდევს სუფთა ფურცელი და გონებას ძალას ატან, გამოიხმო მწერალთან შეხვედრებიდან და საუბრებიდან ყველაზე საგულისხმო და სათუთი მოგონებები. ამ მოგონებებს ისევე არ ვააჩნია რაიმე მნიშვნელოვანის პრეტენზია, როგორი უპრეტენზიოც არის ჩვენი მწერალი.

ცხადია, მწერლის ცხოვრების შეცნობაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს მის შემოქმედებას: „პირველად იყო სიტყვა", მაგრამ თანამედროვეებისათვის ამა თუ იმ მწერლის თანამედროვეებს ვგულისხმობ, ზოგჯერ არანაკლებ მნიშვნელოვანია თავად მწერლის ცხოვრებისეული ბიოგრაფია, მისი პიროვნების ზნეობრივ-ფსიქიკური შტრიხები.

იქნებ არც ღირდა ასეთ დიდ შესავლად ის შემთხვევა, რომელიც ზოგმა შეიძლება უმნიშვნელოდაც მიიჩნიოს. მაგრამ პირად გამოცდილებას, პირად კონტაქტს ძნელად თუ შეედრება რაიმე.

ეს იმ დროს მოხდა, როცა „დათა თუთაშხია" აღტაცებით მიიღო ჩვენმა საზოგადოებრიობამ, ხოლო ჭაბუა ამირეჯიბმა საოცარი პოპულარობა მოიპოვა. ეს იყო, როგორც იტყვიან, შეყვარება პირველი ნახვისთანავე, თუმცა ლიტერატურული „გურმანების" წრეში მას მანამდეც ჩვენი პროზის მნიშვნელოვან ძალად მიიჩნევდნენ.

სტამბის მუშაკებმა მთხოვეს, ჭაბუა ამირეჯიბს კარგად იცნობ და თუ შეგიძლია, შეგვახვედრეო. ცხადია, ეს შეხვედრა ყოველგვარ ოფიციალურ რიტუალს გამორიცხავდა. არ ვიცი, რა დამემართა, მაგრამ ეს თხოვნა იმ დღეს ლა გამახსენდა, რომელიც სტამბის მუშაკებმა შეხვედრისათვის დამითქვეს. ახლა წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა: ქართული ადათ-წესის კვალობაზე სუფრა გაწყობილია — ვისაც უნდა შევხვდეთ, ჯერ გაფრთხილებული არა მყავს. უკან დახევა აღარ ეგებოდა. მეტი სითამამისათვის რევაზ თვარაძეს

ვთხოვე, ასეთი ამბავია და იქნებ ორივე ვეახლოთ-მეთქი ჭაბუას. კარი გაიღო და რას ვხედავთ: ჭაბუა ამირეჯიბს შვილის დაბადების დღე ჰქონია და თამადადაც თვითონ დამდგარა. შევწუხდით: ჩვენც უხერხულად ვიგრძენით თავი და სტუმარ-მასპინძელმაც. მერე ის იყო, ჭაბუამ თამადობა სხვას გადაულოცა და უყოყმანოდ გამოგვყვა. ჩვენ სუფრას ჩატის რძეც არ აკლდა. საჭმელიც უხვად იყო და სასმელიც, მაგრამ იმ სუფრაზე დამსწრეებს სმა-ჭამა ყველაზე ნაკლებად აინტერესებდათ, სხვა საზრდოთი იკვებებოდნენ. საკმაოდ დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, ის დღე კი ყველას გუშინდელივით გვახსოვს.

როცა ამა თუ იმ ადამიანზე ვლაპარაკობთ, მართებულად თუ უმართებულოდ, რაღაც ინერციით ვინმე სხვას ვადარებთ ხოლმე, თითქოს ის „სხვა" ოვისებური სასინჯი ქვა იყოს. თუ მაინც შედარებაზე მიდგა საქმე, ჭაბუა ამირეჯიბი ისევ და ისევ დათა თუთაშხიას ჰგავს. ამბობენ, მწერლის ნებისმიერი გმირი — ეს თვით მწერალიაო. რამდენად სამართლიანია ეს აზრი, ძნელი სათქმელია. მაგრამ ვინც ჭაბუა ამირეჯიბს იცნობს, იგი დამეთანხმება, რომ დათა თუთაშხია მწერლის სულიდან არის ამოზრდილი, მისი ბიოგრაფიის ნაწილია, რა თქმა უნდა, ლიტერატურის ქურაში გამოტარებული. ეს ეხება მისი ცხოვრების ფილოსოფიურ და ზნეობრივ კრედოს, შეურიგებლობას ადამიანის ყოველივე დამამცირებელთან და უსამართლობასთან, სიკეთის უსაზღვრო რწმენას, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რისგანაც იქმნება ცხოვრება და ადამიანის პიროვნება. მე მგონია, რომ იგი, დათა თუთაშხია, ისევე იცინის, როგორც ჭაბუა ამირეჯიბი, ისევე ვერავიზე ვაგლახად ვერ ათქმევინებ აუგს, როგორც თვითონ მწერალს. ის, რაც ახლა მოგახსენეთ, ხელის გულზე დევს და მის ამოცნობას დიდი მისნობა არ სჭირდება. იმას კი ვიტყვი: ბედნიერებაა, როცა მწერალი და მისი გმირი ასე გვანან ერთმანეთს. ასე იმეორებენ ერთურთის ბიოგრაფიას და უკეთილშობილესი მისწრაფებებით ხელიხელჩაკიდებულნი დადიან.

არჩილ გოგელია

სული კრებითი

როცა ზამთრის გრძელი ღამეები მოდგებოდა, ბუხრის პირას ჩამომსხდარი დროული კაცები ათასგვარ თავგადასავალს ჰყვებოდნენ. გარეთ ხვავრიელად თოვდა, სამეგრელოს მთებიდან უბერავდა წყნარი მასკური, ისინი კი ჰყვებოდნენ და ჰყვებოდნენ ჟრუანტლისმომგვრელ ამბებს, ოცნებისეულ და ამასთანავე ნამდვილ და ხორციელ, სიმართლისთვის, სიკეთისთვის თავდადებულ და მსხვერპლადმისულ მზეჭაბუკზე. თოვდა კოლხურ სოფელში და „ჰხედვიდა ერი მას თუთაშხიას განსხეულებულს, ხორცქმნილა და მსახლობელა თვისა ტაძარსა დიდებულსა შინა უფლად სიყვარულისა". ზოგი ვარადებულს ეძახდა, ზოგი ჯგირკოჩას და ზოგი მართალიას. მრავალსახება და მრავალსახელა იყო იგი თავიდან.

როცა წამოვიზარდეთ, მაშინღა მივხვდით, ჩვენთვის, ბავშვებისთვის, რომ ჰყვებოდნენ ის მოხუცები ბუხრისპირას დიდ, ცხოვრებისეულ ამბრძნეა გვაზიარებდნენ. შეუმჩნევლად და ძალდაუტანებლად გვაყვარებდნენ სინდისნამუსის, ღირსების, სამართლიანობის დამცველ რაინდს, რომ შემდგომ ჩვენც მიგვებაძა მისთვის და მასავით წინ აღვდგომოდით „უსამართლობით და ძალმომრეობით ლელოს გამტან კაცებს".

თოვდა კოლხურ სოფელში. ისევ და ისევ გადავყავდით ნათხრობ-ნაამ-

ბობს სხვა დროში და სხვა დროში თოვდა თითქოს. სხვა დროში ვცხოვრობდით ჩვენც და ყველაფერს ვიმახსოვრებდით იმ დღისთვის, ხვალ ჩვენ რომ უნდა გვეცხოვრა.

ჩვენთვის, ყმაწვილთათვის, ირჯებოდნენ-მეთქი ის ბრძენკაცები — ვთქვი ზემოთ. ახლა, როცა თქვენს რომანს ვკითხულობ, მეჩვენება, რომ ჩვენთვის, ახალგაზრდობისთვის დაიწერა იგი, მსგავსი წიგნები ხომ ყველაზე მეტად ახალგაზრდობას სჭირდება.

იმასაც ვიტყვი, სწორედ რომ . დროზე მოევლინა ეს რომანი ქვეყანას. ხალხს სწყუროდა ამგვარი გმირის ხილვა. ამიტომ ძერწავდა იგი საუკუნეთა განმავლობაში დათასნაირი ადამიანების სახეებს. რა უნდა იყოს მწერლისთვის უფრო დიდი ღირსება, ვიდრე ის, დროულად მიუგდოს ყური ხალხის ხმას, სურვილს და გააცოცხლოს, სული შთაბეროს ერის ნაოცნებარ გმირს. თავისი სისხლხორცი რომ იცნო, იმიტომაც შეიყვარა ხალხმა დათა ასე უცბად, იმიტომაც მიენდო მთელი გულით.

შესაშური სისადავით, ნათლად და ხელშესახებად იშლება მსჯელობა ურთულეს ზოგადადამიანურ პრობლემებზე. ადამიანის სულის არც ერთი მცირე კუნჭული, არც ერთი ნიუანსი არაა აქ უყურადღებოდ დატოვებული. და ეს გასაგებიცაა. დათაში ხომ ერთადაა თავმოყრილი ყოველივე ადამიანური: „არა იყო იგი სულდგმული ერთი და ძეხორციელი, არამედ სული კრებითი, არსი, მყოფი კაცთა წიაღსა შინა, ვითა წახნაგთაგანი მათი უპირველესი“.

ყველა სახის მკითხველი პოულობს ამ რომანში თავის საზრდოს, იმდენად მრავალპლანიანი და მრავალფეროვანია იგი. ყველა დროში წაიკითხავენ მას, რამეთუ აქ მოხმობილი პრობლემები მარადიულია.

დიდი და უჩვეულო ომი გადაიხადა დათა თუთაშხიამ. მწერალი არცთუ ორაზროვნად მიგვანიშნებს, რომ დათა და მუშნი ერთი და იგივე პიროვნებაა. შემთხვევითი არაა, რომ ისინი ასე გვანან ერთმანეთს გარეგნობითაც, ხასიათის ზოგიერთი თვისებითაც, არც მათი ბიძაშვილობაა შემთხვევითი. მწერალმა თითქოს ორად გაჰყო ერთი ადამიანი და სხვადასხვა გვარსახელით გაუშვა ქვეყანაზე. მუშნისა და დათას ბრძოლა ადამიანის შიგნითვე არსებული კეთილი და ბოროტი საწყისის ბრძოლაა. „დათა თუთაშხიასი თუკი რამ ვიცი, ყველაფერი მხოლოდღა იმას მეტყველებს, რომ ამ ადამიანს ერთადერთი რამ მიუჩნევია ბრძოლისა და დაძლევის საგნად — საკუთარი არსება! განა რა უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ დიად ომს სახე და შინაარსი შეეცვალოს“ — ამბობს ერთ-ერთი პერსონაჟი.

დათა თუთაშხიამ ომი საკუთარ თავთან მოიგო, მოიგო, რადგან ფლობდა კაცთათვის უმთავრეს ნიჭს — სიყვარულს, აგრერიგად უცხო რომ იყო ზარანდიასთვის.

მოიგო ეს ომი მწერალმაც, რამეთუ მისი წაკითხვის შემდეგ მკითხველი ბევრად უკეთესი გახდება, ვიდრე იყო...

განუზომელია ამ რომანის მნიშვნელობა ჩვენთვის, ახალგაზრდა შემოქმედთათვის, როგორც მწერლური ოსტატობის სახელმძღვანელოსი.

ქართულ ლიტერატურას „დათა თუთაშხია“ კიდევ უფრო შორს გაუთქვამს სახელს.

ჭაბუა ბატონო, დაბადების სამოცი წლისთავს, სახელმწიფო პრემიის მინიჭებას სულით და გულით გილოცავთ თქვენი უმრწემესი კოლეგები.

ვახტანგ ხარჩილავა

დიდი მადლობა

უმაწვილები რომ წაკითხული წიგნის გმირებს ბაძავენ, იმ ასაკს კარგა ხნის გადაცილებული ვიყავი, დათა თუთაშხია რომ მოეკლინა ქვეყანას.

უკვე მოთავებული მქონდა არსენა მარაბდელთან ერთად თოიალეთის მთებში ხეტიალი, დავით აღმაშენებლის მხედრიც მუზარადიც მოხდენილი მქონდა და არსაკიძის მხარდამხარ ჩემი წილი ქვაც ატანილი მეგულებოდა სვეტიცხოვლის კედელზე.

და აი, მოვიდა დათა თუთაშხია, თანაც იმ დროს მოვიდა, საქართველოში ზნეობისა და კაცური სინდის-ნამუსის დაცვას სწორედ დათასნაირი კაცები რომ სჭირდებოდა, ისევ გვიბრძანა ამხედრება და თავის მუდმივ სამსახურში ჩაგვაყენა, პატარა დათა თუთაშხია ეგებ ყველა პატიოსან კაცში ზის. მაგრამ დათა სულ სხვაა, სული კრებითი და აული მარადიული.

დათა თუთაშხიას შექმნა მოგებულ ომად მეაზება, სადაც საქართველომ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში კიდევ ერთხელ მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება, რადგან ვისაც დათა თუთაშხია ჰყავს, ის ერი იმნაირ ძალას ფლობს მილიონიან არმიებს რომ უაუქცევს, არც თავისუფლების დროშას დახრის და არც ქვეშევრდომობას იაღრებს.

თაობები თაობებს შეცვლიან, მათი საუკეთესო ნაწილი ნიადაგ მოივლის მარაბდას, დიდგორს, კრწანისს და ბოლოს დათასთან მივა, მის სამსახურში ჩადგება და ეს იქნება საკუთარი თავის, საკუთარი მოწოდებისა და მოვალეობის აღმოჩენა, რადგან პიროვნების ზნეობრივ ჩამოყალიბებას ორიენტირად ისეთი ზნეობრივი გმირობა სჭირდება, მხოლოდ დათა თუთაშხიას რომ შეუძლია ჩაიდინოს.

ერის ისტორიაში დიდი ლიტერატურული გმირის დაბადება თავისი მნიშვნელობით გენიოსის დაბადებას უდრის, თუმცა ეგებ ეს გმირი რეალურად არ არსებობდა ოდესმე. მაგრამ ეს რა ბედენაა, თუკი მას შეუძლია ერის სულიერ ცხოვრებაში ორიენტირის, მარადიული თანამდგომის, უბრძნესი და უმამაცესი კაცის ადგილი დაიკავოს.

ხოლო კაკობრიობის ისტორიაში დგება მომენტი რაღაც დიდი დათვალიერების მსგავსი, სადაც თითოეულმა ერმა, დიდმაც და მცირემაც, თავისი არსებობის გასამართლებლად რაღაც უსაზღვროდ მნიშვნელოვანი უნდა წარადგინოს.

ისტორიის ამ გარდაუვალ სამსჯავროზე საქართველო დიდი ლიტერატურით ხელდამშვენებული წარსდგება და ამ ნობათში „დათა თუთაშხია" თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს.

დიდხანს ვოცნებობდი მენახა „დათა თუთაშხიას" შემოქმედი, იგი ჩემი წარმოდგენით ყველასაგან განსხვავებული უნდა ყოფილიყო.

ერთხელ მწერალთა კავშირის დერეფანში ვიღაც ახოვანი, პირხმელი კაცი დავინახე, რომელიც მორიდებით დაიარებოდა, ხან ერთ კარებთან შედგებოდა, ხან მეორესთან, თითქოს კერ გადაეწყვიტა შიგნით შესვლა. მაგრამ მის თითქოსდა დაუდევარ ჩაცმულობაში, მიხრა-მოხრაასა და გამოხედვაში დიდი ვაჟკაცობა, ძალა და ღირაება გამოსჭვიოდა.

ეს კაცი ჭაბუა ამირეჯიბი გამოდგა. მერე აღარ გამჭირვებია მასში ბევრი რამ ისეთი აღმომეჩინა, ადრე დათა თუთაშხიასთან რომ მქონდა შენიშნული.

60 წელი რა არის ენერგიითა და სულიერი ძლიერებით აღსავსე შემოქმედისთვის?

მადლობა თქვენ, ბატონო ჭაბუა!

ლავრენ ბერიძელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერილები

თეიმურაზ დოიაშვილი

„მაგერიაზე გავლით — სულოგისაკენ!"

(კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული ნოველა)

„განვითარების წარმოდგენა განუხრელად და პირდაპირად მხოლოდ პერსპექტივაში თუ შეიძლება. თუ მწერალს კვალში მივყვებით გზის ყოველ ეტაპზე, ველარ ვიგრძნობთ ვერც პირდაპირობას და ვერც განუხრელობას მუდმივი შეჩერებებისა და გამრუდებების გამო". — წერდა ალექსანდრ ბლოკი.

კ. გამსახურდიას შემოქმედებით უანას დაუღალავი შრომის კვალი ატყვია. ათასი სწორით და მრუდით არის დასერილი. ყოვლისმომცველი ქვრები, დიდი კატაკლიზმები იყო განმსაზღვრელი ნიშანი XX საუკუნის პირველი ოცწლეულისა, როცა შემოქმედი მწვავედ განიცდიდა ეპოქის ციებ-ცხელებას და არსებული ქაოსიდან თავის დასაღწევ უამრავ საშუალებას სცდიდა.

„ჩვენ ყველას, ამ თაობიდან გამოსულთ, ათასგვარი დემონი გვიდაღავდა გულს, ათასი გზები გვიცდია და საშუალებანი, ათასგვარი სამანი მოგვისინჯავს.

ეს არის ფრიად მტკივნეული პერიოდი ხელოვანის ცხოვრებაში. პერიოდი საკუთარი ხმის მოპოვებისა და საკუთარი მანერის მიგნებისა". — იგონებდა მწერალი.

კ. გამსახურდიამ სულიერი ფორმირების წლები დასავლეთ ევროპაში გაატარა. გერმანიასა და საფრანგეთში განსწავლის დროს ეზიარა იგი გაბატონებულ იდეალისტურ ფილოსოფიას. ახალგაზრდა მწერლის თვალწინ იკიდებდა ფეხს ათასგვარი „იზმით" დამძიმებული დეკადენტური ხელოვნება და, ბუნებრივია, ისიც ვერ ასცდა მის გავლენას. მოგვიანებით მწერალი აღნიშნავდა:

„მე გაზრდილი ვარ ძალიან კონსერვატორული კულტურების ატმოსფეროში, გერმანული იდეალიზმისა და იტალიურ-გერმანული მისტიკის ზეგავლენის ქვეშ. თავისთავად ცხადია, მე არ შემეძლო ჩემი შემოქმედების პირველსავე პერიოდში ერთი დაკვრით შემომებერტყნა ყოველივე, რაც ათი წლის განმავლობაში შემიგრძვნია, შემრცვნია და შემისწავლია ჩემი განსწავლისა და მგზავრობის წლების მანძილზე".

ეს ჰეშმარიტად ასეც იყო. კ. გამსახურდიას ადრეულ ნოველისტიკაში საკმაოდ საგრძნობია დეკადენტური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი განწყობილებანი, მოდერნისტული ხასიათის ძიებანი, რასაც თან სდევდა ფორმის ნოვატორობის პრეტენზია. გარკვეულ მოსაზრებათა გამო თავდაპირველად განვიხილავთ მწერლის დამოკიდებულებას ექსპრესიონიზმთან.

ექსპრესიონიზმი — ახალი რელიგია

პირველი მსოფლიო ომის წლებსა და შემდგომ ხანებში, როდესაც კ. გამსახურდია გერმანიაში იმყოფებოდა, ამ ქვეყანაში აღმოცენდა და აღიარება მოიპოვა ექსპრესიონიზმმა. ეს მიმართულება, რომელსაც გერმანული ეროვნული სულის სპეციფიკური გამოვლინების პრეტენზია ჰქონდა, ფართოდ გავრცელდა ევროპის ქვეყნებში, თუმცა ექსპრესიონიზმის პირველმამები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას მაინც გერმანულ ნაციონალურ მოვლენად თვლიდნენ.

„რომელი იღებს თავის ფორმას ობიექტიდან, ბუნებისეული ფორმიდან; გერმანელი ქმნის თავის ფორმას ფანტაზიით, შინაგანი ხილვით, ხოლო ხილული სამყაროს ფორმა მისთვის მხოლოდ სიმბოლოა" — წერდა მხატვარი-ექსპრესიონისტი ე. კირხნერი.

ამ განცხადების მიხედვით, ექსპრესიონისტული ხელოვნების არსებითი ნიშანი — საგნობრივობის მიღმა არსის ინტუიტური შეცნობა — — გერმანელი ერის ნაციონალურ თვისებად არის აღიარებული.

ასეთი განმარტება, ცხადია, არ იყო სწორი. თავის დროზე კ. გამსახურდია ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა: „ექსპრესიონიზმი ბეკრს გერმანული ნაციონალური მოძრაობა ჰგონია. ეს დიდი შეცდომაა. უკანასკნელ ათეულ წლებში მთელს ევროპაში საგრძნობი გახდა მისტიურ-რელიგიური სულის რენესანსი".

კ. გამსახურდია ახალგაზრდობის წლებში ამ მიმდინარეობის აპოლოგეტი იყო. იგი თავის წერილებში მრავალგზის მიუთითებს სიჭაბუკის დროინდელ ცოდვებზე. ექსპრესიონიზმით გატაცებაზე:

„ლიტერატურა ვენახსა ჰგავს ერთ რამეში. მას ჟამიდან ჟამზე ავადმყოფობა შეეყრება. ახალგაზრდობაში ჩვენც შეგვყრია ექსპრესიონიზმის, დადაიზმის თუ ფუტურიზმის სენი, მაგრამ ტალანტები ყოველთვის ბედნიერად იხდიდნენ ამ სენს, ხოლო უნიჭონი იხრჩობოდნენ მასში".

„დიონისოს ღიმილში" არის მოცემული თანამედროვე ბურჟუაზიული ევროპის კრიტიკა. უსასტიკესი კრიტიკა, რადგან იმ დროს მე ვემხრობოდი ახალგაზრდა ექსპრესიონისტების ჯგუფს, რომელიც გამოდიოდა ლოზუნგით „გაუმარჯოს რევოლუციას".

ექსპრესიონიზმი, მსგავსად ჩვენი საუკუნის სხვა „იზმებისა", იყო იმ კრიზისის შედეგი, რასაც განიცდიდა კაპიტალისტური სამყარო. ექსპრესიონისტების შემოქმედება იყო მძაფრი რეაქცია შოვინიზმისა და მილიტარიზმის, ფილისტერული თვითკმაყოფილების, ბურჟუაზიული კულტურის დაშაქრული გემოვნებისა და ილუზიების წინააღმდეგ. ეს იყო ინდივიდუალური, ბუნტარული პროტესტი გარემომცველი სინამდვილის მიმართ, რაც რიგ მწერლებთან გადაიზარდა ფატალურ შიშში თვით ამ სინამდვილის წინაშე.

„აროდეს ყოფილა ასეთი დრო, მომაკვდინებელი შიშითა და საშინელებებით ასე შეძრწუნებული... აროდეს ყოფილა ადამიანი ასე ჩია, ასეთი მხდალი, აროდეს ყოფილა სიხარული ასე მიუღწეველი და თავისუფლება ასე ჩამკვდარი. უნდა აღვავლინოთ გოდება. ადამიანი მოუხმობს თავის სულს... ხელოვნება უერთებს თავის მოთქმას სიბნელეს. ის გოდებს დახმარების შესახებ, ის მოუხმობს სულს. ეს ექსპრესიონიზმია!" — წერდა ჰ. ბარი.

კ. გამსახურდია ანალოგიური სურათის მეშვეობით ცდილობს ექსპრესიონიზმის რაობის ჩვენებას: „სინამდვილეში... საშინელი ნაპრალი გაითხარა, არავის უნდოდა, ცალი თვალითაც რომ ჩაეხედა ამ სინამდვილეში. იზრდებოდა ნაპრალი და ომის კონვულსიებში დამანჭული ადამიანის სული ერთბაშად ხედავს, რომ ეს ნაპრალი უკვე საშინელ უფსკრულად გადაიქცა. გაისმა ისტერიული კივილი უფსკრულთან მისულის პირიდან... და ეს კივილია ექსპრესიონიზმი".

რა არის არსებითი ექსპრესიონიზმისათვის?

„თუ ძველი ხელოვნება ორივე ხელებით უარს ამბობდა, სინამდვილე ახალმა ხელოვნებამ აღიარა". — წერდა კ. გამსახურდია. დებულება საკმაოდ ბუნდოვანია, სანამ არ გაირკვევა, რა შინაარსისაა ეს „აღიარება". ყოველ შემთხვევაში, ექსპრესიონისტებისათვის ბუნებისადმი მიბაძვა გამორიცხულია. კ. ედშმიდი წერდა: „სამყარო არსებობს. უაზრობა იქნებოდა მისი გამეორება". სწორედ ბუნებისადმი მიბაძვას, მის კოპირებას აუვედრიდნენ ისინი იმპრესიონისტებს: „ყოველგვარ იმპრესიონიზმს ნიზნად აქვს მხოლოდ ცარიელი მიმბაძველობითი ტენდენციაო". სინამდვილის მიბაძვა, როგორც ვხედავთ, მიუღებელია ექსპრესიონიზმისათვის. მაშ რა ღირებულებისაა ზემოხსენებული აღიარება?

ბუნება უცვლელია და ობიექტური. მაგრამ ადამიანთან შედარებით იგი არარაობაა. ეს იმიტომ, რომ ბუნება თავისთავად არაფერია. მხოლოდ ადამიანი უდგამს მას სულს. ავსებს აზრით და ანიჭებს ფორმას. ბუნება პირველადი მატერიაა, რომელშიც მომწყვდეულია ათასგვარი შესაძლებლობა. ამ შესაძლებლობების ფორმადქმნა ადამიანის სურვილზეა დამოკიდებული. ადამიანი ცენტრია სამყაროსი. იგი სურვილისამებრ ავსებს ბუნების სიცარიელეს ფერებით, სულით, საკუთარი „მე"-თი. ამ მსჯელობიდან სრულიად აშკარაა ექსპრესიონისტული ხელოვნების ერთი არსებითი ნიშანი — სუბიექტივიზმი. სწორედ იგი განსაზღვრავს სინამდვილის „აღიარების" ხასიათს. მწერალი ემპირულ მასალას იყენებს იმდენად, რამდენადაც ყოველგვარი ზოგადი, ასე თუ ისე, კონკრეტულ-გრძნობადი ფორმით უნდა გადმოიცეს. ეს იმიტომ, რომ გარდა ექსპრესიონისტული „მე"-სი, ე. ი. იმისა, ვინც ქმნის, არსებობს კიდევ აღმქმელი „ის". „მეს" აზრი აღმქმელისათვის გასაგები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი რამდენადმე კონკრეტული ფორმით

მაინც არის გადმოცემული. „ფაქტებს იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც შემოქმედი მათ ჩრდილთა გადაღმა სჭვრეტს ყოველ მათგანის ვიზიონერულ სახეს, მათ ნამდვილ პირველიდეას" (კ. გამსახურდია). როგორც ვხედავთ, მწერლისათვის ხილული სინამდვილე მხოლოდ საშუალებაა, რომლის მიღმა არსებითი და უმნიშვნელოვანესი იფარება. დავიმოწმოთ ისევ კ. ედშმიდი: „ფაქტებს იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც მხატვარი მათ მიღმა იჭერს იმას, რაც ფაქტებს უკან იმალება" როდესაც კ. გამსახურდია წერს, რომ „ჩვენ რეალობა როდი უნდა უარვყოთ, არამედ უნდა შევქმნათ უფრო ძლიერი რეალობა, ვიდრე ყოველი მოცემული რეალობა", ეს ნიშნავს: გავათავისუფლოთ საგნები სინამდვილისაგან, აღმოვაჩინოთ მათი სული. ვაჩვენოთ არა ობიექტი, არამედ ამ ობიექტში შეფარული სუბიექტი და ამ გზით შევქმნათ ახალი რეალობა. მწერლისათვის ხელოვნებას უდიდესი მისია აკისრია. იგი ცხოვრებას კი არ ასახავს, არამედ ავსებს მას, რითაც კაცობრიობას აძლევს საშუალებას ხელოვნებაში დაინახოს საკუთარი თავი, ამაღლდეს ისტორიის მსვლელობასა და ყოველდღიურობაზე, იგრძნოს ერთიანობა სამყაროსთან, კოსმოსთან. „ახალმა პანდინამისტურმა ხელოვნებამ უნდა გადოს ხიდი კოსმიურსა და ინდივიდუალურს, მესა და არა-მეს, პიროვნებასა და სამყაროს შორის". — ამტკიცებდა კ. გამსახურდია.

რადგან ხელოვნების დანიშნულება „მესა" და „არა-მეს" გამთლიანება, ადამიანისა და ბუნების შეკავშირებაა, საჭიროა მკვდარი მატერიის მიღმა „სულობის" აღმოჩენა. ხელოვნებისათვის ემპირული სინამდვილე კი არ არის მთავარი, არამედ რაღაც სულიერი რაც მხოლოდ ადამიანის კუთვნილია და ბუნებას არა აქვს. ექსპრესიონიზმი ბუნების ასახვის სანაცვლოდ გვაძლევს სულს. „ელნაპერწკალი სულობისა და გრიგალი გრძნობისა ჰქმნიან ხელოვნურ გამოცხადებას... ექსპრესიონიზმი მარტო სტილისა და ტექნიკის საკითხი როდია, არამედ ახალი დიდი პრობლემაა სულობისა". — წერდა თავის საპროგრამო წერილში „იმპრესიონიზმი თუ ექსპრესიონიზმი" კ. გამსახურდია.

როგორ ხდება ამ პრობლემის გადაჭრა, საგნის მიღმა სულობის აღმოჩენა? საამისოდ ერთადერთი გზა არსებობს — ეს არის ჭვრეტა. „ექსპრესიონისტი ხელოვანისათვის სივრცეც ვიზიონერული ფასადია სულობისა. იგი როდი ხედავს. არამედ სჭვრეტს მას. იგი როდი ხატავს მას, არამედ განიცდის. აქ მუშაობა რეპროდუქტიული როდია, არამედ ფორმად ქმნა და განსახიერება... მის (ხელოვანის — თ. დ.) თვალებს გადაცლილი აქვს ის სიბრმავის აპკი, რომელიც თვალზე გადაკრული აქვთ ემპირიული სიბრმავით შეპყრობილ ადამიანებს", — ამტკიცებს მწერალი ზემოთდასახელებულ წერილში. კ. გამსახურდიას მსჯელობა ეხმიანება კ. ედშმიდის აზრს ექსპრესიონისტებზე: „ისინი როდი ჰხედავენ, ისინი ჭვრეტენ... ისინი ვიზიონერულ ხილვას არიან მოწყურებულნი".

ექსპრესიონისტების მიერ ჭვრეტის გაფეტიშება ხილვის საპირისპიროდ არ იყო შემთხვევითი. ა. ბერგსონმა, რომლის მოძღვრება, კ. გამსახურდიას თქმით, „სახარებად ხდება უახლოესი თაობისათვის", ჭვრეტა გამოაცხადა შემეცნების ძირითად ფორმად ინტელექტისა და ინტუიციის დაპირისპირებისას ბერგსონმა უკუაგდო ინტელექტი, რომელიც სამყაროს საგნებად დანაწილების და ანალიზის გზით შეიმეცნებს, და მის წილ ინტუიცია გააბატონა, რადგან, მისი აზრით, ინტუიცია არ ანაწილებს სამყაროს, არამედ მთლიანობაში აღიქვამს მას. „მხოლოდ ინსტინქტია ცოდნა სივრცეში. ინსტინქტი ისეთ მიმართებაშია ინტელექტთან, როგორც ჭვრეტა ხილვასთან", — წერდა ბერგსონი. აქედან გამომდინარე, როგორც ინსტინქტი, რომელიც, ბერგსონის თქმით, თავის საუკეთესო გამოვლინებაში ინტუიციას წარმოადგენს, მაღლა დგას ინტელექტზე, ასევე ჭვრეტაც განუზომლად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხილვა. ეს ექსპრესიონიზმის ამოსავალი დებულებაა. „უნდა ვიაროთ მაღლა და ღრმად, გამჭოლად და მატერიაზე გავლით — მატერიის გასულიერებულ ექსტრატში", — მოითხოვდა კ. ედშმიდი. ექსპრესიონიზმი გრძნობისა და ჭვრეტის გამაერთიანებელი ცნებაა.

ინტუიტივიზმი ექსპრესიონისტებისათვის მხატვრული შემეცნების ამოსავალი წერტილი იყო. ამასთანავე, შემეცნების შედეგი მიმართული იყო არამარტო ემოციების, არამედ გონებისკენაც.

ჭვრეტა მხოლოდ საშუალებაა მიზნის ცისაღწევად, სამყაროს მთლიანობაში აღსაქმელად. ექსპრესიონისტებისათვის სამყარო და ბუნება ერთი დიდი და მისტიური გამოცხადებაა. კ. გამსახურდია წერს: „ყველაფერი ღვთაებრივია ამ უთვალავ ფერით მოცემულ სამყაროში. ყველაფერს აქვს ბოლოს და ბოლოს დამოკიდებულება და კავშირი ღმერთთან... ხელოვნებას და ღმერთობას შორის სულ ერთი ნაბიჯია. ხელოვნების მიზნები ღვთაების კალთაში უნდა ვიგულოთ".

კ. გამსახურდია ერთგან ექსპრესიონიზმის მეტად ლაკონურ დახასიათებას იძლევა: „ექსპრესიონიზმში ერთმანეთს ხვდებიან აქტივიზმი, მისტიციზმი, ესთეტობა". აქტივიზმი ამ მიმართულებისათვის ნიშანდობლივ ბუნტარულ სულს გულისხმობს, მაგრამ იგი მხოლოდ უკმაყოფილება იყო, რომელსაც არ ჰქონდა გარკვეული მიმართულება და ოდენ სიტყვიერი მოწოდებით კმაყოფილდებოდა: „ძირს ომი! ძირს მსოფლიო კაპიტალიზმი!" ეს იყო უკანასკნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბრძოლება ინტელიგენციისა, რომელსაც პერსპექტივა არ ჰქონდა. უპერსპექტივობა სკეპტიციზმს ბადებდა, ხოლო „როცა სკეპტიციზმი და ოცნება შეუღლდებიან, წარმოიშვება მისტიკა" (კ. გამსახურდია). საზოგადოებაში ყოველგვარი კანონზომიერება ეჭვს ქვეშაა დაყენებული. ამ ეჭვს ექსპრესიონისტთა უნიადაგო ოცნება ერთვის და იბადება მისტიკა. ეს მისტიური განწყობილებანი ხან ქრისტიანული შეფერილობისაა, ხან აზიური რელიგიებით დავალებული, ხანაც სრულიად ახალი რელიგიის პრეტენზიების მქონე. კ. გამსახურდია აცხადებდა: „ექსპრესიონიზმი არც ლიტერატურული მოდაა, არც ესთეტიკური პოზა. იგი ახალი რელიგიაა ევროპის უახლესი თაობის".

ექსპრესიონისტებს მრავალი შეცდომა ჰქონდათ. შეცდომათა სათავე ის იყო, რომ ისინი ერთადერთ რეალობად ადამიანის შინაგან სამყაროს თვლიდნენ და ვერ ხედავდნენ სუბიექტის ცნობიერების შინაარსის დაქვემდებარებას ობიექტური სინამდვილისადმი. ექსპრესიონისტებმა შეგნებულად დაისახეს მიზნად ცნობიერების შინაარსის გადმოცემა. მათთვის გარესამყარო მხოლოდ პირდაპირი ან ირიბი საბაბია სუბიექტის სულიერი მდგომარეობის საჩვენებლად. ხელოვნება და სინამდვილე ორი განსხვავებული რეალობაა. მხატვრული ნაწარმოები, როგორც თვითმყოფადი ორგანიზმი, სრულფასოვანია ბუნებისა და თავისი შინაგანი არსებით არ უკავშირდება მას. — ასეთი იყო საბოლოო დასკვნა. მაგრამ ეს დასკვნა გულისხმობდა არა ბუნებისაგან სრულ მოწყვეტას, არამედ კონკრეტული სინამდვილის უარყოფას: „არა ქვა, რომელიც ვარდება, არამედ მიზიდულობის კანონი".

სინამდვილის გრძნობადი შემეცნებისაგან განდგომამ ექსპრესიონისტული ხელოვნების ნიმუშები ადამიანთა სოციალური პრაქტიკიდან მოწყვეტილ მისტერიად გადააქცია. ექსპრესიონიზმი იყო ბურჟუაზიული ცნობიერების რღვევის კიდევ ერთი გამოვლინება XX საუკუნეში. რომელმაც გარკვეულწილად აითვისა და განავითარა ევროპული მოდერნისტული სკოლების ფორმისეული ძიებანი.

„პორცელანი"

არის ხოლმე ნაწარმოები, რომელსაც მწერლის შემოქმედების გარკვეულ ეტაპზე საპროგრამო მნიშვნელობა აქვს. ასეთად გვესახება კ. გამსახურდიას მრავალმხრივ საინტერესო ნოველა „პორცელანი".

სიტუაცია, რომელშიც ნაწარმოების მოქმედი პირები ერთმანეთს ხვდებიან, ტიპიურია დეკადენტური მწერლობისათვის. მადამ როსტრუპმა და „ქართველმა ოდისეომ" ერთმანეთი ხელოვანთა მასკარადზე გაიცნეს. საუბრისას აღმოჩნდა, რომ ორივეს ერთნაირი შეხედულება ჰქონდა ხელოვნებაზე, რამაც განაპირობა კიდეც მათი დაახლოვება.

როგორია ეს შეხედულება?

მთავარი თეზისი, რომელიც განსაზღვრავს მოსაუბრეთა მთელს შემდგომ მსჯელობას, ასეთია: „ხელოვნება დღესაც ბანალურ რეალიზმში იხრჩობა... საერთოდ ჩვენი ევროპული რეალიზმი მძაგს".

რეალიზმი, რომელიც სინამდვილეს ასახავს და ანზოგადებს, მიუღებელია მათთვის. ამასთანავე, თურმე ხელოვნების ვერც ერთი დარგი ვერ აკმაყოფილებს ფანტაზიით აღსავსე შემოქმედის მოთხოვნებს. „ხელოვნების ვერც ერთ დარგში ვერ მოვეწყვე, რადგან მეგონა, როგორც სიტყვითი, ფერადობითი, ისე ტონალი ხელოვნებანი ვერ იძლევიან ისეთ ფაქიზსა და რხეულ ნიუანსებს". გამოდის, რომ სიტყვა, ფერი, ტონი უძლურნი არიან ადამიანის ფანტაზიის, მისი სულიერი განცდების მრავალფეროვანი გამის გადმოცემაში. ეს უარყოფა გამოწვეულია იმით, რომ თითოეული მათგანი შეიცავს სინამდვილის ანარეკლს, განსაკუთრებით, სიტყვა და ფერი. ის, რაც სინამდვილისეულია, მიუღებელია. ამიტომაა, რომ მადამ როსტრუპი უარყოფს არამარტო სიტყვასა და ფერს, არამედ ტონს, ბგერას. ე. ი. უველაზე ირაციონალური ხელოვნების — მუსიკის საფუძველს. ამგვარად, გამოდის, რომ რეალიზმი უკუსაგდებია, რადგან იგი სინამდვილეს ასახავს. ასევე გამოუსადეგარია რეალისტური ხელოვნების გამომსახველობითი საშუალებანი. ბუნებრივად იბადება კითხვა: რა ავსახოთ და როგორ ავსახოთ?

ჭეშმარიტი სინამდვილე თვალით უხილავია და ადამიანის ხედვის მიღმა არსებული. მადამ როსტრუპმა მაშინ შეიგნო ეს, როცა ქმრის მიკროსკოპს ჩახედა. „ნამდვილი სინამდვილე მაშინ ვნახე, სულ სხვა ფერადი, სულ სხვა ხაზმოსმა, ვიდრე ის სინამდვილე, რომელსაც ჩვენ შეუიარაღებელი თვალით ვხედავთ". ამ აქამდე უხილავი სამყაროს ხილვამ იგი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ „ჩვენი სინამდვილე მტკნარი სიცრუე ყოფილა. კიდევ ყოფილა მეორე სინამდვილე. ხელოვნება კი მესამე სინამდვილეა, მხატვრის მიკროსკოპში დანახული".

ბარონესა როსტრუპის ზემოთმოყვანილი მსჯელობა ექსპრესიონისტული ესთეტიკის ძირითადი დებულების დეკლარაციაა. ექსპრესიონიზმი დაეჭვებულია ბუნების არსებობის ჭეშმარიტებაში. მისთვის ამოსავალია ა. შოპენჰაუერის კონცეფცია, რომელიც თვლის, რომ სამყაროს შემეცნების ძირითადი ფორმები — დრო, სივრცე, მიზეზ-შედეგობრიობა მატერიის არსებობის აუცილებელი კატეგორიები კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაა. არამედ მხოლოდ სუბიექტური წარმოდგენები. ამიტომ მატერიალური სამყარო სუბიექტურ წარმოდგენათა ჯამია. იგი არსებობს იმდენად, რამდენადაც ადამიანის ცნობიერებას აქვს უნარი წარმოდგენისა. ა. შოპენჰაუერი დასკვნის: „სამყარო ჩემი წარმოდგენაა".

ექსპრესიონისტები ეძებენ ხილული სამყაროს მიღმა მეორე სამყაროს, მეორე სინამდვილეს. ეს არის ირაციონალური ფერადებით აღსავსე სინამდვილე, რომელიც, მხატვრის მიერ დანახული და გამოხატული, ქმნის მესამე სინამდვილეს — ხელოვნებას. ამიტომაა, რომ ექსპრესიონისტების აზრით, ხელოვნება თავისი არსით უოველთვის იყო და იქნება ყველაზე უფრო გაბედული უკუქცევა ბუნებისა და ბუნებრივობისაგან. ბუნება ერთი სამყაროა, ხელოვნება — მეორე. მათს შორის არაფერი შეიძლება იყოს საერთო. აზროვნების ასეთი მსვლელობისას უკვე ცხადი ხდება, თუ რატომაა „პანალური" და უკუსაგდები რეალიზმი. იგი ხილულ სინამდვილეს ასახავს, ხილული სინამდვილე კი ილუზიურია და ჩვენი წარმოდგენის მიერ შექმნილი. რეალისტური ხელოვნება ილუზიათა სამყაროს ამსახველია და უოველგვარ შემეცნებით ღირებულებას მოკლებული.

და აი, მადამ როსტრუპმა მიკროსკოპით მიაგნო „ირაციონალურ ექსპრესიონიზმს". ხოლო მისმა თანამოსაუბრემ ეს მიგნება ისე აღიქვა, როგორც ჭეშმარიტების აღმოჩენა: „ჩემს სულში ახალი ჭეშმარიტება ჩაეწვეთა".

ზემოხსენებული ირაციონალის აღმოჩენამ ბარონესას აღმოსავლეთი შეაუვარა. მისი საკითხავები გახდა უფანიშადები, ლაოძე და იაპონური მითოლოგია. განსაკუთრებით მოიხიბლა აღმოსავლური მხატვრობით. „მე იაპონელების და ჩინელების მხატვრობა მიუვარს. ისინი არასოდეს ხატავენ ჩიტს ისეთს, როგორც ეს ბუნებაშია, არამედ ჩიტს მუდამ ტრანზიტორულ მდგომარეობაში". როგორც ვხედავთ, მოწონებას იმსახურებს ის, რომ ხელოვნების პროდუქტი არ ჰგავს სინამდვილეს, რომ იგი რაღაც გარდამავალი მოვლენაა რეალურსა და ირეალურს შორის. სწორედ ასეთი ხელოვნება იყო ექსპრესიონისტი მხატვრების ოცნება. ერთი მათგანი, მ. ბეკმანი წერდა: „ის, რაზეც მსურს მივუთითო ჩემს ნაწარმოებებში, იდეაა, რომელიც იმალება ე. წ. სინამდვილის მიღმა. მე ვდებ ხიდს, რომელსაც ხილულიდან უხილავისაკენ მივუყავართ. მე ვხსნი სახის შინაგან რეალობას".

ასე აუალიბებს მწერალი „პორცელანში" ხელოვნების მიმართებას სინამდვილესთან, ხელოვნების ამოცანებს. ამ საკითხების გაანალიზებისას იგი ექსპრესიონიზმის პოზიციებზე დგას.

ნოველაში შესახიშნავად არის ნაჩვენები ევროპის დეკადენტური ატმოსფერო. „ქართველი ოდისეი" ასე გვიხასიათებს როსტრუპების ოჯახს: ეს იყო „ძველი, ტრადიციული, გერმანელი ბარონის ოჯახი, რომელიც თავისი დეკადანსის მწუხრში მისტიკით, წმინდა ხელოვნებას იდეალებით და არისტოკრატიული ესთეტიზმით იკვებება. დეკადანსი, ვამბობ, რადგან როსტრუპის ოჯახი, როგორც მადამ როსტრუპის სამკაულზე შევატყვე, ვალებში იყო ჩაფლული".

მწერალი აქ ეკონომიურ დეკადანსზე მიგვითითებს, მაგრამ უფრო ხაზგასმულია სულიერი კრიზისი მაღალი საზოგადოებისა, რომელიც დროს ლიტერატურულ სალონებში, თეატრებსა და სპირიტუალისტურ საღამოებზე ატარებს. ეს სულიერი კრახის პროცესი შესანიშნავადაა ნაჩვენები როსტრუპების უსაყვარლესი რელიკვიის — პორცელანის ხვედრით.

„ერთად-ერთი ნივთი, რომელიც ბარონ როსტრუპის აღმოსავლურ გემოვნებას მოწმობდა, ეს იყო პორცელანის ჭურჭელი". ეს მშვენიერი ჭურჭელი, სამი თაობის ხელში გამოვლილი, „რაღაც განუზომელი სიყვარულის საგანი იყო ამ ოჯახში". ბარონი როსტრუპი თავისი თხრობით ამ საგნის გაცოცხლებას ახერხებდა („ჰოი, საკვირველებავ, ისეთი ადამიანებიც რომ მოიპოვებიან, რომელთაც მატერიაში სულის ჩარგვაც ეხერხებათ!"). ერთ დღეს როსტრუპებს გაჭირვებამ პორცელანი გააყიდვინა. ის ნიუ-იორკის ერთ-ერთმა მუზეუმმა შეიძინა.

კ. გამსახურდია საგნის სულიერი დაცლის ისტორიის თხრობით ცხადად გვაგრძნობინებს თაობის სიკვდილს. „ადამიანი საგნების გარემოცვაში ცხოვრობს და სრულიად ბუნებრივია, რომ მათ შორის ემოციური კავშირი მყარდება. საგნები იუღლინთებიან ადამიანური სულით: ადამიანი მათში აქსოვს ეპოქის გემოვნებას, მშვენიერებაზე წარმოდგენას, სოციალურ დამოკიდებულებათა შინაარსს" (ა.კ. ბაქრაძე)

პორცელანის ისტორიის მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რომ ეს საგანი მთელი ეპოქის სულიერი ცხოვრების სიმბოლოდ არის ქცეული: „და შენ, ერთ წამში, ხელიდან გაიგდე ეგ ძვირფასი საუნჯე, რომელიც მთელი ეპოქის სულიერი სიმდიდრის ჭურჭელიც იყო". იღუპება არისტოკრატია და მისი სულიერი საუნჯე, ეპოქის გემოვნება, თვით ნივთის დანიშნულება, რაც პორცელანში იყო განხატებული, იმსხვრევა. პორცელანი სულისაგან დაცლილ ნივთად, მუზეუმის უსიცოცხლო ექსპონატად იქცა.

მთელი ამ ისტორიის უკუფენას ერთი გარკვეული აზრი წარმოადგენს: ცივილიზაცია და კულტურა წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან. ფ. ნიცშეს მსგავსად, კ. გამსახურდია იმ აზრზე დგას, რომ ცივილიზაცია დემოკრატიის საქმეა, მდაბიო სისხლის ხალხისა, კულტურა — არისტოკრატიისა, განსხვავებული სისხლის ადამიანებისა.

როცა პორცელანი არისტოკრატ როსტრუპის

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნილება იყო, ის ახერხებდა მასში სულის ჩარგვას, გრძნობდა მის ნამდვილ ღირსებას. რადგან, მწერლის თქმით, „ყოველი ერი, და ყოველი პიროვნება ყოველდღიურ წვრილმანებშიაც ისე აშკარად იჩენს თავის სულიერ სახეს, როგორც თავის ფილოსოფიისა და მწერლობის უმნიშვნელოვანესს ძეგლებში", და რომ „ცხოვრება სხვა რაღაა, თუ არა და საგნებისადმი დამოკიდებულების გამომჟღავნება" — როსტრუპისა და მისი კლასის სულიც პორცელანთან დამოკიდებულებაში ჩანს: ეს არის კულტურით განმსჭვალული სული:

არსებობს პორცელანისადმი სხვა დამოკიდებულებაც — დამოკიდებულება ბურჟუაზიისა, რომელიც პორცელანში მხოლოდ ძვირფას ნივთს, სამუზეუმო ექსპონატს ხედავს. ბურჟუაზიამ საგანს გამოაცალა სული, რომელიც მას ხელოვნების ნიმუშად აქცევდა. ბურჟუაზიამ მოკლა ხელოვნება. შემთხვევითი არაა, რომ მწერალმა პორცელანი ამერიკის ერთ-ერთ მუზეუმს შეასუიდვინა. ამერიკა მისთვის ის ქვეყანაა, რომელსაც „თუმც ცივილიზაცია და ტექნიკა მოეპოვება, მაგრამ სული და კულტურა არა აქვს". ამერიკა „უსტილო, უწარსულო ქვეყანაა, ენაალრეული ბაბილონი, თავის მრავალსართულოვან ქორედებზე წამოყუნცული... მას არც დიდი კულტურა აქვს, არც მხატვრობა გააჩნია, არც მუსიკა".

ამრიგად, ცივილიზაცია, რომელიც ბურჟუაზიის პირმშოა, ღუპავს კულტურას და მის ჭეშმარიტ მსახურს — არისტოკრატიას. „მოკვდა" პორცელანი და მასთან ერთად მთელი ეპოქის სულიერი სიმდიდრე, რადგან იგი „ეპოქის სულიერი სიმდიდრის ჭურჭელი იყო".

„ქვეყანა. რომელიც სურათის გადაღებად არა ღირს"

კ. გამსახურდიას აქვს ორი ნოველა, რომლებიც თავისი იდეური მიზანდასახულობით და ამ იდეის მხატვრული ხორცშესხმის ხერხებით ტიპიურნი არიან ექსპრესიონისტული მწერლობისათვის. ესენია „კლარა" და „ფოტოგრაფი".

პირველი ნოველის სულიერ ატმოსფეროს კაპიტულირებული გერმანიის სინამდვილე ქმნის. ნოველის გმირს სული ეხუთება ამ გარემოში. იგი ცდილობს გაიქცეს ამ თანამედროვე ბაბილონიდან, მიატოვოს „ათასნაირი ფოკუს-მოკუსი ადამიანური სისულელეებისა", რომელსაც ცივილიზაცია ჰქვია და სადღაც, ბერლინის გარეთ, სატრფოსთან ჰპოვოს თავდავიწყება. იმდენად დიდია გმირის ზიზღი გარემომცველი საგნებისა და ადამიანებისადმი, რომ უველაფერი მის აღქმაში ფანტასტიკურ და გროტესკულ სახეებად გარდაიქმნება. სინამდვილემ დაღალა იგი. „ჩემი ოცნება გაეყარა ამ სინამდვილეს და ასე მგონია, ცხენს მივაჭენებ ბნელ ღამეს, სადღაც, რომელიღაც უმწვანო, უფოთლო ტყეში". სინამდვილე მირაჟივით ქრება გმირისათვის და მას ოცნება ეუფლება, ოცნება, როცა იკარგება საკუთარ „მესა" და გარემოს შეგრძნება. ეს სულიერი ტრანსის მდგომარეობაა: „მე იგი აღარა ვარ, და არც იქა ვარ, სადაც ვარ და მეც ის არა მქვია, რაცა მქვია".

ნირვანაში გადასული გმირი შენიშნავს კლარას, რომელიც ლანდების სამეფოდან გადმოხვეწილსა ჰგავს. „იგი თავჩაქინდრული ზის, ხელები საკვოიაუზე უწყვია, თეთრი, გრძელი თითები; ასეთი ხელები აქვს ლუკას კრანახის რომელიღაც მადონას". კლარა ბურჟუა არაა, ამიტომ არც მუთაქასავითაა მოყვანილი და არც ბეჭდები, გამოფენილი სიმდიდრე, ყვირის მის ხელებზე. იგი ნოველის გმირის სულის თანაზიარია: „ჩვენს შორის სიჩუმე დადის, დადის და ენა მიმოაქვს. ჩვენმა სხეულებმა არ იციან, თუ რას მოუთხრობენ ერთმანეთს ჩვენი სულები".

მთელი შემდგომი პასაჟები „სულთა ურთიერთობისა" მ. მეტერლინკისეულ დუმილის ფილოსოფიას გვაგონებს. მ. მეტერლინკი წერდა: „ისინი, ვინც ლაპარაკობენ ყველაზე ღრმააზროვნად, ყველაზე მეტად გრძნობენ, რომ სიტყვები არასდროს გამოხატავენ ნამდვილ ვითარებას ორ არსებას შორის", ამიტომ „თუ გსურთ ნამდვილად მიეცეთ ერთმანეთს, დადუმდით".

ნოველის გმირს ისეთი გრძნობა აქვს, „თითქოს დიდი, დიდი ხანია, რაც ერთმანეთს ვიცნობთ, თითქოს ამ ხნის განმავლობაში იმდენი რამ ძვირფასი და სანუკვარი გვეთქვას კიდეც ერთიმეორისათვის, რომ სიტყვა აწი აღარ გვჭიროდეს. სიტყვებს მნიშვნელობა დაკარგოდეს... და ახლა ურთიერთის ნდობის სიჯარბეს მიუჭირვებელი დუმილით გამოვხატავდეთ".

სიტყვა საჭირო აღარაა, როცა არსებობს სულთა ერთობა. ასეთი განცდისას დრო და სივრცე იკარგება. ადამიანი თავისუფლდება კონკრეტული სინამდვილისაგან. სამყარო შემოდის ადამიანში და ადამიანი შეერწყმის სამყაროს. ეს ერთი წამი სამყაროსთან ერთიანობისა „ისე უეამოა, დაუსრულებელი, როგორც მოწყვეტილი ცდომილის ეტლი, უსრულობის მარადუამულ სრბოლაში". ერთ წამში ხორციელდება შეუძლებელი: „ჩვენი სულები საუკუნეების ამბებს მოუთხრობენ ერთიმეორეს".

როგორ დისონანსს ქმნიან კონკრეტული სინამდვილე და იქ მცხოვრები ადამიანები იმ მარადიულ უოფხასთან, იმ მარადიულ ჰარმონიასთან შედარებით, რაც ადამიანთა სულებს განუცდიათ. „ადამიანებს რაღაც ზრდილობის კანონები გამოუგონიათ, თუ ვინმემ არ გაგვაცნო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ ქალაქში ქალი, ისე არ შეიძლება მასთან დალაპარაკება. რა იციან ამ შლეგებმა, ეგებ ჩვენი სულები, ერთხელაც განუკვეთელი ერთეულები იყვნენ, მირიად საუკუნეების სახეცვლაში ისინი გასთიშა სივრცემ, დრომ და გარდაცვალებამ".

ახლა განუმეორებელი წამი დგას. დაძლეულია დროც და სივრცეც. გათიშული სულები შეერთდნენ. ნოველის გმირმა კლარას სახით იპოვა ქალი, რომელზეც მუდამ შეყვარებული იყო. იგი გრძნობს ამ წამის სიდიადეს, ღვთიური ძალის სასწაულებრივ გავლენას: „იცოდე, კლარა, ეს წამი აღარ მობრუნდება. საკმარისია ახლა შენ ადგე, შემდეგ სადგურზე ჩამოხვიდე და ბრბოში გაერიო, მერმე ვინ იცის, სად გიპოვნი ამ ხუთმილიონიან ადამიანების მასაში".

მწერალს კლარას სახე ისე აქვს დახატული, რომ იგი რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე დგას. ის რაღაც ღვთაებრივი საწყისის მატარებელია. მას ძალუძს გმირს განუმეორებელი წამი მიანიჭოს, მიაღწევინოს მიუღწეველს — სამყაროსთან შერწყმას.

მაგრამ წამი, რომელიც თუნდაც უსაზღვროებას გაგრძნობინებს, მაინც წამია. ორი არსების „უტყვ მეტყველებას" არღვევს ვიღაც ცეროდენა ბურუუა. „ჩვენ დუმილით ვესიტყვებით ერთმანეთს, დუმილით და ეგ ოჯახქორი შემოგვეჩხირა. დაჯდა და მოყურიადესავით გვათვალიერებს ეს გაბღენძილი, ეს ბურუუა. ეს არამზადა". სულთა საოცნებო ჰარმონია, წამი უსაზღვროებასთან შერწყმისა, ცეროდენა ბურუუამ დაარღვია. გაქრა ოცნება და კლარას ოცნებისეული სახეც ბრბომ შთანთქა.

ნოველის ჩანაფიქრი იკვეთება ფინალურ სცენაში. გმირი მივიდა თავის სატრფოსთან შონებურგის ვილაში. ეს ქალი გარეგნობით ძალიან ჰგავდა კლარას, მაგრამ „სულ სხვა იყო". გმირის სატრფო მხოლოდ ხორციელი, მატერიალური სინამდვილის განსახიერებაა იმ ღვთაებრივ და მიუწვდომელ საწყისთან შედარებით, რაც, კლარაში იყო განხატებული.

ოცნებაში წასული გმირი ამბობს: „ვსდუმვარ და ვფიქრობ შორეულისა და მიუღწევლის გამო..." დუმილი და ფიქრი შორეულსა და მიუწვდომელზე, სინამდვილის გარღვევა და ღვთაებრივამდე მისვლა არის ამ ნოველის იდეური მიზანსწრაფვა.

„ძირითადი აზრი ექსპრესიონისტული ხელოვნებისა... არის ცდა ბუნების კანონთა მავთულხლართებს შორის ღვთაებისაკენ გაჭრისა" — წერდა ვ. ვორინგერი.

„კლარა" ასეთი მცდელობის ერთი ნიმუშია.

კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული მსოფლგანცდის ზოგიერთი მხარე რელიეფურადაა გამოკვეთილი ნოველაში „ფოტოგრაფი".

ის ფაქტი, რომ ნაწარმოების გმირი ფოტოგრაფია, ღრმა აზრის შემცველია. ფოტოგრაფი ის კაცია, ვინც ერთგულად ემსახურება სინამდვილეს. პირდაპირ და შეუმცდარად, მექანიკურად აღბეჭდავს მას. „ფოტოგრაფმა არ უნდა იცრუოს, რადგან ფოტოგრაფი ერთადერთი კაცია ამ ქვეყნად, რომელიც არ სტყუის". ამ რწმენით ემსახურებოდა იგი თავის საქმეს. მაგრამ ერთხელ შავმა ფრინველმა აგრძნობინა, რომ ნამდვილი სინამდვილე იმ ემპირიის მიღმა იწყება, რომელსაც იგი ასახავს. ნოველის გმირი პირველად დაეჭვდა თავისი საქმის სისწორეში. მისი სული ორად გაიყო. მან რესტორანს მიაშურა, რათა შინაგანი კრიზისი ალკოჰოლით და სექსით ჩაეხშო. მაგრამ, როგორც თვით კ. გამსახურდია წერს, „ახალი თაობა აეროტულია იმ მხრით, რომ იგი ეროტულ მოშენტში ვერ ჰხედავს ყოვლის შემცველ ძალას, არამედ ერთს ყოველ შემთხვევაში მეორე რანგის ფენომენს კოსმიურ ფენომენთა შორის".

ფოტოგრაფმა ქუჩას მიმართა, ლამპიონებით გაჩირაღდნებულ ქუჩას, რადგან „ფოტოგრაფს მეტი სინათლე უყვარდა". მის გონებას ერთი ფიქრი აწვალებს: „რა იქნება, რამდენიმე მილიონი აპარატი რომ გაამწკრივო მთელ დედამიწაზე. ერთ წუთში მთელ ქვეყანას სურათი გადაუღო: ქვეყანა საგიუეთს დაემსგავსება. ზოგი მიდის. ზოგი მირბის. ზოგი კვდება. ზოგი ფეხით. ზოგი ავტომობილით. ზოგი ტირის... ზოგი ვიტრინასთან დგას. მან ფიქრი ვერ გაათავა. გულში გაეცინა ამ ბავშვურ სურვილზე".

როგორც ვხედავთ, ფოტოგრაფს სამყაროს მთლიანობაში აღქმა სწყურია, მაგრამ სამყაროს ასეთი აღქმა ფოტოგრაფიული ნატურალიზმის მეშვეობით შეუძლებელია. მას უმწეოდ ეღიმება — „პირველად იგრძნო რომ ის საცოდავი გზაარეული ფოტოგრაფი იყო და სხვა არაფერი". სინათლემ დაღალა იგი. სახლში დაბრუნებული ერთსღა ფიქრობდა: „ქვეყანა შემძულდა!"

მეორე დღეს ფოტოგრაფი სამშობლოში გაემგზავრა. გემზე ასვლისას თვალი მოჰკრა „აუარებელ მავთულებს. ელექტროტექნიკურ მოწყობილობებს, კაბელებს, ტურბინებს ალაგებდნენ... დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი სინათლე. გაიფიქრა ფოტოგრაფმა". თითქოს ამ სინათლეს გამოჰყვაო აღმოსავლეთისაკენ. შუა ზღვაში შავი ფრინველი დაჰყრანტალებდა გემს. კაპიტანმა რადიოგრამა მიიღო, პროფუექტორებით ებრძოლათ შავ ფრინველთან. საღამოს „პასტორმა... დიდხანს ილაპარაკა სინათლის მნიშვნელობის შესახებ... ფოტოგრაფმა ყურები ცქვიტა ეს საკითხი მასაც ძლიერ აინტერესებდა". აქვე მოჰკრა ყური, რომ „მალე მთელი აღმოსავლეთი უნდა განათდეს". ფოტოგრაფმა წაიჩურჩულა: „სინათლე ყოველთვის საჭირო როდია".

ევროპულმა „სინათლემ" — ცივილიზაციამ განაპირობა შავი ფრინველის გამოჩენა. „ყველ-

გან, სადაც შავი ფრინველი მივიდა, ჭირი გაუჩნდა საქონელს და ადამიანებს, ან ამბოხება ატყდა. ქალები ვაუებზე მეტი იბადებოდნენ. ბოლოს: ქალები სიძვის ისტერიით წყდებოდნენ". შემდეგ, იმის კვალობაზე, რომ სინათლე აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, შავმა ფრინველმა გადაუქროლა ევროპას და ფოტოგრაფის ქვეყანას ეწვია. აქაც დაიწყო საყოველთაო უბედურება: გაპარტახება, ციება, სიკვდილი, სიძვის ისტერია... უბედურებაში ხალხმა ღმერთი გაიხსენა — ეკლესიას მიაშურა. შეკრებილი ხალხის თვალწინ ჯერ ვიღაც ჩოხოსანმა, ხოლო შემდეგ შავმა ფრინველმა უარყვეს ღმერთი. „ვერ გაიგე? ღმერთი რომ მოკვდა?" — დაიძახა შავმა ფრინველმა, ჩოხიანმა კი ხატს ტყვია დაახალა. „შენ შემაყვარე ღმერთი!" — ასეთი იყო ფოტოგრაფის რეაქცია. არარსებულის ასეთი თავგანწირული უარყოფა გარკვეულწილად მისი არსებობის რწმენას ბადებს. ფოტოგრაფმა ირწმუნა ღმერთის არსებობა და ის დიდი საშიშროებაც თვალნათლივ წარმოიდგინა, რომ ღმერთი შეიძლება ნამდვილად მოკვდეს.

„ფოტოგრაფის სული ერთბაშად საოცარმა შიშმა შეიპყრო. სადმე რომ ელექტრონი გადაიწვას, მთელი ქალაქი ხანძარში გაეხვევა. აფეთქდებიან ნავთის რეზერვუარები, ქიმიური ლაბორატორიები, არსენალები და მაშინ ხომ გაიგებს ქვეყანა, რომ ნამეტანი სინათლეც მავნებელია... მთელი ქვეყანა შავ ფრინველს უნდა უმადლოდეს, თორემ ელექტროს ხანძარი ქვეყანას გადასწვავდა".

ნოველის მთელი მდინარება და გმირის განცდები განსაზღვრულია იმით, რომ სინამდვილის ნატურალისტური ასახვა მართებული არაა, რადგან იკარგება ღვთით მომადლებული სული. სინათლემ, ცივილიზაციამ უკუაგდო ეს სულიერი მხარე. სინათლით გატაცებამ დაჩრდილა ქვეყნის შემოქმედი. მოკლა ღმერთი. ამან გამოიწვია შავი ფრინველის გამოჩენა. ფოტოგრაფი კარგახანს ვერ ხვდებოდა, რას წარმოადგენდა შავი ფრინველი, უბედურებისა და ბოროტების სიმბოლოდ მიაჩნდა იგი, მაგრამ „ჩვენს სულში ნელ-ნელა, წლიდან წლობამდის გროვდება. მწიფდება ამა თუ იმ საგნის შთაბეჭდილება, ვიდრე ერთ წუთში თვალი არ წააწყდება მას და გაოცდება". ასე წამიერად აეხილა თვალი ფოტოგრაფს და მან შავ ფრინველში ღვთიური სულის არსებობის მაუწყებელი დაინახა. შავმა ფრინველმა თავისი მტკიცებით „ღმერთი მოკვდა!", ფაქტიურად გააცოცხლა იგი.

საგულისხმოა ნოველის ფინალი:

„კარი გაიღო, შავი ფრინველი დინჯად შემოვიდა. ნისკარტით აიღო ნაციები სოფლის და ელექტრონიანი ქალაქის სურათი. თავზე გადაახია ფოტოგრაფს. ფოტოგრაფი წამოდგა. ფოტოგრაფიულ აპარატზე წამომჯდარ სტუმარს დააცქერდა.

— ქვეყანა სურათის გადაღებად არა ღირს.

— დაიყრანტალა სტუმარმა და გაფრინდა.

ფოტოგრაფმა თავისი აპარატი გადმოიღო. ჩექმის ქუსლით დაამტვრია.

ამის შემდეგ მას სურათი არ გადაუღია.

ფოტოგრაფი ახლა წიგნსა სწერს: „ქვეყანა, რომელიც სურათის გადაღებად არა ღირს".

ასე ხდება სინამდვილის უარყოფა, უარყოფა მისი ნატურალისტური ასახვისა. ნოველის გმირის მთელი შინაგანი სამყარო, მის შეგნებაში მომხდარი ძვრები თვალსაჩინოვდება სინათლესთან ურთიერთობაში: „ფოტოგრაფს მეტი სინათლე უყვარდა... სინათლემ დაღალა იგი... სინათლე ყოველთვის როდია საშიროა... ნამეტანი სინათლე მავნებელია".

ფოტოგრაფმა უარყო სინათლე — სიმბოლო ცივილიზაციისა და სხვა ნათელი აღიარა. „უველაფერი და ყოველივე მიმართულია იმისაკენ, რომ რეალობის მიღმა მივიდეთ კოსმიურ სულამდე". სინათლის, ცივილიზაციის უარყოფა, სულობის, ღვთაებრივის აღიარებას ნიშნავდა.

მითოსს მოკლებული დრო

კრიზისი, რომელშიც ევროპა იმყოფებოდა, ფაქტი იყო, თანაც იმდენად გამოკვეთილი და ცხადი, რომ მისი უარყოფა ან მიჩქმალვა შეუძლებელი იყო. იგი ახსნას მოითხოვდა. შემოქმედებითმა ინტელიგენციამ, რომელიც არ ცდილობდა კრიზისის ობიექტური მიზეზების პოვნას, ეპოქის კრიზისის მიზეზად მითოსის კრიზისი დასახა.

—უმითო ეპოქაში ადამიანის სულს ევიწროვება ყოფნა... მხოლოდ სწრაფვას ზეცისაკენ შეუძლია იხსნას მითოსს მოკლებული დრო". — წერდა დ. მერეჟკოვსკი. მისი აზრით, ჭე

-ლოდ რელიგიური გრძნობის გაძლიერებით იყო შესაძლებელი სულიერი კრიზისის დაძლევა.

ამავე პოზიციაზე იდგა კ. გამსახურდია: „შუბლით ვეხლებით ახალ დროს; მისი საუკეთესო ეპიტაფიაა: მითოსს მოკლებული დრო... ევროპის სულიერი კრიზისი სრულებით არ არის სტილის კრიზისი, ან იდეების სიღარიბე. მითოსს მოკლებულ დრო. სიმძიმე აქ არის... ექსპრესიონისტების უახლესმა ლიტერატურულმა თაობამ სწორად შეიგნო ევროპულ კრიზისის მთავარი მიზეზი. მითოსს მოკლებული დრო უნდა დაძლეულ იქნას. მიტომაც ექსპრესიონიზმი არ არის ლიტერატურული სტილის საკითხი. იგი უპირატესად ახალი რელიგიისათვის ფეხმძიმობაა"

იცავდა რა ამ თვალსაზრისს, კ. გამსახურდია პრაქტიკულადაც ცდილობდა თავის შემოქმე-

---

თეიმურაზ დოლიაშვილი

„მატერიაზე გავლით — სულოგისაკენ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებაში მითის გაცოცხლებას. იგი ექსპრესიონისტის პირდაპირობით კითხულობდა: „და თქვენ იცით, რა ძნელია პოეტისათვის კრიზისი? კრიზისი ჩვენი სულის გამოფხიზლებაა ზმანებისა და მითის ჯადოსაგან. კრიზისი? უმითოდ ყოფნაა. ჩვენთვის: არ ყოფნა".

ასეთი წინასწარი მსჯელობის შემდეგ უკვე შემზადებული ვართ პარადოქსული აზრის მოსასმენად: „პირველთაგანვე იყო მითი. ამ ქვეყნად ყოველივე მითით შეიქმნა, რაც კი რამ შეიქმნა. მითი წინ უსწრებდა ადამიანის ყოფნას. მითი იყო უპირველესი განზრახვა ღმერთკაცისა. და როცა ყოველივე არარად იქმნება, დარჩება ალბათ: მითი..."

მითის მნიშვნელობის უარყოფა მხატვრული აზროვნების სფეროში შეუძლებელია, მაგრამ მითის კ. გამსახურდიასეული შეფასებისას არ შეიძლება გადაჭარბება არ ვიგრძნოთ. მწერალი დავალებული ჩანს ნიცშეანური თვალსაზრისისაგან. ფ. ნიცშე თვლიდა, რომ ბერძნული ტრაგედია იყო უმაღლესი ხელოვნება, რომლის უმჯობესი კაცობრიობას არაფერი შეუქმნია. ამიტომ ადამიანის სულისა და კულტურის ასაღორძინებლად საჭიროა ბერძნული ტრაგედიული ხელოვნების აღორძინება. ბერძნული ხელოვნების საფუძველი იყო მითი. ახალ ხელოვნებას, რომელიც კრიზისს განიცდის და რომელიც ბერძნული ტრაგედიის სიმაღლეზე უნდა ავიდეს, საფუძვლად მითი უნდა დაედოს. ეს აზრი ეწინააღმდეგებოდა სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების განვითარებას. ბერძნული ხელოვნებისათვის, როგორც კ. მარქსი ამბობდა, მითი ნიადაგიც იყო და მასალაც. მაგრამ შემდგომში, როცა ადამიანის შეხედულებანი და ცოდნა სამყაროს შესახებ გაფართოვდა, მითის არსებობის დასაყრდენი შეირყა. მითი მოკვდა.

XX საუკუნემ მკვეთრად გამოამჟღავნა მითის გაცოცხლების ტენდენცია. ტექნიკური შესაძლებლობების შეუდარებლად მაღალ დონეზე ადამიანმა შეიძლება მაინც განიცადოს შიში. ეს არ არის შიში ბუნების ძალების წინაშე. ბუნება უკვე გარკვეულწილად ალაგმულია. ადამიანს ახლა მის მიერ შექმნილი სოციალური მოვლენებისა ეშინია, რომელიც მას დაღუპვას უქადის. ნაშასადამე XX საუკუნის მითმქნელობის რეალური მიზეზი. ზოგადად, არც ბუნების წინაშე შიშია და არც ნიცშეანური აზროვნების გავლენა, არამედ შიში სოციალური სინამდვილის წინაშე. თვით ფ. ნიცშეს თეორიაც ამ შიშის კონკრეტული ნაყოფია.

მითის გაცოცხლების ცდაა კ. გამსახურდიას ნოველაში „ტაბუ". ნაწარმოების ცენტრში დგას გაორებული ქართველი არისტოკრატი, ნათავადარი. მის სულში ორი პიროვნებაა ჩაბუდებული: ერთი — ქართული სინამდვილიდან ამოზრდილი, ტრადიციით მიღებული ქართული ფეოდალური კულტურის მატარებელი, რომელსაც „თივთიკის ჩაბალახით თავი მეგრულად აქვს წაკრული". მეორე — ევროპული კულტურით გულგამოჭმული, დასნეულებული. „ნაცრისფერ, ფორეჯიან, ინგლისურ ჰომპსონის კოსტიუმში" გამოწყობილი. „მე-მონოკლიანი" ყოველთვის თან დასდევს „მე-ჩოხიანს", დასცინის, „მოსისხარივით ზვერავს და უთვალთვალებს". „ჩვენს დროში მიმინოსათვის ვის სცხელა" — ეუბნება ნათლიმამა მხედარს და ჩვენთვის „მე-მონოკლიანის" დაცინვის მიზეზი გასაგები ხდება. „მე-ჩოხიანი" ზედმეტია ახალი სინამდვილისათვის, ზედმეტია ის ძველქართული წეს-ჩვეულებაც, რომელსაც იგი მისდევს.

სულიერი გაორების, შინაგანი კრიზისის დაძლევას მხედარი მითების სამყაროში შესვლით ცდილობს. იგი მიდის ნაჭყვედში, მთელს საჭყოინდოში უდიდეს სოფელში, რომლისგანაც დარჩა მხოლოდ მითი. სწორედ ეს იზიდავს ძველ მხედარს ნაჭყვედისაკენ.

„მე-მონოკლიანის" სარკასტულ სიცილს „მე-ჩოხიანი" მითს უპირისპირებს, მითით სურს დაძლიოს თავისი ცივილიზებული „მე" და სულის მთლიანობა აღიდგინოს. „ორეულო, ჩემო მოსისხლე მტერო, დუშმანო, მომეწყინა ამ ქვეყნად უმიზნოდ ყიალი. მინდა მატყლივით თეთრი წვერი მქონდეს. შორს ვიყო ადამიანებისაგან. განუზრახველის გამოღვავნება შემეძლოს". — მიმართავს „მე-ჩოხიანი" „მე-მონოკლიანს".

ოცი წლის შემდეგ სამშობლოში მობრუნებულ მხედარს აღარ სურს ხეტიალი. მან ხომ ოცი წელი დაჰყო ევროპაში. აქ ჩააცვა თავის „მეს" ინგლისური სმოკინგი და აქვე შეისრუტა დაავადებული კულტურის ჰაერი. როგორი გულუბრყვილობაა იმის გაფიქრებაც კი, რომ ადამიანის სული უცვლელი რამაა. „ჩვენ ხომ უცვლელი გვგონია ჩვენი სული. ჩვენი სხეული დაბადებიდან სიკვდილამდის. ეს მოჩვენებითი უცვლელობაა. ჩვენ მუდმივ ფერისცვალებას განვიცდით და ამას უთუოდ საგნების ხსენება და შეხება იწვევს". საგნები განაპირობებენ ჩვენი სულის თვისებრიობას, ათას ნაწიბურს ტოვებენ მის ეთეროვან სხეულზე, ზოგჯერ ულმობლად ხლეჩენ კიდეც მას. ასე გაიყო ორად მხედრის სული ქართულ-ფეოდალურ და ბურჟუაზიულ-ევროპულ ყოფიერებასთან ურთიერთობისას

ძვირფასი ჩვეულება ჰქონდათ წინაპრებს: „ძველად ესმოდათ, რომ თქმა ქმნაზე უფრო დიდია, რომ თქმას დიდი მორიდება უნდა, სიტყვა ბევრ რამეს იწვევს, სიტყვა სულს იწვევს და სულიერს". ამიტომ შემოიღეს ტაბუ. ტაბუ დაედოს ყოველსავე საშინელს, ყოველ სახიფათო სახელსა და საგანს, რადგან „ყოველი საგნის სახელი ჩაფერფლილ ვულკანსა ჰგავს, მიჩქმალულია და იდუმალი მისი შინაგა-

ნი ძალა ეამის მოღწევამდის. მაგრამ უთუოდ არსებობს ბედითი წუთი... და ეს მაშინ ხდება, როცა მისი უჩინარი შინაარსი მიწის გულში დაგუბებული ცეცხლივით გადმოსჭდება".

არსებობს ბედითი წუთი, როცა საგანი გამოაჩენს თავის ბუნებას და ეს საგანი, რომლისაც ყველაზე უფრო მეტად ეშინია მხედარს, ცივილიზებული სინამდვილეა. სინამდვილის არსებობა დიდხანს ასატანი იყო, მაგრამ ჩამოდგა ბედითი წუთი, სინამდვილემ გამოაჩინა თავისი თავი და ადამიანის სულის ჰარმონია დაარღვია. „საგანთა შორის მრავალი რამ არხსენებისა და დუმილის წიაღში უნდა დარჩეს... სამარადუამოდ". უნდა აღვადგინოთ ტაბუ. ტაბუ დაედოს სინამდვილეს. რადგან იგი საშინელია. გზა მივცეთ მითს, რომელიც საშინელს ფანტაზიის სფეროში გადაიტანს. არ დაირღვეს ტაბუ, თორემ ნაჭყვეტელთა ამბავი ცხადზე უცხადესია: როგორც ხვარამზეს ნაშობმა მორიელმა იმსხვერპლა ტაბუს დამრღვევნი, ისევე ჩანთქავს სინამდვილე ადამიანს. ტაბუ დავადოთ სინამდვილეს, განვამტკიცოთ „ვაშინერსი". მივმართოთ ღმერთს და არული ეშმაკს. სინამდვილე არ უნდა არსებობდეს, იგი ტაბუს ღირსია. გზა მივცეთ მითს, რადგან „პირველთაგანვე იყო მითი" — ასეთია ნოველის იდეა.

„ტაბუ" ექსპრესიონისტული ნოველაა. ავტორი რეალურისა და ირეალურის მიჯნაზე ტრიალებს და ზოგჯერ ახერხებს კიდეც მათს შერწყმას. ერთ მთლიანობად გადაქცევას. ნოველის ორივე პლანი, როგორც რეალური, ისე მითოლოგიური, ერთი იდეის გამოსახვას ემსახურება.

მითის მნიშვნელობის გაზვიადებამ არამარტო გააძლიერა მხატვრულ ნაწარმოებში მითის ელემენტების შემოტანა, არამედ გზა გაუხსნა სინამდვილის გამოთებას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნოველა „ქოხა გახუ".

ნოველაში ორი ტენდენციაა გატარებული: ერთი — წარსულის რომანტიკული იდეალიზაცია, მეორე — თანამედროვეობის, სინამდვილის მითიზაცია.

„მე იმ ხანებში ახალი მოთხრობის თემებს ვეძებდი.

თქვენ ბედნიერი გგონიათ მწერალი?

მუდამ დამკვირვებლის როლშია. მთხრობელივით უთვალთვალებს ქვეყანას. ბუნებას, ადამიანებს და ყველაზე მეტად თავის თავს. აბა რა შენიშნოს, რა დაიჭიროს, რა დაიხსოვნოს.

მეწრალს არ შეუძლია თავდავიწყება თვით უაღრესი ტკბობისა და ექსტაზის ჟამს. სიყვარულის სარეცელზე, ხმელზე, ზღვაზე, ბუნების წიაღში ყველგან, ყოველთვის აკვირდება იგი სამყაროსა და თავის თავს".

მწერალი ბუნების დამკვირვებელია, სინამდვილიდან იღებს მასალას იგი, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც საკუთარ თავს აკვირდება, რადგან სუბიექტი განსაზღვრავს იმას, თუ რა აიღოს სინამდვილიდან. რას იღებს კ. გამსახურდია ამ შემთხვევაში ემპირული სამყაროდან და როგორ ეპყრობა მოპოვებულ მასალას?

„მომეცით ჯადოსნური ძალა თავისი თავგადასავალი ვაამბობინო ტაგუ სამუგიას", — წერს იგი.

ვინ არის ტაგუ სამუგია?

„ტაგუ სამუგია ბატონიშვილისა და მისი მკვიდრი დის ხათუნას შვილია... მანუჩარ ხომ ქრისტეს ფეხის მკვნეტელი იყო, მაგრამ ტაგუ სამუგიასთან შედარებით იგი ანგელოზით მოგეჩვენებოდათ".

წინაპართა ცოდვა თან დაჰყვა სისხლის აღრევის შედეგად შობილ ტაგუს. მამამ საკუთარი ცოდვის დასაფარავად გლეხ სამუგიად მონათლა თავადად ნაშობი ტაგუ. ამან მოუწამლა ტაგუს სიცოცხლე. „მთელ ქვეყანაზე გაბოროტებული მხოლოდ ბოროტებას თესავდა". საარაკო იყო ბოროტების სამსახურში გამოჩენილი მისი მოხერხება. ბევრ დიდებულს შურდა ტაგუს ქონება და მისი ვაჟკაცობა, მაგრამ მოვიდა რევოლუცია და ნაბრაგალ ტაგუ სამუგიას ცარიელი ბოხჩა ჰკიდია სმიტ-ვენსონის სისტემის რევოლვერისა. დადის გულაღრენილი ტაგუ და კომუნისტებს აგინებს: „აი დედასა, რა დრო წაგვივიდა. უბედურო ჩემო თავო... გაფუჭდა, ჯიმა აკამი, ქვეყანა. გამამაძაღლდა ხალხი. წინათ მთელს წაჩხურს, მთელს საჭაოინდოს, როგორც მომეპრიანებოდა. ისე მოვხერხავდი ყურს, მანუჩარ დადიანსა და „ვეზნაჩალნიკს" ჩემს გემოზე ვაცეკვებდი, ახლა ზღმურტლიანი ოჩიგავა მღვდლის ბიჭი — ვირის აბანოთი მეკადნება".

ის ახალი, რაც დრომ მოიტანა, მიუღებელია ტაგუსათვის. „ყოველისფერი სიკეთე" ძველმა დრომ წაიღო თან. ან როგორ შეეგუოს ტაგუ ახალს, როცა „იგი ახალ ეროში გადარჩენილი ძველი კაცია, წინაპართა ცოდვებით დატვირთული კაცი".

რატომ მიმართა მწერალმა ტაგუს. ახალ დროში გადარჩენილ ამ ძველ კაცს? ტაგუ მას მოსწონს, რადგან „ტაგუ სამუგიას მართლაც რომანტიული წარსული აქვს... და მე უთუოდ დავსწერდი ამ მასალისაგან მთელს ეპოპეას. დიახ".

რა ვუყოთ, რომ ტაგუ კაცისმკვლელი და ავაზაკი იყო, სამაგიეროდ, „ჩვენს დროში რომანტიული დროების ავანტიურისტი თუ სადმე დარჩა, ეს გახლავთ ტაგუ სამუგია". რა ვუყოთ. თუ მისი სული ცოდვებით დამძიმებულია. „მე ლმობიერად ვეკცევი ჩვენი წი-

---

თეიმურაზ დოლაშვილი

„მატერიაზე გავლილ — სულიერისაკენ!"

ნაპრების ცოდვებს და ვნებებს". წარსულის მიმართ ასეთ დამოკიდებულებაში, ტაგუს პიროვნების პოეტიზირებაში, უკვე აშკარად ჩანს მთელი წარსული ცხოვრების რომანტიზირების ტენდენცია.

წარსულთან მიმართებაში სინამდვილე გამითებულია, ე. ი. მისი არსის გახსნა ზღაპრულის, გამონაგონის გზით ხდება. ქოსა გახუს ტრაგედია ემოციური თვალსაზრისით უაღრესად შთამბეჭდავია, მაგრამ სინამდვილის არსებითი ტენდენციის ჩვენების თვალსაზრისით, უაღრესად გონებისეული, შეთხზული, მითიზებული. რისთვის დასჭირდა ეს მწერალს?

ქოსა გახუს ტრაგედიას ახალი სინამდვილე განაპირობებს. ეს სინამდვილე იმდენად მკაცრია, რომ იგი ადამიანში ადამიანურ ღირსებას კლავს, ანადგურებს პიროვნებას.

ორი სინამდვილის — წარსულისა და თანამედროვეობის — დაპირისპირებისას აშკარად იკვეთება მწერლის პოზიცია: წარსულის რომანტიზირების გზით და აწმყოს ანტიჰუმანურობის ჩვენებით უარყოს დღევანდელობა. ნოველაში ერთი მომენტია უმნიშვნელოვანესი. თუ წინაპართა ცოდვებს მწერალი ლმობიერად ეკიდება, აწმყოს სასიცოცხლო მოთხოვნას წარსულის ნაშთებთან დამოკიდებულებაში ისე აფასებს, როგორც ჰუმანიზმის პოზიციებიდან გადახვევას. ტენდენციის არსი სწორედ ეს არის.

ფატუმიდან სპეპტიციზმამდე

1920 წელს, ბერლინში ყოფნის დროს, კ. გამსახურდიამ დაწერა პატარა ნოველა „საათები". ეს არის ღრმა ტკივილითა და შეუფარავი შიშის გრძნობით გაჟღენთილი ნაწარმოები.

„საათზე უფრო ღრმა სიმბოლო მე არ მეგულება.

თვალწინ მიდგას ღრმად მოხუცებულის დამჭკნარი სახე, თეთრი, მთვარესავით მრგვალი და ბრტყელი. თვალებჩანისლული და თავდავიწყებაში მთვლემარე. ნელა, ნელა ეპარება ამ სახეს ორი ვარდისფერი პაწია თითი შვილის-შვილისა. უცაცუნებს ბებიას სახეზე და ნაოჭს უსწორებს. პაწია თითები მიცოცავენ ბებრის სახეზე".

დრო უხუცესი, უხნიერესი ფორმაა არსებობისა, მაგრამ, ამასთანავე, უბერებელი, მარად ახალგაზრდა. ეამთა შეუჩერებელი დენა ცდილობს დროის განახლებას, ნაოჭის გასწორებას მის მიმჭკნარ სახეზე, მაგრამ მალე თვითონაც ერთ ნაოჭად იქცევა. მიდის დრო და „თითქოს ვიღაცას... ძვირფასსა და საყვარელს მიასვენებენ სადღაც, დიდი ქალაქის ბნელ ქუჩებში". საათი, როგორც სიმბოლო, ამ შინაარსის შემცველია.

დროის დინება უმტკივნეულო არაა მოკვდავისათვის. მიდის დრო, რეკავენ საათები და „ზარითა და ზათქით მიასვენებენ მზეგადასულ დროს, რომელიც ყველაფერს გვართმევს, ყველაფერს თან წაიღებს, რაც აქამდის გვიგრძვნია, ყველაფერს, რაც გვყვარებია და შეგვძულებია". ნაწარმოების დრამატიზმს სწორედ ტრანსსუბიექტურ და ინტერსუბიექტურ დროთა შეპირისპირება განაპირობებს.

ნოველის თემად დროის კატეგორიის აღება შემთხვევითი არ არის. ვფიქრობთ, აქ ფიქსირებულია დროის ბერგსონისეული კონცეფცია. ა. ბერგსონისათვის დრო და სივრცე ღრმად განსხვავებული კატეგორიებია. სივრცე მატერიას ახასიათებს. რაც შეეხება დროს, „ყველგან, სადაც რაიმე ცოცხლობს, ყოველთვის მოიძებნება გადაშლილი რეესტრი, რომელშიც დრო თავის ჩანაწერებს აწარმოებს". ბერგსონისათვის დრო არსებობის ფორმაა, მაგრამ იგი გულისხმობს არა მათემატიკურ დროს, არამედ ე. წ. „ხანგრძლივობას". „ხანგრძლივობა სინამდვილის მასალაა, რომელიც მუდმივ ცვლილებაში იმყოფება და არასდროს არ არის დამთავრებული".

დროის, როგორც ხანგრძლივობის, გააზრებაა მოცემული კ. გამსახურდიას „საათებში". სივრცე არ აინტერესებს მწერალს, რადგან იგი მატერიის არსებობის ფორმაა. მას გული სტკივა იმ სულიერ ფასეულობათა განქარვების გამო, რომელიც ხანგრძლივობას, როგორც მარადიულ მოვლენას, უმტკივნეულოდ მიაქვს, „იწერს გადაშლილ რეესტრში". ადამიანი კი, რომლის სიცოცხლე დროით არის განსაზღვრული და არა ხანგრძლივობით, დაცარიელებული რჩება. „ყველაფერს, ყველაფერს თან წაიღებენ საათები, საათები ჩვენი ბინის კედლებზე, საათები ქალაქის მოედნებზე, საათები სიკვდილის სატრიუმფო ჭიშკრებზე..."

აზრი, რომ ადამიანის სიცოცხლე შეუმჩნევლად იკარგება ხანგრძლივობის განუსაზღვრელობაში, იმდენად შემაძრწუნებელი იყო, რომ იგი ტანჯვის გრძნობას და უკვალოდ გაქრობის შიშს ბადებდა. განურჩევლობის, ინდიფერენტულობის, გაუცხოების გრძნობა დაუფლებია გმირს ნოველისას „შეხვედრა მკვდართან". უგზო-უკვლოდ მოხეტიალე გმირის სულში იბადება აზრი, რომ ადამიანს თავისუფლება დაკარგული აქვს, რომ თვით მაშინაც კი, „როცა ჩვენ გვგონია თავისუფლად ვსუნთქავთ და ბოლთას ვცემთ, მაშინ ვიღაც კოფოზე გვაზის და სადღაც მიგვაჩქარებს". იგი ადამიანის ნებას დამოკიდებულად თვლის რაღაც ძალაზე, რომლის ბუნება და რაობა მისთვის უცნობია. მარტოობა და ტყის სიბნელეა გმირის ერთადერთი მეგობარი. „მე არავის ვეძებ, არავინ მეძებს... მე მარტო ვარ ჩემს ფიქრებში. მე მარტო მივდივარ ჩემს ბნელ გზაზე". ამ გზაზე გადაეყრება იგი ჩამომხრჩვალ კაცს და შიში სიკვდილის წინაშე ერთ წამში დამთრგუნველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძნობად გადაიქცევა. ქალაქში დაბრუნებული, შეძრწუნებული გმირი ფიქრობს: „ჩვენ ყველანი საგნების თოკზე ვკიდივართ დღე და ღამ და გამვლელ-გამომვლელს ველრიჯებით: „ძირს ჩამომიღე, დამასვენე, შე ქრისტიანო!".

სიცოცხლე და სიკვდილი გაიგივებულია. ტანჯვა და ტკივილის გრძნობა — ასეთია ბედი გაუცხოებული პიროვნებისა, სანამ ვინმე არ ჩამოხსნის ტანჯვის თოკიდან. ვერვინ გადავა ბედის სამზღვარს. იმას, რაც გამოუცნობ, იდუმალ განგებას დაუდგენია ქვეყნად.

ფატუმის აღიარება ერთი პოლუსია კ. გამსახურდიას მხატვრულ აზროვნებაში. იგი მეორე უკიდურესობაში გადაიზრდება. თუ აქამდე მწერალი ადამიანის ცხოვრებას ფატუმით განსაზღვრულად თვლიდა. შემდგომში ამტკიცებს, რომ არავითარი კანონზომიერება არ არსებობს, ყოველივე, რაც იყო, არის და იქნება, შემთხვევითობის შედეგია.

კ. იუნგი წერს: „თუ ჩვენ წარმოვიდგენთ საგანთა სვლას მათი ბუნებრივი მდინარეობით, მაშინ თითოეული მოვლენა, თითოეული შემთხვევა წარმოგვიდგება, როგორც შემთხვევითობა. ხოლო კანონზომიერება, მიზეზობრიობა იშვიათი გამონაკლისი, პრაქტიკულად თითქმის არარსებული რამ ხდება". ეს თვალსაზრისი მახლობელია კ. გამსახურდიას ადრეული შემოქმედებისათვის.

მოქმედების განვითარება ნოველაში „ლილ" შემთხვევითობით არის განპირობებული. ეს შემთხვევითობათა წყება ხაზგასმულია იმიტომ, რომ დაამტკიცოს თეზისი: „ჩვენი ბედისწერისა და განცდების საქმეში, რაიმე ლოგიური თანმიმდევრობის ძიება, სავსებით უნაყოფოა". ნოველაში შემთხვევითობათა მთელი ჯაჭვი ერთ კანონზომიერებას ემორჩილება — მოახდინოს ნოველის სკეპტიკური სულისკვეთების არგუმენტირება.

ექიმი შარუხია, განსხეულებული სკეპტიციზმია. ამ ბევრისმნახველ კაცს ყოვლისმომცველი ეჭვის გრძნობა დაუფლებია: „დაუძინებელი კრიტიკული ჭია ჰყავს თავში. ასეთი ადამიანები ყოველ მოვლენაში გაცილებით მეტ მავნე მხარეს ხედავენ, ვიდრე სასარგებლოს". ნოველის გმირი ჯამლეთი შარუხიას ცოლს, უმშვენიერეს ლილს გაუმიჯნურდა და ეს მიჯნურობა სავალალოდ დამთავრდა: გმირის სულში შარუხიასეული სკეპტიციზმი ჩასახლდა.

ავქსენტი შარუხიას სკეპტიციზმი ერთ დებულებას ემყარება: „არაფერი ისე უმგვანოდ არ არის მოწყობილი ჩვენს აგებულებაში, როგორც თვალი. არაფერი ისე არ გვატყუებს, როგორც თვალი". მხედველობა საგნებისა და ადამიანების შესახებ სწორ წარმოდგენას ვერ გვაძლევს. ის ნიადაგ გვაცდუნებს. ცრუ წარმოდგენას გვიქმნის, თუმცა არც საგნების შეცნობაა სასურველი. „საგნის შეცნობა სხვა არაფერია, თუ არა მისივე შეძულება. — ამბობს შარუხია. — მე ადამიანი შემაძულა ანატომიისა და ფიზიოლოგიის შესწავლამ".

შარუხიას ასეთი მსჯელობა ჯამლეთის აღშფოთებას იწვევს. „მე მაშინ გაუტეხელი იდეალისტი ვიყავი" — ამბობს ჯამლეთი, ამიტომ ის გადაწყვეტს. არ დაუმეგობრდეს ექიმ შარუხიას, რადგან იგი „გულგამოჭმული სკეპტიკოსი იყო, რომელსაც ცაზე ღმერთი არად მიაჩნდა და ადამიანი სძაგდა ან ებრალებოდა". მაგრამ შარუხიამ მას მანამდე აუმღვრია სული, სანამ ის გაცლას მოახერხებდა. ავადმყოფ ჯამლეთს ექიმი ციანიკურად აიმედებს, მალე განგკურნავ სენისაგანო. ეს სენი იდეალიზმია, ხოლო განმკურნელი საშუალება — შარუხიასეული სკეპტიციზმი.

როცა ჯამლეთმა ნახა, რომ ლილის უზადო მშვენიერების მიღმა რახიტიანი ძვლები იფარება, როცა მოისმინა შარუხიას ციანიკური განმარტება: „ახლა ხომ ხედავ, რა ინელია რახიტიანი ცოლის ქმრობა და როგორ გვატყუებს ჩვენ თვალი?... ჰე, ჰე, ჰე, ახლა ხომ მორჩით, ხომ მორჩით?", მის სულშიც სკეპტიციზმის ჭია ამოძრავდა.

„ლილ" ისეა აგებული, რომ შარუხიას ყოველი აზრი ჯამლეთის პროტესტს იწვევს, მაგრამ ნოველის განვითარების ლოგიკა შეუმცდარად მიგვანიშნებს: ჯამლეთის იდეალისტური სულის ჰარმონია შარუხიას უსულგულო სკეპტიციზმმა დაარღვია.

შარუხია გამონაკლისი არ არის კ. გამსახურდიას ნოველისტიკაში. ასეთივე სკეპტიკოსია თამაზ ვარდანიძე ნოველიდან „ქალის რძე". ნაწარმოების სულიერი ატმოსფერო ძველია და ნაცნობი: „ადამიანი პატარავდება უსაზღვროების პირისპირ". ასეთ წუთებში სულში ვიღაცა ლიტანიობს: „მოვედ სიკვდილო, ტკბილო სიკვდილო".

თამაზ ვარდანიძე მრავალჭირნახული კაცია, თავზეხელაღებული და სიკვდილის მაძიებელი. წუთისოფელმა და ადამიანებმა მის თვალში ფასი დაკარგეს. „გული ისე უნდა გამოიწაფო, რომ სიბრალული არ შეგეპაროს. ვისაც ქვეყანა ებრალება, ქვეყანა მას არასოდეს არ შეიბრალებს". — ასეთია მისი ცხოვრებისეული კრედო. რამდენადაც მოულოდნელი და საშინელია ნოველის ფინალი, იმდენად ემოციური და შთამბეჭდავია იგი. ის ერთგვარ შიშს ბადებს ადამიანის ქვეცნობიერი მოქმედების წინაშე.

ადამიანის ხასიათში ბოროტისა და საშინელის გამომზეურება უცხო არ არის კ. გამსახურდიასათვის. ის არ ერიდება ბოროტმო-

თეიმურაზ დოლიაშვილი

„მატერიაზე გავლით — პულოგისაკენ!"

ქმედთა, კაცისმკვლელთა გაიდეალებას, რადგან მათში რაღაც რომანტიკულს ხედავს. ნოველაში „ჯამუ" მწერალი გვიყვება მომაკვდავი უაჩაღის ამბავს და ამბობს: „მე მასში უპირატესად უაჩაღს როდი ვხედავდი, არამედ გზაარეულ ადამიანს. იგი უკვე სიკვდილის საუფლოში იმყოფებოდა და მხოლოდ სიკვდილი ბრალს ჩამორეცხავს კაცთაგანს!" მწერალი უთანაგრძნობს ჯამუს, რადგან მისი სული ღალატის საზიზღარმა ამბავმა შეარყია, რადგან იგი უბრალო იყო თავის ბოროტ საქმეებში.

ადამიანთა უარყოფითი ქმედების გადმოცემისას მწერალი ყოველთვის განსაკუთრებულ მომენტს იღებს. ისეთს, რომლის შესახებ ამბობდა ექსპრესიონიზმის თეორეტიკოსი კორნფელდი: „არსებობს მომენტი, როცა ჩვენ ვგრძნობთ, როგორი უმნიშვნელოა ყველაფერი ის, რაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ ამა თუ იმ ადამიანზე". ასეთ სიტუაციაში, მწერლის აზრით, საინტერესოა არა მოქმედების მორალის პოზიციებიდან შეფასება, არამედ თვით ქმედების თავისთავადი ემოციური ღირებულება. ასეთი ამბებისა თუ სიტუაციების ხატვისას კ. გამსახურდია, ვფიქრობთ, იზიარებდა ფ. ნიცშეს აზრს: „აქამდე ნებადართული იყო გვეძებნა სილამაზე მხოლოდ ზნეობრივსა და კეთილში. ეს გარკვეულწილად ხსნის იმას, თუ რატომ იპოვეს იგი ასე მცირე რაოდენობით და რატომ დახარჯეს ამდენი დრო წარმოსახული მიხრწნილი სილამაზის ძებნაში. ბოროტი შეიცავს ბედნიერების ასობით სახეობას, რომელთა შესახებ წარმოდგენაც კი არა აქვთ ქველმოქმედთ. მასში არსებობს ასობით სახე სილამაზისა და ბევრი მათგანი აღმოჩენილი არაა"

კ. გამსახურდიას აქვს მშვენიერი ნოველა — „ზარები გრიგალში", სადაც შეიძლება დავინახოთ კვალი დეკადენტური რეციდივებისა სინამდვილესთან დამოკიდებულებაში, ერთგვარი რელიგიური ექსტაზიც, მაგრამ ეს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მომენტებია ნაწარმოების მთავარ იდეასთან მიმართებაში.

ნაწარმოების გმირი: მნათე ოქოპირი. „მისი ცხოვრება მოსაწყენი და ლაშმარული სიზმარი იყო... არც ერთი ყურაზა ძალი არ ისურვებდა ოქოპირასავით ცხოვრებას", მაგრამ მნათეს ერთბელაც არ აუმაღლებია ხმა. ვინ იყო ოქოპირი? „ნებელობით მგლოვიარე... უიმედო გლახაკი, სიბნელეში დაბრმავებული".

რა გრძნობა ამოქმედებს მწერალს მის მიმართ?

„მე მინდა ვუმღერო ნებაყოფლობით მგლოვიარეებს, რადგან ასეთი იყო მნათე ოქოპირ...

მე მინდა ვუმღერო უიმედო გლახაკს. რომელმაც დიდების პორფირი უნდა მოისხას, რადგან ასეთი იყო მნათე ოქოპირ...

მე მინდა ვუმღერო სიბნელეში დაბრმავებულებს.

ჩრდილში დგას, მიტომაც ვერავინ ჰხედავს.

მაგრამ ბედი მოვა, ჩრდილში მდგომებსაც შეარყევს შუაღამის გრიგალი.

მე მინდა ვუმღერო გრიგალისაგან შერყეულებსაც. რადგან ასეთი იყო მნათე ოქოპირ!"

ექსპრესიონისტებს პიროვნება აინტერესებთ მისი სულიერი ძალების უმაღლესი, ექსტაზური დაძაბულობის დროს. ოქოპირსაც ასეთ მდგომარეობაში გვიხატავს ავტორი. მდვდელთან შეზარხოშებულმა ოქოპირამ რაღაც ფარული სიხარული იგრძნო, მოუნდა ვიღაცისათვის გაეზიარებინა ეს სიხარული, მაგრამ „სად წასულიყო ამ შუაღამეს? ვისთვის ეამბნა, რომ მის სულში სიხარული მოულოდნელად შემოიპარა, მნათე ოქოპირსაც რომ რაღაცა უხარია". ასეთი არავინ ჰყავდა და მან ნაცნობ სამრეკლოს მიაკითხა. აზვავდნენ გრიგალში ზარები და „ხარობდა მნათე ოქოპირ. მისი აღტაცებული სული ფოლადსა და რკინას აგალობებდა". ექსტაზში დაიღუპა მნათე ოქოპირ, მოძველებული სამრეკლოს ნანგრევებში შთაინთქა.

რა არის ამ სიმბოლური სურათის აზრი? კ. გამსახურდია ერთგან წერს: „მე დავწერე ერთი პატარა ნოველა „ზარები გრიგალში". გამოყრუებული მნათე ადის სამრეკლოზე და იწყებს ზარის რეკვას და ისეთ ექსტაზში შევა, რომ გრიგალი ანგრევს სამრეკლოს. ის კი მაინც ვერაფერს გრძნობს და ამ სამრეკლოსთან ერთად იღუპება. მე ამით ვთქვი, რევოლუცია ანგრევს რელიგიას, მაგრამ პარალელურად აღვიძებს რელიგიურ ექსტაზს".

ჩვენ უფლება არ გვაქვს, არ ვერწმუნოთ მწერალს, მაგრამ სურათი იმდენად სიმბოლურია, რომ მას შეიძლება სხვა გააზრებაც მიეცეს. ნოველაში წარმმართველია ექსპრესიონისტთათვის დამახასიათებელი თანაგრძნობა უჩინარი ადამიანისადმი, პიროვნების აღზევების იდეა:

„სწიეთ ადამიანი მაღლა, სულ მაღლა და დასვით მნათე ოქოპირ შემოქმედის მარჯვენა ხარეს".

ადამიანის ამაღლების იდეა — აი, რა არის მწერლისათვის უმთავრესი.

ახალი სტილის კარიბჭესთან

კ. გამსახურდიას ნოველების სტილი თვისებრივად განსხვავდება ქართული კლასიკური პროზის სტილისაგან. მის ნოველებში გამოყენებულია გამოსახვის ისეთი ხერხები, მხატვრული სახეების ისეთი სისტემა, რომელსაც არ იცნობს XIX საუკუნის ქართული პროზა.

გასული საუკუნის პროზა, ძირითადად, ხედვას ემყარება. ამოსავალ წერტილად იგი

ბუნებაზე დაკვირვებას, მოვლენათა განზოგადებას თვლის. წამყვანი აქ თხრობის ელემენტია, სიუჟეტურობაა.

კ. გამსახურდია მხოლოდ ხედვით არ კმაყოფილდება. მისი სახეები გრძნობის ორგანოთა მონაცემების სინთეზის შედეგია. კ. გამსახურდიას პროზაში ხედვას სმენა ერთვის, გამძაფრებული შეგრძნება სიტყვისა და რიტმისა.

მწერლის ნოველების ერთი სტილური ნიშანი შეიძლება ის იყოს, რომ აქ სიუჟეტის გამოგონება არაა მთავარი. მისთვის უმთავრესი გამოსახვაზე ყურადღების გადატანაა. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. გამსახურდიას აქვს ერთ განცდაზე აგებული ნოველებიც და ჩამოყალიბებული სიუჟეტის მქონენიც. ორივე ტიპის ნოველების გამაერთიანებელი ნიშანი ხატვის, გამოსახვის მომენტზე ყურადღების გადატანაა.

კ. გამსახურდიას ნოველების სტილური თავისებურებანი განსაზღვრულია მისი ექსპრესიონისტული გატაცებებით. სინამდვილის ასახვაზე უარის თქმამ, კონკრეტული ფაქტებისაგან მოწყვეტამ რიგ შემთხვევებში მის მხატვრულ სახეებს დაუკარგა სიმკვეთრე და მწერალი „ირაციონალურ ფერთა შეხამებამდე" მიიყვანა.

ექსპრესიონიზმი მთლიანი სტილური სისტემით არ ხასიათდება. გამოსახვის სპეციფიკურ საშუალებებთან ერთად აქ შეიძლება შევნიშნოთ იმპრესიონიზმისა თუ სიმბოლიზმის ელემენტები. ამიტომაა, რომ კ. გამსახურდიას ნოველებში ალაგ იმპრესიონისტული ხედვა იგრძნობა, როცა აქცენტი გადატანილია გარეგან შთაბეჭდილებებზე. საამისო ნიმუშები საკმაოდაა ნოველებში „კლარა" და „ფოტოგრაფი". ამ უკანასკნელში სინამდვილის იმპრესიონისტული ხილვა ერთგვარი ხერხია გმირის მსოფლაღქმის საჩვენებლად. ფოტოგრაფის მიერ აღქმული სამყარო შთაბეჭდილებათა ნაერთია. მაგალითად: „ფოტოგრაფი ვიტრინებს მიჰყვა: სპორტის ტანისამოსები. ბეწვეული. საყელოები. ქუდები. იქვე ბანკის ბიურო დარკინული კარებით. საანგარიშო წიგნები. კინომატოგრაფიის რეკლამები საშინელი სცენებით" და ა. შ. ეს აზრი უფრო დამაჯერებელი გახდება, თუ ვიტყვით, რომ ფოტოგრაფის შეგნებაში მომხდარ ძვრებთან ერთად, ნოველის მომდევნო თავებში წყდება უშუალო შთაბეჭდილებათა ნაკადი და გმირი უკვე საგანთა მიღმა ცდილობს არსის აღმოჩენას.

კ. გამსახურდიას ზემოხსენებული ორი ნოველა აგებულია სცენათა სწრაფ ცვლაზე. ერთმანეთს მისდევს „ჩვენებები", „კადრები", დეტალები. იგრძნობა ყოვლისმომცველი მოძრაობა, ვნებიანი აღტყინება. ეს ექსპრესიონისტული სტილის არსებითი ნიშანია.

დიდისა და მცირის მონაცვლეობა, გრანდიოზული მონახაზისა და მცირე შტრიხების მიდევნებით ჩვენება მხატვრულ სახესა და მკითხველს შორის დისტანციის მუდმივი ცვლილების შთაბეჭდილებას ქმნის. გრანდიოზულის დანახვავად შორიდან ცქერაა საჭირო, შტრიხის შესამჩნევად — ახლოს მისვლა.

კ. გამსახურდიას ნოველებში წინ არის წამოწეული სუბიექტი. ნაწარმოებებში დომინირებს „მე", რადგან მწერალი იმ ხანებში ხელოვნების ამოცანას შემოქმედი პიროვნების თვისებებისა და თავისებურებების მაქსიმალურად სუბიექტურ გამოსახვაში ხედავდა. „მეს" წინ წამოწევა სულიერი მარტოობის შედეგია. ეს მარტოობა ბადებს ნაწარმოებს. უთუოდ მარტოობის განცდის ჟამსაა შექმნილი „კლარა" და „ფოტოგრაფი", „საათები" და „შეხვედრა მკვდართან", „ტაბუს", „ქალის რძისა" თუ „ჯამუს" ცალკეული პასაჟები.

კ. გამსახურდია იცავდა ექსპრესიონისტულ პრინციპს, რომლის მიხედვით ხილულის გამოსახვა არ არის გამორიცხული, მაგრამ ისე, რომ სულმა იზეიმოს მატერიაზე. ზუსტად რომ ვთქვათ, იგი უარს ამბობდა საგანთა გარეგან ფორმაზე მათი ტრანსცენდენტალური არსობის შეცნობის მიზნით. სუბიექტივიზმი და მისწრაფება მატერიაში გაღწევისა დიდ გავლენას ახდენს მხატვრული სახის სტრუქტურაზე. იმის გამო, რომ სუბიექტის შინაგანი სამყარო რაც შეიძლება ზუსტად გამოსახონ, ახდენენ სინამდვილის დეფორმირებას. სუბიექტი ნებისმიერ ფორმას ანიჭებს გარემომცველ სინამდვილეში არსებულ საგნებს. ამასთანავე, სულობის ძიებამ, ერთი მხრივ, აზრის დინამიკა შეაფერხა, მეორე მხრივ, გააძლიერა მისტიკური ნაკადი. „მისტიკოსი მხატვარი არ უარყოფს იდეურ შინაარსს. მხოლოდ თავისებურ ხასიათს აძლევს მას. მისტიციზმი იდეაა, მაგრამ ბუნდოვანი, უსახო. როგორც ნისლი" (გ. პლეხანოვი). ასევე „ბუნდოვანი და უსახოა" მხატვრული სახეები. მაგალითად:

„რიჟრაჟი მოვიდა. მუქლურჯი ზეცა გაფხრიწა ცისკრის ნათელმა ღიმილმა. აუშვა ავ-რორამ ცისფერი ეტლები, ეთერის უფსკრულში ტრიუმფით აჭრილმა. გაიბნა. გაფითრდა ცის ლურჯი ფორეჯი და ნაზი მიმქრალი ღრუბლების მარმაში ილეკროს სევადით დაჰფარა მზემ".

ეს ფერწერული სურათია, ფერებში გადმოცემული განთიადია, მაგრამ განთიადის მხოლოდ ბუნდოვანი ფეროვნება შეიმჩნევა, არ იხატება კონკრეტული მოვლენა.

ეს ტენდენცია შესამჩნევია არათუ ცალკეული პასაჟების ხატვისას, არამედ რიგ ნოველებში თხრობის წარმართვის დროსაც. მწე-

---

თეიმურაზ დოლიაშვილი
„მატერიაზე გავლით — სულოგისაკენ!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

რალი ხანდახან ისეთი გამომსახველობის შექმნას აღწევს, რომელიც რეალურისა და ირეალურის საზღვარზე დგას.

ექსპრესიონიზმს პრეტენზია ჰქონდა კონკრეტულის წილ ზოგადი ეჩვენებინა, რისთვისაც იგი ხშირად მიმართავდა სიმბოლოს მისთვის დამახასიათებელ მრავალმნიშვნელოვნებით. ასეთი სიმბოლური სახეებია შავი ფრინველი „ფოტოგრაფიდან", კლარა — ამავე სახელწოდების ნოველიდან, საათები და სხვ.

რიგ შემთხვევებში კ. გამსახურდიას ნოველის გმირები დროისა და სივრცის გარეშე დგანან. ისინი ნოკლებულნი არიან კონკრეტულ-ინდივიდუალურ ნიშნებს და უფრო პირობით — სიმბოლური, ან გროტესკული ელფერი დაჰკრავთ. რასაკვირველია, აქ არ ვგულისხმობთ ტაგუ სამუგიას, ეჭიმ შარუხიას...

განზოგადებისაკენ მისწრაფება ბადებს ისეთი ხერხების გამოყენების აუცილებლობას; როგორიცაა დეტალების მონტაჟი, კონტრასტი, ჰიპერბოლა, გროტესკი. ეს უკანასკნელი ხშირად პორტრეტის ხატვის აუცილებელი ხერხია. გროტესკის მრავალი ნიმუშია თავმოყრილი „კლარაში". მაგალითად: „უფროსს ინგლისური ბულდოგი უზის ფეხებთით. და მე ვამჩნევ: ეს ძაღლი ძალიერ წააგავს თავის პატრონს. სწორედ ამ ბულდოგისმაგვარ ბურუუას ცოლს ნუშისოდენა იაგუნდი ჰკიდია ყელზე". ან: „თეძომოქცეულ კაცს... ცხვირზე უშველებელი მეჭეჭი აქვს, კისერზე ჭრელი კაშნე. კისერი რომ მოიღრიჯა, გამოირკვა: თავი და ტანი ისე შეზრდილი ჰქონია, რომ კისერი აღარც კი უჩანს. „გროტესკი მწერალთან ორპლანოვანია. პირველი — ხილული. დეფორმირებულია, მეორე — დეფორმაციის მიზეზს გვიხსნის. ეს არის აღმქმელი სუბიექტის ზიზღი ბურჟუაზიისადმი. კ. გამსახურდიას აქვს პორტრეტული შედარები, რომლებიც, მართალია, ფსიქოლოგიური სიღრმით არ გამოირჩევა, მაგრამ ხასიათის არსებითი ნიშნები შეხანიშნავად არის გადმოცემული. ასეთია ტაგუს, შარუხიას, ქოსა გაბუს პორტრეტები.

პეიზაჟი კ. გამსახურდიას ნოველების განუყრელი კომპონენტია. მისი პეიზაჟები არ არის ერთფეროვანი. იგი ხან ქალაქის ხატებას, მის რიტმსა და აკუსტიკას გვაგრძნობინებს, ხანაც ოსტატურად დახატული ბუნების სურათებით გვხიბლავს. ზოგ შემთხვევაში ეს პეიზაჟებიც ორპლანიანია. ერთი — რეალური კარგადაა აღბეჭდილი, ხოლო მეორე პლანს ამხატვრის ემოცია ქმნის, რომლის მიტანა მკითხველამდე უმთავრესია. დავიმოწმოთ ორი ნიმუში:

„ქუჩიდან ავტობუსების, ტრამვაიების, ომნიბუსების ზმუილი...

გასწვრივ, სახლის სახურავის კოშკზე, რეკლამების მარაო ტრიალებდა: „ამერიკული ფეხსაცმლების მაღაზია ზუუ".

„რესტორანი დამურა. კაბარე".

„აქციონერული საზოგადოება".

„გაუფრთხილდით სიფილისს".

„ვენეროლოგი რენიე".

ან:

„გვიმრა მიჰყვება ფშალითა და ეკლით დატვირთულ კატაბარდებს. მელიკუდითა და რძიანრძიით მოფენილი ტრამალი, ხავსმოდებული ჭოჭი, სამუხლე ლელი და ბაყაყების მწყობრი ორკესტრი... მიცვალებულის თვალებივით გამოციებული და მოწყენილი... მწვანე ტბორები. უყმური და ციება ბინადრობს ამ ჭაობში. აქ მიწის კაცი შემხვედრია შებინდებულზე, პირაღმა მწოლარე ცას რომ უშვერდა თავის წითელ, ხორკლიან მუცელს..."

პირველ შემთხვევაში, რეკლამების მიღმა ევროპული ცივილიზაციით მოწამლული სინამდვილიდან მიღებული შთაბეჭდილება დგას, ხოლო მეორე შემთხვევაში ჭაობნარის სურათის მიღმა რაღაც საშინელის, შეუცნობელის განცდა იგულისხმება.

კ. გამსახურდიას პროზის ერთი არსებითი ნიშანი რიტმულობაა. მე მხოლოდ ერთ ადგილს მოვიყვან ნოველიდან „ზარები გრიგალში". თუ შესაძლებელია სიტყვის მეშვეობით ელერადი, რიტმული სიმფონიის შექმნა, ეს ზარების გრიგალთან ბრძოლის გრანდიოზულ სურათშია მიღწეული:

„მოუქნია მნათემ დიდსა და პატარას ერთად.

კენტად და წყვილად.

წყვილად და კენტად.

დიდები დროდროზე, სულ უკან მდგარნი.

პაწია, წკრიალა, ჩხრიალა ზარები უფროსებს ხანდახან წინ გადაუსწრებდნენ, ველს გადაირბენდნენ, კვლავ შეჩერდებოდნენ.

ლუწი და კენტი, კენტი და ლუწი. დიდი და პატარა, მხხვილი და წვრილი ერთბაშად შეჯგუფდნენ, შედედდნენ, შეერთდნენ, ხმა ხმაზე მიაწყვეს, ხელი ხელს ჩაჰკიდეს. გაჰქანდნენ, გაიჭრნენ, ეძგერნენ ქარს".

ამ სურათში არის მოძრაობა, რიტმი. პლასტიკა, ელერადობა და, რაც მთავარია, ერთი მთლიანი, დიდი სიმფონია...

კ. გამსახურდიას სამწერლო პრაქტიკაში ბედნიერად შეერწყა ერთმანეთს ქართული კლასიკური პროზის ტრადიციები და მოდერნისტული მწერლობის გამოცდილება.



ჟურნალი გააფორმა მხატვარმა ფიტე შეუილაძემ

გარეკანის მე-2 გვერდზე ნახატი ვიქტორია სხირტლაძისა

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე—72-26-30. მდივანი — 72-44-78. განყოფილებათა გამგეები—72-26-35. პროზის — 72-26-30. ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62. „ცისკრის" დამატება — 72-17-01. საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 18. 11. 81 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 1. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108, ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 2932. უე 06005. ტირაჟი 52.700.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

E-11730

ფასი 60 კაპ. ინდექსი 70268



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ